



ქართული
საქმიანობა

საბჭოთა სელოვნება

1978 **5**



5/1978

საბავშვო საბავშვო

შინაარსი

საბავშვო სსრ კინოი	3
მანანა რობაქიძე — გმირთა დიდების ძეგლები	4
სპარტაკ რეხვიაშვილი — ქართული ხელოვნება დიდი სამამულო ომის დღეებში	8
ნოდარ გურაბანიძე — რევოლუციური თანამედროვეობა და კლასიკის პერიო- კული სულიერება	13
მანანა გოგლაშვილი — არა ბრძენობა, არამედ ხელოვნებითა	24
ეთერ გუგუშვილი — თანამედროვე ქართული სახასიერო ხელოვნება	31
მარიანე კერესელიძე — თიშო ჯაფარიძე	45
ნანა ვოლინა — ახალბავშვობის მუშაობის სინაზული	53
ირინე კუჭუხიძე — თანამედროვე გმირის კრიტიკა ქართულ კინო- მატინგაში	57
ალექსი ბობოხიძე — ნიღბები ნაქალაქარ საკინოებზე	64
ირინა შელია — კლასიკის თვალთა დანახული სამყარო	68
ბერნარ გავოტი — ხომ არ იცნობ ჩვენი ეროვნული პრინციპი?	72
იოსებ მეგრელიძე — ლუჯური ხალხური სიმღერის ნიმუში	78
ეთეშია ხარაძე — ლადო მისერგვილი და ქართული სასცენო მატინგებზე	80
ვახტანგ სილაგოშვილი — ქართული მხატვრობის ქრონიკები	86
ტიტო შევილაძე — ჯამალ თუშუბაშვილის ბავშვობაზე	88
შაჰა შიქაძე — „სახარბიო კულტურის“ ახალი ძანის შესახებ	90
თამაზ ხანიკიძე — მიქსიკის სახე	95
მანანა ბრეგვაძე — ბლუზ პასაჟი	100
ქუმბერ თიბერია — ამბავარი მოღვაწის წიგნი	111
ბაბაი მასაძე	112
ქორინაძე	113

საბავშვო სსრ კულტურის სამინისტროს
მუშაველთა შორის

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ეკონომიკა**

მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე
სარედაქციო კოლეგია:
ბაბაი მასაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუმბერ თიბერია
(კასპისკომპოზიციონერი მ. მ. მ.),
ნოდარ გავოტი,
მისილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ჯუმბერ ნიჭარაძე,
გივი ორბელიანი,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხიშიძე,
ანტონ ვულაძიძე,
ნიკო ბავშვაძე,
ნოდარ ჯანაშია.

საბავშვო სსრ
საბავშვო
ბავშვობა



ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ნაწარმოებები!

სსკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება
1978 წლის 1 მაისსათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიამ მიიღო საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია

სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ აღიკვეს, აგრძელოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულეზანი საბოთა აზაშიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ასაგაღაგლად.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ურველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

საქართველოს საბოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (კირითაღი კანონი). მუხლი 27.



გმირთა დიდების ძებლები

მანანა რობაქიძე

საბჭოთა ხალხის გმირული შემართება დიდ სამამულო ომში შთაგონების დაუმეტელ წყაროდ იქცა ხელოვნათათვის. ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეტყველი ასახვა ჰპოვა სახეით ხელოვნებაშიც, კერძოდ, მონუმენტურ ქანდაკებაში. ყველასათვის კარგადაა ცნობილი საბჭოთა მიწაზე თუ მის ფარგლებს გარეთ, მრავალი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში აღმართული უკვდავების ძეგლები, მემორიალური ანსამბლები. გავისსენით სტალინგრადის დიდებული ანსამბლი, გამარჯვების მონუმენტი დნეპროპეტროვსკში, ფაშინის მსხვერპლთა ძეგლი პირჩუპისში, ზატინის მემორიალური ანსამბლი და სხვა მრავალი. ეს ქმნილებანი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხატვრული იდეითა და პლასტიკურ-არქიტექტურული გადაწყვეტით, მაგრამ ალავსებთ ერთი საერთო ხულისკვეთება — იხინი გა-

ნადიდებენ ადამიანს — გმირს, სამშობლოსათვის თავგანწირულს, მისთვის დაცემულს მრისხანე მტერთან ბრძოლაში.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, მოქანდაკეთა და არქიტექტორთა არერთმა თაობამ იმუშავა ამ თემის ხორცშესხმაზე. შეიქმნა მრავალი, სხვადასხვა მხატვრული სახის ძეგლი. მაგრამ სხვაობათა მიუხედავად, მათ ერთი საერთო ნიშანთვისებაც გააჩნიათ: ყველა ძეგლი მეტყველად, ემოციურად განასახიერებს მასში ჩაქსოვილ დედაზრს. ამ ძეგლებისათვის ნიშანდობლივია მონუმენტური სუნთქვა, დიდებულება, ფართო განზოგადების ძალა. მხატვრები და მოქანდაკეები ხშირად მიზართავე ისტორიულ-პატრიოტულ თემატიკასაც, რომელიც, ბუნებრივია, ეხმარება 1941-45 წლების მღელვარე მოვლენებს.

გმირთა სადიდებლად შეიქმნა როგორც მრავალი ქანდაკებები, ქანდაკებათა ჯგუფები, ისე ანსამბლები, არქიტექტურული კომპლექსები.

აქ გვინდა გავისსენით განსხვავებული მიდგომით გადაწყვეტილი, სხვადასხვა ტიპის რამდენიმე მემორიალი-ძეგლი.

ნო-იან წლებში საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში, მათ შორის საქართველოშიც აიგო ისეთი მემორიალები, რომლებიც სივრცეში იშლუბიან და თხრობითი დეტალებით გარე ბუნებას ორგანულად ერწყმინან.

თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ იშლება ვენახების, აშოლტილი ალვის ხეების ხედი. აქა-იქ გზის პირას თუ მოშორების მოჩანს სოფლის წითელკრამიტანი სახლები, რომლებიც აცოცხლებენ პეიზაჟს. მარცხნივ, მისახვევში, ამაღლებულ ბორცვზე ერთბაშად ცის ფონზე თვალწინ წარმოვიდგება გამხმარი ხეების მეტყველი სილუეტები, რომლებიც თითქმის აქაურ ცხოვრებას მოწვევტილინი, ოღადა, მაგრამ, ამავე დროს, ამაყად დგანან. გზის გაგრძელებაზე გამოჩნდება მოასფალტებული მოედანი, არქიტექტურულად გაფორმებული წყარო, რომელზეც წარწერილია: „სოფელ პატარძელის გმირთა სავანე. 1941-1945 წწ.“. გზის ამ ნაწილის „მოედანი“ ბორცვითა შემოზღუდული, რაც მას სიმყუდროვეს ანიჭებს. წყარო თითქმის დასაფენებლად იწვევს, აჩერებს მგზავრს, შესაძლებლობას აძლევს გულდასმით დაათვალიეროს ძველი (არქ. ს. რევიშვილი, 1975 წ.).

მოელი ანსამბლი გზის ნაპირას, პატარა ბუნებრივ ბორცვზეა გაშენებული. იგი დამუშავებულია ტრასებად. კედლები ამოყვანილია რიყის ქვით, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩართულია სხვა-

დასვა ზომისა და ფორმის სადა ქვის ფილები. კედლებს შორის სივრცე დაფარულია მწვანე მოლით.

სულ ზედა, მესამე ტერასაზე აღმართულია ხუთი, გეომეტრიული ფორმის (ტრაპეციის მსგავსი) სტელა, რომელთა ფასადზე წარწერილია შინნოუსველეთა ვრცელი სია. ბორცვის მარცხენა მხარეს ტოტემშეჭრილი გამხმარი ხეების ვაკუფი სიმბოლურად გამოხატავს შეწყვეტილ სიცოცხლეს. მარჯვენა მხარეს კი, ასევე რიყის ქვებით შემოფარგლული, ორი „მოედანია“. ერთ მოედანზე უზარმაზარი ქვევრებია ჩადგმული, მეორეზე კი — ლარნაკში მუდმივად ცეცხლი ანთია. ძველის ჰორიზონტალურად გაშლილი მოედნების საპირისპიროდ იქვე, ოდნავ მარჯვნივ, წყაროა, რომელიც შემადლებული კედლებით გამოიყოფა.

წყაროს ნაგებობას თავისებური ფორმა აქვს. კედელზე ამოკვეთილია რელიეფი ღოზების გამოსახულებით. წყაროს უკან, რიყის ქვისაგან აშენებული კედლის ნაწილი, ჯვრებით დეკორირებული, ხეესურული ხალიჩის ორნამენტს მოგავგონებს.

თიხის ქვევრების მოწითალო ფერი ორგანულ კავშირშია და კარგად იკითხება აგურით ამოყვანილ, კედლის წყობაში ჩაწერილ ზოლებსა და ჯვრის გამოსახულებებთან. კედლების, საფეხურების, სტელების მკაცრ ფორმათა შეთავსება ყოფით საგნებთან (ქვევრები) და ბუნების ცხოველბატულ ნაწილთან (ხეები), ერთი შეხედვით, თითქოს შემთხვევით ხასიათს ატარებს, მაგრამ, ამავე დროს, ეს შეთავსება გარკვეულად გააზრებულია.

პეიზაჟთან კავშირი მიღწეულია არა მარტო მისი ბუნებრივი ელემენტების გამოყენებით. ჰორიზონტალურად გაშლილი „ტერასების“ სწორხაზოვანი ზედაპირი ერთიან რიტმში იწერება დაბალ ბორცვსა (მემორიალის „ფუძე“) და შორეულ, ჰორიზონტალურად გაშლილ მთებთან. ხეები, ქვევრები თავისი ცხოველბატული ხასიათით აწელებენ აშენებული ნაწილის გეომეტრიულ სიმკაცრეს და უფრო მჭიდროდ აკავშირებენ მათ ცოცხალ გარემოსთან, კედლის წყობაში ჩართულ რელიეფურ ფილებს დეკორაციული დანიშნულებით აქვთ; ამავე დროს, ეს რელიეფები ახლად აშენებულ კედლებს თითქოს ძველ ხელოვნებას უკავშირებენ.

მონუმენტური სიდიადით აღსავსა ე. ამაშუკელის „გმირთა დიდების ძეგლი“ ფოთში (1967 წ. არქ. მ. კუჭავა, ვ. დავითიას მონაწილეობით). ფიგურის მკაცრ, ფრონტალურ სილუეტში, მის პოზაში დიდი შინაგანი ძალა იგრძნობა, მავილი და პალმის რტო ქალის ხელში, ღრმა შინაარსობრივ დატვირთვასთან ერთად, მას სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს. ქალის ფიგურა, სამოსი დამუშავებულია განზოგადებულად, საზგანმუნალო მთავარი მოცულობები; ფიგურის ასეთ პლასტიკურ დამუშავებას, მის მკაცრ სილუეტს შეესა-



გმირთა დიდების ძეგლი ფოთში. მონაწილე ე. ამაშუკელი, არქიტექტორი ვ. დავითია

ბამება სწორკუთხოვანი ფორმის კვარცხლბეგი. მთელი კომპოზიციის ლაკონიურობა და სიმკაცრე ძველს დიდ გამომსახველობით ძალს აძლევს.

სულ სხვაგვარად გადაწყვიტა ე. ამაშუკელმა დაღუპული მებრძოლებისადმი მიძღვნილი ძეგლი, რომელიც ზესტაფონშია აღმართული (1969 წ. არქ. ვ. დავითია). მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება გამოსახავს დაჭრილ, ძალაგამოცლილ მეთომარს, მთელი კომპოზიცია წინააღმდეგობის, შეუდრეკლობის სიმბოლურ განსახიერებდა წარმოვედგება. ეს მიღწეულია ზემოთ აწვეილი ხმლისა და აფრიალებული მოსასხამის გამოსახვით. ხმალს სხვა, წმინდა კომპოზიციური როლიც აკისრია: იგი აწონასწორებს საყრდენს მოკლებულ, ჰაერში დაკიდებულ, მეომრის მარჯვენა ხელის ფესტს.

ორივე ძეგლში ვლინდება ე. ამაშუკელისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების (კომპოზიცია და ფორმების დამუშავება) ლაკონიურობა და ერთგვარი დეკორატიულობაც, რაც ხაზს უსვამს ძეგლთა სიმბოლურ მნიშვნელობას. ეს ნაწარმოებები მოწმობენ, თუ რა მრავალფეროვანია მოქანდაკის მიერ შეჩერული ხერხები ამ ერთიანი, მისთვის ზვეული მიდგომის ფარგლებში.

სამშობლოს დამცველებს ეძღვნება საჩხერის ძეგლიც (1968), რომლის ავტორია თ. ღვინია-შვილი (არქ. კ. ნახუცრიშვილი). ქანდაკების ჯგუფი გამოირჩევა რიტმულობით და, ამავე დროს, მონოლითურობით. ქალის—დედის და მეომრის მტკიცე პოზა, წინ მიმართული მზერა, მუშტად შეკრული ხელები განწყობილების ერთიანობაზე მეტყველებს, ხაზს უსვამს მათი ხასიათის სიმტკიცეს, შეუპოვრობას. ფიგურების ზოგად, მასიურ ფორმებს შეესაბამება მკაცრი, სწორკუთხოვანი პოსტამენტი, მისი პროპორციები და ზომები, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ამ ადამიანების შინაგანი ძალის შეგრძნებას.

სკულპტურულ ანსამბლს წარმოადგენს მეომართა ხსოვნის ძეგლი თბილისში (მოქანდაკები ვ. ჭუმბურიძე და ა. რატვიანი, არქიტექტორები თ. ლითანიშვილი და ვ. ჯორბენაძე). ანსამბლის რთული კომპოზიცია სხვადასხვა აზრობრივ-მხატვრულ დეტალს აერთიანებს და ამ გამართიანების ფუნქცია აკისრია კედელს, რომლის ცენტრალური ნაწილი ამადლებულია და შემკული რელიეფური ფილით, წარწერებით. ფილზე გამოსახულია მეომართა ფიგურები. მაგრამ ანსამბლის აზრობრივი ცენტრი მაინც დედის ფიგურაა, რომელშიც იკითხება შეკავებული სევდა, „ჭირსა შიგან გამაგრების“ სულისკვეთება. უხეშად გათლილი, დაუმუშავებელი ქვის თხუთმეტი ლოდი თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკის გმირთა ხსოვნის სიმბოლოდ იკითხება.

„კიდევაც დაიზრდებიან
აღგოს ლეკვები მგლისანი,
იხე არ ამოწყდებიან,
ქავრი შექამონ მტრისანი“.



სოფ. პატარკელის გმირთა საყვანე-არქიტექტორი ს. რევიშვილი


გმირთა ხსოვნის ძეგლი-ანსამბლი თბილისში. მოქანდაკები ვ. ჭუმბურიძე, ა. რატვიანი, არქიტექტორი თ. ლითანიშვილი.





„ქიდევიც დაზრდებიან“. მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი გ. ბაქრაძე.

უცნობი ჭარისკაცის საფლავი თბილისის ვაკის პარკში. არქიტექტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, ქ. ჭუბაბია, კ. ნახუციანიშვილი, მხატვარი — ზ. წერეთელი, მოქანდაკე — გ. თიააური



მერაბ ბერძენიშვილის მიერ გამოყვანილი, მარნეულის დიდებული ძეგლი (არქ. გ. ბაქრაძე) რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მომენტის წლისთავის დღეებში გაიხსნა, შეიძლება ითქვას, ამ ლექსის მეტყველ ილუსტრაციას წარმოადგენს. დედის სახე აქაც ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ამ ძეგლზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ კვლავ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გზის ორივე მხრიდან სკულპტურული ჯგუფი ძალზე მეტყველად იკითხება. სხვადასხვა მანძილიდან და კუთხიდან თვალიერებისას, სულ უფრო საგრძნობი ხდება მისი იდეურ-მხატვრული დედასთან მრავალმხრივი სიმდიდრე.

ორი ბიჭუნას აბსოლუტური სიზუსტით განმეორებული პოზა არა მარტო მთავარ განწყობილებას — სიმტკიცეს გამოსახავს, არამედ გარკვეულ საყრდენს უქმნის როგორც დედის ფიგურას, ასევე მთელ კომპოზიციას; იდეურ და კომპოზიციურ ცენტრს კი დედის ფიგურა წარმოადგენს, იგი დომინირებს მთელ ამ სკულპტურულ ჯგუფში. დედის სახე, მისი პოზა, ყესტი ურთოდროულად ვედრებას და გმირულ თავგანწირვას გამოსახავს.

პლასტიკურად უადრესად მეტყველი ფორმები, იგრძნობა მოცულობითი მასების სიმძიმე და წონადობა. ამასთან, გარკვეული მხატვრული მნიშვნელობა ენიჭება სამოსის ნაოჭთა დინებას. ხაზობრიობისადმი ამ ეროვნულ სწრაფვაში არ შეიძლება არ დავინახოთ თვით მოქანდაკის შემოქმედებისათვის სახასიათო ინდივიდუალური ნიშნები, წმინდა ეროვნული თავისებურების გამოვლენა.

მიუხედავად სხვადასხვაგვარი გადაწყვეტისა, ყველა აქ მოხსენიებულ ძეგლში მკაფიოდ ვლინდება სწრაფვა ფართო განზოგადებისადმი და ამასთან, გარკვეული დეკორატიული პრობლემების გადაწყვეტაც. ეს კი დამახასიათებელია არა მარტო ომის თემისადმი მიძღვნილი ძეგლებისათვის, დეკორატიულობა მეტყველადაა გამოყენებული ქანდაკებაში ჩაქოვილი დედააზრის, სახის შინაგანი ხასიათის გამოსავლენად. იგი ამდიდრებს ქანდაკების ენას, ექსპრესიულობას, სახვით გამომსახველობას ანიჭებს ნაწარმოებს.

ქანდაკებაში, ისევე როგორც მხატვრობაში, კომპოზიციისა და ფორმების მონუმენტურობა, მათი სიმბოლური, ალგორითული ხასიათი, ეპოქის სიდიდეს, მოვლენათა მასშტაბურობის გამოცემის ამოცანას ემსახურება.

ეს ძეგლები კარგად ასახავენ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საერთო ნიშნებს, ავლენენ აგრეთვე წმინდა, ადგილობრივ, ეროვნულ ხასიათსაც, რაც გამოიხატება არა მარტო ისეთი გარეგნული ნიშნებით, როგორცაა ტიპაჟი, სამოსი, გარკვეული ატრიბუტები, არამედ წმინდა მხატვრულ ხერხებშიც — კომპოზიციის თავისებურ რიტმულობაში, დეკორატიულობაში, პლასტიკურობაში.

ქართული ხელოვნება დიდი სამამულო ომის დღეებში

სპარტაკ რეზიაშვილი

სკლსმსა მეგობრობის მუზეუმის ვრცელ ექსპოზიციამ „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა“ თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ხელოვნებას.

სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე, ქართული თეატრი ჩვენი ქვეყნის დამცველთა პირველ რიგებში ჩადგა. ვერაგი მტერი წინ მოიწვედა, ამ ძნელდებობის ვაშს ფრონტის მოწინავე ხაზზე საშუაო კონცერტების ჩასატარებლად გაემგზავრნენ თბილისის თეატრების მსახიობთა ბრიგადები. მათ შორის იყვნენ ქართული სცენის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. გომიაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, მ. დავითაშვილი, ა. გომელაური და სხვ. ფრონტზე გამართული კონცერტებითა და სპექტაკლებით ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა სამშობლოს დაცვის წმიდაფრთხილ საქმეში.

სამოქალაქო ომის გმირი ვ. კიკვიძე რევოლუციის მონაპოვარს იცავდა რუსთაველის სახელობის სცენიდან. ვ. კიკვიძის როლს დიდი წარმატებით განასახიერებდა ა. ვასაძე. სპექტაკლს ქართველ მაყურებელთან ერთად მაღალი შეფასება მისცეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობებმა. ა. ვასაძის კიკვიძემ აღაფრთოვანა ვლ. ნემიროვიჩი-დანიჩენკო. დამთავლებები ექსპოზიციამ დიდი ინტერესით ეცნობიან ფოტოსურათს, რომელზეც ასახულია ვლ. ნემიროვიჩი-დანიჩენკო ქართულ მსახიობებთან ერთად.

ომის წლებში ქართული თეატრის რეპერტუარი მიდრდებოდა ისტორიულ-პატრიოტული თემით. მაყურებელს აღაფრთოვანებდა დ. ერისთავის „სამშობლო“, ს. შანშიაშვილის „ქრწანისის გმირები“ და სხვ. ქართველ ხალხს დღესაც

ასოსვს სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფის“ დიდი წარმატება, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ა. ხორავა.

ექსპოზიციამი ფართოდ არის წარმოდგენილი ომის დროინდელი ქართული თეატრის საქმიანობა და სცენები სხვადასხვა დადგებიდან. ფოტოსურათები დამთავლებულთა წინაშე აცოცხლებენ კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ ლ. გოთუას პიესა „უძლეველნი“ და ნ. პოგოდინის სპექტაკლ „კრემლის კურანტების“ სცენებს. დაუვიწყარია ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“, თვალწინ ცოცხლად წარმოგვიდგება ვ. გომიაშვილის სახე მეფე ერეკლეს როლში. წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლები კ. სიმონოვის „რუსი ხალხი“, ვ. სოლოვიოვის „ფულდმარშალი კუტუზოვი“, ი. ვაკელის „დიდი მოურავი“, „თეთ-თფრინავი ივვანეებს“ და სხვ.

სამამულო ომის მიძიმე დღეებში ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ქართული და რუსული შრომან მაყურებელთა თეატრები. ექსპოზიციამი წარმოდგენილი ომის დროინდელ თეატრალურ აფიშებზე ნათლად არის წარმოდგენილი აღნიშნული თეატრების მიერ გაწეული თავდადებული შრომა ახალგაზრდა მაყურებლის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ხალხთა მშობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ დასტურად წარმოგვიდგება ექსპოზიციამი გამოყენილი ფოტოსურათი, რომელშიც ეხედავთ ი. კაჩალოვს და მასთან ერთად ქართველ მსახიობებს: ვ. ანჯაფარიძეს, თ. ჭავჭავაძეს, ი. თარხანოვს, ზანდუკელს.

აი, ჯგერე ქართული ხელოვნების ოსტატები-

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპო-
ზიციის ერთი უბნები.



სა, რომლებიც უშუალოდ თოფით ხელში ფრონტის სხვადასხვა უბნებზე იბრძოდნენ: თეატრის მხატვარი დ. თავაძე, მსახიობები: გ. ტატიშვილი, გ. ჩახავა, გ. ნაკაიძე, ბ. ქვიციანი, ა. ჩორგოლაშვილი და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრის წარმომადგენლები მართავენ აგრეთვე კონცერტებს თავდაცვის ფონდისათვის. ერთ ფოტოზე ვხედავთ გ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობთა ბრიგადას, ჰოსპიტალში დაჭრილებთან კონცერტის ჩატარების დროს. მეორე ფოტოზე გამოსახული არიან გ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ი. თარხანოვი ჰოსპიტალში საშუაო კონცერტის ჩატარების შემდეგ.

ქართველ ხელოვნების მუშაკთა დიდ ღვაწლსა და ამაგს დამთავალიერებებს ანობს კედლის წარწერა, რომელზეც ვკითხულობთ: „საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა გამართეს 27000 მეტი კონცერტი და წარმოდგენა ფრონტზე, ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში და თავდაცვის სახელმწიფო ფონდში შეიტანეს 7873000 მანეთი“.

თეატრალურ კოლექტივებთან ერთად სამამულო ომის დროს ფრონტზე და ზურგში თავდადებული ბრძოლითა და შრომით ფაშისმზე გამარჯვების საქმეს ემსახურებოდნენ საქართველოს კინემატოგრაფისტები. ომის პირველსავე დღეებში „სახკინმრწემთან“ ჩამოყალიბდა კინოლოკუმენტალისტთა გადამღები ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ: მ. ხომერიკი, შ. ჩაგუნავა, ი. კანდელაკი, ვ. ვალიშვილი, ვ. კილასონიძე, თ. დევანოსიძე, ლ. არზუმაზიანი, გ. ასათიანი, ა. აკიბეგაშვილი, გ. უსუინაშვილი, ა. პოდლოსვი და სხვ. დამთავალიერებებს საშუალება აქვთ ექსპოზიციამში წარმოდგენილი ფოტოსურათებით გაეცნონ მამაც თანამემამულე-

თა სახეებს, ზოგიერთი მათგანი ხომ უშუალოდ ბრძოლის ველზე იღებდა საბრძოლო ეპიზოდებს. სწორედ მათი წყალობით შემოგვრჩა მემორებისა და ზურგის მშრომელთა უმაგალითო ბრძოლებისა და თავდადების ამსახველი კადრები, რომლებიც საბჭოთა მებრძოლებისა და ხალხის გმირული ყოფა-ცხოვრების უპირობასეს დოკუმენტებს წარმოადგენენ.

ერთ ხელში კინოაპარატით, ხოლო მეორე ხელში ავტომატით მიდიოდა სამხედრო ოპერატორი თ. დევანოსიძე ფრონტის ხაზზე. მის მიერ გადაღებული ბევრი ფირი შევიდა საბჭოთა დოკუმენტალური კინოს ოქროს ფონდში. თ. დევანოსიძემ სხვა ოპერატორებთან თანამეგობრობით შექმნა ისეთი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები, როგორცაა „კავკასია“, „საბჭოთა ჯარების დარტყმა ორჯონიძესთან“, „კავკასიის დასაცავად“, „ქიტლუველთა ავანტიურის დასასრული კავკასიაში“, „სვესტპოლის აღება“ და სხვ.

ბრძოლებში გამოიწრთო ოპერატორ ვ. კილასონიძის მეგობრობა ლეგენდარული 18-ე არმიის მეთორებთან და მეთაურებთან. ფირე ალებდა გამოჩენილი მხედართმთავრებისა და მეთორების უკვდავი სახეები. მათგან აღსანიშნავია: „სვესტპოლის გმირი ა. გვერდიძე“, „გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე“, „გენერალ პ. ჩანჩინაძის გვარდიელები“ აღნიშნულ ფილმებში ასახულია წითელი არმიის ბრძოლების ყველაზე მძიმე ეპიზოდებში საბჭოთა მხედართმთავრებისა და მებრძოლების უმაგალითო გმირობა.

ეს მოხდა სვესტპოლში. ოპერატორი ვ. კილასონიძე ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის გადაღების დროს მიმხედ დაიჭრა, მაგრამ დავალა მანინ შესარულა: გადაიღო სვესტპოლის

განათავსულებისათვის 414-ე ქართული დივიზიის საბრძოლო დაყოფები, თვითონ კი ბრძოლის ველზე ეპყრო.

აი, ფოტო, რომელზეც სასული არიან ვ. კივლასონიძე და მსახიობი ზ. ფედროვა ფრონტზე ვილანაშია მოწოდებები, ცნობა ვ. კივლასონიძის დაღუპვის შესახებ, მისი საფლავის გვირგვინის წითელი ლენტის წარწერით „კინოოპერატორ ვლადიმერ ვასილის ძე კივლასონიძე დაბადებული 1906 წელს, დაიღუპა 1944 წელს სვეაქტობლის განათავსულებისათვის ბრძოლაში“. აქვეა კინოპარატი „აიმი“, ავტომატთან ერთად ეს კინოპარატი ეჭირა ვ. კივლასონიძეს.

დიდ ამოცანას უსასავედა ამის რთული ვითარება მიზნად მხატვრული ფილმების შექმნელ ქართველ რეჟისორებსა და თეატრატორებს, რომლებსაც უნდა გადაეთქვა ისეთი ფილმები, რომლებიც გამარჯვების რწმენით ავლენდნენ და სიმხნევებს შემატებდნენ საბჭოთა ხალხს და მეორებს. კინოდოკუმენტალისტების მსგავსად მათაც მძიმე და რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ მიზანს მაინც აღწევდნენ. როგორც ცნობილია, ანა ანტონოვსკაიას სცენარის მიხედვით რეჟისორმა მ. ჭიკურულაძემ შექმნა კინოფილმი „გოიორგი სააკაძე“, რომელიც გადიოდა თეატრალურად ი. დიდიმლოვმა. ფილმმა საერთო აღიარება და მოწონება ჰპოვა ხალხში, საბჭოთა არმიის მებრძოლებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

ექსპოზიციამი ფართოდ არის წარმოდგენილი ომის დროინდელი სხვადასხვა ფილმებიდან ცალკეული ეპიზოდები, რეჟისორები, თეატრატორები, მხატვრები და მთავარი როლის შემსრულებლები: ნ. შენგელაია, მ. ჭიკურული, დ. რინდელი, ლ. ესაკია, კ. მიქაბერიძე, ფ. ვისოცი, ა. პოლიკევიჩი, ა. დიდიმლოვი; ქ. ლებანიძე, შ. მამალაძე ვაწაძე, „სახეინმრეწვემი“ ევაკუირებული რეჟისორები ნ. ზარხი და ი. ხეიფიცი და სხვები, რომელთა მხატვრული ფილმები დიდ ინტერესს იწვევდა მაყურებელში.

1944 წელს საქართველოს „სახეინმრეწვი“ საუკეთესო მხატვრული და დოკუმენტური ფილმების შექმნისათვის დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით. ეს საქართველოს კინოსელოვან შრომისა და შემოქმედების ოსტატობის დიდი აღიარება იყო.

ფაშისმის წინააღმდეგ საბრძოლველად მსგებნის დარაზმის საჩუქში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული მუსიკის დიდოსტატებსაც.

საბჭოთა არმიის მებრძოლთა და ჩვენს ხალხის გმირობამ ქართველ კომპოზიტორებს სხვადასხვა კანონის წინაშელოვანი ნაწარმოებები შთააგონა, რომლებშიც მკაფიოდ აისახა პატრიოტული და ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა.

ექსპოზიციამი წარმოდგენილი ფოტოსურათების საშუალებით დამოთვლიერებლები ეცნობიან

საქართველოს კვარტეტს, რომელიც ჩამოყალიბდა 1944 წელს. აქვე არიან გამოჩენილი კომპოზიტორები: დ. არაკიშვილი, ა. ბალანჩივაძე, ნ. გუდიაშვილი, ს. მირიანაშვილი, პ. ნალბანდიშვილი, უ. აჯიბგეიცი, ა. ხაჩატურაიანი, ნ. მწველიძე, ს. პროკოფიევი, დ. თორაძე, რ. გაბინვაძე, გ. კილაძე, ა. წყნუნავა და სხვ.

სამამულო ომში თოფით ხელში იბძოდნენ კომპოზიტორები: ნ. გუდიაშვილი, პ. ნალბანდიშვილი, ს. მირიანაშვილი და სხვ. ს. მირიანაშვილი ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეა. მან ომის თემაზე ბევრი სიმღერა შექმნა. ქართველ კომპოზიტორთა და მომღერალთა მრავალი წარმომადგენელი მართავდა კონცერტებს ფრონტის წინა ხაზზე და საველე პოსტებში.

საფრონტო საკონცერტო ბრიგადებში მონაწილეობდნენ მსახიობები: მ. ყვარლაშვილი, ე. გოსტენინა, დ. ანდელუაძე, პ. ამირანაშვილი, დ. მჭედლიძე, ვ. დავიდივა, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, მ. შილდელი, ე. სოხაძე, ნ. ხარაძე, ბ. კრავიციშვილი და სხვ. მოცეკვავეები: ი. სუხიშვილი, კ. კილაძე, გ. პატარაია. მათ ოსტატობას ბევრჯერ აღუფრთვანებია მებრძოლები. დიდ სისასრულს იწვევდა მსმენელებში სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატის ვ. დავიდივას და რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. ყვარლაშვილის სცენაზე გამოჩენა. დასტურად ამისა, ვიტრინაში დევს ვ. დავიდივასადმი მიძღვნილი სამადლობლო წერილები, აქვეა დ. შოსტაკოვიჩის ბარათი, მიწერილი გ. კილაძისადმი, ქართველ კომპოზიტორთა ომის დროინდელი ნაწარმოებები, წერილები, დებუშები, პროგრამები, კატალოგები, ალბომები, ე. სანაძის „კანტატა კავკასიონი“, ო. თათაქიშვილის „საბჭოთა საქართველოს ქიშნა“, ა. ბალანჩივაძის „სიმფონია“, ნ. ნარიანიძის ორატორია „გამაყილე წითელ არმიას“ და სხვ.

ექსპოზიციამი დამოთვლიერებულთა იპყრობს დიდი ფოტოპანო, რომელზეც ვხედავთ დ. შოსტაკოვიჩის ქართველ კომპოზიტორთა შორის და ფოტოსურათი, რომელზეც სახული არიან ბ. სიმორი, ს. ფეინბერგი, კ. იგუმნოვი, ე. გუზიკოვი, ა. გოლდენგეზერი, ზ. ფალიანაშვილის სახელობის მუსიკალური ათლეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად და კურსდამთავრებულებთან 1942 წელს. ექსპოზიციამი კიდევ სხვა მრავალი ღირსსახსოვარი ფოტოსურათია, რომლებიც მწახველის თვალწინ ავსებლებენ ქართველი მომღერლებისა და მსახიობების გამოსვლებს მებრძოლების წინაშე, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქართული მუსიკა, ქართველი კომპოზიტორებისა და მომღერლების მაღალი შემოქმედებითი ოსტატობა ფრონტისა და ზურგის კავშირის დიდ ძალად იქცა სამამულო ომის მძიმე დღეებში.

სამამულო ომის დროს საბრძოლო მწყობრში თავიანთი ადგილი ეკავათ აგრეთვე საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკებს. ისინი ფრონ-

ტელთა ხშირი სტუმრები იყვნენ, მათი შემოქმედება მძლავრი სულიერი იარაღი იყო, მემორათა პატრიოტულ გზობებს რომ აღვივებდნენ. ექსპოზიციამ წარმოდგინილი ფოტო და წერილობითი მასალები ნათლად მეტყველებენ ქართული საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების შემოქმედებამ პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ნაწარმოებზე.

ომის წლებში განსაკუთრებული მისია მაცხებუ იდური შემოქმედებისა დაეკისრა პლაკატს. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მხატვარი ი. თოიძის სატყვეროდ აღიარებული პლაკატები „შურს ვიძიებთ“, „დედა-სამშობლო გვეძახის“ და სხვ. პლაკატი „დედა-სამშობლო გვეძახის“, რომელიც მოუწოდება მაცხებს საბრძოლო მზადყოფნისა და სამშობლის დაცვისათვის ირ. თოიძემ ომის დაწყების პირველ დღეებში შექმნა. პლაკატი გამოფენილი იყო მისკოვში, გორკის ქუჩაზე ცენტრალური ტელეგრაფის შენობის ფასადზე. ირ. თოიძის ტელეფონის აგრობვე ფერწერული ტილოები „არ გასცემს“, „ზოია“, „სახალხო შურისმაძიებელი“ და სხვ.

ექსპოზიციამ გამოფენილია ფოტოსურათები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების, ქართული სახვითი ხელოვნების მუშაკების თავდადებასა და მათ გმირულ პატრიოტულ სულისკვეთებას ასახვენ, ასეთებია: მამა-შვილი მოსე და ირაკლი თოიძეები სამხატვრო სახელოსნოში სამამულო ომის თემაზე მუშაობის დროს, მ. თოიძე ომის საწინააღმდეგე მიტინგზე გამოსვლისას, მოქანდაკე ა. ნიკოლაძე ქართველი გენერლების 3. ჩანჩიბაძისა და კ. ლესელიძის ძეგლებზე მუშაობისას, ლ. გუდიაშვილი სახელოსნოში, უ. ჯაფარიძე საქურებს უშვადებს მემორებს, 1942 წელი, აღ. ციმაკურიძე ჯარისკაცებს ასწავლის ზატვას, ყურადღებას იპყრობს ე. ასვლედიანის მიერ 1943-1944 წლებში უშვადოდ მოსკოვში ბრძოლებისა და თავდაცვის დღეებში შესრულებული ნამუშევრები „მოსკოვის ციკლი“. დამთავლებულ რეზელთა წინაშე წარმოდგებიან მხატვრები ა. ქუთათელაძე, ი. ვეფხვაძე, სევასტოპოლის საბრძოლო დიდების ძეგლის ავტორი კ. ჭანკვეტაძე.

ომის პირველ დღეებშივე მრავალმა ქართველმა მხატვარმა და მოქანდაკემ ჩაიკვა საბრძოლო ფარჯალ და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩაება. მათ ფუნჯით თუ ხიმტით აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაშისომის ეწინააღმდეგე ბრძოლებში. ასეთები კი მრავალი იყვნენ. ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში დაცულია მხატვარ გრაფიკოსის თ. ყუბანეიშვილის მიერ ომის დროს ქ. ბრიანსკში შესრულებული ლინოგრაფიურა „პარტიზანის სიკვდილი“, აქვეა მხატვარ-მეომრის რ. ბოჭორიშვილის ომის დროინდელი ლინოგრაფიურები „არას“ და „შესვენება“, მ. გვაჯაიას 15 გრაფიკული ჩანახატი, კ. ჭანკვეტაძის ევროპის ქვეყნების განთავისუფლების დროს შესრულებული ნამუშევრები. ამჟამად ხელოვნ-

ბის დამსახურებული მოღვაწე მხატვარი კ. ნევეტაძე ომის დროს მეორე გვარდული ქვეყნის შემადგენლობაში იმყოფებოდა ოფიცრად. როგორც ფრანგულ მხატვარს, არმიის სარდლობა ხშირად სხვადასხვა სამხატვრო სამუშაოების შესრულებას ავალდებ. ყირიმის მიწა-წყალზე ჯერ კიდევ გაფთრებული ბრძოლები წარმოებდა, როდესაც სარდლობამ მას დაავალა პერსონალის, არმიანსკის, ომების განმართვის უფლება გმირ გვარდიელთა უკედნაცყოფი ძეგლების პროექტის შედგენა. პარალელურად კ. ჭანკვეტაძე სევასტოპოლის გმირ დამცველთა მონუმენტის აგების სამუშაოებსაც ხელმძღვანელობდა. სევასტოპოლის „დიდების ძეგლი“ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1944 წლის 24 ივლისს ჯერ კიდევ ცხარე ბრძოლების პერიოდში. ამ დღეთა მოსაგონრად ექსპოზიციამი ვხევადავთ ფოტოსურათს, რომელზეც ასახული არიან კ. ჭანკვეტაძე და სევასტოპოლის მუზეუმის თანამშრომელი, ექსპონსიამდლოლი ვ კობი, — „დიდების ძეგლის“ წინ სევასტოპოლში სამამულო ომში გამარჯვების 25 წლისთავზე.

საბჭოთა არმიის სარდლობამ პერსონალის ძეგლის ავტორი კ. ჭანკვეტაძე დააჯილდოვა მედალით „საბრძოლო დამსახურებისათვის“. სევასტოპოლის ძეგლის პროექტის შექმნისათვის კი ქართველმა მხატვარმა მიიღო „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი.

ქართველმა მხატვრებმა მტრის ღრმა ზურგში პარტიზანულ ბრძოლებშიც ისახელეს თავი. ჩვენს ქვეყნის მომიჯნავე ხალხთა შვილების მხარდახმარებელორუსიის მიწაზე ფუნჯითა და ხიმტით უმისოდ ებრძოდნენ მტრის მხატვრები ჭოლა კაკულაძე და გრიგოლ კაკელიძე. ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდში დაცულია, პარტიზანულ ბრძოლების შესახებელი გ. კაკელიძის 11 ჩანახატი. ეს ნამუშევრები მოგვიხსნობენ მამაკაცი ქართველი პარტიზანის ვ. თალაკავაის საბრძოლო ეპიზოდებს. მხატვარი პარტიზანი გ. კაკელიძე მტერთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ბრძოლის ველზე დაეცა.

საჭრეოლისა და ფუნჯის მრავალი ქართველი ოსტატი დაიღუპა მტერთან ბრძოლაში, მრავალი საჭრეოლი და ფუნჯი დაუქმდა. ბევრმა ქართველმა მხატვარმა ისახელა თავი ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში. ლეგენდად არის ქვეული ქართველი ვაჟკაცი „კაპიტან მონტის“ სახელით ცნობილი მოქანდაკე გიორგი ვარაზაშვილი. იგი იტალიელ პარტიზანებთან ერთად შიშის ზარს სცემდა ფაშისტებს. მტერთან ერთ-ერთი შეტაკების დროს გ. ვარაზაშვილი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მამაცურად ებრძოდა კიბლემამდე შეიარაღებულ ფაშისტ ჯალათებს და სანამ ტყვი-წამალი არ გამოეოლია, დაუნდობლად ეტეკდა მოწინააღმდეგეს, მერე კი ტყვედ ჩააგრნას ვაჟკაცურად სიკვდილი არჩია და ასეც მოიქცა, როცა სხვა გამოსავალი არ იყო, თავი მოიკლა.

გ. ვარაზაშვილის თანამებრძოლი, იტალიელი პარტიზანი რენანდო დალ-მასის გადმოცემით, „კაპიტანი მონტი“ (გ. ვარაზაშვილი) დაიღუპა 1945 წლის 8 თებერვალს კოცულოში და დასავლურად ვიტორიო ვენეტოს სასახლაოზე, შემდეგ კი მისი ნეშტი გადასვენეს ჩიზონ დელ ვალმარი-ნოში, ტრევიზოს პროვინციაში, სადაც განისვენებს ქართველი გმირი.

ერთ-ერთი ფოტო გვაცნობს გ. ვარაზაშვილის საფლავის ეპიტაფიას: „გამგელოო, შერქერდი, ამ ადგილას განისვენებს პატროტი, რომელმაც სისხლი დაღვარა შენი განთავისუფლებისათვის. მან შენ თავისუფალი იტალია გაჩუქა, — „კაპიტანი მონტი“.

იტალიის მთავრობამ დააფასა ქართველი მოქანდაკე-პარტიზანის ღვაწლის და განსაკუთრებული გმირობის გამოჩენისათვის სიკვდილის შემდეგ იგი დააჯილდოვა ბრინჯაოს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

იტალიიდან მყოფა ბანდეროლი-ალბომი, რომელიც ეძღვნება გ. ვარაზაშვილს — „კაპიტან მონტის“, ალბომის თითოეული ფურცელი სიყვარულით გაუფორმებიათ მის მეგობრებს — იტალიურ პარტიზანებს, „თავისი სამშობლოდან შორს დაღვარა მან სისხლი თავისუფლებისა და სამართლიანობის მალღი იღვალისათვის“, — ნათქვამია იტალიის პრეზიდენტის ბრძანებაში.

ვიტრინაშია ალბომი, გ. ვარაზაშვილის წერილები, მისი სამახსოვრო მედალი, რომელიც იტალიის მთავრობამ გადასცა გ. ვარაზაშვილის აღმზრდელ თბილისის სამხატვრო აკადემიას.

1976 წლის სექტემბერში ხალხთა მეგობრობის მუზეუმს ეწვია იტალიიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული გ. ვარაზაშვილის ვაჟი ჯორჯი ძამბონი, რომელმაც დიდი ინტერესით დაათვალიერა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის გამოფენა და დიდად გაიხარა, სათუთად მოვლადი და მალაღმსტერულად გაფორმებული მამის კუთხე რომ იხილა, პირველად მან აქ გაიცნო მამა სურათით. ჯ. ძამბონი ინახულა მამის მშობლიური სოფელი კახეთში, ნათესავები...

ორი ასალგაზრდა ქართველი მოქანდაკე გ. ცომია და გ. ხოფერიას შრომისმოყვარეობითა და ნიჭით გამოირჩეოდნენ, მათზე მშობლები და პედაგოგები დიდ იმედებს ამყარებდნენ. სახელმწიფოებმა მოქანდაკემ ი. ნიკოლაძემ ყურადღება მიაქცია ასალგაზრდა შემოქმედთა საქმიანობას, მოსწონდა მათი შეუპოვრობა და სწრაფვა შემოქმედებითი დაოსტატებისაკენ და ერთ-ერთი მათგანი გ. ცომია მაღლ ლენინურადის ასპირანტურაში მოქანდაკე მიხანდარის ჯგუფში მიაღიონა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც გ. ცომიასა და არც გ. ხოფერიას არ დასცალათ ოცნების განხორციელება, ორივე სამამულო ომმა იმსხვერპლა. ექსპოზიციაში დამთვალიერებელთა თვალწინ ცოცხლდება ი. ნიკოლაძის სახელოსნო და იქ ვ. ხოფერიასა და მისი პედაგოგის სახეები, წარმო-

დგენილი შრომის პროცესში. ვიტრინაში ვხვდებით ქართველი მოქანდაკეების წერილს მიძღვნილს ი. ნიკოლაძისადმი.

1940 წელს კარლო გოგიბერიძემ ჯერ კიდევ მ. გრეკოვის სახელობის სამხედრო მხატვართა სტუდიაში სწავლის პერიოდში მიიპყრო მხატვართა და მეგობართა ყურადღება და მოიპოვა ავტორიტეტი.

1942 წელს კ. გოგიბერიძე ფრონტზე გაწვივის, ის დასავლეთის ფრონტზე კ. როსინოსკის 16-ე არმიამი იბრძოდა. შრომაში მამაცი ქართველი მხატვარი, ბრძოლაშიც ტოლს ახავის უდებდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს კ. გოგიბერიძემ და ნ. ბელიავემა ფაშისტური პატალიონის დროშა ჩაიგდეს ხელში, ამისათვის მათ სარდალობის მაღლობა და ჯილდოები დაიმსახურეს.

1942 წლის 20 აპრილს მტრის ავიაციის თავდასხმის დროს დაიღუპა კ. გოგიბერიძე, ნ. ბელიავეი და გ. პროკოპინსკი კი მიიმუდ დაიჭრნენ. ნიშნად ქართველი და რუსი მოქანდაკეების სამშობლო თანამეგობრობისა, ექსპოზიციაში წარმოდგენილია გრეკოვის სახელობის სამხატვრო სტუდიის ყოფილი მოსწავლეების კ. გოგიბერიძის, ნ. ბელიავეისა და გ. პროკოპინსკის ფოტო, რომელიც ქართველი მოქანდაკის დაღუპვამდე ერთი საათით ადრე ყოფილა გადაღებული 1942 წელს.

მეგობრებმა კ. გოგიბერიძის ნეშტი დიდი პატივით დაკრძალეს ქ. სუხანიის მიწაზე. მისი ფრონტული ჩანახატებითა გამოფენა მოაწვეს საჩერებში. ქ. სუხანიის სამართლებრივების მუზეუმში მოწყობილია ექსპოზიცია, სადაც გამოფენილია გოგიბერიძის ფრონტული ჩანახატები.

არც ქართველი მხატვარი ქალბი ჩამორჩებოდნენ მამაკაცებს. ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდნენ გრაფიკოსები რიმა ბოჭორიშვილი, ელენე თულაშვილი, ნინო ჩარნცყავა და სხვები. 1942 წელს რ. ბოჭორიშვილს თბილისის დამცველ სახენიჭო არტილერიაში ვხვდებით, შედეგ კი მონაწილეობას იღებს მდინარე დნეპრის გადალახვაში, ხიდების დაცვაში, ექსპოზიციაში წარმოდგენილია ფოტო „რ. ბოჭორიშვილი თანამამემულებთან ერთად ბელორუსიაში“.

ცხადია, მეტი შეიძლება ითქვას დიდი სამამულო ომის წლებში ქართველ ხელოვანთა მოქალაქეობრივ და შემოქმედებით აქტიურობაზე, მათ წვლილზე მტერზე გამარჯვების საქმეში; მაგრამ ერთ პატარა წერილში ამ საკითხზე სრული სურათის შექმნა შეუძლებელია.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში და ექსპოზიციაში თავმოყრილი სახვითი ხელოვნების ნიმუშები და ცალკეულ შემსრულებელთა ნამუშევრები, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა დაუღალავი შემოქმედებითი შრომით, ხელოვნების მაღალი ქმნილებებით და ბრძოლით ღრისეულად მოახადეს ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე.



ჩეხოსლოვაკი თანამედროვეობა და კლასიკის პეროიკული სულიკვეთება

წერილი მეორე*

ნოდარ გურბანიძე

რეჟისორმა შესძრა თეატრალური ხელოვნება, ახალი, გმირული სული შთაბერა მას, მისცა ახალი თემები, გაქანება, ბუნებრივი სულისკვეთება, ალავსო სამყაროს გარდაქმნის ენით. თავის მხრივ, არც თეატრი უნდა დარჩენილიყო ვაღში «Пришла революция...» — წერდა ა. ლუნარსკი — «Станиславский, театр и революция». — Революция сказала театру: «Театр, ты мне нужен. Ты мне нужен не для того, чтобы после моих трудов и боев я, революция, могла отдохнуть на удобных креслах в красивом доме и развлечься спектаклем. Ты мне нужен не для того, чтобы я просто могла свежо помясться и «отвести душу». Ты мне нужен как помощник, как прожектор, как советчик. Я на твоей сцене хочу видеть моих друзей и врагов... Я хочу, чтобы ты прославил передо мной самой мой подвиги и мои жертвы. Я хочу, чтобы ты осветил мой ошибки, мои изъязны и мои шрамы и сделал это правдиво, ибо я этого не боюсь. Я хочу, чтобы ты со всей полнотой своих волшебных ресурсов, не придерживаясь никаких школов и никаких узких правил, выполнил бы эту задачу. Фотографируй, центрируй, стилизуй, фантазируй, пусти в ход все краски твоей палитры, все инструменты твоего

большого оркестра и помоги мне познать и почувствовать мир и меня самое».

სწორედ კონცენტრაციით, სტილიზებით, ფანტაზიით და პალიტრის თვალისმომჩრელი მრავალფეროვნებით და ელვარებით იყო შექმნილი ქართული საბჭოთა თეატრის პირველი სპექტაკლი ლოპე დე ვეგას „ფუნტე ოვეუნა“ („ცხვრის წყარო“).

რატომ შეჩერდა კ. მარჯანიშვილის ყურადღება ლოპე დე ვეგას სწორედ ამ პიესაზე, რატომ არ აირჩია თავისი უურცელი რეპერტუარიდან რომელიმე სხვა დადგმა, რომლის რეტროსპექტივა მას თავისუფლად შეეძლო შეექმნა?! უეჭველია, გარდა წმინდა თეატრალური, ესთეტიკური ამოცანებისა, რაც დაკავშირებული იყო ქართული სცენის განახლებასთან, რეჟისორულად ითვალისწინებდა იმ პოლიტიკურ სიტუაციას. საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს, რასაც იმდროინდელ საქართველოში ჰქონდა ადგილი.

კიევი დადგმული (1919 წლის 1 მაისი) „ფუნტე ოვეუნას“ ფანტასტიკური წარმატების შემდეგ, როცა ამ სპექტაკლს უკვე ეწოდა „ლევინდარული სპექტაკლი“, მისი გამოჩენა თბილისში გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული; რადგან გამოჩენის ცდა ერთხელ უკვე მარცხით დამთავრდა — „მცირე დრამატული თეატრის“ სცენაზე მოსკოვში (1919 წლის ივლისი-აგვისტო), თუმცა აქაც პიესა გადაწყვეტილი იყო „სახალხო-გმირული ქმედების“ პლანში, მაგრამ ა. ფერულსკის მოწოდებით «Восприятие зрителей было пониженным» («Театр», 1972, № 6).

საქართველოში ამ დროს (1922 წ) პოლიტიკური და რევოლუციური აქტივობის სულისკვეთება მსჭვალავდა საზოგადოებრივი ცხოვრების და სულიერი მოღვაწეობის ყოველ სფეროს. ყოველ ახალ წამოწყებას, რაც განახლებასთან, პროგრესთან იყო დაკავშირებული, მხურვალედ ხედვოდნენ საქართველოს მშრომლები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები, ქვეშაირიტად, აღბეჭდილი იყო ჰეროიკული განწყობით, რომანტიკული აღმადრებით. მიმოვლის დრმა რწმენით, რაც სათავე იდებდა ხალხის მიერ უკვე გასწავილებულ ძლევა-მოსილებებში. ქართველმა ხალხმა ნათლად იგრძნო და ირწმუნა საკუთარი ძალა, კონკრეტული საქმეებით დაინახა თუ რა შეუძლია მას და რა ისტორიული როლის შესრულება ეკისრება ქვეყნის წინაშე. ეს იყო ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი პერიოდი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, პერიოდი, აღსავსე გმირული სულით და მისი გამოხატვა, როგორც ჩანს, ხელოვნების კანონზომიერებებზე უნდა და ქვეყნიყო. სწორედ ეს იგრძნო მარჯანიშვილმა და თეატრის ესთეტიკური განახლება ხალხის განახლებული სულისკვეთების გამოხატვას დაუმორჩილა. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ეს იყო გენიალური მიხედვრა, უმთავრესი დამთავრება ცხოვრებისა და ხელოვნების, „გზავარდლინების გადაჭედებისა“. დიახ, ეს იყო „მიხედვრა“, მაგრამ მას მხოლოდ რეჟისორის ინტუიცია კი არ ჰკვებავდა, არამედ ცხოვრების დიდი გამოცდილება და რევოლუციის ხმების ბუნებრივი „წვდომა“. ერთის მუხედვით ასეთივე განსაკვირებელი მიხედვრა იყო კიევი „ფუნტე ოვეუნას“ დადგმა.

* იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1977 წ.



სწორედ 1919 წელს, როცა ქალაქს პეტლიურელები უტყე-
დნენ და ლაურენსისა მოყოლებდა ბრძოლის ღირით აღათებ-
და თეატრში მოსულ წითელარმიელებს, რომელთა შორის
სრულიად ჭაბუკი ეს. ვიწვევსკი იყო, რომელმაც შემდგომ
მწვენიერი სტრეინოები უძღვნა ამ სპექტაკლს. მაგრამ, ერ-
თის წამით გამოთვითთ ემოციური მომენტი, ინტუიციის ბე-
ნდირი განახლება და ჩვენ ნათლად დავინახავთ, თუ რა გაა-
ზრებით, ლოგიკით მოვიდა კ. მარჯანიშვილი თავის პერიო-
კულ სპექტაკლებთან.

გმირული საბჭოთა თეატრის სათავეებთან დგას რუსული
ლიტერატურისა და თეატრის ორი გიგანტი მ. გორკი და ვ.
მაიაკოვსკი, რომლებთანაც კ. მარჯანიშვილს განსაკუთრებუ-
ლი სიახლოვე აკავშირებდა. გმირული თეატრის „ტრაგედიის,
რომანტიკული დრამის და მალღობ კომედიის“ თეატრის შექ-
მნის იდეა ჯერ კიდევ 1914 წელს დაებადა გორკის, ხოლო
1917 წლის ზაფხულში ვ. მაიაკოვსკი გატაცებული იყო „ჰე-
როიკულ-სატირული მიმოხილვის“ შექმნის აზრით. ამ მის-
წარაფებების ხორცშესხმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების პირველ წლებში გახდა შესაძლებელი. 1919
წლის 1 მაისის „ფუნტე ოფენსას“ დადგამამდე დიდი ხნით
ადრე კ. მარჯანიშვილის თეატრალურ ესთეტიკულ დიდი ზე-
გავლენა მარჯანიშვილს მ. გორკის ლიტერატურულ-თეატრალურმა
იდეებმა, ახალი ადამიანის წარმოსახვის იმ პრობლემამ, რო-
მელიც რევოლუციის პირველსავე დღეებში დადგა თეატრის
წინაშე.

«В наше время необходим театр героический, те-
атр, который поставил бы целью своей идеализа-
ции личности, возрождал бы романтизм, поэтиче-
ски раскрывал бы человека». (См. «Дела и дни
БДТ». 1919, № 1, стр. 13).

წერდა მ. გორკი, რომელსაც გმირულ-რომანტიკული (ჰე-
როიკული) თეატრი ესახებოდა, როგორც უპირველესი მხატვ-
რული ფუნოქნი, იმისათვის, რომ ადამიანში გაეღვიძებინა
მისწრაფება გმირულსაკენ, დაიდი საქმეების ქმედებისაკენ.
მასტატური აზროვნებისაკენ — ადამიანს ქვეყნის ბატონ-ბატ-
რონად უნდა ეგრძნო თავი, რომელიც პასუხისმგებელია დღე-
ვანდღობაზე და ქვეყნის ხვალისდელ დღეზე. სამართლიანად
შეინნნას ეს ზალესკი თავის ოცენში «Героя я вижу!..»

«Все советские театры, независимо от своей сти-
левой направленности, искали героический репер-
туар. Искали его МХАТ и Малый театр, театр им.
Е. Вахтангова, театр Революции...» (стр. 37)

რუსული რეალისტური თეატრის დიდი კორიფეები, რომ-
ლებსაც შემდგომ საბჭოთა თეატრის შექმნის მივლი ნიხნე-
ნების გადალახვა მოუხდათ, იმთავითვე ითვალისწინებდ-
ნენ რევოლუციის მიერ წამოჭრილი კითხვის მთელ სირთუ-
ლეს — „როგორი თეატრი გვჭირდება დღეს ჩვენს? აი, კითხ-
ვა, რომელიც მოითხოვდა ზუსტსა და ისტორიულად გამა-
რთულად პასუხს. ამ კარნიზალური პრობლემის გადაჭრაზე
ფიქრობდნენ მ. გორკი და ვლ. მაიაკოვსკი, ა. ბლოკი და ა.
ლუნარსკი, კ. სტანისლავსკი და ა. ოუნიანი. კ. მარჯანიშვილი
დაც და ვს. მიერპოლიდი, ა. თაიროვი და ვ. ვახტანგოვი. მათ
შესანიშნავად ესმოდათ, რომ «Когда в воздухе собира-
ется гроза, то великие поэты чувствуют эту грозу»
(ბლოკის გამოხილვად „დონ კარლოსის“ დაწყების წინ ლინდენ-
გარდის დრამატულ თეატრში) და რომ ამ ქარიშხლის დამოსახა-
ტავად ავიცილებელი იყო „სასუეტონი“, „ქვიხარე სიტყვა, დიდი
არტისტული ტემპერამენტი, ელვარე ხელფეხმა (კ. სტანის-

ლასკი), საჭირო იყო ახალი თემები, რომლებიც უზუზნებოდა
„იიხიოვენ დიდი მასშტაბებს განსაზოცილებულად“ („ს. ქვი-
შტეინი), საჭირო იყო „ხალხის ამოხეხული სულის თამაში“
(ვ. ვახტანგოვი), ხოლო სცენაზე უნდა სულიყო გმარი,
„შეუნიდნეს ქმედების და დიდი გმირობის“ (მ. გორკი)
ადამიანი. ამ საერთო განწყობითვის კონტრესტული იძ-
ვლოდა „გმირული თეატრის“ მესიტყვე და თეორეტიკოსი
ვ. ლოკენშტეინი, რომელიც საბჭოთა თეატრალურ მოღვა-
წევებს ახალი ეპოქის გარიჟრაჟზევე მოუყოლებდა გმირულ-
თეატრის საწყისებისაკენ დაბრუნებას — სწორედ 1919 წელს
ამბობდა იგი: „თუკი რუსული თეატრი სიცოცხლისუნარა-
ნია, მაშინ იგი გმირული თეატრი უნდა იყოს“ (ფრანკ საგუ-
ლისხმო პარალელია ა. ახმეტელთან, რომელიც 1933 წელს.
როცა საბჭოთა თეატრმა დიდი გამოცდილება შეიძინა სცენა-
დახსება ეანრისა და სტილის სპექტაკლების შექმნისა — ამ-
ბობდა: „რუსთაველის თეატრს არ შეუძლია იყოს ყოფითი
თეატრი... ვერ წარმოიმდგინა, რომ ახალი საბჭოთა სინამ-
დვილის ასახვა ყოფილიყო თეატრმა შესძლოს... საბჭოთა თეა-
ტრმა ამ დიდი ფორმით უნდა იაროს. პერიოკული თეატრის,
დიდი აზრის თეატრის გაჩეუე ჩვენ მუშაობა არ შეგვიძლია...
როდესაც რუსთაველის თეატრი გადაუხვევს ამ გზიდან, შეუ-
ყვევებს მუშაობის როგორც მერიტული თეატრი, მაშინ იგი
შეწყვეტს არსებობას“). რევოლუციისა და თეატრის აუდიტო-
რიისაკენ დაბრუნე მასები სწორედ ამ კითხვაზე იხიხოდნენ
პასუხს, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო პერიოკული სტი-
ლის დრამატურეის არსებობა. რევოლუციური ხასიათის მ-
სობრივი თეატრალზეებული სანახაობანი, რომლებმაც გარკ-
ველი როლი შეასრულეს თეატრალური ფორმის სიახლეთა
იციების სფეროში, ყურნებოდნენ პრობლემით, სქემატურ ლი-
ბრეტოებს, ერთობ დაზოვრებულთ დრამატული ლიტერატურ-
რისაცან, სადაც მხოლოდ მოქმედების ძირითადი ხაზი იყო
გამოკვეთილი. საბჭოთა თეატრი და თეატრალური ხელო-
ვნება სათილოდ მუშავე ალტერნატივის წინაშე იდგა, მაშ უნ-
და შეექმნა თავისი დრამატურგია ანდა მიემართა კლასიკური
დრამატურეის იმ ნიშნისათვის, რომელშიც ვსვლადე მკა-
ვთოდ იქნებოდა გამობატული გმირული საწყისი. რასაკირ-
ველია, რადიკალური და ისტორიული პერსპექტივის თვალ-
საზრისით უქობისი იყო ახალგაზრდა საბჭოთა დრამატურ-
გია დასდგომდა თვისობრივად ახალი დრამატურეის შექ-
მნის გზას და ამ მიმართულებით გადადგა კიდევ პირველი
ნაბეჯები. 1919 წელს მ. გორკი ფიქრობდა, რომ სოციალური
გრძნობების ახალდებისა და განწყენის საუკეთესო ფორ-
მაა ეანრი მელიორამისა, რომელიც დაუპირისპირდებოდა
ყოფით ფსიქოლოგიურ დრამას. ამასვე იხიხოდნენ ა. ლუ-
ნარსკი და ვს. მიერპოლიდი. მაგრამ ამ მიმართულებით
გაწვეული ორგანიზატორული მუშაობა, საშუალოდ, დიდი
შედეგანობით არ გამოიჩინა. იყო მთოვე, პალიატირი
გზა, რომლის თეორეტიკოსი იყო პ. კერენცევი, პრობლემ-
კულტის ლიდერთაგანი. პ. კერენცევის მიხედვით, საბჭოთა
თეატრი უფლებამოსილი იყო ნებისმიერი კლასიკური თუ
თანამედროვე დრამატული ნაწარმოების აქციო, როგორც სა-
ფუძველი, რომელზეც ახალი კონსტრუქცია უნდა აშენებუ-
ლიყო, ქვეულიყო რეჟისორის შემოქმედების ქარგად. კერენ-
ცევის მიყოლებას — ძირს მთოერი პიეტეტი ტრადიციების
მიმართ, — ცხადია, ვერ გაკვევიდა საბჭოთა თეატრის არც
იმ ეტაპზე და ვერც შემდგომ. მასმასდამე, პირველ ხანებში,
რჩებოდა კლასიკური რეპერტუარი, განსაკუთრებით კი ჰერო-



იკლ-რომანტიკული დრამა, რომლის მთავარი გმირი, კეთილშობილებით, სიღაღით, ჰუმანიზმით აღსავსე — სა-ზრგავლობისათვის, მაღალი ზნეობისათვის, რომანტიკული იდეალებისათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითს იძლე-ვდა. სწორედ ამ დრამატურგიაზე შექმნილ სპექტაკლებს შეეძლოთ ახალი მკაყურების სულში მაღალი იდეალისა-საკე მისწრაფების მძლავრი იმპულსების ამოქმედება, მისი სუ-ლიერი სამყაროს შეძერა და გაწმენდა, სიცოცხლის სისარ-ულის შეგრძობა, ყოფიერების ისრულის განცდის მინიჭება. სწორედ იმ მიზნით, რომ აშვარი სპექტაკლები ებნოსაღური ხასიათის არ ყოფილიყო, შეიქმნა, როგორც აღინიშნა, ლენ-ინგრადის დიდი დრამატული თეატრი, რომლის რეპერ-ტუარი უპირატესად კლასიკური დრამატურგიაზე აიგო (შალო-ვის „ფანტაზია“ და „დონ კარლოსი“, შეჰსპირის „დავითი“, „ოტელო“, „იფე ლირი“ და „ვენეციელი ვაჭარი“), მაგრამ თეატრი, ამავე დროს, მისი ერთ-ერთი სულისმამდგმელისა და ორგანიზატორის, ა. ბლოკის თქმით, მზად იყო გაეხსნა კარი „всему тому, в чем слышимую музыку, способную создать волевой напор, волевой порыв“ (იხ. Де-ла и дни БДТ. 1919 г., № 1, стр. 7).

მანამდე კი თეატრი მიმართავდა დრამატურგიას, რომლის პათოსი ემბანებოდა ახალ განწყობლებებს, ენორჩილებოდ-ნენ თანამედროვე ხასიათის ადაპტაციას (ცხადია, არა ჰ. კე-რენციევის რეცეპტით). საერთო ჰუმანიტური პათეტურო-ბა კლასიკური დრამატურგიას, რომელსაც ძალუდა დაეკ-ვიდებინა ჰუმანიტად „დადამიანური საწყისი დადამიანი“, ესწრაფებინა მისთვის თუ როგორ განეკლო გზა „через терни к звездам“ (მ. გორკი), შესაძლებელია ყოფილიყო — და ასეც მიხვდა სინამდვილეში — მხოლოდ ერთი, თუცე ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპი თეატრის განვითარებისა, თეატრის წინსვლისა ჰუმანიტად რევოლუციური სპექტაკლის შესაქ-ნელად. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ლენინგრა-დის დიდი დრამატული თეატრი — „ტრაგედიის, რომანტი-კული დრამის და მაღალი კომედიის თეატრი“ — მალე იძუ-ლებული გახდა ამ კლასიკური მაგისტრალიდან გადაეხვი- (1922 წელს დადგმულ შეჰსპირის „იულიუს კეისარს“ ს. მო-კულსკიმ თეატრის აკედის სიმღერა უწოდა) და ჯერ ექს-პრესიონიზმის გზას დასდგომოდა, ხოლო შემდეგ — 1925 წლიდან, უკვე კანონზომიერად, რევოლუციური პროიოკისა და საბჭოთა თემატიკის ჰუმანიტად თეატრად გადაექცეულიყო. თუ ერთდერტებს მთელი საბჭოთა თეატრის პანორამა, როგორც ერთდერი ფონი კ. მარჯანიშვილის ჯარული სპექტაკლისა-თვის („ცხვრის წყარო“) — მაშინ თეატრის ერთი გადაკლე-ბითაც ცხადი გახდება საბჭოთა თეატრების დრმა და საუკუ-ვლიანი დაინტერესება (1921 — 1922 წლების სეზონი) კლასიკური რეპერტუარით, სადაც უპირატესობა ენიჭებოდა პეზნენარე, მეამბოხე სულისკვეთების გამომხატველ პიესას მაკ, მეიერ თეატრი ახორციელებს ან ხელახლა აღადგენს მილერის „მარიამ სტიუარტსა“ და ა. სუმბათაშვილის „ლა-ლტას“, შეჰსპირის „ოტელი“, ა. ლუჩანსკის „ოლივერ კრომველს“, რომლის თემა რევოლუციაა. სამხატვრო თეატრი, რომელიც განსაკუთრებული გულისყური ირჩევდა დასადგმე-ლად პიესას, და რომელმაც 1919—1920 წლების სეზონში განახორციელა ბაირონის „კაინი“, მთელი კატორბობის რე-ვოლუციური მისწრაფებების გამოსახატვად — მომდგმე-სეზონში ხან რომენ როლანის სოციალურ-უტოპიური დრა-მის „მოხუცი კრომლეირის“ დადგმას ფიქრობს, ხან ეს-

ქილეს „პრომეთეს“, ხან კი ბოპარმეს „ფიგაროს ჰერმენე-ბას“, მაგრამ „კაინის“ მწარე გამოცდილება (სპექტაკლუ-რით კ. ტანისლავსკის მოწმობით, გამოვიდა ირაციონალუ-რი, დროისა და სივრცის გარეშე მდგარი) უკარანხებს მის უფრო ნაცად გზას დაადგეს და მიმართოს ნ. გოგოლის „რევიზორს“ და აღადგინოს კ. მარჯანიშვილის მიერ თორ-მეტი წლის წინათ დადგმული კ. კამსუნის „ცხოვრების ბრწყალბეში“. ვს. მეიერჰოლდი, უკვე თავის თეატრში, ახორციელებს ა. სუხოვ-კობლინის სატირულ კომედია „ტარ-ღლინის სიკვდილს“, სადაც უღრესად „მკვეთრი ფეიქურია გამოსატული ის საშინელებანი, თითქმის ფანტასტიკური ყო-ფიერება რუსების სამოქალაქო ცხოვრებისა, რაც იყო 1917 წლის ოქტომბრამდე... ამ ზრით ბიესა რევოლუციური უღრესობა რიგს მიეკუთვნება, რადგან ბოლოდღე აშინელებს ცა-რიზმის სიმახინჯეს“ (იხ. «Советский театр», Документы и материалы, 1921—20. გვ. 202). „კამერული თეატ-რის“ შემქმნელის ა. თაიროვის საპროგრამო სპექტაკლი იუ 1921-22 წ.წ. სეზონში იყო ჟ. რასინის „ფედრას“.

თეით სპექტაკლის ავტორის აღიარებით, «мы имели перед собой объективную действительность нашей эпохи с ее тяжелой поступью, с ее силой, с ее взрывчатыми наклонностями, со всем тем количеством рожденных революцией элементов, которые в этой эпохе заключались... отсюда в спектакле (возникла) не нежность, не изысканность, не ажурность рисунка, а простота, суровость, твердость — не легкая поступь эпохи XVII века во Франции, а тяжелая поступь революционной эпохи наших дней в нашей стране!».

საღლის მიერ უკვე გაცნობიერებული შინაგანი თავისუფ-ლება, ოპტიმიზმი, რასაც ი. ლენინმა უწოდა Праздничная энергия масс., საბჭოთა სენეზაზე ახალი თეატრალური ფორმების მეშვეობით მკვიდრდებოდა. თითქმისა ხელახლა აღორძინებული სტილი კლასიკური რომანტიკული დრამი-სა, რომელმაც მკვეთრი და უადრესად მეტყველი სცენური ფორმები შექმნა, გამოირიცხავდა ახალი თეატრალური იდე-ების წარმოქმნას, მაგრამ, ისტორიული მნიშვნელობა საბჭო-თა თეატრის განვითარების პირველი ეტაპისა იმამო მდგო-მარეობს, რომ მან კლასიკური და რომანტიკული თეატრის სა-მყარობით პოვა სათავე ახალი საბჭოთა თეატრის შესაქმნე-ლად. ყოფილი, ფსიქოლოგიური თეატრის ესთეტიკას ორი მიმართულებით, „შუტია“ ახალაზრდა საბჭოთა თეატრმა — ერთის მხრივ, იყო ეს. მეიერჰოლდის პოლიტიკური მოედ-ნის თეატრი, მამფერი პოლიტიკური და სასოვადდებოები გენ-ბეგით, — რომელიც ეყრდნობოდა ვლ. მაიაკოვსკის პიესების პათოსს, ხოლო მეორეს მხრივ — რომანტიკული აღმადრენა, ჰეროიკული შემართება და მგზნებარე სულისკვეთება. მაგრამ, თუ რომანტიკული თეატრისა და დრამის შინაგანი ძალა და მამოძრავებელი იმპულსი იყო მისი გმირის განსაკუთრებული თვისებები, რომელიც მას მასზე, ხალხზე ამაღლებდა, მოაქ-ცევდა მოქმედების ცენტრში და თავის თავში ატარებდა ეპო-ქის პროგრესულ იდეალს, ახლა საბჭოთა თეატრის სცენაზე წინ გამოვიდა თეით ხალხი, რომელმაც შექმნა ეს გმირი.

რომანტიკული თეატრისაკენ სწრაფვა ორი მიმდინებელი აქვს ახსნილი გ. ბოიაჯიევის თავის წიგნში «Душа театра». ერთი — რევოლუციის აღქმა, როგორც განსხვავება ჰუმანიტა-რული იდეალისა, რაც ახასიათებს რომანტიკულ თეატრს და

მეორე — შესაძლებლობა იმისა, რომ რომანტიკული თეატრის ფორმების მეშვეობით გადმოცემულიყო თანამედროვე რევოლუციური იდეები, ბუნტარული რომანტიკული სახათის მეშვეობით გადმოეცა ერთგვარი „წინასწარ“ თანამედროვე რევოლუციონერის ტიპისა. სწორედ ამიტომ:

«Из всего многообразия стиливых течений русской дореволюционной школы наиболее созвучной требованиям нового времени стала линия романтической. Свое движение к революции театр начал через классический репертуар романтической трагедии и драмы» (იხ. დასახ. წიგნი გვ. 81). ამავე აზრს ავითარებს ვ. ზალესკიც თავის წიგნში. «Героя я ищу».

«Все советские театры, независимо от своей стиливой направленности, искали героический репертуар» (სტრ. 37).

საბჭოთა თეატრის განვითარების ამ პირველ ეტაპზე, რაც ჩვენთვის ნათელია მთელი ფონი თეატრალური ძიებებისა და ახალი თეატრების აღმოცენების პროცესის, ქართული თეატრის სცენაზე განხორციელებული „ცხვრის წყარო“ სრულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ცხადზე ცხადია, რომ კ. მარჯანიშვილის არჩევანი ყურდნობა ეპოქის სულისკვეთებისა და თეატრალური ხელოვნების წიაღში მიმდინარე რევოლუციური პროცესების ღრმა ანალიზს. ეს „ეპოსის კაცია“ („ჩვენ ვფეხვავართ ბოლოშეკვების, და ჩვენ ვაგაყობთ ამ სიყვარულით, ვინაიდან ჩვენი სფერო — გულის სფეროა“ — ამბობდა იგი), რომელსაც არ შეუქმნია თავის შესხედულებათა მწყობრი სისტემა, ისტორიულ გარდატეხათა პერიოდებში უჩვეულო ფხიზელი ანალიზის, ღრმა საზოგადოებრივი აზროვნების მავალითებს იძლევა. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს არა კვიგში დადგმული „ფუენტე იფუნასა“ რეპროდუქციასთან ახალ ვითარებაში, არამედ ეპოქისა და ხელოვნების, საზოგადოებრივი და ესთეტიკური აზროვნების წარმმართველ ტენდენციების თავმოყრასთან. კ. მარჯანიშვილმა ერთბაშად, აკორდულად ქართული თეატრის მოაკმა რევოლუციის წინა ხაზზე: — იგი — უპირველესად — საერთო საკავშირო, საყოველთაო თეატრალური მიმდინარეობის ფარვატერში დააყენა; მხოლოდ ამ თვალსაზრისითაც კი მას აარიდა ჰეგლის პროვინციული თეატრებისა, რომლებიც უკან მისჩანაწლებენ ხოლმე თეატრალურ სიახლეებს და ეპიგონურად იმეორებენ მათ. ქართული საბჭოთა თეატრი უკვე თავისი პირველივე სპექტაკლით — გმირულ რომანტიკული სპექტაკლით — სახელგანთქმულ საბჭოთა თეატრებს გაუტოლდა პერიოკული მიმართულებითა და მხატვრული დონით. ამ სპექტაკლის მიმართ, სპექტაკლისა, რომელსაც უჩვეულო წარმატება ჰქონდა ახალ მაყურებელში, განსაკუთრებით კი მუშათა კლასში (ამინაწერი კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის დღიურიდან: „1922 წ. 1 დეკემბერი. „ფუნტეა“ მთელი დეკემბრისათვის არის დადგმობილი. შაბათობით მას მხოლოდ მუშებისათვის წარმოადგენენ, გაისადაც შაბათობით მარტო მუშებისათვის გამართავენ სპექტაკლებს“²), შეგვიძლია ვთქვათ, რომ კლასიკური პიესის ფორმის მეშვეობით პირველი რევოლუციური მიზანის სპექტაკლი შეიქმნა საქართველოში. სპექტაკლის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება — ქართული თეატრი, რომელიც კატასტროფულად იწლებოდა, ახლა, ამ სპექტაკლით რევოლუციური სინამდვილის, რევოლუციური განწყობილების გამოხატული გახდა. ამგვარად, როგორც პოლიტიკურად, თავისი შინაარსის მიზანსწრაფულობით, ასე-

მარჯანიშვილი პანტომიმის დამოუკიდებელი თეატრის შექმნაზეც ოცნებობდა. მოსკოვში ჩასულმა ამ მიზნით შემო- იკრიბა დრამისა და ბალეტის მსახიობები, მაგრამ მისი წა- მოწყობა შენობის უკონობის გამო მარცხით დამთავრდა. პანტომიმის თეატრის შექმნა სიცოცხლის ბოლო დღეებამ- და კოტის განუზრუნლ ოცნებად დარჩა. 1933 წლის 26 მარტს, მოსკოვში წასვლის წინ, კოტეს თამარ ვახვახიშვი- ლისთვის უთქვამს: „მამ ასე, „დონ კარლოსს“ და „დაშუ- რასს“ გამოუშვებ და მაშინვე დაებრუნდები, ჩამოვალ და ჩვენებურად ჩავეყვადი სამუშაოს. ადენი რამ გეპასუხე გასა- კეთებელი. პირველად პანტომიმის თეატრს ვაგზხნი, რა თქმა უნდა, საქართველოში, ახალგაზრდების ძალეებით“ (თ. ვახ- ვახიშვილი, „თერთმეტი წელი კ. მარჯანიშვილთან“, გვ. 154). სამუშაოდ, კოტე მალე გარდაიცვალა და პანტომი- მის თეატრის შექმნა არ დასცალდა.

მარჯანიშვილის შემდეგ საქართველოში დიდხანს არ მიბ- რუნებია პანტომიმის ჟანრს, თითქმის სამუდამოდ დაივიწყ- ყვოს ეს სანტიგრესო ხელოვნება, მაგრამ აი, 1976 წლის იანვრის პრესა იუწყება, რომ შეიქმნა საქართველოს პან- ტომიმის სახელმწიფო თეატრი ამირან შოთიაშვილის უშუ- ალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

თეატრის შექმნის იდეა ა. შალიაშვილს 1960 წელს დაე- ბადა, როდესაც ნახა მოსკოვში გასტროლებზე მყოფი იტა- ლიური თეატრის Pico di Milano-ს (პიკოლო დი მი- ლანო) შესანიშნავი სპექტაკლი „ორი ბატონის მსახური“. სპექ- ტაკლში უხვად იყო პანტომიმური სცენები. 1961 წელს ჩვენს ქვეყანაში საგასტროლოდ ჩამოსულ მარსელ მარსოს ნახ- ვის შემდეგ პანტომიმის თეატრის შექმნა ამირანს უმთავრეს ოცნებად გქცა. თავდაპირველად მარტო მიჰყო ხელი პანტო- მისის შესწავლას. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა პანტომიმის საღამოე კი გამართა. ძალიან მალე შალია- შვილმა ამ ჟანრის მოყვარულთა ჯგუფი, შემდეგ კი სტუ- დია ჩამოაყალიბა. დაიწყო დაუღალავი შრომა. „დღემი შვიდ-რვა საათს ვვარჯიშობდით, შემდეგ ვსაუბრობდით პან- ტომიმზე, თეატრის ხელოვნებაზე, — იგონებენ მსახიობე- ბი, — ვმეცადინებოდით რკინიგზელთა სახლის პატარა სარ- დაფში, სადაც მოდიოდნენ ჩვენი პირველი მაცურებლები — ნათესავ-მგობრები. გვიჭირდა, მაგრამ მუდამ გვეჯროდა, რომ ჩვენი საქმე გაიმარჯვებდა, რომ გვექნებოდა ჩვენი თე- ატრი, გვეყოლებოდა ჩვენი მაცურებელი“. ამ შთაგონებუ- ლი და გატაცებული ახალგაზრდების პირველი სერიოზული გამარჯვება გახლდათ ნოველების სერია „ოცნება და სინამ- დვილე“. კომიკური და ლირიკული ნოველებისაგან შემდ- გარი სპექტაკლი დღესაცაა თეატრის რეპერტუარში და მა- ყურებელთა აღტაცებას იწვევს.

პანტომიმური ნოველები „დღეს ფეხბურთია“, „ქალის მოტაცება ძველ საქართველოში“, „სტურფა“, „რთველი“ და მრავალი სხვა დარბაზს ატყვევებს თავისი ტემპერამენტით, გრძობათა გულწრფელი გადმოცემით. ხალხური სიბრძნით აღსილი ნოველები განანაჭვალულია ოპტიმიზმით, მუსიკა- ლობით, ყოველ მათგანში კოლექტივი ჩანს, როგორც ერთი მთლიანი მტკნარნი.


„ოცნება და სინამდვილე“ ფართო დიაპაზონის თემებს აერ-

თიანებს. აქ ერთ დონეზე მეზობლობენ და ერთმანეთს ცვლი- ან ხუმრობა და სატირული გროტესკი, პოლიტიკური სპე- კატი და ლირიკული ეტიუდი. ფეხბურთზე თავდავიწყებამ- დე შეყვარებულთა ამაგი („დღეს ფეხბურთია“), თავგა- დასავალი უიღბლო ვაჟკაცებისა და მოსაზრებელი გოგონა- სი („ქალის მოტაცება ძველ საქართველოში“), ქმნიან მწვავე კომედიურ სიტუაციებს. თეატრი იოლად იტრება ეს- ლოდენ მწილისა და კაპრიზის სასაცილოს სტიქიაში, რაც გან- საკუთრებულ ნიჭსა და საოცარ სიზუსტეს მოიხიხვს. სასი- ამოვნოა, რომ ახალგაზრდა შემოქმედეთა ჯგუფი ამ სტიქი აში თავს ერთობ დამაჯერებლად გრძობს.

ნოველა „ხიროსიმა“ მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა სადიდებლად შეიქმნა. ეს არის მოწოდება ახალი ომის გამ- ჩაღებულთა, „კუმანური“ ბომბის შემქმნელთა წინააღმდეგ. ხი- როსიმის საშინელი ტრაგედიის გადმოცემა ახალგაზრდა მსა- ხიობებმა დახვეწილი პლასტიკითა და ღრმა ემოციურობით მოახერხეს. ხიროსიმის ოპტიმისტურ ფინალს წარმოადგენს მომდევნო ნოველა „მშვიდობის მტრედიბი“. თითქოს წა- მოიპარებოდა ატომური ომის მსხვერპლნი და ხელის მტკვნების ქნევით ქმნიან მშვიდობის მტრედის აფერ- ტის შთაბეჭდილებას. ეს უკანასკნელი ყველაზე სუს- ტის სპექტაკლის სხვა მოვლენებთან შედარებით. თით- ხელის მტკვნების მიძრაობა დიდი ხნის წინათ მარსელ

„ოცნება და სინამდვილე“. ხიროსიმა





„ფუხბურთი“

მარსო პეპლების ფრენის მისაბაძად გამოიყენა. ნოველის დრამატურგიაც ზედმეტად მარტივი და მოძველებულია. მიუხედავად ამისა, ჩვენი მაინც ვუსვამთ ხაზს „მშვიდობის მტრედებს“ ნოველა ხიროსიმასთან ერთად, რადგან მათში პირველად გამოჩნდა თეატრის ძირითადი ამოცანა, ჩაყენებინა პანტომიმის მომხიბლავი ხელოვნება ახალგაზრდების სწორი იდეოლოგიით აღზრდის საქმეში, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა და განვითარდა დადგემებში: „ტათავისუსფლოთ სიმღერა“, „უკანასკნელი ზარი“, „წიროები“.

1970 წელს სტუდია გადაკეთდა ფილარმონიასთან არსებულ პანტომიმის თეატრად. შეიქმნა ორი ახალი სპექტაკლი: გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე“ და ვერიპიძის „ელექტრა“. ეს უკანასკნელი თეატრის რეპერტუარში დღემდე რჩება ერთ-ერთ უძლიერეს სპექტაკლად.

ვერიპიძის ტრაგედია ერთმომქმედებია. ვარაუდობენ, რომ დაწერილია 413 წელს ჩვენი წელთაღრიცხვამდე. მასში გადამუშავებულია კლიტემნესტრას მოკვლის ამბავი, რომელმაც თავისი მეუღლის აგამემნონის ომში ყოფნისას, სიყვარული და მეფის გვირგვინი შესთავაზა ეგისტეს. ეგისტე კლავს აგამემნონს, ადის სამეფო ტახტზე, ჭეშმარიტ მეფის შვილს ელექტრასა და ორესტეს სასახლიდან აძევენ. ელექტრას ათხოვენ უბრალო გლეხზე. და-ძმა შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს, მოილაპარაკებენ და საერთო გადაწყვეტილებით ორესტე კლავს ეგისტეს. შემდეგ ელექტრა კლიტემნესტრას ატყუებს, შვილი შემეძინაო და შვილიშვილის სანახავად მოსულ დედოფალს ორესტე კლავს. უღირსი დედის მკვლელობამ და-ძმასვე მძიმედ იმოქმედა და ორივენი ფსიქიკურად ავადდებიან. ასე ვითარდება მოქმედება ვერიპიძის ტრაგედიისაში. თეატრის ახალგაზრდულმა კოლექტივმა შესძლო თავისებურად, ახლებურად გაესხნა ამ ტრაგედიის სიუჟეტური ძაფი, ახლებურად აექვედრებინა ფინალიც, ავესო იგი ოპტიმისტური სულისკვეთებით. ელექტრასა და ორესტეს სისხლიანი შურისძიება სპექტაკლში გადაიზარდა სამაროლიანობისათვის ბრძოლაში. და-ძმას მხარში ხალხი ამოუდგა. ფინალურ სცენაში ნაჩვენებია არა შემოილი და-ძმისა და დიოსკურების წინასწარმეტყველების ასრულების

სცენები, არამედ ხალხის ტრიუმფალური სვლა, რომელთა სათავეში არიან ელექტრა და ორესტე. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ხაზს უსვამს მოქმედების დრამატულობას, აპოკატურებს მას (გამოყენებულია როგორც კლასიკოპოზიტორების — ჰენდერეცკის, ონეგერისა და იანჩეკის ნაწარმოებები). სპექტაკლში ორიგინალურადაა მოძებნილი სურათების ცვლის ფორმა. თავისებურადაა გადაჭრილი დეკორაციის საკითხიც. ორი ადამიანი შავი ფერის მოსასხამებით ხელში განასახიერებს ქოხს და ვერც გრძობ, რომ ეს დეკორაცია კი არაა, არამედ ცოცხალი ადამიანები არიან. ანდა, აი, პატარა კუბი, რომელიც სწრაფად სამეფო ტახტად გადაკეთდება.

სპექტაკლში, ჩვენი აზრით, მაინც ყველაზე საინტერესოა გოგონების ქორი. ქობიდან გასისხლიანებული მოსასხამებით გამოცვივდებიან ელექტრა და ორესტე. ისინი ცდილობენ როგორმე მოიშორონ დედის სისხლი ხელებიდან, ტანიდან, ბოლოს კი უსულო ეცემიან ძირს. მათი სულიერი ტანჯვის გაგრძელებას აქ ქორი წარმოადგენს. ყოველი გოგონა ელექტრას აფორიაქებული სულია, რომელიც ხან გრიკოლში მოქანავს ხესავით იმტკრევა, ხან კი უბედურების მოლოდინში მიწაზე გაწოლილა მშეკვივით. ბერძნულ ტრაგედიაში სტატეკური ქორი თავისი მოთხრობით სიუჟეტურ ხაზს ავითარებდა. აქ კი გრანტობების, ვნებების გამომხატველი პლასტიკური ქორი მთავარი გმირების სრულფუნქციანი პარტიორია.

ჩვენი აზრით, სპექტაკლის სხვა მოქმედ პირებთან შედარებით ორი სახე — გლეხი და გამზრდელი ოდნავ უფერული, უსტატია. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, რომ ზოგიერთი მათი მოძრაობა უფრო მეტად გამომხატველი პლასტიკითა და სტილიზებული ფესტით იყოს შეცვლილი. თუმცა, ეს ხელს არ უშლის სპექტაკლის წარმატებას, რასაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში საგასტროლოდ ყოფნისას მიღებული რევენუები მოწმობენ: „არ წარმომედგინა, თუ აზრობრივად ასე სავსე შეიძლებოდა ყოფილიყო ფესტი, მიმიკა და ტანის პლასტიკა! დარბაზი ტირის, როცა განიცდის



ელექტრას ტრანსმისიის, მაგრამ თვით კირა მუხეჯეც ხომ ტარის სცენაზე! ის არ თამაშობს, ის ცოცხლობს თავისი გმირით. სხვა მომენტებზე მთელი საოცრებაა, როგორც მაგალითად, მსახიობი ჯურაბ გუგუშვილი ავამშინონის სიკვდილის სცენაში, ან კიდევ მოგონებებში დადგმული მოძრაობები, რომლებიც მხოლოდ ეტრუსკული ვახტანგის ფრესკებს შეიძლება შევადაროთ („სოვეტსკიე ზურაღიე“, 1977 წ.).

პანტომიმის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი დამსახურება მისი მოქალაქობრივი ხასიათი, თანამედროვე პრობლემებისადმი სწორი დამოკიდებულება. ამას მოწმობს თეატრის რეპერტუარი, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სპექტაკლს — „გათავისუფლეთ სიმღერა“ (სცენარის ავტორები: გ. გოგუა, ი. ხიმშიაშვილი). იგი ჩილეს პრეზიდენტის — სალვადორ ალიენდეს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე მოგვითხრობს.

სულ რამდენიმე მასობრივი ეპიზოდით ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ჩილეს თავისუფლებისათვის მებრძოლა სურათები. ამბოქნებული ხალხი ამხობს არსებულ რეჟიმს და სახელმწიფოს სათავეში ექცევა. შემდეგ მოქმედება გადადის პრეზიდენტის სასახლეში, სადაც მშობიარე და სიკეთე სუფევს, ალიენდე ყვავილებს უვლის, იწყება შეთქმულება, ბრძოლა. ალიენდეს კლავენ. სრულ სირუქმში ნელ-ნელა იწყება ვიქტორ ხარას სიმღერა. სცენაზე უაღრესად შენელებული ხელით გამოდის ციფერ ტანსაცმელში გამოწყობილი პოეტ; ესერანი, მაგრამ ის მაინც მოიწვევს წინ, მისი სიმღერის ავომანიანენტზე ცოცხლებიან ყვავილები (წუთის წინ ასე უღმერთოდ გაუღებელი ადამიანები). ისინი მაღლა შემართული ხელებით მოუწოდებენ წინ ბრძოლისაკენ, სიცოცხლისაკენ, თავისუფლებისაკენ.

თეატრის კრიტიკოსები ასკენიან, რომ კარგი, პროფესიული პანტომიმური სპექტაკლისათვის აუცილებელია ალგორითა. თუ ეს ასეა, მაშინ სპექტაკლ „გათავისუფლეთ სიმღერა“ უპირველესად ამით შეიძლება დასაწყეს. საინტერესოა სპექტაკლში ალგორითული სახე პოეტისა, რომლის შემოსვლას სცენაზე ყოველთვის სიწმინდე და გამარჯვების იმედი მოაქვს.

ახლანდელ გამომცემლობა „სოვეტსკაია როსიაში“ მოსკოვში გამოუშვა ი. რუბენრეგის საინტერესო წიგნი — „პანტომიმა — ცდები მიმოდრამაში“. მასში საუბარია პანტომიმურ ალგორითის შესახებ. მაგალითისათვის ავტორს სხვა თეატრების სპექტაკლებთან ერთად მოჰყავს ქართული თეატრის სპექტაკლი „გათავისუფლეთ სიმღერა“: ერთ-ერთი მთავარი სცენა პრეზიდენტის სასახლის წინაში, რომელიც ლაკონიურად ყვავილების მრგვალი გასწონიათა მიანიშნებელი. ეს კოლექტიური, ალგორითული პერსონაჟი შედგება გოგონებისაგან, რომელთა ხელებზე ჩამოშვებული სხვადასხვა ფერის ხელთათმანები ყვავილების გოგონების შთაბეჭდილებას ქმნის. გაზონი არა მარტო პოეტური, არამედ ალგორითის სუსტად გადაწყვეტილი ელემენტია. გაზონი ასევე პრეზიდენტის სრულუფლებოვანი პარტნიორი, მისი მოქმედების ობიექტი და წყაროა. პრეზიდენტი გულისყურით უვლიდა ყვავილებს ჩვენს თვალწინ, ახლა კი ცდილობს ისინი უკვე მოვარდნილი „გრიგალისაგან“ დაიცვას. მიმოდრამა ალგორითის პარალელურად არსებობს. დიანალი ყვავილები ჩვენ თვალწინ გადაიქცევიან ახალ ალგორითულ სახედ — ხალხის მასებდა.

1974 წელს პანტომიმის თეატრმა კიდევ ერთი ახალი, საინტერესო სპექტაკლი შექმნა — „მუშვეტრის სეგნალიზაცია“ ვახტანგ გოგოლაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

სპექტაკლში ნაამბობია სრულიად ახალგაზრდა სპორტსმენის, მოფარევე მალხაზ ადგიშვილის მოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ლირიკული ისტორია. მასში ჩანს ყმაწვილის მიერ განკლილი გზა — სწავლა, შეპიანბნავე მეგობრების პოვნა, პირველი სიყვარული, სპორტთან დაკავშირება. სცენაზე ყველაფერი ბედნიერად, მხიარულად მიდის. მხოლოდ დედის შემოსვლას შემოაქვს დარბაზში რაღაც სიმძიმე და მოსალოდნელი სამიშრობის გრძობა. მშობლებს ქალის თავადობა, მოცასება ხელეშში, ნერვიულ, მფთვთავარ ძილში იგრძნობა სამინდელის მოლოდინი და იგი თანდათან იპყრობს, აღელვებს მაცურებელს. და აი, ბოლოს ეს სამინებლებაც — მთავალი ხელნაწერი სრულიად უდანაშაულოდ კლავს მალხაზს (მსახიობი ზ. გუგუშვილი). უზარალოდ, უმიზეზოდ, ისე როგორც ცხოვრებაში ხდება ზოგჯერ.

სცენაზე მალხაზის დედა, ლეილა (მსახიობი თამარ ჯაჯანიძე) და მეგობრები დგანან. ისინი ბელისცემა — არასწორი, შენელებული, რომელიც თანდათან იშვიათდება და ბოლოს სულ წყდება. დარბაზს შემზარავი მუსიკა ჰკვდის, ახალგაზრდები მუხლებზე იჩქებენ, შემდეგ ნელა წამოდგებიან და ხელებს იმეგრეს პარტიზმი უდრადელად მოსიყრენე მკვლელისაკენ, რომლის უტყვი სახეც პროექტორის შუქით მკვეთრად გამოიყოფა ჩანებლებული დარბაზის ფონზე. პარტიზნისკენ გაწვილი ხელები მარტო მკვლელს კი არ ამატებს, არამედ ყველა გულგრილ ადამიანს უკვირებენ, რომლებიც თავიანთი გულციგობით, უდრადლობით ბოროტმოქმედის ხელშეწყობი და მგობრება ხდებიან.

მკვლელის როლის შესწარულებლისათვის — გიორგი გომურაშვილისათვის ეს როლი ყველაზე უფრო საყვარელია, იმუხედავად იმისა, რომ ის აქ უარყოფითი გმირის თამაშობს. „ერთხელ, — იგონებს გიორგი, — ქუთაისში, სპექტაკლის შემდეგ სასტუმრომდე ძლივს მივაღწიე. თეატრის კარებთან შეტარა ბიჭების ჯგუფი მელდა. იმუხედავად — ცხვირპირის ამოუნაკავად არ გავუშვებო. შიშით მივედი სასტუმრომდე. მაგრამ აქ ისინი უფროს ცრმელები წამომცივედა. მე მივაღწიე მთავარს, მაცურებელს მკვლელი შევახიზნე. სიხარულით ვიგონებ იმ წუთებს.“

ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას, ქვეყნად სიკეთის დამკვიდრებას მიუძღვას თეატრმა კიდევ ერთი საინტერესო სპექტაკლი — „უკანასკნელი ზარი“, რომელშიც გიორგი ბონერი გოგონას, ზინა პორტნოვას, ამბავია მოთხრობილი. ესაა სპექტაკლი იმ გოგონებისა და ბიჭების შესახებ, რომლებიც 1941 წელს დარკილი სკოლის უკანასკნელი ზარი წყრილობაზე წაადრევედ გადაცილეს ბავშვობის ბედნიერი წლები.

ისევე, როგორც სხვა დანარჩენ სპექტაკლებში, „უკანასკნელ ზარშიც“ ორიგინალურადაა გადაჭრილი დეკორაციების საკითხი. მრავალი უსულო საგანია გაცოცხლებული. აი, ნამდვილი მატარებელი მოგუგუნე მსახიობთა გადაბმული სხეულები, ანდა ასევე ცოცხალი ადამიანებით შექმნილი პარტიზანების დაზგა. საინტერესო სცენების გვერდით სპექტაკლში არის სუბტი, გაჭიანურებული, ზემოქმედი ადგილები. მაგალითად, დედისა და დების გამზავრების სცენა, პარტი-

ზანების ბანაკში ცხოვრების პერიოდი, სცენა კაბარეში. მიუხედავად გამოთქმული შენიშვნებისა, „უკანასკნელი ზარი“ მაინც საკმაოდ კარგად შეკრული სპექტაკლია, რომელშიც საინტერესო სახეებს ქმნიან მსახიობები: კ. მეტეუცი, გ. ოსეფაშვილი, თ. ჯაჯანიძე, უ. ხიმშიაშვილი, რ. გრიგოლია და მრავალი სხვა.

თავისი არსებობის განმავლობაში პანტომიმის დასმა მრავალი სპექტაკლი დადგა. ბევრი მათგანი ახალი გზების ძიება იყო, ზოგიც მსახიობთა დაოსტატებას ისახავდა მიზნად. თეატრის დღევანდელ რეპერტუარს მხოლოდ შინაარსიანი, იდურად და მხატვრულად სწორად გადაწყვეტილი სპექტაკლები შემორჩა, რომელთა ზარისხს საგრძნობლად აქვეითებს ცუდი მხატვრული გაფორმება. თეატრს სჭირდება ნიჭიერი მხატვარი, რომელიც შესძლებს შეახამოს მსახიობთა კოსტუმები, დეკორაცია და რეკვიზიტი სპექტაკლის პლასტიკურ ფორმასთან. ჯერ არ არის მოწესრიგებული მხატვრული განათების საკითხი. ყველაზე მთავარი ის არის, რომ თეატრს არა აქვს იაეთი შენობა, რომელიც ხელს შეუწყობს ნორმალური სპექტაკლებისა და რეპეტიციების ჩატარებას. მაყურებელს კი შეუქმნის სასიამოვნო, თეატრალურ ატმოსფეროს.

ახლახან თეატრმა მაყურებელს უჩვენა თავისი ახალი

სპექტაკლი „წირობი“, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. ოდნავ ჩაბნელებულ დარბაზში ძმათა სასაფლაო მოჩანს. საფლავები თითქოს ცოცხლდებიან, ნელ-ნელა ამოიზიდებიან და წირობად გადაიქცევიან. — „ოქვენ კი არ დაიღუპეთ, წირობად იქვეით“. ისმის რასულ გამზათოვის ცნობილი სტრიქონები. მაყურებელთა თვალწინ ცოცხლდებიან რევოლუციის დღეები, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ეპიზოდები. საითათოდ ეცემიან რევოლუციის გმირები და ისევ მწყობრად მიფრინავენ წირობი.

მომდევნო ეპიზოდს სამოქალაქო ომის დღეებში გადავყავართ. მსახიობები ახლა სენაზე ლეგენდარულ ტაჩანკას განასახიერებენ. ნაზ მელოდიას ტყვიამფრქვევის კაკანი ერთის და შეტაკებაში დაღუპულნი მიფრინავენ ფრთაფარფიტა წირობეივით.

გაისმის ალექსანდროვის „წმინდათა წმინდა ომის“ ნაცნობი მელოდია. სცენაზე ფრთავაშლილი წირობი უკვე სამამულო ომის უდრეკ მემორებად გარდასახულან. ავტომატებით, ხელუშუბარებით შემართულნი მიდიან წინ. შემდეგ გმირთა საფლავები და მარადიული კოცონი... ოპტიმიზმით სავსე წარმოდგენის ფინალი „გამარჯვების დღე“. სცენაზე ჯარისკაცის მამა (ა. შალიკაშვილი რ. ჩხეიძის ფილმის გმირი)

„გაათავისუფლეთ სიმღერა!“



შემოდის ყვავილების თაიგულით ხელში. შემოდის, როგორც დაღუპულთა ცოცხალი ხსოვნა.

ასეთია პანტომიმის თეატრის ამ კამერული სპექტაკლის ფაბულა. სცენაზე არ ჩანს რეკვიზიტი თუ დეკორაცია. შემსრულებელთა ჯგუფი არც „კომედია დელ არტეს“ მსახიობებით იცვლიან ნიღბებს და არც ავტორი ან ქორო მოგვითხრობს მომხდარ ამბავს, როგორც ეს ბერძნულ თეატრში ხდება. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ნათელია. ჩვენ ხან წეროებს ვხედავთ, ხან მეომრებს და ხან კი სასაფლაოზე ძველებად ამართულ ქვის უბრალო ფილებს.

პანტომიმის სახელმწიფო თეატრს სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს. რა თქმა უნდა, ის ჯერ კიდევ ვერ იქნება მთლიანად სრულყოფილი. ნამდვილი მიმის ჩამოყალიბებას ცხრა-ათი წლის დაუდალავი შრომა სჭირდება. პანტომიმისტებს კი ჩვენს ქვეყანაში არცერთი ქორეოგრაფიული სასწავლებელი და თეატრალური ინსტიტუტი არ ამზადებს, ამიტომაც ასე მკაფიოდ გამოირჩევიან ძველი მსახიობების გვერ-

დით ახალი მიმები, რომელთა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მოძრაობანი აქვეითებენ სპექტაკლის ხარისხს. მაგნიტისგან გარდა თეატრში არსებული პანტომიმის სტუდია, რომელიც ახალ მიმებს მოამზადებს. იმედია, სტუდიის გახსნა, წლების განმავლობაში დაუდალავი შრომა, ქართული პანტომიმის თეატრს გაიკლებით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს.


პანტომიმის სახელმწიფო თეატრი თავისი ფორმით, სტრუქტურით ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. უდავლო ნიჭიერ, ახალგაზრდადელი კოლექტივს წინ ბევრი სამუშაო, ახალი სპექტაკლები ელოდება. ამიტომაც თეატრს სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა, თეატრმცოდნეთა სწორი, ობიექტური კრიტიკა და შეფასება. და რაც მთავარია — კარგი მსაყურეები.

„ჩვენ აღვადგინეთ საესტრადო, საციკო, კომედიური პანტომიმი, მაგრამ რატომღაც აქამდე ნამდვილი დრამატული, ტრაგიკული პანტომიმი მიძინებული რჩება“, — წერს ჟან ლუი ბართ. პანტომიმის ქართულმა სახელმწიფო თეატრმა სწორედ ეს ძნელი გზა აირჩია — ნამდვილი ტრაგედია პანტომიმის ენით. ქართველებს ხომ ყოველთვის იტაცებდა ტრაგედია. შექსპირის პიესების დადგმა და თამაში ყოველი ქართველი რეჟისორისა და მსახიობის ოცნება იყო და არის. პანტომიმის თეატრსაც აქვს გადაწყვეტილი შექსპირის „მაკბეტ“ დადგას.

ა. შალიკაშვილის აზრით, ეს ტრაგედია მოჰფლობით მცირეა, აქ მოქმედებები საოცრად კონცენტრირებულია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პანტონიმური სპექტაკლის წარმატებას. არის კიდევ ერთი მიზეზი — ქართულ სცენაზე „მაკბეტ“ არ დადგმულა, თუმცა, მის დადგმაზე ბევრი ოცნებობდა...

საოცარია ადამიანის ფანტაზია. მას შეუძლია ათასი ხერხით აღწეროს თავის ირგვლივ განფენილი რეალური სამყარო, გადმოსცეს მისი სიღამაზე და სირთულე ლექსით, დრამით, სიმღერით, ბალეტით, ქანდაკებით, ფერწერით. სულერთია, მთავარია სარგებლობა მოციტანოს, დაგამზვიდოს, დაგაინფლოს.

პანტომიმაც, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უმშვენიერესი და უძველესი ჟანრი, ყოველთვის დაატკობს ადამიანს თავისი სიღრმით, სინატიფითა და სიღამაზით. პანტომიმის ქართული სახელმწიფო თეატრი დროთა განმავლობაში შეიძენს უფრო მეტ გამოცდილებას, ოსტატობას, პროფესიულობას, შექმნის საინტერესო სპექტაკლებს და ღირსეულად ამოუდგება მხარში ქართულ ეროვნულ თეატრალურ ხელოვნებას.



„უშუაშვილის ბედით“
ამირან შალიკაშვილი

თანაპეიდროვე ქართული სამსახირო ხელოვნება*

ეთერ გუგუშვილი

ახალგაზრდობა თეატრში თამამად, რწმენით მოდიოდა, მსახიობთა 40-50-იანი წლების თაობაში ჰეროიკულ-რომანტიკული ტენდენციები თავისებურად იჩენდა თავს. სასადავოსა და ცხოვრებისეულობის მოთხოვნა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სულაც არ უპირისპირდებოდა მსახიობის თამაშის გმირულ, რომანტიკულ ხასიათს. ახალგაზრდებს ეს კარგად ესმოდათ, მაგრამ ახლა ჰეროიკა და ჰეროიკული მათ შემოქმედებაში რაღაცნაირად ახალი, გარდასახული იერით ვლინდებოდა და, ხშირად, ვერ აღწევდა მოთუხმენტურობის, მას-შტაბურობის, ეპიკურობის იმ ძალამდე, რითაც აღბეჭდილი იყო, ვთქვათ, აკაკი ხორავას და თამარ ჭავჭავაძის მსახიობური შემართება. შესაძლოა ასეც სჯობდა. აქ არ შეიძლებოდა საქმე გვეჩინოდა კობირებასთან, მიწაძველუბასთან, სტერეოტიპთან. ახალგაზრდათა შემოქმედებით ძიებებს საშოშრობებს არც ის უქმნიდა, რომ ზოგჯერ ისეთი როლების შესრულებაც კი უხდებოდათ, რომელთა თამაშითაც თავი გამოიჩინებს მათმა უფროსმა კოლეგებმა. ამხეტლიესეული „ყაჩაღების“ განახლებულ დღეგამში ახალგაზრდა ნიღარ ჩხეიძემ შესასრულა

ფრანგ მითის როლი, რომელშიც მაყურებელს ახსოვდა ბრწყინვალე ა. ვასაძე, ნ. ჩხეიძე თამაშობდა ნერვიულად, აღზნებით, თრთოლვით, გატაცებით, შესაძლოა, თავის ჭარმაგ წინამორბედზე უფრო აღზნებულადაც კი. ისინი ერთმანეთში არ აგერეოდა, მიმბაძველობაზე ხომ ლაპარაკიც კი შედგებოდა იყო, და ალექსიძის „მეფე ოიდიპოსში“ ოიდიპოსის როლი უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად ე. მანჯგალაძემაც შეასრულა. მან ამ როლის შესრულებისას უერთგულა თეატრის ტრადიციებისა და რეჟისორის ჩანაფიქრს, ოღონდ თავისებურად, უფრო „მიწიერად“, ვიდრე „კლასიკურად“. და ანა მარტო იმიტომ, რომ „ხორავასებურად არ შეეძლო“, არა-წინდ, უბრალოდ, არ სურდა გამეორებულიყო, სურდა ანტიკური გმირის თავისი გაგება დაემკვიდრებინა სცენაზე, მისი ოიდიპოსი ჭაბუკურად შემართული, აღზნებული, მშფოთვარე, თითქმის ბავშვურად მიაბიტი, უშუალო იყო. ეს იყო დიდებული და ამავე დროს საუსცხოოდ უბრალო, მიწიერი ოიდიპოსი, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შეილებთან დამშვიდობების სცენა. მსახიობს არ შეეშინდა, რომ მისი გმირი ჩვეულებრივი „მოკვდავის“ დონემდე „დაეშვებოდა.“ ოიდიპოსი ტიროდა, მაგრამ ეს მელოდრამული ტირილი არ იყო. ვაკეკაციური და უდრევი ოიდიპოსი ასეთად რჩებოდა ბოლომდე და თითქმის ბავშვური, მართალი ცრემლი სულაც არ აყენებდა ჩრდილს გმირის ნებისყოფასა და შემართებას. ამაყი ოიდიპოსი სცენას სტოვებდა კვლავინდებურად ალალ-მართალი, უდრევი ნებისყოფის გმირი. ასეთი — თავისი ეთიკური, მორალური ნორმების ერთგული გმირი — დარჩა მესხიერებაში მაყურებელს. და ეს იყო როლის თანადროული წაკითხვა, უფრო სწორად, მსახიობის მიერ ახლებურად გააზრება როლისა.

პოეტური შთაგონებისა და ჭაბუკური მგზნებარების ძალა. გრძნობათა ემოციურობა და ვნებათა უშუალოა ქართული თეატრის ნიშანდობლივი თვისებები იყო ახალ, ომისმდგომი პერიოდში და ამით კიდევ ერთხელ დასტურდებოდა მსახიობური ხელოვნების ახალი თაობის შემართება და ნიჭიერება. შეიძლება ითქვას, რომ შთაგონებულობა და მგზნებარება იმ წლებში ყველაზე შთამბეჭდავად გადმოსცა იმ დროს ახალგაზრდა გიორგი გვეგუკორმა რომანტიკოს ნიკოლოზ ბარათაშვილის როლიში. მგზნებარე მოცენების, გულფიცხი მიჯნურიხა და გრძნობათაგაქიზი პოეტის როლით მსახიობმა სცენაზე შექმნა ახლებურად შექმენილი, ამაღლებული ნასათი — გვეგუკორი ამ როლით თითქმის მთელი მისი თაობის სახელმთ ცხოვრობდა სცენაზე, თაობისა, რომელსაც სწამდა, სჯეროდა. უკვარდა, თაობისა, რომელიც იტანჯებოდა, მზად იყო ბრძოლისა და თავგანწირვისათვის.

მაგრამ ქართული თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს მხოლოდ რომანტიკა და პოეტური შთაგონება როდი ასულდგმებოდა. ტრადიციები, როგორც იტყვება, „ყველა არსიში“ იჩნდა მათს ცხოველყოფილ ზემოქმედებას და სინთეტური მსახიობის მარჯანიშვილისეული იდეა ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებაში მზიარული, გიჟაყური კომიზმით ვლინდებოდა კლასიკურ კომედიებში, რომლებიც ასე გულუჭავდ იდგმებოდა ომისშემდგომი წლების ქართულ სცენაზე.

* გაგრძელება დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1978 წ.

აქ, ისევე, როგორც დიდი ემოციური დატვირთვის დრამატურგიის მასალაზე, იბადებოდა აქტიური ხელოვნების იმპროვიზაციისა და რიტმული დახვეწილობის ის დაუკლებელი სტიქია, რაც ცხადყოფდა მსახიობთა ერთთვისგან განსხვავებულ სცენურ სტილს, განრულ თავისებურებებს და, ამის შემსაბამისად, მათს უნარს — სახისთვის მოქმედებით გარეგნულად მწვავე, სახასიათო ფორმები.

ლოპე დე ვეგას, გოლდონის, მოლიერის, ქართველი და რუსი კომედიოგრაფების გმირებს სცენაზე თავისი კუთვნილი ადგილი ეკავათ. მწვავე, მძაფრი კომედია იყო ის „სადელი ჭკა“, რომლითაც ირკვეოდა, თუ რამდენად დახვეწილი და სცენურად მარტივი იყო მსახიობის ხელოვნება. ამ მომენტების შესაბამა ქმნიდა მსახიობის ოსტატობის მრავალწინააღიფების, სინთეზურობის საფუძველს. ეს ნიშნავდა უარის თქმას ამპლუის ცნებაზე, რომელიც, როგორც წესი, ზღუდავდა სცენურად ცოცხალი ადამიანის შესაძლებლობებს.

ისტორია მეორდებოდა. ახალგაზრდა თაობა ამჯერდაც „კვლავი მიყვებოდა“ თავის მასწავლებლებს. ფაქტები მეტყველებენ ამაზე. ე. მანჯგალაძემ მეფე ოდიშისთან ურთიდა ზომიერი ითამაშა (გ. სუნდუკიანის „პეპო“), ნ. ჩხვიძემ ფრანკ მოიროს შემდეგ შეასრულა გიჟის მწვავე-სატირული სიყვ, შემდეგ კი ისევ ტრაგედია მიუბრუნდა და ჰამლეტის როლი შესარულა. კ. მახარაძეს პატევი ქმნიდა „ესახნელ მღვდელში“ ბართოლომოს როლის შესრულების შემდეგ ვ. დარასილის „კიკვიძეში“ ლეგენდარული ქართველი მხედართმთავრის როლი შეასრულა. ლადად, მხიარულად ითამაშა მ. გაფარიძემ ჭირინა-მარინე გ. ბარათაშვილის კომედიაში, შემდეგ კი განსახიერა დამატყვევებლად ქალური კლოპოატრა (მ. შიოს „იულიუს და კლეოპატრა“). გ. ვეგუკორის შთამოგონებული ბარათაშვილის სახე დონ სუზარ დე ბაზანის გროტესკული როლის მხარდამხარ ცხოვრობდა, მედია ჩახავა ასრულებდა სიცილით დამაოსებელ მეგზოვე სარეს (კ. ბუაკორის „უქოსი ავი ძაღლი“) და ფურჩიკე შექმნილ სპექტაკლში ლიდა პლასან ღრმად დრამატულ როლს. მძაფრად კომედიურ ლიდა პლასან ღრმად დრამატულ როლს. მძაფრად კომედიურ მსახიობი ელენე ყიფშიძე ბრწყინვალედ ასრულებდა მია ყწყითლის გმირულ როლს. ზ. კვერციანილემ სპექტაკლ „ფილოსოფოსის დოქტორში“ თითქმის ექსცენტრული გმირ: ითამაშა, მაგრამ ამას მსახიობისთვის ხელი არ შეუშლია, რომ არ აღდგინებოდა ვლის შემდეგ განესახიერებინა ფედრა, მედია და ანუის ანტიგონე: კიდევ რამდენი ანბარია მავალითის მოყვანა შეიძლება! ეს მავალითები კიდევ და კიდევ ნათელყოფენ იმ აზრს, რომ ქართველი მსახიობის ხელოვნება, ტრადიციულად, განრობრივი თვალსაზრისით მრავალმხრივი და სტილურად მდიდარია.

მაგრამ პროცესების გამოერება „ასლების გადმოღებას“ არ გულისხმობდა, ხომ უტყვიველთ და ბუნებრივი ჩანდა „უფროსებისა“ და „უმცროსების“ უთითორმწერწყმის ფაქტი, მაგრამ, მაინც, მწიფდებოდა ნიდაგი გარდაქმნილობისთვის. ეს ცვლილებები თავიდან ზედაპირზე არ ჩანდა და მათი შემენება არცთუ იოლი იყო. დღეს გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ცვლილებები ჩაისახა თეატრში ახალგაზრდა თაობის მოსვლასთან ერთად. მაგრამ იმგამად არც მამინ-

დელი ახალგაზრდები და არც მათ კვალზე მომავალნი არა თუ არ გრძობდნენ მთელ ამ პროცესებს, არცაი შეძლოთ წარმოედინათ რა და როგორ წარინართებოდა. ცვლილებები, გარდაქმნები თანდათან, ძნელად შესამჩნევად მწიფდებოდა. უწინარეს ყოვლისა, ეს გარდაქმნები დაუკავშირდა თეატრში ახალი რეჟისორის მოსვლას, რომელსაც საკუთარი რეჟისორული ხმის დაყენება სურდა.

40-იანი წლების მსახიობთა თაობა ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებდა სცენაზე, როცა ქართულ თეატრში თავი იჩინა მისა მხატვრული პრინციპების, მსახიობის თამაში მანერის „გადახედვის“ ცდებმა, განაცხადებმა. ეს ცდები თავდაპირველად არ ჰგავდა ტრადიციების წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას, კატეგორიული და შეურიგებელი ხასიათისა არ იყო, რეჟისურის ექსპერიმენტებიც არ იყო გამოკვეთილი და რეჟისურის ყოვლისდამმორჩილებელი პრინციპისგან სწრაფვაც არ ჩანდა „შეუიარაღებელი თვალით“, თუმცა, ყველაფერი აქედან მიდიდა.

ახალი განაცხადები მჭიდროდ უკავშირდებოდა დრამატურგიის და, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ვლინდებოდა სარეპერტუარო პოლიტიკაში. ომისშემდგომი წლების თეატრში, ისე, როგორც არასდროს, იდგა პრაბლემა გმირისა — თანადროული ადამიანისა, რომელმაც ომის სიმძიმე თავის თავზე გადაიტანა და, თუ არა ახალგაზრდობა, ვინ უნდა ჩაიბულიყო მთელი არსებითი საკუთრი ცხოვრებისეული პრობლემების წყდომის პროცესში! ქართულ თეატრალურ ინსტიტუტში, რომლის კვლებისთვის გოლოვის ხმები უცხო არ იყო, სადაც ნაომარ, ახლა უკვე სტუდენტ ამხანაგებთან შეხვედრის სისხარული ჯერ განუღებიათ არ იყო, დაიდავ საბჭოთავლი იულიუს უნიკევი — „ადამიანებო, იყავით ფიზიკა!“ მისი ავტორები — სტუდენტი-რეჟისორი მ. თუმანიშვილი და სტუდენტი-მსახიობი კ. მახარაძე ცდილობდნენ დოკუმენტურ მოვლენებს კვლავდაკვალ მიეყოლოდნენ და იმანაც, რომ თითონაც მ თუმანიშვილი ომიდან იყო მისული თეატრში, მისი მეგობრები მებრძოლი ხელოვნებით გამოსჭვალა, მათთვის ახლობელი გახდა ბედი უნიკევისა — ფაქტურად მათი თანატოლისა. — ეს ბედი გამოირგვდა რაიმე „თეატრალურობას“, სიყვბებს, ხელოვნურობას, სურდათ სპექტაკლი ეთამაშათ ბუნებრივად, უნრალად, ელვანაკათ და ემოქმედათ წრველად, ორთოლავით, სხვაგვარად ვერც წარმოედგინათ.

სპექტაკლი რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე გადაიტანეს. მამინ სპექტაკლმა ყურადღება მიიქცია, რამდენადვე მგზნებელი ჩეხი მწერლისა და კომუნისტის გმირულ ცხოვრება და სიყვბილი ამაღლებული იყო, მსახიობებს აქედან მათი შთაგონებული თამაშის გამო, მაგრამ არავის მოსულა აზრად (ეს იმ წლებში ბუნებრივი იყო), რომ ამ სპექტაკლში დაინახა კლორტები იმ ახლისა, რაც ცოტა ხნის შემდეგ იქცა კრულად ახალგაზრდა რეჟისორისა, რომელმაც თავისი შთაგონებული თამაშისა და მსახიობის თამაშის ბუნებრივი, ცხოვრებისეული თამაშის თვისისი, თამაშისა, რომელიც ვერ იგუებდა ძველ, ჩვეულებრივ სტილურ ნორმებს.

დაიხ, იმხანად ეს იყო ჯერ კიდევ პირველი, გაუბედავი ცდები, რომლებიც თეატრის პრაქტიკაში არცთუ იოლად იკი-

დებდნენ ფეხს. ზღვის მიქცევა-მოქცევასაგით, ეს ცდები ხან თვალნათლივ ჩანდნენ, ხან კი შორს, სივრცეში ინთქმებოდნენ, შერე ისევ და ისევ მიიქცეოდნენ და მოიქცეოდნენ, ითქვიფებოდნენ იმაში, არსებითად რის წინააღმდეგაც იყვნენ მიმართულნი. პარადოქსია? შესაძლოა, მაგრამ ამ პარადოქსულობაში იყო თავისი იდუმალებაცა და თავისი ლოგიკაც. ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების კონფლიქტი აშკარად იგრძნობოდა. ცოცხალი თეატრალური პროცესი, ისევე, როგორც ყველაფერი, რაც ამჟვეყნად ცოცხალია, ბრძოლითა და

ტრალურად განსხვავებულ სპექტაკლში — ფლექტჩრის „ესპანელი მღვდელი“, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ — რუსთაველის თეატრის სცენაზე და მ. გორკის „ფსკერზე“ — კ. მარჯანიშვილის თეატრში. ამ სპექტაკლების ერთურობისგან განსხვავებულობა გაპირობებული იყო თვით დრამატურგიულ მასალათა ჟანრული თავისებურებითაც, მათი სტილისტიკითაც; და, — იგულისხმება, — ამ თავისებურებებიდან გამომდინარე განსხვავებული სადადგმო ხერხებითაც. ლად და ხალისიან „ესპანელ მღვდელში“ რეჟისორი მ. თუმანიშვილი იოტისო-



სცენა სპექტაკლიდან „ანტიგონე“
ანტიგონე — ზ. კვარნახილიძე, ჩაფრები — ბ. წიფურია, ს. ისნელი, ო. ზაუტაშვილი

ძიებებით იმკვიდრებდა არსებობის უფლებას, ახლის ძიების ფაქტი არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ იგი ურყევად დამკვიდრებოდა, მაგრამ მიწისქვეშა წიაღში ფუთფუთს და ბორგვას იწყებდა ის ახალჩასახული ნაყოფი, რომელიც წლების შემდეგ, ძალამოყრებილი, ახალ სიმართლედ უნდა ქცეულიყო.

აქტიორული ხელოვნების სფეროში ახალგაზრდა რეჟისორის ძიებებმა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ, თუმცა სხვადასხვაგვარად, თავი იჩინა ომისშემდგომი წლების სამ დიამე-

დენადაც არ უდებოდა კრიკაში ჩვეულებრივ კომედიურ საშუალებებს, მაგრამ სპექტაკლში ამ ხერხებსა და საშუალებებს, ამ კომედიურ „ანტიგონეტებს“ სიღრმისეული გააზრებით, იყენებდა, ისე, რომ გულწრფელ, ადამიანურ კომიკურ ემოციებს სულაც არ ანელებდა. რეჟისორმა თითქოს სადავე მიუშვაო. იმპროვიზაციული სინაუქით იყო აღბეჭდილი მსახიობთა თამაში, ხოლო მოძრაობათა მჩქეფარე რიტმი და მძაფრ, მწვავე ფორმათა გასაოცრად სწრაფი მონაცვლეობა ადრევე

თვითმიზნად დასახულ ამოცანად არ აღიქმებოდა, არამედ თითქმის თავისთავად იგულისხმებოდა, სპექტაკლის გმირთა შინაგანი ბუნებიდან, იმპულსებიდან გამომდინარე გაულევებები იყო, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, გმირთა ხასიათიდან, მათი ბუნებიდან გამომდინარე. ძველი, გულისთვის ძვირფასი ესპანეთის ცხოვრების ამსახველ ამ სპექტაკლში მაინცდამაინც არ დაგიდგენდნენ მანერულ მოძრაობებს (პირიქით, სასაცილოდ იგდებდნენ!), აქ უფრო გმირების ზოხილ-პიპილა რომლებიც კი არ გაუზუპირებიათ, გმირების ხასიათის სინაღდეზე (უფრო სწორად — დამაჯერებლობაზე), ბუნებრიობაზე; ფიქრობდნენ. და წარმოიშვა ლოგიკური კითხვა: როგორ მიაღწია რეჟისორმა მოქმედების ასეთი დინამიური, ექსპრესიული რიტმისა და კამკაშა ფორმის შეხამებას მსახიობთა თამაშის ბუნებრიობასთან, ცხოვრებისეულ დამაჯერებლობასთან? ცხადია, მსახიობებთან მუშაობის მეთოდილი! იგი აუქჩარებლად, გულდაღნიჭვებით მუშაობდა. ყოველ სცენას აშალაშინებდა, ხვეწდა, ეძებდა იმ სცენურ დამაჯერებლობას, მას იქით კი ხატოვანებას, სახიერებას და მსახიობთა თამაშის შინაგანად კანონზომიერ, გაპირობებულ ხაზს. იგი მსახიობებს ახალ და ახალ სიტუაციებს უქმნიდა — ხან ჭადრაკის თამაშს ავა-

ლებდა და ამ საჭადრაკო ორთაბრძოლის დროს წყვეტდა კონფლიქტურ სიტუაციებს; ხან ღვთისმსახურთ ეკლესიის კედელზე აკრავდა და ამ „არაკოფითი“ პოზაში მყოფთ ამუსაიფებდა, ვითომდა არაფერიც. სცენურში წრე კი ბრუნავდა და ბრუნავდა და მასთან ერთად ინტარტობდა ინტრიგები, რთულდებოდა სცენური კოლონიები.

სპექტაკლი „ჩვენებურები“ (რეჟისორი ა. დვალისვილი) ომს გვიჩვენებდა, მაგრამ ეს იყო ომი ბატალური სცენების, ჭურჭების სკდომის, გვაგებისა და სისხლის მდინარეების გარეშე. ეს იყო ომისდროინდელი ჩვეულებრივი ქართული სოფელი, სცენაზე ვეღადვდიოთ ადამიანებს, რომლებიც ერთ მონოლითად, ერთ ოჯახად შეუკრავს ქვეყნის ავადმართობას, გამარჯვების უწყვეტ რწყენას, რამაც ისინი ადამაძლავა, სულთმა და ზორციით კიდევ უფრო გაამშვენებდა. მთლიანად სპექტაკლიც და მასში მონაწილე მსახიობთა მიღწევებიც თვალნათლივ გვიჩვენებდნენ, ცხადყოფდნენ რეჟისორის სანატრესო, ღრმა ჩინაფიქრს, ოსტატურ მიგნებებს, რისი მეოხებოთაც ჩავწვდით ადამიანთა სულის ფაქიზ მოძრაობებს, ფსიქოლოგიურ ნივანებს. სპექტაკლი დადგმული არ იყო რუსთაველის თეატრისთვის დამასასიათებელი ტრადიციით, შეიძლება ითქვას, რომ ამ სპექტაკლის მანერა მხატვის აქტიორული სკოლიდან მომდინარეობდა.

ამვე მანერით დადგა ლილი ოსულიანმა გორკის „ფსევრზე“. სცენაზე სიმარტლე და დამაჯერებლობა სუფევდა, მაგრამ ეს თვითმიზნად არ იყო დასახული. ცხოვრებისეული სიმარტლე და დამაჯერებლობა არ ამიძიმება სცენურ ატმოსფეროს, ხელს უწყობდა მსახიობთა ფიქიან, გულისყურიან თამაშს. სწორედ მსახიობთა ღრმა მგრძობებოთა და წრფელი ემოციები ქმნიდნენ ხელოვნების ჭეშმარიტად რეალისტურ ნაწარმოებს, რომელშიც წინა პლანზე გამოდიოდა ადამიანი — სცენური სიმარტლის განმასახიერებელი პიროვნება.

საკიოხავია, რატომ მაინცდამაინც ამ სამმა სპექტაკლმა გამოხატა სხვებზე უკეთ იმ წლებების აქტიორული ხელოვნების ახალი ტენდენციები, ტენდენციები, რომლებიც წინა წლების ქართული თეატრის ესტეტიკურ ტენდენციებს მაინცდამაინც ვერ ეგუებოდნენ? რა აქონდათ საერთო ამ სტილისტურად, სადადგმო ლექსიკით ასე განსხვავებულ სპექტაკლებს?

ფიქრობ, რომ ტენდენციების ერთიანობა იმდენად აქტიორული შესრულების მანერაში არ უნდა გვეძია (თუმცა იგი აქაც უნდა ვეძიოთ), რამდენადაც მსახიობურ სახეებზე რეჟისორული მუშაობის სპეციფიკაში, კიდევ იმაში, რომ მსახიობები ფორმების „გამსხვილებას“, მათს „ეპიკურ სიღაღეს“ კი არ ესწარფოდნენ, არამედ აქტიორის სცენური სახის ყოფითი, ადამიანური, „მიწიერქმნილი“ პლანით აქცენტირებას.

რეჟისურის ახალი განაცხადები იოლად და უტყვილოდ როდი იკავდებდნენ ზვას. ისინი ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც იმკვიდრებდნენ თავიანთ ადგილს სცენაზე და, უწინარეს ყოვლისა, აქტიორის ხელოვნების სფეროში ამობედნენ სიტყვას, ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი გულისყურიანი, ჩადრავებითი დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო ძლიერი მოთხოვნითება ხდებოდა ქართული თეატრისათვის. ნიშანდობლივია, რომ ეს მოთხოვნითება ყველაზე უფრო თვა-

სცენა სპექტაკლიდან „ბერნარდა ალბას სახლი“. ბერნარდა — ს. ანაქილი, პანსია — ლ. ძიგრაშვილი



ლნათავ გამოიკვეთა ომის თმაზე შექმნილ პიესებსა და სპექტაკლებში. ტენდენციასა და მისი ხორცშესხმის ფორმებს შორის თავისებური კონტრასტი იყო ომისშემდგომი წლების ქართული თეატრის მიმზიდველობის ყველაზე არსებითი ნიშანი. ომის ჩვენება საარტილერიო ზალბებისა და გრანდიოზული სამხედრო ოპერაციების გარეშე, ნავალიანად, ყრუ ტკივილთ ფიქრი მასზე, ღირსიში და იუმორი, უზარალო ადამიანის კავშირი და სისარული, — აი, იმ წლების ახალგაზრდა რეჟისორებისა და მსახიობების პოეზია.

უნდა შევნიშნოთ, რომ იმ წლებში შექმნილი ყველა პიესა როდი უწყობდა ხელს რეჟისურის ძიებებს, ყველა როდი იძლეოდა ჭკუმარითად ცოცხალი, სისხლსასვე რეალისტური სცენური სახეების შექმნის საშუალებას. სიღრმისეულ კონფლიქტებზე უარს თქმა (50-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო მთლად გაქრალი დრამატურული „კონფლიქტობის“ კვალი), ცალმხრივი, შედაპირული, სწორსაზოგადი დრამატურული ნასიათები ხელს უშლიდნენ აქტიურიველი შელოვნების განვითარებას, აქტიურიველი შესრულების მაღალი დონის მიღწევას, და სცენაზე, ართუ იზვიათად, ჩნდებოდა უღიმიამო, უსახური სპექტაკლები, სტერეოტიპური ნასიათები, რომლებიც, უდავოდ, საფრთხეს უქმნიდნენ ქართული თეატრის განახლების ვერსს.

მაგრამ 50-იან წლებში იქმნებოდა ისეთი პიესებიც, რომლებიც მსახიობებს ხელ-ფეხს უხსნიდნენ და სახის შესაქმნელად სერიოზული, შთაგონებული შრომისკენ უბიძგებდნენ. შოგერითი პიესის პერსონაჟთა ბუნების „სწორსაზოგად“ გახსნა შეუძლებელი იყო, რადგან თვით ამ პერსონაჟთა ხასიათი იყო რთული და წინააღმდეგობრივი უნაწყობის შემცველი. ასე დადგა ვ. გაბისკირიას „უფსკრულთან“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გ. ლორთქიფანიძემ — ეს იყო სერიოზული, საგულისხმო სპექტაკლი. ამ სპექტაკლში ვიხილეთ მსახიობთა ოსტატობის მაღალი რეალისტური ეტალონები — ს. თაყაიშვილი ევას როლში და შ. დამბაშიძე ანთიმოზის როლში. ასეთი იყო და ალექსიძის მიერ დადგმული თ. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“, — ამ სპექტაკლის დიდ დრამატიზმს, უწიარეს ყოვლისა, ქმნიდა მთავარი გმირის — მინათის სახე, რომელსაც ს. ზუკრაძემ ასრულებდა. რამდენიმე წლის შემდეგ გ. ლორთქიფანიძე შეუდგა ნ. დუმბაძის პროზაული ნაწარმოების ინსცენირებას და მათი მეოხებითაც სცენაზე ამკვიდრებდა სიკეთისეულ საწყისთა ყოვლისმძლეობის იდეას, რაც სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ასე პრწყინდავდ წარმოაჩინეს ს. თაყაიშვილმა (ბებია), ა. ფორტოლიანმა (ილარიონი); გ. კოსტავამ (ილიკო) და ლ. ანთაქემ (ზურჩიკულა).

ნიშანდობლივი იყო ამ თვალსაზრისით სპექტაკლი „ზღვის შვილებიც“, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში გ. ხუბაშვილის პიესის მიხედვით დადგა ზ. თუმანიშვილმა. ომის წლების მკაცრი, სუსხიანი ყოფა კვლავ გაეცხლდა რუსთაველის თეატრის სცენაზე და მან თავისი კვალი დააჩნია მსახიობთა თამაშს. მოვლნათა განვითარების ცენტრში იდგა ჭარბავი მეზღვაური ბოცო, რომელსაც ე. მანჯგალაძე ანსახიერებდა. ომის თამაში ღრმა ფსიქოლოგიზმით იყო აღბეჭდილი,

უსაშველო ხალველად და ჭირსა შიგან გაძლების უნარმა ბოცო თითქმის ტრაგიკულად, მაგრამ უხმაურად, უპათეტიკოდ ტრაგიკულ სახედ აქცია.

პათეტიკი დაცხრომის ტენდენცია, ფსიქოლოგიური თეატრის პრინციპების დამკვიდრება, საზგასმულად ყოფი, ცხოვრებისეულ ხასიათების შექმნასთან დახვეწილ ფსიქოლოგიზმის შეხამება იმ წლებში სასებით გამართლებული გამოდგება. ეს იყო თავისებური რეაქცია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე. მაგრამ 50-იან წლებში წარსულის სტილურ ჩვევებსა და ხერხებზე ხელის ალების დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი. თვით ისეთ რეალისტურ სპექტაკლშიც კი, როგორც იყო „ზღვის შვილები“, რეჟისურა აქა-იქ მაინც უბრუნდებოდა ამალბებული რომანტიკულობის ხერხებსა და საშუალებებს: მოხუცი ბოცო იხსენებს ომში დაღუპულ ვაჟიშვილს. ოდნავ იმის მისი ხმა, ჩუმაღ, გულისდამთუთქველად ტირის და მისი ეს უხმაურო მწუხარება მართლაც რომ ტრადიციულია. ამ უთქმელი გამოიღ, ამ უხმაურობით უფრო ძლიერა გამოხატული მწუხარება, ვიდრე ნებისმიერი პათეტიკური მოთქმა-გოდებით. მაგრამ რეჟისორს მონუნდა, რომ სწორედ პათეტიკური ინტონაცია გაეძლიერებინა და მსახიობს „ანაკნა“ გადაუდლო“. სცენაზე გამოიღ, ამის დაღუპული ვაჟი და იწყება მათი უცნაური (უფრო ზუსტად — ემგებური) დიალოგი, რომელიც ვერა და ვერ ეხამება სპექტაკლის ტრანლობას და არდევს პარამონიას, რომელიც მიღწეულ იქნა რეჟისორის თავდაპირველი ჩანაფიქრით და მსახიობთა შესანიშნავი თამაშით.

თუმცა, საზგასმით უნდა ვთქვათ, რომ დახვეწილი, ღრმად ფსიქოლოგიური სპექტაკლი „ზღვის შვილები“ მართო „ძველი“ პათეტიკის გავლენით კი არ იყო აღბეჭდილი, არამედ იმ „ახლის“ (უფრო ზუსტად — „ნოვატორული“) ნიშნებსაც შეიცავდა, რომელიც კვებ იდგა დღის წესრიგში და თითქოს „გაფორმების“ დღეს ელოდა. მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

წარსულთან კავშირი მთლად რომ არ იყო გაწყვეტილი, ეს აქტიურიველი ხელოვნების სფეროებში ჩანდა. აქტიურიველი ხელოვნება მხელად ეკუთვნოდა ახალი სტილური ხერხების ჩარჩობებს. საუკეთესო ქართული მსახიობები ყოველთვის პირდაპირი, მთელის ძალით გამოხატავდნენ ძრწოლვას, სასოწარკვეთილებას, ისინი მღებდნენ უსახურებას თუ სისარულ გამოხატვადნენ მთელი არსებით და არა მინიშნებით. ძველი თაობის მსახიობებს უჭირდათ, არც საშუალო თაობის წარმომადგენლებს ეიოლებოდათ ხელის აღება იმ სტილურ ხერხებზე, რაც წლებში მანძილზე გაიმინავენ და როცა ცოცხა მოგვიანებით, ეს „მინიშნებები“ დამკვიდრდება ქართული თეატრის ცხოვრებაში, როგორც კეთილშობილური ძველი ტრადიციების მიმართ დაპირისპირებული ნიშანი, ვითარება გართულდება, შექმნება სინქლეგები, რომელიც ამადლეასაც წლები დასჭირდება. მაგრამ ამაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

ტრადიციებთან კავშირის შენარჩუნების მესამე მომენტში იყო რეპერტუარი. დასამალი არაა, რომ 50-იანი წლების ქართულ სცენაზე ე. წ. „ფსიქოლოგიური წყობის“ პიესების გვერდით იდგმებოდა მონუმენტური, პერიოდიული პიესები —

სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ი. მოსაშვილის „მომავლის გზა“, შილერის „მარიამ სტიუარტი“ და შექსპირის „რიჩარდ III“, ვერიბიდეს „მედეა“, ვაგა-ფშაველას „მოკვეთილი“, „ბახტარვანი“, ლ. გოთუას „გზაჯვარედინზე“, ეს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“ და ვ. დარასელიის „ეკივიტ“. ამათგან ზოგიერთი სპექტაკლი საეტაპო იყო ქართული სცენისთვის. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბევრმა მათგანმა შეიწოვა ყოველივე საუკეთესო, რაც ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის სტილური ხერხებისა და საშუალებების მიღიარ არსენალში მოიპოვებოდა, განაზოგავდა ამ თეატრის შესაძლებლობები და მიღწევები. საკმარისა და დასახელოთ ქართული ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება, დ. ალექსიძის რეჟისორული შემოქმედების გერგინი — „ოიდიპოს მეფე“.

თეატრში ორი სტილური მიმდინარეობის თანარსებობა უნეტარი ბადებდა ლესეუთი კატეგორიულ კითხვას: რომელი გზა უნდა გაბატონებულიყო თეატრში, რა გზით უნდა წარმოეთუღიყო აქტიორული ხელოვნება?

უკიდურეს თვალსაზრისებს მათი დიფერს დროს ასევე უკიდურესობამდე მიჰყავდა საქმე. ამ უკიდურესობებს, ბოლოს, შეიძლება, „ოქრის შუალედამდე“ მივეყვანეთ, თუკი მხატვრულ შემხვედრ, ურთიერთგადამტყვერტრების გამოყვეუდით, მაგრამ, „ამუშავდა“ ის უნებურით თეატრალური პროცესი, რომელიც დაეკვირვებოდა თეატრში ახალი თაობის მოსვლასთან.

აქ აღწერილი პროცესებიდან სულ ერთი-ორი წლის შემდეგ თეატრალურ ასპარეზზე გამოვა ახალი შემოქმედებითი რაზმი, რომელიც გაბედულად და გადაჭრით განაცხადებს: დროა ღირებულებები გადავფასოთ. ამ რაზმისთვის, მისი თვითდაჯერებისა და ახალგაზრდული მჯნუნებების გამოისისით, უცხო იყო მერყეობა და თავის თავის მიმართ ეჭვი. ეს თაობა წინამორბედებზე გაყვლიებით უფრო შემტკვი და გაბედული აღმოჩნდება. იგი დაუფიქრებლად კავავსა და ჩეხავს მარტყნივ და მარტყნივ ყველაფერს, რაც ცხოვრებასა და თეატრზე მის წარმოდგენებში არ თავსდება, ქედს არ მოიხრის უფროს თაობის ავტორიტეტთა წინაშე და საკუთარი შეცდომების გამო დიდ ბდილიშებს არ ბიძგის. აქტიორების საშუალო თაობამ, თაობამ ომისშემდგომი პირველი წლებისა, მხოლოდ მონიშნა ძველი ტრადიციების გადასინჯვის შესაძლებლობა, ის შესაძლებლობები პირწმინდად კი არ ურყო, არამედ მხოლოდ მათი ევოლუცია, მათში გარკვეული მხატვრული კორექტივების შეტანა მოითხოვა. 50-იან წლებში თეატრში მოსულმა ახალგაზრდობამ წინა თაობის მიერ მოფატრული „თესლი“ ნაყოფად აქცია და ტრადიციების მიმართ ბუნტარულად, ფორონტისტულად განწყობით გადამწყვეტი და აშკარა ბრძოლა გამოუცხადა და ტრადიციებს. რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ახლა ბრძოლაში ჩაებნენ აქამდე „თვინიერი“ 40-50-იანი წლების „საშუალო“ ასაკის მხაზიობებიც. თუკი თავიანთი ფიცილები სიჭაბუკის წლებში ისინი მორჩილად თუ მოტყუებოდნენ მხარდამხარ უფროს თაობის მსახიობებს („მოწყვეტ-მასწავლებლის“ იდეას ისინი გარკვეულ დრომდე წმინდად ინახავდნენ!), ახლა „საშუალო“ თაო-

ბის მნიშვნელოვანი ნაწილი უმცროს კოლეგებს შეუერთდა, რადგან ჩათვალა, რომ ეს გზა მისთვის იქნებოდა წარსულის „ფერფლისგან“ განწმენდის, განახლების გზა. „შუათანანი“ და „ურჩემენანი“ ჰეროიკასა და რომანტიკას უკვე ერთხმად აცხადებდნენ ანაქრონიზმად, ჰეროიკასა და რომანტიკას აიგივებდნენ ხელოვნებისათან, ყალბ პათოსთან, ხილო „ძველებს“ რეტორგარდებდა და კონსერვატორებად რაცხავდნენ. ახალგაზრდობა გულმშვიდად მოიწმენდა „ტლახის ბელტებს“, რითაც მას შეხვდებინა კრიტიკა და უფროსი კოლეგები, იგი არ შეუმინდება პოლემიკასა და თვით მოსალოდნელ მარტყსაც კი და თავდაჯერებულად დაადგება თავის გზას.

ქართულ თეატრში ჰეროიკულს მიუყვების ხანა მთავრდებოდა. მისი მობრუნება ძნელი საქმე გახლდათ, ჰეროიკული ახალგაზრდობის შეგებაში უკვე ეთივებოდა ხელოვნებაში „პარადულ“, წინააღმდეგობრიობათა მიჩქმქალავ ტენდენციებს, რომლებსაც არცთუ დიდი ხნის წინათ ავკვიდრებდა ძლევამოსილება და ნება კანონისა, რაც წარმოსახებოდა ერთი პიროვნების ძლევამოსილებად და ნებად. ახლა სცენაზე ჰეროიკის კვლავ გაბატონების გაბუბდავი ცდები ღიმლის-მომტყვერით იყო. მაგრამ თეატრები მაინც დილობდნენ მისთვის ხარკის გაცემას. სწორედ ასეთ ხარკადა მისაჩნვეი „ამირანი“ (რუსთაველის სახ. თეატრი), „დალიატი“ (მარგანიშვილის სახ. თეატრი) და ზოგი სხვა სპექტაკლი, იბრძობისთვის ეს სპექტაკლები აშკარად შეუფერებელი ჩანდა და ნამდვილად ვაყვალასულ, თავისი ჭეშმარიტ არსისგან დაცილდომგვლენებად აღიქმებოდა. ჩანდა, რომ მათ უკვე „ჩაილურის წყალი“ ჰქონდათ დალეული, ხოლო ამ სპექტაკლებით დემონსტრირებული აქტიორული ხელოვნება მართლაც რომ უღიმღამო, ფერმტრალა სცენურ ცხოვრებად აღიქმებოდა.

აშკარა იყო, რომ ახალი პროცესები დაიწყო.

50-იან წლებში მ. თუმანიშვილმა დადგა უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სპექტაკლმა მისცა უშუალო ბიძგი იმ წლების თეატრალური ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ახალ, უფრო სწორად, „ნოვატორულ“ მისწრაფებებს.

50-იან წლებში წარმოიბილი ტენდენციები, როგორც პროტესტ ტრადიციების წინააღმდეგ, უსადგებოდა მოღის ინერციას, რომელიც, ასე ვთქვათ, „გარედან“ მოდიოდა. ტენდენციებისა და ინერციის შერწყმა ნიადაგ ქმნიდა ახალი ესთეტიკური პოზიციის ფორმირებისათვის.

ეს ახალი ესთეტიკური პოზიცია ექსტრაორდინარული, განსაკუთრებული არ ყოფილა. გარკვეული აზრით, ეს პოზიცია ასახავდა იმ ეტაპზე საბჭოთა თეატრისთვის ნიშანდობლივ საერთო პროცესებს. ქართული თეატრის პირობებით ყოველივე ეს თავის სპეციფიკურ სახეს და იერს იღებდა.

თუმცა, როგორც გაირკვა, ნოვატორების პოზიცია ძალზე სუსტი, სერიოზულ სუფიფელს მოკლებული აღმოჩნდა. ამა, სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო? რეჟისორული ექსპერიმენტი (სწორედ ასეთი კავალიერაკაცია შეიძლება მივეყვ 50-იანი წლების ახალგაზრდა რეჟისორის ძიებებს) უკვე აქტიურად და თამამად მთარვევდა გზას, ხელმძღვანელობდა

რა პრინციპით — „რაც გნებავთ, ყველაფერი, ტრადიციებს გარდა“ მსახიობები კი მოდას ფუნდაფუნ ვერ მისდევდნენ, ვერ ასწრებდნენ ამას. უფროს და თვით „შუათანა“ თამაზსაც კი არ შეეძლო საბოლოოდ გაეწყვიტა გავიძირი თამაზის შესისხლორცეულ მანერასთან, ხერხეთან და საშუალებებთან; ახალბედები, რომელთაც საკმაო გამოცდილება და ტექნიკა არ გააჩნდათ, ძნელად ეუფლებოდნენ თამაზთან და მეტყველების „ძველ“, ზეაწეულ ფორმას, ამიტომ მსახიობთა თამაშში გამოისახა იოლად ფონს გასვლის ტენდენცია. შესამჩნევი გახდა ზერელე, ზედაპირული დამოკიდებულება მეტყველებებისათვის (მოდად იქცა სცენაზე ჩუმი, მოთენთილი, მიგვედული ხმით საუბარი), ამას კი, თავის მხრივ, შედეგად აქტიორული ტექნიკის დავეციოთება მოჰყვა. ყოველივე ამან, მთლიანობაში, გამოკვეთა აქტიორთა თამაშის გარკვეული სტილი (მანერა), რამაც მსახიობები იქმნა მიიყვანა, რომ მათ არა მარტო არ სურდათ, არამედ არც შეეძლოთ სხვაგვარად თამაში, და ეს მეორე ტენდენცია პირველზე გაცილებით უფრო საშიში აღმოჩნდა. ბოლოსდაბოლოს, შეუდარებლად უფრო ადვილი იყო გათავისუფლება „მემარცხენეობის საყმაწვილო სენისგან“, ვიდრე პრინციპისგან — „ვითამაშობ ისე, როგორც ცხოვრებამაში“, რომელიც მარჯვედ შენიღბული „სისტიმში“ საფრთხი არსებობდა. ამ თვისების რეალიზაციისთვის „თსლი“ რამდენიმე წლით ადრე იყო დათესილი — ამაზე უკვე მოგახსენებ, მაგრამ იქ „თსლი“ მართლაც რომ ნოყიერ, მაღალი მიწაში ხვდებოდა — მსახიობებს შეეძლოთ ცხოვრებისეული მასალა მისი შესატყვისი თეატრალური ფორმით შეემოსათ. მსახიობთა საშუალო თაობისთვის იოლი გზით ფონს გასვლის წადილი ისეთი საშიშროებას არ ქმნიდა, როგორც ჯერ მუსულგამგარებელი ახალბედებისთვის. საშუალო თაობის მსახიობებს, ასე თუ ისე, უკვე მიღებული ჰქონდათ წირობა, ახალგაზრდები კი ჯერ ვერ ფლობდნენ ამ არსებას და იგი მათთვის შეიძლებოდა დარჩენილიყო „საგანად თავისთვის“.

ასევე მოხდა. თუხისი — „ვითამაშობ, ისე როგორც ცხოვრებამაში“ — უძლეური სულაც არ გამოდგა და ამის შედეგად თეატრიდან თანდათან გაქრა სახიერება, ხატოვანება, ყოვალისა თუკრი დღესასწაულის შეგრძნება, რაც, უწინარეს, თეატრალის, მსახიობების თამაშის შედეგად იქმნებოდა. თეატრიდან ქრებოდა ის, მთავარი, კაცმა რომ თქვას, რითვისაც არსებობს თეატრი — ხელმეორება მსახიობის გარდასახვისა. ამის ადვილს იმკვიდრებდა ის, რასაც მსახიობის გამომსახველობითა საშუალებათა მომჭირნეობა, სცენური უბრალოება, ლაკონიზმი შეერქვა.

რუსთაველის სახელობის თეატრმა „მცირე სცენაც“ გახსნა, სადაც სრულს შეექმნათ ლამის ახალი კამერული ელერაობის თეატრი, რომელშიც მსახიობებს უნდა ეთამაშათ „ისე, როგორც ცხოვრებამაში“, — ამ თეატრის ტონის კამერულობა, „ხუნტირები“ მეტყველება და ემოციურის დაცხრობა, მიხეზერთვარი მხატვრულ კრედიდ წარმოისახეს. ახალი ტენდენციის „მეზოირი“ გახდა სპექტაკლი „ბრალდება“. პიესის ავტორები და რეჟისორები რ. სტურუა და გ. ჭავჭავაძე სპექტაკლის მონაწილეთაგან ბევრს არ მოითხოვდნენ. სპექტაკლის

მანერა სამივე პორტრეტში ფართოა, ყალმის მონასში პასტოზური, ზოგ ადგილას რელიეფურიც კი. მაგრამ თუკი „მოხუცი მასწავლებელთან“ ეს მონასში შედარებით სწორი და ნაკლებად მოძრავია, რაც კომპოზიციის ფონტალობასთან ერთად, სიმკაცრესა და სიღარბიანულს ანიჭებს გამოსახულებას, „ბერეტინი მოხუცის“ სახე, ოდნავი რაკურსისა და მონასშია დინამიკური მოძრაობის წყალობით, ერთგვარ მოუსვენრობასა და მშფოთვარე იერს იძენს. იმავე მიზანს ემსახურება პორტრეტის ფერიით გადაწყვეტა. თუკი „მოხუცი მასწავლებელთან“ ფერთა გრადაცია ყავისფერის ტონთა ფარგლებში მიმდინარეობს თეთრასთან შეხამებით, „ბერეტინი მოხუცის“ ფერთა გამა თეთრის, ვერცხლისფერის, ღია ოქრისფერის, ალაგ-ალაგ ბაცი წითლისა და ღვივნისფერის უფაქიფესი შეხამებითაა აგებული ისე, რომ შორიდან შეხედვით ყველა ეს ფერი ღია მოყავისფრო-მოვერცხლისფრო კოლორიტით ერთიანდება.

პორტრეტულ ნამუშევრებში ყველაზე ნათლად გამოვლინდა თემო ჯაფარიძის პიროვნება, მისი მსოფლშეგრძნება. ყოველი პორტრეტი ადამიანის მიმართ უდიდესი თანაგრძნობითა და თანაღმობითაა გამთბარი, თითოეულ სახეში მხატვარი თავის უსაზღვრო სიყვარულსა და დიდ ტკივილს აქოვს. ადამიანში თემო ჯაფარიძე ეძებს ინდივიდუალურს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელს, იმას, რაც შეადგენს თითოეუ-



ლია სასადილო
მამაკაცი შანლით



ლის პიროვნებას და ამგვე დროს, იმ საერთოს, რაც მას სხვა ადამიანებთან აახლოვებს და რაც ადამიანური ბუნების ერთიან საწყისს გამოხატავს. პორტრეტებში ხელოვანი ემპირიული, გარეგნული მსგავსებისაკენ ჯი არ ისწრაფვის, არამედ შინაგანი, ესთეტიკური მსგავსებების გადმოცემას ცდილობს, იმ მსგავსებისა, მხატვრის ნიჭს, მის ინტუიციას და ფაქიზ, დახვეწილ გემოვნებას რომ ემყარება.

თემო ჯაფარიძის საუკეთესო პორტრეტულ ნამუშევართა რიგშია შინაგანი ექსპრესიით აღსავსე „მაგულის პორტრეტი“, რომელშიც ფერწერული ხერხების ლაკონურობითა და მსუყვე, მკვირივი ყვიისფერისა და გამჭვივრადე, პაერთოვანი ცისფერის უფაქიზესი ფერადოვანი შეხამებით მხატვარი საოცარი მხატვრულ ეფექტს აღწევს, სულს შთაბერავს ქალის გამოსახულებას. სახის ინკარნატი შედარებით გლეგია. პირისფერს ოდნავი სიციხფრე დაჰკრავს. ცისფერნარევი თეთრათია დაწერილი ბერანგი, თავსაკარგი, მონიშნულია მაგიდა და ყვავილებიანი ლარნაკი. მუქ ფონზე გამჭვივრადე ფერთა მოძრაობა სინაშესა და სინატიფეს ანიჭებს ნაწარმოებს.

პაერთონება გამოარჩევს სევდიანი ლირიზმითა და სინაზით აღსავსე „ელოის პორტრეტს“. ამ ნამუშევარში კიდევ ერთხელ გამოვლინდა თემო ჯაფარიძის ფერწერული მეტყველების „მდიდრული სისადავე“, კომპოზიციური ოსტატობა და მაღალი გემოვნება. წინა პორტრეტთან შე-

დარებით კარნაცია ამ ნამუშევარში მოცულობით-ფერწერულია. პორტრეტის კოლორისტულ საფუძველს შავი, მუქი ყვიისფერი, რუხი და ცისფერი ფერების მონაცვლეობა წარმოადგენს. მუქი ტონების ეს სისადავე ნატიფადაა გამიღვრებული წითელი და ალაგ-ალაგ ყვითელი (მაგალითად, საყურის ყუნწი) წვრილი ფერადოვანი მონასმებით.

თემო ჯაფარიძის შემოქმედებით ხედვას კარგად ამჟღავნებენ მისი ბოლოდროინდელი პორტრეტული კომპოზიციები: „სანდრო“, „ქალბატონი ტასო“, „ჯამბაზი“, „მოხეტიალე მუსიკოსი“, „სოლოლაკელი ქალბატონი“, „მამაკაცი შანლით“, „ორი ქალიშვილი“, „ძველმანების გამყიდველი“ და სხვ. ამ პორტრეტებით თემო ჯაფარიძემ შექმნა უჩვეულო, განუმეორებელი და თვითმყოფადი მხატვრულ-სახოვანი სამყარო, თვით მხატვრის უდიდესი სიყვარულითა და თანაგრძნობით გამოზარი ყველაზე უკეთეს წარედ აქ ჰპოვა გამოსახულება ტრაგიკულობის იმ შეგრძნებამ, იმ უსაზღვრო სევდამ, რომელსაც ადამიანის უშუქობა, მიუსაფრობა, უნუგეშობა და შინაგანი დაუცველობა იწვევს ხელოვანში.

ამ პორტრეტებში კიდევ უფრო ამაღლდა და დაიხვეწა თემო ჯაფარიძის ფერწერულ-კომპოზიციური ოსტატობა, ფართო და ლაღი გახდა წერის მანერა, მოცულობითობა შეემატა სახეთა მოდელირებას, ახალ სიმაღლებს მიაღწია კოლორისტული აზროვნების დონემ.

ჭემშიარტი არტიტიზმი და მაღალი ოსტა-
ტობით შესრულებულ ამ პორტრეტებში შეიგ-
ნნობა XVI-XVII საუკუნეების უდიდეს პორტრე-
ტისტა — რემბრანდტის, ჰალსის, ველასკესის,
გოიას გაკვეთილები. მაგრამ პოლანდიური და
ესპანური პორტრეტული ფერწერის ამ დიდე-
ბული ოსტატთა მხატვრული მიღწევებით
ჯაფარიძის ნამუშევრებში ტრანსფორმაციას გა-
ნიცდის მისი შემოქმედებითი ტემპერამენტის,
ხელოვნების თანამედროვე მოთხოვნებისა და თა-
ვად ქართული ფერწერის ეროვნული თავისებუ-
რების გათვალისწინებით.

„ქართველ მხატვარში ფიროსმანისივე უნდა
აღმოაჩინო, როგორც ლეონარდოში ჯოტო“, —
ხშირად ამბობს თემო ჯაფარიძე ეროვნული
ფერწერის თავისებურებათა შესახებ საუბრისას და
მხატვრის ბოლოდროინდელ პორტრეტებში მართ-
ლაც შეიგრძნობა ფიროსმანისიველი ფერ-
წერის ის ძირითადი პრინციპები, რომლებ-
მაც ბიძგი მისცა თემო ჯაფარიძის ფერწერული
აზროვნების განვითარებას. მაგრამ ყოველივე,
რაც მის ყალმს შეუქმნია, უადრესად პირვნე-
ლია, ყოველ ნამუშევარს გარემოს საკუთარი, ორი-
გინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი
ხედვა გამოარჩევს.

რომანტიკული ამაღლებულობითა და იდუმა-
ლი ტრაგიკულობითაა აღსავსე სახე მოხეტიალე
მუსიკოსისა, რომელსაც განსაკუთრებული ადგი-
ლი უჭირავს ამ პერიოდის პორტრეტებს შორის.
თითქოს ღამის წყვედიდან ამოზრდილა მისი
იერი — ნაცნობი, ბავშვობის მოგონებებით გა-
ცოცხლებული. ყალმის რამდენიმე, ძალზე გამო-
მსახველი მონასმით გამოიკვეთს ფონიდან მხატ-
ვარი მის ფიგურას, აღნიშნავს მხოლოდ მთავა-
რსა და დამახასიათებელს. ესკიზურად დაწერილი
ხელების მანერული ფესტი, აშლილი თმა, სამო-
სის კონტურის მომხაზველი ხაზის სიმსუბუქე და
დინამიზმი წარმოაჩენს მუსიკოსის არტიტულ
ბუნებას, მის ტემპერამენტს.

ჯერ კიდევ ცდილობს შეინარჩუნოს გარდასულ
დროთა მომხიბვლელობა „სოლოაკლმა ქალ-
ბატონმა“, რომელიც მხატვარს ღამის ქალაქის
ფონზე გამოუსასვს. მოცულობითად დამუშავე-
ბული, სხვადასხვა მიმართულებისა და ტონალუ-
რი სიძლიერის მონასმებით მოდელირებული მი-
სი სამოსის მოლივივე ფერცლისფერი გამა-
ლამავ კონტრასტშია წითელ ცხვირსახოცთან,
რომელიც ერთგვარი კამერტონის როლს ასრუ-
ლებს უნაზეს ფერადოვან შეფარდებათა ორგა-
ნიზებაში.

ღრმა ფსიქოლოგიზმი გამოარჩევს მაღალი გე-
მოვნებით შესრულებულ „სანდროს პორტ-
რეტს“, რომლის კოლორიტი მუქ ყავისფერთან
სხვადასხვა ინტენსიობის წითლისა და ღრმა,
რადაც შინაგანი სინათლის გასხვივონებული
მწვანე ფერების შესამებობაა აგებული. ქალბა-
ტონი ტასის გულბრწყინობით აღსავსე სახე
ხომ ვერავის ვერ დატოვებს გულგრილს. ამ მე-
ტად თავისებური პორტრეტის სვედიანი იუმო-
რით აღსავსე განწყობილებას ნაზ, ლირიკულ
ელფერს ანიჭებს ის ფერადოვანი გამა, რომე-
ლიც მხატვრის აპსტრაქტული პერიოდის ძიე-
ბათა რემინისცენციადა აღიქმება.

თემო ჯაფარიძის პორტრეტულ ნამუშევართა
ფონი, ანტურაჟი, ზუსტად მიგნებული ემოციურ-
ფსიქოლოგიური ატმოსფერო, კოლორისტულ და
ფერწერულ გადაწყვეტასთან ერთად, კიდევ უფ-
რო სრულად წარმოაჩენს მისი ტილოებიდან სა-
ოცრად მეტყველი — ზოგჯერ სვედიანი, ხან კი
გაოცებული თავლებით მოზირალ პერსონაჟთა
სულიერ სამყაროს.

უკანასკნელ ნაწარმოებებში მხატვრის კოლო-
რიტმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა. მუქი
ფერადოვანი შესამებები ნათელმა პლენერულმა
ფერებმა შეცვალა. ამაგარი კოლორისტული
სტრუქტურა დაეღო საფუძვლად თემო ჯაფარი-
ძის პეიზაჟებსა და განრულ კომპოზიციებს „მე-
მოდგომის ქარი“, „სასადლო სანაპიროზე“,
„მწვანე ეზო“, „ღია სასადლო“ და სხვ.

როგორი იქნება თემო ჯაფარიძის კოლორის-
ტული ძიებები, ამაჲ მხატვრის შემდგომი ნამუ-
შევრები გეიგვწყნებს. მაგრამ ამ ძიებათა მიმარ-
თულების მიუხედავად, თემო ჯაფარიძის შემო-
ქმედების მთავარ ამოცანად მუდამ დარჩება
სწრაფვა უშუალო, ამავე დროს ორიგინალური,
მართალი და ღრმა ხელოვნებისკენ.



ახალგაზრდობასთან გუგაობის სისხარული

ნანა ვოლინა

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის შესახებ დრად ემზადებოდა. ინსტიტუტის დრამისა და ტელეხედიის რეჟისურის კათედრის გამგემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა დიმიტრი ალექსიძემ ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად დასადგმელად აირჩია ბორის ლაერენცის პეისა „რღვევა“.

დადგმაში მონაწილეობდნენ დ. ალექსიძის მოწაფეები, სამსახიობო განყოფილების მესამე-კურსელები, რუსული, დაღესტურის, ოსური თუ სხვა ჯგუფის სტუდენტები.

დაკვირვებები და მომთხონი პედაგოგი შეუღდა თავის ყველაზე საყვარელ სამუშაოს — რეპეტიციებს.

„რა ზედნიერება იქნებოდა, მთელი ჩემი მოღვაწეობა მხოლოდ რეპეტიციებისაგან რომ შედგებოდეს!“, — ამბობს სახელოვანი რეჟისორი.

ამრიგად, დაიწყო დაძაბული და ბეჯითი მუშაობა სპექტაკლზე. მომავალი მსახიობები გაატყვებით, ენერჯის დაუზოგავად ასრულებდნენ თავიანთი მასწავლებლის მითითებებს და სცენაზე პირველად, სერიოზულ ვითარებაში ქმნიდნენ მხატვრულ სახეებს.

აღსანიშნავია, რომ ლაერენცის „რღვევა“ თავისებურ საეტაპო პიესად იქცა დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში თბილისის პირველი საშუალო სკოლის სცენაზე წარმოადგინეს „რღვევა“. დადგა იგი გამოსაშვები კლასის მოსწავლემ დოდო ალექსიძემ. რეცენზია სპექტაკლზე დაწერა ცნობილმა კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა. წარმოდგენის წარმატება უდავო იყო და მან პროფესიის არჩევანის გუშანი გაამყარა, ახალგაზრდის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო — დოდო ალექსიძე მოსკოვს გაემგზავრა სასწავლებლად.

„რღვევა“ დ. ალექსიძის შეუყვარდა უფრო ადრე, როდესაც სრულიად ჭაბუკმა საბჭოთა თეატრის დიდი რეჟისორის სანდრო ახმეტელის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული „რღვევა“ იხილა. სწორედ სანდრო ახმეტელი იქცა შემდგომ ალექსიძის შემოქმედებით მოძღვრად. დამწყები რეჟისორისა და უკვე ცნობილი შემოქმედის მჭიდრო საქმიანმა კონტაქტმა შეუწყო ხელი დ. ალექსიძის მოსვლას რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც გაატარა კიდევ ოცდაათი წელი, რომელთაგან ათი — მხატვრულ ხელმძღვანელად იმუშავა.

მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში იგი სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს უახლოესი თანამუშაოკმედის, რეჟისორ ი. სუდაკოვის მოწაფეა, სუდაკოვასა, რომელსაც ეკუთვნის ვიენისის „ჯაეშნოსანი 14-69“, მ. ბულგაკოვის „ტურბინთა დღეების“, ლ. ტოლსტოის „ადდგომის“ დადგმა სამხატვრო თეატრში. გამოჩენილი პედაგოგი თავის მოწაფეებს გადასცემდა სამხატვრო თეატრის გამოცდილებას, სადაც ყალიბდებოდა დაუღალავი რეფორმატორისა და ექსპერიმენტატორის სტანისლავსკის ისტეპია.

სუდაკოვი, თავის მოწაფეებს სამხატვრო თეატრის საქმიანობას აცნობდა და ამით უხსნიდა მათ თეატრის კორიფეებს შემოქმედებითი სახელოსნოს კარს.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნა დ. ალექსიძემ შემოქმედებითად გააცნობიერა და გამოიყენა ქართულ თეატრში პრაქტიკული მუშაობის პროცესში, ამასთან, მან გაავრ-

ძელა ქართული თეატრალური ხელოვნების ტრადიციები.

მრავალმა წელმა გაიარა იმ დროიდან და ლაერენციის „რღვევა“ კვლავ ადღვლევა უკვე პროფესიულად მოწოდებული ოსტატი. 1967 წელს დ. ალექსიძემ ჩვენი ქვეყნის 50 წლის-თავთან დაკავშირებით, კიევის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრში მეორედ დადგა ეს პიესა.

დიდი ტემპერამენტით, შემოქმედებითი წვით ატარებდა იგი ყოველ რეპერტუარს, მომავალ მსახიობებს აღანთებდა და მათთან ერთად მაღალმსატრეულ დონეზე წყვეტდა რთულ შემოქმედებით ამოცანებს, კვლავად გმირთა სახეებს.

პრემიერა შედგა იუბილუს წინა დღეებში, თეატრალური საზოგადოების სცენაზე — აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში.

სპექტაკლის დადგმისადმი სერიოზული მიდგომით დ. ალექსიძე ინსტიტუტის სტუდენტთა ახალგაზრდულ კოლექტივს ჩააგონებდა პასუხისმგებლობას — დიად თარიღთან დაკავშირებით მათზე დაკისრებული შემოქმედებითი ამოცანის გამო. ამასთან ერთად, მუშაობის პროცესში იგი წერგავდა იმ პრინციპებსა და მეთოდებს, რომელთა პროპაგანდა ჭეშმარიტი ხელოვანის ოსტატის მოწოდებაა — ეს პროფესიულობის გრძნობის აღზრდაა სტუდენტობის წლებში, და, ბოლოს, ძალზე მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ფაქტორი — სტუდენტებში ნამდვილი ადამიანური თვისებების აღზრდა, რომლებიც ახალგაზრდა მსახიობს საბჭოთა თეატრის გამოწევილ ოსტატთა რიგებში ჩააყენებს.

შემდგომში ხომ ამ ახალგაზრდებს დაეკისრებათ დიადი მისია — ახალ თეატრალურ თაობათა აღზრდის მისია.

აღსანიშნავია, რომ „რღვევის“ მონაწილე სტუდენტი-მსახიობები ენერჯისკის მშენებლებთან ჩავიდნენ კულტურის სახალხო უნივერსიტეტის გახსნის დღეს. იმ საღამოს სპექტაკლის მავურებლები სტუდენტთა მსახიობური ნათლობის მოწმე მშენებლები იყვნენ. წარმოდგენამ ენერჯისკელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

სპექტაკლის შემდეგ თავიანთი აზრი გამოთქმეს მშენებლებმა, საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ წარმოდგენის მონაწილენი. ენერჯისკის კულტურის უნივერსიტეტის რექტორმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დიმიტრი მჭედლიძემ აღნიშნა, რომ ეს საჭირო წამოწყება უნდა განვითარდეს და შემდგომშიც ამ დიად მშენებლობას ეწვიოს ხოლმე სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები და კულტურის მოღვაწენი.

დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე „რღვევას“ ქალაქ ქუთაისში, სადაც სპექტაკლის მონაწილენი მიწვეული იყვნენ, როგორც ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მომავალი მსახიობები. ეს ჯგუფი ხომ საგანგებოდაა შეკრებილი ქუთაისის დრამატული თეატრის დასის შესავსებად.

მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსატრეულმა ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა მომავალ მსახიობებს და გამოთქვა რწმენა, რომ ჯგუფი ქუთაისის თეატრის ღირსეული შეესება იქნება.

რაც შეეხება ამ სპექტაკლის ჩვენებას მოსკოვში, ამაზე თავად დ. ალექსიძე აღნიშნავს: „ამ მიწვევის ინიციატივა ეკუთვნის საკავშირო ალექცენტრალურ კომიტეტს და დაკავშირებულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებასთან „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. საკავშირო ალექცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა, როდესაც სპექტაკლი ნახეს თბილისში, აღნიშნეს თეატრალურ ინსტიტუტში პარტიულ-აღმზრდელი მუშაობის მაღალი დონე და სხვა ახალგაზრდულ შემოქმედებით ორგანიზაციებთან ერთად ლაერენციის „რღვევა“ იქნა რეკომენდებული ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სარჩვენებლად“.

საკავშირო თეატრალური ინსტიტუტის ახალგაზრდულ სცენაზე შედგა სპექტაკლის გასინჯვა. ინსტიტუტის რეჟისურის კათედრის გამგემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ი. თუმანოვმა მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდების ნამუშევარს, საზი გაუსვა ჯგუფის ხელმძღვანელის დ. ალექსიძის უდიდეს შემოქმედებით ენერჯისკის, მის ახალგაზრდულ შემართებას და აღნიშნა: „გამოცა იმ სახალხო, ტემპერამენტმა და უმუალობამ, რაც შეინიშნება გმირთა სახეების განხორციელებაში“.


მოსკოვში, საკავშირო თეატრალური საზოგადოების იაბლოჩკინას სახელობის მსახიობის სახლი სტუმრებს შეხვედრა მოუწევს. შეხვედრის ორგანიზატორი იყო საზოგადოების შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭოს გამგებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის მარის ლიუპას ხელმძღვანელობით.

ორატორებმა ილაპარაკეს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პრინციპულ განსწავებაზე ზოგი სხვა უმაღლესი თეატრალური სასწავლებელსაგან, რომლებიც საჭიროდ არ სთვლიან, რომ მომავალი მსახიობები სტუდენტობის პროცესში გაეცნონ რთულ და მწვავე თეატრალურ

ლურ ფორმებს. ეს უფრო გვიანი ეტაპებისთვის გადააქვთ, რაც ხელს უშლის მომავალი მსახიობის ბუნებრივ თვისებათა და შესაძლებლობათა გამოვლენას ინსტიტუტის კედლებში. ზოგან ახალგაზრდა ინსტიტუტს ტოვებს თეორიული ცოდნით აღჭურვილი, მაგრამ ძალზე მწირია მისი პროფესიული ჩვევები და მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზების უნარი, გამოცდილება. ეს რთული პროცესი მხოლოდ თეატრში მიმდინარეობს. დ. ალექსიძის „რღვევა“ დაასახელებს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში დანერგილი აღზრდის მეთოდის შედეგიანობის საუკეთესო მაგალითად, ინსტიტუტის მიერ აღებული სწორი მიმართულების აშკარა გამოხატულება.

საინტერესოაა გადაწყვეტილი საქტაკლის

დ. ალექსიძე თეატრალური ინსტიტუტის 111 კურსის სტუდენტებთან რეპეტიციის დროს



მასობრივი სცენები, რომლებიც ასახვენ მასების რევოლუციური განწყობილების ზრდას. ეს აქცენტი ქართული საბჭოთა თეატრის ტრადიციების გაგრძელებას მოწოდებს.

ბუნებრივია, ვისაც ახსოვს ს. ახმეტელისეული „რღვევა“, მას ამ საქტაკლის ნახვისას უნდება მეგვიდრეობითობის შეგრძნება და არაერთარ შემთხვევაში დაესხებოდა. ეს იმ ტრადიციის განვითარებაა, რამაც თავის დროზე ქართულ თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

შემდეგ გამოვიდა დ. ალექსიძე. მან აღნიშნა, რომ საქტაკლის განხილვა უნებურად გადაზრდება მსახიობთა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხებზე დისკუსიაში, ხაზი გაუსვა იმ ასპექტებს, რაც აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს თეატრალურ ახალგაზრდობასთან პედაგოგიურ მუშაობაში.

კერძოდ, მან თქვა — „მაღლებებს, ჩემის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემები. ერთი მათგანი გარდასახვის პრობლემაა. როდესაც სტანისლავსკი მოუწოდებდა, რომ მსახიობისთვის სახეზე მუშაობისას ამოსავალი ყოფილიყო საკუთარი თავი, რა თქმა უნდა, ის არ გულისხმობდა თავის თავთან დაბრუნებას, არამედ თანდათანობით გადასვლას თავისი თავიდან გმირის წარმოსახვაზე. ჯერ კიდევ ინსტიტუტის კედლებში უნდა შეიცნოს მომავალმა მსახიობმა ამ მეთოდის მთელი სირთულე. გმირის განსახიერებისას მოვითხოვთ ორგანულობას, მაგრამ ვვარაუდობთ არა მხოლოდ ორგანულად ყოფნას სასცენო მოედანზე, არამედ სახის წარმოსახვას ორგანულად. აქ ლაპარაკია ფსიქოლოგიურ გარდასახვაზე, ფსიქიკის გარდაქმნაზე მთლიანად, რაც სცენური სახის მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

თანამედროვე თეატრში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აგრეთვე ეთიკურ მხარესაც. თეატრი შეიძლება გარდეროზიდან არა, მაგრამ ეთიკიდან კი უნდა დაიწყოს. სხვაგვარად თეატრი უსიცოცხლო შემოქმედებით ორგანიზმად იქცევა.

დღეს ახალგაზრდობას ბევრი შესაძლებლობა აქვს. მასვე კუთვნის ხვალისდელი დღეც. ამიტომ, სასურველია, რომ თეატრი საიმედო ხელში მოხვდეს“.

დ. ალექსიძემ აღნიშნა ხელოვნებისა და კერძოდ, თეატრის საქმიანობისადმი პარტიისა და მთავრობის ის მუდმივი ზრუნვა და ყურადღება, რომლის კიდევ ერთი დადასტურება იყო პარტიული დოკუმენტი „შემოქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

მსოკველმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ვ. რიკოვამ, დ. ალექსიძის თეატრალური პედაგო-

გიკის შესახებ თქვა: „ალექსანდრის „რღვევა“ ალექსიძის დადგენით პირველ რიგში მსახიობურის სპექტაკლია. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც პედაგოგი ჩრდილავს სტუდენტ-მსახიობს ოსტატურად დადგმული სცენებით, ნიღაბს მის პროფესიულ უცოდინარობას და არ ხსნის მის შესაძლებლობებს. ასეთ შემთხვევაში მაყურებელზე შემოქმედება რეჟისორული ხერხებით ხდება. „რღვევაში“ კი ასე არ არის.

სტუდენტთა ნაწილმა ჩინებულად გაართვა თავი რთულ აქტიურულ ამოცანებს, ნაწილმა ნათლად დაინახა რა შეუძლია და რას უნდა დაეუფლოს შემდგომში.

ეს სპექტაკლი მესამეკურსელებისაა, ჯგუფი პერსპექტიულია და საფუძვლი გვაქვს, ვთქვათ, რომ ქუთაისის დრამატული თეატრი ღირსეულ შესვლას მიიღებს“.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ მარის ლიებამ აღნიშნა, რომ აუცილებელია მჭიდრო კონტაქტის დამყარება მოკავშირე რესპუბლიკის თეატრალურ საზოგადოებებთან, და კერძოდ, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან. ჩვენთანაც და იქაც გროვდება გამოცდილება, რომლის ურთიერთგაზიარება აუცილებელია იმ საპასუხისმგებლო ამოცანების უკეთ გადაჭრის თვალსაზრისით, ჩვენი კავშირის წინაშე რომ დგას.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მომუშავე კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ო. პიოვაროვს „რღვევა“ ჯერ კიდევ თბილისში ენახა. მან თქვა, რომ ამ სპექტაკლში წარმატებითაა გადაწყვეტილი კოლექტივის წინაშე დასმული ამოცანები. ეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მთელი კოლექტივის დიდი მიღწევაა.

ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა გიორგი შერბინმა გამოთქვა იმედი, რომ ამ სპექტაკლს ფართო საზოგადოებრიობა ნახავს, ვინაიდან იგი წარმატებით და სერიოზული პედაგოგიური ნაშრომია დ. ალექსიძისა — თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორისა.

კრიტიკოსმა ა. ვოლფსონმა დაწვრილებით განიხილა სპექტაკლი და აღნიშნა მოსკოველი მაყურებლის გულწრფელი ინტერესი საერთოდ ყოველი ქართული კოლექტივის მიმართ.

„არც ამ სტუმრობამ გაგვიმტყუნა იმედები, — თქვა მან, — სპექტაკლ „რღვევასთან“ შეხვედრა ჩვენთვის ზეიმაღ გადაიქცა. ჩვენ ვნახეთ ახალგაზრდა შემსრულებლები და კიდევ ერთხელ ვეზიარეთ გამოჩენილი რეჟისორისა და პედაგოგის დ. ალექსიძის ტალანტს. განსაკუთრებით

აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მასობრივი სცენების დადგმის ალექსიძისეულმა ოსტატობამ, კომპოზიციის აზრობრივი და გრაფიკული აგების მისმა ხელწერამ, რაც ბევრ თეატრში მივიწყებულია.

ქართველ სტუმრებთან შეხვედრაზე ყველანი საერთო თვალსაზრისს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, რომ თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს სწორი მიმართულება აქვს ალბუელი, რაც განსაზღვრავს საერთოდ თეატრალური სკოლის განვითარების გზას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დიმიტრი ალექსიძე დიდი დატვირთვის მიუხედავად, განუწყვეტილი ფიქრობს და ზრუნავს იმაზე, რომ თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება გადასცეს ახალგაზრდა თეატრალურ თაობებს და, რა თქმა უნდა, შექმნას ახალი საინტერესო სპექტაკლები.

სცენა თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლიდან „რღვევა“.



თანამედროვე გვირის პრიზმაში ქართულ კინემატოგრაფში

ირინე კუჭუხიძე

შემოქმედებითი პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ხელოვნების თანამედროვეობას იმდენად მასალა არ განსაზღვრავს, რამდენადაც მხატვრის აზროვნების თავისებურება, მისი უნარი ჩასწვდეს ისტორიულ მომენტს, ცხოვრების ქაოსში ამოიკითხოს მთავარი და არსებითი. არცთუ იშვიათია მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც თანამედროვე მასალა ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულ და გარეგნულ სახეს აღმოგვჩვენებს. მეორეს მხრივ, თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი მოვლენების, კონფლიქტების, პრობლემების ასახვა შესაძლებელია კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე, აგრეთვე სხვა დროისმიერ განზომილებაში ანდა გამოგონილი, პირობითი სამყაროს საშუალებით. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სინამდვილის მხატვრული შეცნობა, მასალათა და არსით ჭეშმარიტად თანადროული ნაწარმოებების შექმნა, სადღე მოქმედებენ ჩვენი თანამედროვე გმირები ჩვენთვის ნაცნობ რეალურ დროსა და სივრცეში, ხელოვნების (განსაკუთრებით კი კინოხელოვნების) უმთავრესი და საპატიო დანიშნულებაცაა, და ამავე დროს, ძნელად გადასაჭრელი და რთული ამოცანა.

ცოცხალი სინამდვილე ჩვენს წინაშე სვამს ახალ კითხვებს, წამოჭრის ახალ პრობლემებს. მათში გარკვევა, მთავარისა და ძირითადის ამოკითხვა არცთუ ისე ადვილია. აქ იკარგება ისტორიული დისტანცია, ვინაიდან საუბარია ჯერაც დაუსრულებელ მოვლენებსა და პროცესებსზე. თანამედროვეობის ასახვის პრობლემა, კინოხელოვნების წინაშე ყოველთვის წყვედელ იდგა. ბუნებრივია ისიც, რომ დღეს ეს პრობლემა ესოდენ აქტუალურად გამოიკვეთა ქართული კინემატოგრაფისათვის.

საუბარი თანამედროვე ფილმის მხატვრული სახის გადაწ-

ვეტის პრინციპულ საფუძვლებზე, ნაწარმოებზე როგორც ხელოვნების მოვლენაზე — ჩვეულებრივ, გვირის პრობლემით იწყება. გვირის მეშვეობით ავტორი გამოხატავს თავის აზრს სინამდვილის შესახებ და ნაწარმოების ზნეობრივ-ეთიკურ იდეალსაც გვაზიარებს. ამდენად, გვირის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყო და კვლავაც დარჩება.

ხელოვნებაში, მართალია, არავითარი მიღწევა არ იკარგება, მაგრამ ყოველ დროს მოაქვს ახალი, თვით ცხოვრების ცვალებადი ხასიათით ნაკარნახევი მხატვრული საშუალებები, ახალი სტრუქტურები, ახალი შინაარსი. განვითარების ეს ლოგიკა, ცხადია, სულაც არ გამორიცხავს დღევანდელ ხელოვნებაში ტრადიციული დრამატურგიის თუ ტრადიციული გვირის არსებობას. მაგრამ ცხოვრების სრული, მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და, რაც მთავარია, მართალი წარმოსახვისათვის ბუნებრივია ისიც, რომ არ შემოვიფარგლოთ დადებითი გვირის განსახიერების გარკვეული ფორმებით. გმირულსა და არაგმირულს შორის, განსაკუთრებულსა და რიგითს შორის ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც ძნელია მკვეთრი ზღვარის გაკლება. ამიტომაცაა, რომ ხელოვნების ბუნებრივი მდგომარეობა შემოქმედებითი ძიების ინტენსივობაა.

თანამედროვე საბჭოთა კინოხელოვნებაში, 20-იან და 30-იან წლებთან შედარებით, გვირის სახემ შესამჩნევი ცვლილებები განიცადა. შეიცვალა პრობლემათა სფეროც. ახალმა დრომ ახალი პრობლემები დასვა. ნაწარმოების გვირი კი ის არის, ვინც სწორედ თავისი დროის პრობლემებს ატარებს და გამოხატავს. დრამატურგიულად ის შეიძლება ტრადიციული დადებითი გვირის სახით წარმოვიდგუკს, შეიძლება მასში გმირული (სწორედ ამ ცნების ტრადიციული

გაგებით) არც არაფერი იცოს, შესაძლოა მისი სახე დიდი წინააღმდეგობებითაც იცოს აღსავსე. ხელშეწყობაში ადამიანის ხასიათის ძირწვეის მრავალი გზა არსებობს და ვფიქრობ, ქართული კინოხელოვნება დღეს ამ მიმართულებით ყურადსაღები ძიების მომცემს იმყოფება.

გმირის ცნება, რომელიც უფრო ფართოა ვიდრე „გმირული ხასიათი“, შეიძლება ასე განისაზღვროს: მხატვრული ნაწარმოების გმირი გარკვეული თავსებულებებით დაკიდებული კონკრეტული მოქმედი პირია, რომელიც სწორედ ამ თავსებულებების გამო ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში წამყვან როლს ასრულებს. მაშასადამე, „გმირი“ როგორც მხატვრული ცნება, ითვისისწინებს გარემოსთან მოქმედი პირის უფროერთობის მთელ კომპლექსს და აგრეთვე მისდამი ავტორის დამოკიდებულებას.

„გმირი“ და „ხასიათი“, როგორც ვიცით, იდენტური ცნებები არ არის. ხასიათი ის შინაგანი ღრძობი, რომელიც გმირის ცხოვრებას, მის მოქმედებასა და საქციელს განსაზღვრავს.

სელოვნების ნაწარმოებებში არცთუ იშვიათად შევხვდებით გმირს, რომელსაც ხასიათი არ გააჩნია. ჩვენ გვახსოვს 20-იანი წლების საბჭოთა კინოხელოვნება, თავისი ბრწყინვალე ნიმუშებით, რომლებშიც წარმოდგენილი იყო არა მარტო მასობრივი გმირი, არამედ ინდივიდუალურიც. მასობრივი პოპულარისტიკის ფორმირების და ინდივიდუალური გმირის ვოლუტუის გზები საბჭოთა კინოში ერთდროულად ჩაისახა და პარალელურად ვითარდებოდა (ს. ვიშნევსკის „ჯაგუშოსანი პოტიომკინიდან“ და ვ. პუდოკინის „დედადანი“ მოყოლებული). მიუხედავად ამისა, აღნიშნული პერიოდის ფილმებში გამოყოფილი გმირები ძირითადად მაინც მასის ნაწილაკებად რჩებოდნენ, ეინაიდან ხასიათდებოდნენ არა იმდენად ინდივიდუალური, ნოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით, არამედ უფრო ზოგადლასობრივი ნიშნებით. გმირი კონკრეტული, განუყოფელი ადამიანი კი არ იყო, არამედ უფრო კოლექტივის განზოგადებული წარმომადგენელი. პირიქით, კინორამატიკურის ისტორია დღეს ჩვენს წინაშე ნათლად იხატება როგორც სწორედ ინდივიდუალური ხასიათების, მათი ეკრანული ხორცშესხმის საშუალებათა განვითარების ისტორია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კინემატოგრაფიაში და კერძოდ, ქართულ კინოში დღეს მაინც იშვიათად იქნება ფილმები, რომლებშიც სწორედ თანამედროვე ადამიანის ხასიათი, მისი რთული და საინტერესო ბუნება ღრმად გააზრებული და მხატვრულად გახსნილი ყოფილიყოს.

სადღესოდ რუსულ კინო და თეატრალურ დრამატურგიაში საკმაო გავრცელება ჰქონდა ე. წ. „საქმიანი გმირის“ სახემ, რომლის ძირითადი ნიშან-თვისებები განისაზღვრება მაღალი პრინციპულობით, მაქსიმალური მომთხვეწელობით, მიზანდასახულებით. მიუხედავად ამ ღირსებებისა, ასეთ გმირთა სახეები, მათი წმინდა ადამიანური არის და ზნეობა მთლიანად ჩვენ თანაგრძობობას ვერ იმსახურებს. ამისთვის მათ ბევრი რამ აკლიათ — ემოციურობა, მეგობრობის უნარი და

გრძობა, შინაგანი წინააღმდეგობა და კიდევ ბევრი სხვა თვისება, რომელიც ადამიანში ადამიანს დაგვანახებს.

ბელინსკი წერდა, რომ განააღმების სახეებით ყველაზე მაღლა ზნობრივი განათლება დასოს, რადგან თუ ერთი მათგანი თქვენ მეტწილად გატყვევო, მეორე — ადამინტრატიული, სამხედრო თუ პოლიტიკურ ადამიანად, მაშინ ზნეობრივი განათლება უბრალოდ ადამიანად გხდითო. სწორედ ეს ადამიანებობა არ ყოფილა ე. წ. „საქმიანი გმირებს“, რომელთა არსი და განცდათა სფერო თითქმის მთლიანად მათი ცალმხრივი არსებობით და პროფესიული პრობლემებით ამოიწურება.

შინადა დადებით გმირზე მსჯელობისას სწორედ აღნიშნული ტენდენციის გამომატველი ენა თუ ის ფილმი მოჰყავთ მაგალითად. როდესაც პრესაში თუ პროფესიულ საუბარში კრიტიკა ამ ფილმებს ასხენებს, ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა სტუდიებში მათი ანალები უნდა შეიქმნას ანდა პირდაპირ მიზამვას ჰქონდეს ადგილი. ასე ძნელი არ არის სტერეოტიპის, დადებით გმირზე სტანდარტული შეხედულებების ჩამოყალიბება, რასაც თავის დროზე ადგილი ჰქონდა საბჭოთა კინოში და რაც შემდგომ უწლიად საფუძვლიანად და მართებულად იქნა გაკრიტიკებული და გადაფასებული.

თუ რუსულ კინოში თანამედროვე დადებითი გმირის სახსე ნაწილობრივ მაინც შეიქმნა (ხმედვლობაში მაქვს 70-იანი წლების ფილმები), მაშინ უნდა ვფიქროთ, რომ ეს სახეებია — პოტაპოვი („პრემია“), ჩეშკოვი („აქ არის ჩვენი სახლი“), ლაგუტინი („ვევლავ ცხელი თვე“).

რ მთავარი ნიშანი აერთიანებს ამ სახეებს? პოტაპოვი, ჩეშკოვი თუ ლაგუტინი ერთბაშად შრომაში კონსერვატიზმს, ბიუროკრატიზმს, წინდაუხედავ და შორსმჭვრეტელობას მოკლებულ სელმდგანალებს. ამ ნაწარმოებების კინოელიტი სწორედ ეს ბრძოლაა.

თუ დავუშვებთ, რომ პოტაპოვი, ჩეშკოვი და ლაგუტინი რეალური, ცოცხალი სახეებია და არა შექმნილი სქემები, მაშინ ასეთი ადამიანები ან ასეთი გმირების შესაქმნელად გარკვეული ტენდენციები ავტორებმა უთუოდ ცხოვრებაში დაინახეს.

შესაძლებელია თუ არა, რომ მათი ანალოგები ჩვენ ქართულ ყოფაში დავებნით და მხატვრული განზოგადება მიეცეთ? ერთი რამ ცხადია: ქართულმა კინემატოგრაფიამ უთუოდ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მშრომელი ადამიანის სახის მხატვრულ გააზრებას, მაგრამ ამ პროცესში დამოუკიდებელი გზები და ორიგინალური გადაწყვეტა უნდა ეძიოს. ისეთი ცდები, როცა მაგალითად, სცენარ „პრემიას“ ან „ჩვენ თანამედროვეს“ გადმოქართულდებენ და სცენაზე დადგამენ, როგორც ეს რუსთაველის თეატრმა განახორციელო (და ეს შეიძლება არაპირდაპირი გზით კინოს სფეროშიც მომხდარიყო), ვფიქრობ, საკამათო და საკვირო არ არის, რომ ვერავითარ მნიშვნელოვან მხატვრულ შედეგს ვერ გამოიღებს და, როგორც ვიცით, ვერც გამოიღო. ამიტომ პოტაპოვისა და

ჩემკოვის ხასიათების ზერელე გადამღერება, ჩემი აზრით, დაუშვებელია.

პოტაპოვი, ჩემკოვი, ლაგუტინი თუ სხვანი შეურიგებლები არიან ხელმძღვანელობის მიმართ, ამხილებენ მას და მათი მთავარი ღირსებაც სწორედ ესაა.

ჩვენი სიმბათიები, რა თქმა უნდა, იმ მოწინავე ადამიანების მხარეზეა, რომლებიც თავიანთ სფეროში პროგრესს იმათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით განაპირობებენ,

ტომ, რომ მათ შესანიშნავად იციან ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა.

კინოხელოვნებაში ხასიათის კონსტრუირების განსხვავებული საშუალებები არსებობს. შეიძლება ფილმში წარმოდგენილი იყოს სისხლსავსე, მკაფიო და ნათლად გამოხატული თვისებების მქონე ხასიათი. ასეთი მაგალითები ჩვენ საკმაოდ მოგვეტყებნება საბჭოთა კინემატოგრაფიაში და კერძოდ, ქართულ კინოშიც. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით

კადრი ფილმიდან „პასტორალი“.



ვინც მათ არაპროგრესულად ხელმძღვანელობს, ე. ი. ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უშლის პროგრესს. აქ ორი აზრი არ არსებობს.

ჩვენში არიან (და საკმაოდ მრავლადაც) მოწინავე ბრიგადირები, მუშები, კოლმეურნეები, ქარხნის დირექტორები, მაგრამ საინტერესოა როგორ აღწევენ ისინი მაღალ მარეზულტებს, როგორ იმსახურებენ თავისი დიდი და საპატიო შრომის აღიარების დამადასტურებელ ჯილდოებს? იმ გზით, რომ ყველა ცალკე, თავის სფეროში შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს საკუთარ ხელმძღვანელობასთან? ვფიქრობთ, რომ — არა. მართალია, ჩვენი წარმოების მოწინავეებს, იმ სახელეოვან ადამიანებს, რომლებიც დღანან ჩარხებთან, მუშაობენ მინდვრად, ქმნიან დოვლასს, უხდებთ გარკვეული და, ალბათ, ხშირად სერიოზული საწარმოო თუ ადამიანური წინააღმდეგობის და სიძნელეების გადალახვა, მაგრამ თუკი ისინი რაღაც განსაკუთრებულ სახელსა და აღიარებას იხევენ — ეს ძირითადად ხდება არა კონფლიქტით ხელმძღვანელობასთან, არამედ პირიქით, უფრო ხშირად, სწორედ იმი-

ფასეულია რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის „დიდი მწვანე ველის“ გმირი სოსანა (მსახ. დ. აბაშიძე), რომელიც თანამედროვე ადამიანის ცერანული განსახიერების ჭეშმარიტად მაღალმატერული ნიმუშია. იგი ერთდროულად კონკრეტული, ინდივიდუალურად გამოკვეთილი ხასიათიგაა და ამავე დროს ტიპიური, ფართოდ განზოგადებული სახეც. ფილმის ავტორები (სც. ავტ. მ. ელოზიშვილი) შეეცადნენ ჩვენს თვალწინ გაეხსნათ ეპიკურად მთელი, სადა, პარმონიული ხასიათის შინაგანი კონფლიქტებით გათიშვის რთული პროცესი. ამის შედეგად გმირის მოქმედებაში ძლიერად გამოვლინდა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მოტივები.

„დიდი მწვანე ველის“ გმირი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის გამომხატველია. მაგრამ მისი კონფლიქტი გარემოსთან ავტორებს გააზრებული აქვთ არა როგორც ახლისა და ძველის მარტივი ჭიდილი, არამედ როგორც მარადიულისა და დროებითის ურთიერთშეთვისების რთული, წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც მათ გმირ-

მი ღრმა ცვლილებებს იწვევს და წარუშლელ კვალს ტოვებს. ფილმში შესაძლებელი გახდა მეტად რთული მხატვრული ამოცანის გადაჭრა: ხასიათის განხილვა როგორც სოციალური ფუნქციების გარკვეული სტრუქტურისა და ტიპიურის რეაქტიურობის ინდივიდუალურ, გრძობად-ეონქრეტულ ფორმაში, რაც ძალზე იშვიათია ჩვენს კინოსტელევიზიაში.

მაგრამ თანამედროვე კინემატოგრაფმა დაგვარწმუნა იმანიც, რომ არსებობს ადამიანის სახის აგების სულ სხვა საშუალებებიც. მხედველობაში მაქვს მეთოდი, რომლის მიხედვითაც ადამიანის მოქმედება და საქციელი ძირითადად მიხედვით ხასიათის თავისებურებით კი არ განისაზღვრება, არამედ უფრო გარე მიზეზებით, ცხოვრების პირობებით, გარემოს თავისებურებებით და ა. შ. ასეთ ფილმებში მსახიობის მიერ შექმნილი გმირის სახის კონტურები და ამ გმირის სრული სახე არასოდეს ერთმანეთს მთლიანად არ ემთხვევა. აქ ხასიათები და ადამიანის პორტრეტები საბოლოოდ იკვეთება მთელი ფილმის ატმოსფეროთი, მასში წარმოსახული გარემოთი და აგრეთვე სხვა პორტრეტებთან თანაფარდობით.

ადამიანის გერანული კონსტრუქციების ასეთი მეთოდით რთული და ითქმის შეუძლებელია საკუთრივ გმირული ხასიათის შექმნა, მაგრამ საკვებით შესაძლებელია თანამედროვე გმირის განსახიფრება.

შესაძლებელია, ამგვარ ფილმებში მთავარი გმირი, როგორც მთავარი, ცენტრალური, ფილმის აზრის, ფილოსოფიის განმსაზღვრელი ფიგურა, არც იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ავტორების ძირითადი მიზანია გაანალიზონ ის ზნეობრივი ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი და რომელიც ხელის შემწყობი თუ, პირიქით, ხელის შემშლელი პირობა ხდება ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულებისა, მისი საუკეთესო ზნეობრივი თვისებების გამოსავლენად.

ქართული კინემატოგრაფის ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორი ოთარ იოსელიანი თანმიმდევრულად ამუშავებს თანამედროვე თემას. მის ფილმებში მხატვრული სიმართლითაა აღბეჭდილი თანამედროვე სინამდვილე და შექმნილია ასევე მართალი, ჭეშმარიტად თანამედროვე პირობებების, წინააღმდეგობების მატარებელი, თავისი ფიქრითა და საქციელით ძალზე ტიპური სახე თანამედროვე ადამიანისა. ო. იოსელიანის შემოქმედებაში გერანული გამოსახულების ობიექტი უზარალო ყველადღიურება კი არ არის თავისი აზროვნისმოქმედი, წვრილმანი, ზედაპირული გამოკლებებით, არამედ მის ფილმებში მოცემულია დროის ისტორიული უტყუარობა, ეპოქის და ადგილის უსტკი ატმოსფერო.

რეჟისორი დიდი ოსტატობით ფილმს თანამედროვე კინოენას და ასევე ფაქიზად და ღრმად გრძობს თანამედროვე კინოსტილისტიკას—შეუბოძველი სიუჟეტური წყობით, ფინის დოკუმენტური სიზუსტით, უკიდურესად ბუნებრივი მიზანსცენებით, აუქჩარბელი თბრობით, ყოფის დეტალური ზედმიწევნით დაკვირვებით, ძალზე ნატურალური გმირით...

ყოველდღე ამის შედეგად მისი ფილმები სულაც არ აღიქმება როგორც უსახო, ნატურალისტურად და ნეიტრალურად

აღბეჭდილი „ნაკადი“, რომელშიც მხატვრისათვის ყველაფერი და ყველა ერთნაირად ძვირფასი და საინტერესოა. ოთარ იოსელიანის ფილმების თითოეულსა მოდუნებულ სირობაში ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ წარმართულ აქცენტებს, რომელთა საშუალებითაც ავტორს ყოველგვარი პირდაპირი და დაქინებული პათოსის გარეშე მაყურებელი მისთვის საჭირო დასვენამდე მიჰყავს.

ო. იოსელიანის ფილმების გმირები არ წარმოადგენენ არც გმირულ ხასიათებს და მთლიანად არც ტრადიციული კინოგმირის სტრუქტურას ექვემდებარებიან. მიუხედავად ამისა, ნიკოც „გიორგობისთვიდან“ და გაიც „იყო შაში მგალობელიდან“ ჩვენს თანამედროვეთა არიან, არიან ის ადამიანები, რომელთა ხასიათის ესა თვისება, მათი ცხოვრების წესი, საქციელი, გარე სამყაროსთან დამოკიდებულებათა კომპლექსი ავტორის სრულ შესაძლებლობას ტქმის გაგვიფილმის თავისი ფიქრით, სიხარული თუ სუბილა ჩვენს სინამდვილეზე და ასევე ნათლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია ადამიანის დანიშნულების, მის ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის შესახებ.

ოთარ იოსელიანი მიზნად არ ისახავს ზნეობრივ-ეთიკური იდეალის გახანას ე. წ. „იდეალური“ გმირის საშუალებით, რომელიც წინასწარ მოცემული სქემის მიხედვით იქნება კონსტრუირებული. მისი ფილმების გმირები არიან ცხოვრებაში დაძებნილი ცოცხალი ადამიანი, განუყოფელი იმ გარემოსაგან, რომელშიც ხდება მათი ჩამოყალიბება.

ფილმებში „იყო შაში მგალობელი“ და „პასტორალი“ მხატვრის იდეალი მთლიანად მატერიალიზებული არ არის, მაგრამ უდავოა მისი თანდასწრება, როგორც კონკრეტული პირობებისა და ნორმისა, რომელთა თვალსაზრისითაც ხასიათების თვისებები იკითხება როგორც მისაღები ან მიუღებელი, სასაცილო ან თანაგრძობის ღირსი, პარადოქსული, ხშირად კი ძალზე დასაფიქრებელი მოვლენაც.

კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებში ჩვენ შეხვდებით ისეთ მაგალითებს, რომლებშიც ნაწარმოები ზნეობრივ-ეთიკური იდეალი ყველაზე ნათლად მთავარი გმირის სახეში იხსნება. მაგრამ ასევე ბევრია მაგალითი, სადაც ეს დამოკიდებულება პირდაპირი არ არის. გოგოლ, დოსტოვესკი, ილია („კაცია-ადამიანი?!“). სალტიკოვ-შჩედრინი, დ. კლდიაშვილი, რიგ ნაწარმოებებში გროვი თავის იდეალს და ცხოვრების განსჯას სწორედ უარყოფითი მოვლენების ტიპიზირების შედეგად გამოხატავს.

საზოგადოებას ხშირად თეორიულად უხდება ამა თუ იმ ზნეობრივი პირობამის წამოყენება და ის გმირებსაც ამ პირობამის მიხედვით ითხოვს. მაგრამ ცხოვრება ისეთი კატეგორიული და სწორზოვანი არ არის, როგორც ხშირად საზოგადოების მიერ შექმნილი იდეალური პროექტი გმირისა და თვით გმირის ატმოსფერო. ცხოვრება თავის რეალურ გმირებს წარმოშობს. გატომავა, რომ ხშირად ხელოვნებაში უკვე მიმხდარი მნიშვნელოვანი ფაქტი, გმირიც შექმნილია, საზოგადოება კი ამას ჯერონად ვერ აფასებს. მაგალითისათვის კმა-

რა თუნდაც კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთავრის მოტყუება“: როგორც ვიცით, ამ რომანს თავის დროზე კრიტიკა გაცანებული შესვდა. რომანის მიმართ მრავალი ბრალდება წამოაყენეს, კრიტიკას არ აკმაყოფილებდა არ-ზაყანის სახე — იგი დადებით გმირად ვერ აღიქვს. ავტორს აგრეთვე ბრალდებადა თარამის გადატეხება და ამიტომაც — ფეოდალური საქართველოსადმი ნოსტალგია.

საზოგადოება წინ მიდის და მოწინავე პრინციპების დამკვიდრებას ცდილობს, მაგრამ ის აღამიანები, რომელთა ხელუბობა, სისხლით თუ სიცოცხლით მკვიდრდება ცხოვრება-ში ეს პრინციპები და იდეალები, ხშირად სულაც არ არიან უყოფლებნი და უმწიკვლებნი. მათში წარსული და მომავალი გადაჯაჭვული და განუწყვეტელი ებრძვის ერთიმეორეს. თვით კ. გამსახურდია ამას ცხვენიწნავად გრძობდა და ამიტომ შექმნა არზაყანი — ცხოვრებაში დანახული სახე, შექმნა სინამდვილესე დაყრდნობით.

იმ შედეგობისაგან, რომლებსაც კრიტიკა არავითგზის უშევბდა, ჩვენ დღესაც არა ვართ დაზღვეულნი — იქნება ეს დღევანდელი ლიტერატურის თუ კინემატოგრაფის მიმართ.

მიუხედავად იმ დიდი აღიარებისა, რომელიც ოთარ იოსელიანის ფილმმა „გიორგობისთვეში“ მოიპოვა (თუმცა ჩვენ ისიც ვგახსოვს, რომ ამ ფილმს თავის დროზე სინარულით არ შეეგებნენ და მან თავისი ადგილი ძნელად დაიმკვიტრა!), მისი მთავარი მოქმედი პირი ნიკო მთლიანად თანამედროვე გმირად მინც არ არის მიჩნეული. ვფიქრობ, რომ მაშინაც და დღესაც (თუკი ასეთი აზრი კიდევ არსებობს) კრიტიკაც სცდებოდა, როცა უჭირდა წინის გმირად აღქმა.

ეს მვეწინერი ეკრანული სახე ცოტა უფრო აქტიური რომ იყოს და არ იყოს სწორედ ისეთი, როგორიც არის, მაშინ ის ყალბი მონუმენტი იქნებოდა და არა რეალისტური მხატვრული სახე.

ამ მხრივ კიდევ უფრო ძნელია ამავე რეჟისორის მომდევნო ფილმის („იყო შაშვი მგალობელი“) პერსონაჟის გია აღლაძის გმირად აღიარება. მართლაც ეს სახე არც გმირუბობის არაკიბი ნიშნებს არ ატარებს და არც მთლიანად დადებითი გმირის ცნებას შეესაბამება. გია წინააღმდეგობებით აღსავსე, ჩვენი დროისთვის მეტად დამახასიათებელი გარკვეული თვისებების და განწყობის მქონე, ცხოვრების წესის, სტილისა და რიტმის გამომხატველი ახალგაზრდაა. ავტორისთვის ის ერთდროულად ძვირფასიცაა და ირონიის ობიექტც.

რეჟისორი გაურბის თავისი გმირის დაყვანას უარყოფითი ან დადებითი პერსონაჟის სქემაზე და ასევე ერიდება სინამდვილის განსჯისას სწორაზოვანი და ნაქრევი დასკვნების გამოტანას. საოცრად ღრმა და უსუსტი დაკვირვებები გარე მოხე, ატმოსფეროზე, თვით გმირის ხასიათის თვისებებზე; თხრობაში თითქმისა შეუმჩნეველი, მაგრამ მკაცრი აქცენტები, სრულიად განსხვავებული ელფერის ავტორისეული ირონია, და ბოლოს („გიორგობისთვისა“ და „პასტორალი-საგანი“ განსხვავებით) „დახურული“ ფინალი გმირის სიკვდილით და მთელ ეკრანზე გადღებულ ციფერბლატის ულ-

მობელი ხმაურით — ყოველივე ეს უდიდესი თვალსაჩინოებით მეტყველებს ჩვენის დროსა და მხატვრულეულ დამოკიდებულებასზე გმირი სინამდვილისადმი, მასში აღამიანის ბედისა და დანიშნულებისადმი. მისი პოზიცია — პატიოსანი აღამიანის პოზიციაა, მიზანი — კეთილშობილურია. ვფიქრობ, საჭეფო არ არის, რომ „იყო შაშვი მგალობელი“ ჭეშმარიტად თანადროული ფილმია, ხოლო მისი პერსონაჟი ასევე თანამედროვე მხატვრული გმირი.

საზოგადოების მოწინავე და აქტიური წევრები ან თუნდაც მთელი ჯგუფი ასეთი მოაზროვნე და ქმედითი პიროვნებების ყველაზე ცუდ, მიძინე ეპოქებშიც ყოფილან საკმაო რაოდენობით. მაგალითად, გოგოლის დროს, მაგრამ მან სლესტაკოვი და ჩირიკოვი შექმნა. გორკი პირადად იცნობდა სოციალ-დემოკრატიის თითქმის ყველა ლიდერს და უამრავ მოწინავე მოუხატავს ქიონად პირად ურთიერთობა, მაგრამ თუ არ ჩავთვლით „დედას“, მწერალს ამ თემისათვის სხვა ნაწარმოები არ მოუძღვინა. არსად, არც თავის რომანებში და არც პიესებში მან არ მოგვცა არცერთი გმირი ამ ცნების იმ გაგებით, რომელსაც ხშირად ერთადერთ სწორ გაგებად მიიჩნევენ ხოლომე და თითქოს ავიწყდებათ, რომ გმირი ცხოვრებაში, ისტორიულ ფონზე და გმირი მხატვრულ ნაწარმოებში სხვადასხვა ცნებებია. არტამონოვები, კლიმ სამგინი, ბესიკმეფთი, სატინი, ბულინოვი გორკის გმირები არიან. ბუნიოვსა და ბესიკმეფთს არაფერი გმირული არ სცხიათ, მაგრამ მათი საშუალებით გორკიმ განაჩინე გამოუტანა მთელ ეპოქას და ეს მაშინ სწორედაც რომ თანამედროვე ხელოვნება იყო. „დედა“ თავისი მხატვრული მნიშვნელობით ვერ შეედრება ვერც გორკის სხვა რომანებს და ვერც პიესებს, ყველაზე სწორად ის ლენინმა შეაფასა, როდესაც თქვა, რომ ეს არის დროული და საჭირო წიგნიო და ამასთანავე ავტორს წიგნის მრავალ ნაკლოვანებაზე მიუთითა. ამას თვით გორკი იცნებს თავის ნარკვევში ლენინზე.

ფილმ „პასტორალი“ გმირი არ არის, მაგრამ ფილმის მხატვრული გმირების საშუალებით იოსელიანმა მთელი სიყხადით დავგანახა ჩვენი თანამედროვე ყოფის გარკვეული თავისებურება და ტენდენციები... ამ გზით მან ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუში შექმნა.

როგორც ჩანს, საზოგადოების დიდ ნაწილს სურს, რომ ინტენური ვაგა გიორგი შენგელაიას და რუსო ინანიშვილის ფილმებიდან „ქვიშანი დარჩებიან“ უფრო აქტიური დ ფუქტური იყოს. მაგრამ ის რომ ასეთი აყოს, მაშინ სადღაც კანბინეტში კამათის დროს დაანთხვედა მთელ თავის ტემპერამენტს და არბის გასაყვანად ძალა და მოთმინება აღარ იყოფოდა. გ. შენგელაიას ფილმის სოციალური შინაარსი ეშა-შია, რომ ახლაც, როცა მთავრობა და საზოგადოება გვას უხსნის შრომაში ყოველივე პროგრესულს და ჭეშმარიტს, მაგრამ ზოგჯერ ბიუროკრატიზმისა და მეშჩანობის გამო მინც საკმაოდ ძნელი ხდება ნამდვილი და საჭირო საქმის ბოლომდე მიყვანა და შესრულება და სწორედ იმიტომ, რომ გ. შენგელაიას ფილმი ამას დაუფარავად ამქდაგნებს, ის არის თანამედროვე და აქტუალური ხელოვნების ნიმუში.

ქართული ეროვნული ნიადაგი და თვით ქართული ხელოვნების ტრადიციები იძლეოდა იმის პერსპექტივას, რომ თანამედროვე თემას ჩვენს კინემატოგრაფიაში მეტი წარმატება ჰქონოდა პერიოკულ ქანრში. ამან ნათლად იჩინა თავი „ჰა-რისკის მამამი“. გიორგი მანარაშვილის სახე ქართული კინოსტუდიების დიდი მიღწევაა. მაგრამ, ვფიქრობ, ისიც კანონზომიერია, რომ გმირული ხასიათის ასეთი ინტერპრეტაცია დაიბადა სამართლო ომები ათეული წლების შემდეგ. აღნიშნული, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი განზოგადებით დღევანდელი ცხოვრების ასახვა არ შეიძლება. პერიოკისა და ცენტრალური ხასიათის პრობლემას მხოლოდ და მხოლოდ ომის მასალა როდი სწევს. პერიოკისა და ყოველდღიურობის თანამეფარდების საბაზს თანამედროვე სინამდვილეც საკმაოდ იძლევა. ქართულ ეკრანზე შედარებით იშვიათად შევხვდებით ფილმებს, რომელთა ცენტრში დგას ჩვენი თანამედროვის განზოგადებული გმირული სახე-ხასიათი. მიუხედავად ამ ნაკლებობისა, მასში მაინც იქნება თანადროულობის ამსახველი ფილმები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების და ხელოვნების მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცევიან ხოლმე. მხედველობაში მაქვს, მაგალითად, სამსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ (რეჟისორი ს. ჩხაიძე; სცენარის ავტორები ა. ჭიჭინაძე, ვ. სულაკაური, დ. ივანიშვილი-ჩიქოვანი, ს. ჩხაიძე; ოპერატორი ი. ონიფროვილი).

ავტორებმა საცდეს ეკრანზე დოკუმენტური, თითქოსდა ხელშეუხებელი სინამდვილე აღებუქდათ. მართლაც, ფილმის ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ მან შესანიშნავად ასახა ცხოვრების რეალური პლასტიკა, რომ ეკრანი არსად დალატობა მხატვრულ სიმართლეს როგორც გარესამყაროს — ბუნების, პეიზაჟის, არქიტექტურის — ხედვასა და წარმოსახვაში, ისე აღამიანურ დამოკიდებულებათა განვითარებაში.

სამსაათ-ნახევარი ეკრანული დროისა ეთმობა თუშ მეცხვარეთა ყოველდღიურობას. თუ არა ღრმა ცოდნა ასახული მოვლენისა, თუ არა გულწრფელი დაინტერესება თავიანთი გმირების ცხოვრებით, მათი აწმყო და მომავალი ბედით, რაღა თქმა უნდა, ავტორებისათვის არსებობდა ერთგვარი ცდუნება წინა პლანზე წამოწევა თითქოს მომგებიანი, მაგრამ არსებითად გარეგნული, ეგზოტიკური მომენტები. ავტორებმა უარყვეს ასეთი სახიერება. მათ დივი, სადა თხრობის ფორმაზე შეაჩერეს არჩევანი და მთელი თავისი გულისყური ადამიანისკენ მიმართეს. ამის შედეგად ფილმში შესაძლებელი გახდა მეტად რთული ამოცანის რეალიზაცია: აქ შეიქმნა მშრომელი ადამიანების კოლექტიური პორტრეტი, რომელშიც ნათლად გამოიკვეთა ცალკეული ინდივიდუალური სახე-ხასიათები. „თუში მეცხვარეში“ საუკეთესოდ გახსნა ქართული მშრომელი ადამიანის ვაკეცატური ბუნება, ჩვენთვის მახლობელი და გასაგები გახდა მისი ხასიათი, მთელი სიხებადით და დიდი რეალობით გადმოგვცა ყოფა-ცხოვრების

თავისებურებები. ამ მხატვრულმა მიზანმა, რომელიც ავტორებმა დაიასახეს როგორც მთავარი და ძირითადი, განაპირობა ნაწარმოების შესაბამისი სტილისტიკაც.

ფილმი თითქოს ცდილობს რეალობა თავის პირველქმნილობაში „აღმოაჩინოს“. მაგრამ ავტორებს რომ მიზნად მხოლოდ კონკრეტული მოვლენის დოკუმენტურად ზუსტი აღებულება დაესახათ, მაშინ ფილმი ვერ გასცდებოდა ვერორეპორტაჟულ ფუნქციებს. „თუში მეცხვარის“ დიდი ღირსება სწორედ იმაშია, რომ აქ დოკუმენტური ხერხებით შეიქმნა მხატვრული სახე, კონკრეტული კი ფართო განზოგადებამდე ავიდა. იპოვონ და ჩვენც დავგანახონ ქართული მშრომელი ადამიანის პირველსაწყისი, ერთგვარი ინვარიანტი, შეურყვევლი საფუძველი — აი, ჩვენი აზრით, ამოცანა, რომელიც ფილმის ავტორებს ამოძრავებდათ. ამისთვის ისინი უკუაღებენ ყოველივეს, რაც არარასტიკით და მსწრაფლცვალებადია, ცუკუაღებენ ინდივიდუალურად განსხვავებულ ნიშნებს და ეკლიმოუნ იპოვონ ის საერთო, რაც მშრომელ ქართველებს აერთიანებს.

ფილმის გმირები ძირითადად დაკავებულნი არიან მატერიალური ცხოვრებით, ისინი პროზაული გმირები არიან და ამავე დროს „თუში მეცხვარე“ ერთ-ერთი ყველაზე პოეტური თანამედროვე ნაწარმოებია, რადგან მასში ძლიერია ჩვეულებრივის, ყოფის პოეტიკაცია, მისი პოეზია არის პატოსიანი და კეთილმოღეუი შრომის, მშრომელი კაცის ბუნების პოეზია.

თანამედროვე ქართული კინოს ჩამოყალიბების და განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი მეტყველებს ძიებათა ბუნებრივ, ცოცხალ შემოქმედებით პროცესზე, რომელიც ნაკარნახევია თვით დროით და ხელოვნების ახალი გამომსახველი ფორმებით. ამ პროცესში განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ის შეცდომები, რომელთა მიღმა ან არსებითი პრობლემა იკარგება, ან ყალბი კონფლიქტი და მისი კომპრომისული გადაწყვეტა იკითხება.

სამწუხაროდ, ჩვენს კინემატოგრაფში ამგვარ ფაქტებს ვერ კიდევ ხშირად აქვს ადგილი. გასულ წლებში შექმნილი ფილმები „მოხეტიალე რაინდები“, „დილის ნილიოთი“, „დაბრუნება“ და სხვა, არავითარ საინტერესო მასალას არ იძლევა პრობლემისა და მხატვრული სახეების გახსნის თვალსაზრისით. მათში მინიმუმბული კონფლიქტების ზედაპირული და კომპრომისული დამუშავება („დაბრუნება“), კინოხელოვნების ენის გამარტივება, სიმდარქ და უშეიფრობა („დაბრუნება“), დრამატურგიული და კომპოზიციური წყობის გაუმართაობა („დილის ნილიოთი“) და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ნაკლებობები ნათლად მეტყველებენ ამ ფილმების დაბალ მხატვრულ ხარისხზე, რაც ჩვენი სინამდვილის, ჩვენი თანამედროვის ერთობ ზედაპირულ ასახვასაც განაპირობებს.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ შემოქმედს ვერ უკარნახებ ცხოვრების რომელ მოვლენას, ადამიანურ სახეს, სიუჟეტს, ეანს, სტილისტიკას თუ სტრუქტურას მისცეს უპირატესობა. კინოხელოვნების ისტორია, მისი წარსული და აწმყო ამტკიცებს, რომ თითოეულ ხელოვანს აქვს თავისი უპირატესი განწყობა, თავისი მიდრეკილებები, რომლებიც უთუოდ პატივისცემას იმსახურებენ, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოიშობენ ხელოვნების მთელ სულიერ და ემოციურ სიმდიდრეს.

და მაინც, ქართულ კინემატოგრაფს ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრება მართებს. უმთავრესად კი შემდეგზე: ბოლო წლების თანამედროვე სინამდვილის ამსახველმა ფილმებმა დაგვიხატეს და დაგვანახეს ადამიანი, როგორც ძირითადად სოციალური თუ საზოგადოებრივი და არა გარკვეული ფსიქოლოგიური ტიპი ამდენად მხატვრული პრინციპი, რომლის საშუალებითაც ავტორი ფსიქოლოგიური მოტივირების, ფსიქოლოგიური განზომილების გვერდის ავლით გვაძლევს პირდაპირ სოციალურ-ტიპურ დონეს (რომ არ ჩავთვალოთ რამდენიმე გამონაკლისი). დღემდე ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი და ნიშანდობლივი იყო ქართული კინოსათვის.

აგიღოთ თუნდაც გასული წლების სრულიად განსხვავებული თავისებურების ფილმები — „პასტორალი“, „ქვიშანი დარჩებიან“, „მწვერვალი“, და სხვები — ისინი ძირითადად ამ გზით მიიდან.

გარკვეულ შემთხვევაში განზოგადების ასეთი ფორმა საესეებით ბუნებრივია და მთელი ესთეტიკური სისტემის ორგანულია, მაგრამ არის მაგალითები, სადაც აღნიშნული თავისებურება ფილმის ნაკლად აღიქმება.

ფსიქოლოგიური მოტივირების სისუკამე, უარის თქმამ ინდივიდუალურ ხასიათებში ჩაღრმავებას და ადამიანურ გულისთქმათა რეალისტურ ასახვაზე განსაკუთრებული დიდი დასავსა რეკისორი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმ „მწვერვალს“. ალბათ აღნიშნული ნაკლი აქ შედარებით მძაფრად იმიტომ იგრძნობა, რემ ნაწარმოების თავისებური სიუჟეტო, კონფლიქტის ხასიათი, ცხოველი მორალური პრობლემა და თვით ავტორის მაღალი მხატვრული და ზნეობრივი ინტერესები საზგანმულად ითხოვდნენ ყურადღების გამახვილებას ადამიანზე, მის ხასიათსა და ინდივიდურ შეგნებაზე. ეს მით უფრო უპირველესი ამოცანა იყო, რომ მძაფრ, კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ადამიანი (ფილმში კი სწორედ ასეთი სიტუაციაა აღწერილი) — იქნება ეს შინაგანად მთლიანი თუ სულიერი კონფლიქტებით გათიშული პიროვნება, ნებისყოფით, ტკუის სიფხიზლით, კეთილშობილური შემწყნარებლობით თუ რომანტიკული ბუნებით დაჯილდოებული ადა-

მიანი („მწვერვალი“ სწორედ ასეთი ხასიათების კონტრეხია შემოსაზული) — განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ავლენს საკუთარ ხასიათსა და ბუნებას. ფილმში ადამიანთა ხასიათებზე და მათი საქცილის ფსიქოლოგიურ მოტივირებაზე ჯერონდა არ არის გამახვილებული ყურადღება, რაც, ცხადია, ასუსტებს ნაწარმოების მხატვრულ ეფექტს. „მწვერვალში“ თანმედროვე გმირები კი დაგვიხატა, მაგრამ გამოკვეთილი ინდივიდუალური ხასიათები ვერ შექმნა.

უმეტესი ქართული ფილმების ზემოაღნიშნული თავისებურება უთუოდ დოკუმენტური კინოს, საზოგადოდ დოკუმენტალიზმის ესთეტიკის ძლიერი გავლენაა მხატვრულ კინოზე, რაც ძალზე დამახასიათებელია საერთოდ თანამედროვე კინოხელოვნებისათვის.

ამიტომაცაა, ალბათ, რომ ქართულ კინემატოგრაფში ასე ფართოდ მიმართული არა მსახიობურ განსახიებებას, არამედ უფრო „ტიპაურს“. მართალია, ტიპაის გამოყენება პრიმიტიული აღარ არის, აქ ჩვენ ვხვდებით „სულიერ“ თუ „ფსიქოლოგიურ“ ტიპას, შშირად ტიპაში ამოიხსულია ჭეშმარიტად მსახიობური ნიჭი და ა. შ., მაგრამ მაინც ის ფაქტი, რომ საუკეთესო ქართულ ფილმებში სწორედ ტიპურ განსახიებებას ეთმობა ასეთი დიდი ადგილი და ყურადღება, ვფიქრობ, თავისთავად უკვე აღარკვეული ესთეტიკის დომინანტობაზე მეტყველებს. და უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზაზე ქართულ კინოში უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი რეზულტატებია მიღწეული. მაგრამ დღეს მათი განვითარება და თვისობრივად ახალი ხარისხის მიღწევაა საჭირო, საჭიროა სიღრმეში შესვლა, თანამედროვე ადამიანის სახის გახსნა არა მარტო ერთ რომელიმე დონეზე, არამედ უფრო სინთეზურად, განსხვავებული სოციალური ფუნქციების გათვალისწინებით, ფსიქოლოგიური პლანის გახსნით. დღეს ჩვენ სრული უფლება გვაქვს ქართულ კინოს მოვთხოვთ ცხოვრების ყოვლისმომცველი ანალიზი, მის მიერ მოპოვებულ აღიარებას და აშკარად გამოვლენილ პოტენციას არცერთ შემთხვევაში აღარ შეეფერება ცხოვრების ნაქარვეი, ძიებასა და თვით კვლევის პროცესს მოკლებული ზედაპირული წარმოსახვა.



ნიღბები ნაქალაქარ სარკინდან

ალექსი ბოხოჩაძე

ნაქალაქარი სარკინე დღევანდელი მცხეთიდან დასავლეთით 8 კმ-ზე, შიო მღვიმის მომასატრის მიდამოებში (სარკინეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე) მდებარეობს.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე საცხოვრებელი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები ხელოვნურად გამოკვეთილ ტერასებზე ყოფილა განლაგებული. როგორც განათხარი მასალები მოწოდებენ, ნაგებობათა უმრავლესობა ხის მასალით აუცილო, იშვიათად გამოუყენებიათ გათლილი ქვა და ალიზის აგური. შენობები დახურული

ყოფილა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული, ბრტყელი, გვერდობაკეცილი და ღარისებური (ე. წ. კურტნის), წითლად შეღებილი კრამიტით.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1971-1975 წწ წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა მეცნიერულად უდიდესი მნიშვნელობის არქეოლოგიური მასალები, რომელთა შესწავლისა და ნასტაკისის, ალაიანისა და ძალისის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლების გათვლისწინების შედეგად, ნათელი მოუფინა მრავალ ბუნდოვან საკითხს. გაფართოვდა ჩვენი ცოდნის არე და თვალსაწიერი ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ეკონომიური სიძლიერის, კულტურული განვითარების მაღალი დონის, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან ურთიერთობის და სხვა საკითხების შესახებ. ახლებური წარმოდგენა შეიქმნა ქალაქების წარმოქმნისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების საკითხებზე და ა. შ.

ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალებიდან შეიძლება დავასახლოთ: მიწის (მილიფიორის), ალექსანდრიული წარმომავლობის და ოქროს ვარაყით მოზარნიშებული თასები, მაღალი ხარისხის წითელლაქიანი იმპორტული ლანგრები, ფიანისის ჯამები, თიხისაგან გამოძერწილი ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბები, მეგრული შავლაქიანი თასის ნატეხები, მცირე აზიური წარმოშობის ამფორისკები, ძელის სამკაულები, ვერცხლის ზარი, ბრინჯაოს ანჯამები, ოქროსა და ვერცხლის გარსაკაპებები, ოქროსავე მძივები და მძივსაკიდები, კილიტები, ოქროსა და ბრინჯაოს ვარდულები, რკინის სამფრთიანი ისრის პირები, ოთხკუთხა განივკვეთიანი ღეროს მქონე თავბრტყელი ლურსმნები და ა. შ. ჩამოთვლილი მასალები ძვ. წ. II-I საუკუნეების მიჯნით თარიღდება.

აღმოჩენილი მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თიხისაგან გამოძერწილი ნიღბები და ტერაკოტული ქანდაკებები. ასეთი რაოდენობით ნიღბები დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არ ყოფილა, ხოლო მხატვრული მნიშვნელობით ჯერჯერობით მათ ბადალი არ მოვუპოვებთ.

წინამდებარე წერილი ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ტერაკოტულ ქანდაკებებსა და ნიღბებს შეეხება. ნაგებობების ჩაქცეული კრამიტის სახურავის ქვეშ გამოვლენილი ნატეხებიდან მეტ-ნაკლები სისრულით აღსდა თიხისაგან გამოძერწილი ორი ქანდაკება და ოთხი ნიღაბი. გადარჩენილია სხვადასხვა ნიღბის რამდენიმე ათეული ნატეხი, რომელთა აღდგენა არ მოხერხდა.

მამაკაცის ტერაკოტული ქანდაკების სახე ოვალს წარმოადგენს. მას აქვს მაღალი შუბლი, ნუშის მოყვანილობის თვალები, ქვედა ქუთუთო თხელი, ზედა შესქელებული და რელიეფურად გამოკვეთილი, წერილი წარბები, თვალის ზედა უბე ოდნავ შემუშებელი, სწორი ცხვირი, ოდნავ დაბერილი ნესტოები, შემსხვილებული ტუჩები, გაბობილი ბაგე და ლამაზად გამოყვანილი ნიკაბი. ხვეული, შუაზე გაყოფილი თმების კულულები მხრებსა და მარცხენა მხარეს მკერდზე აქვს ჩამოშვებული. შუბლზე გადაჭერილი ბაბთა კეფის არეში თმის ხვეულში იმალება. ამ ადგილზე გამოკვეთილად ჩანს პატარა რქები. მარჯვენა ბეჭის არეში ნასკვია გაკეთებული, რომლის ერთი ბოლო თხის ფეხის გამოსახულებას წარმოადგენს. მარცხენა ხელის ფაფუკად გამოძერწილი მტევანი გულზე უდევს. მაღალი ყელი ოდნავ აქვს შემსხვილებული. მკერდის არეში თხელი ქსოვილის ტანსაცმლის ნაოჭები გამოსახულების სიმაღლე — 38,5 სმ, მაქსიმალური სიგანე 34 სმ უდრის.


ქანდაკება მეცენარეობის, მეფენახეობის და მეღვინეობის მფარველ ღვთაებას — ახალგაზრდა დიონისეს წარმოადგენს.

ქალის ტერაკოტული ქანდაკების სახე მოგრავო ოვალისაა, ფართო, ნათელი შუბლი, ნუშის მო-

ყვანილობის თვალები აქვს. ქვედა ქუთუთო თხელია, ზედა შესქელებული. წერილადაა გამოყვანილი წარბები, თვალის ზედა უბე ოდნავ შემუშებელია. აქვს სწორი ცხვირი, საშუალო სიფართის ნესტოები, შემსხვილებული ღია ბაგე და ლამაზად გამოყვანილი ნიკაბი. ხვეული თმები შუაზეა გაყოფილი და კულულები მხრებზეა ჩამოშვებული. მარჯვენა ბეჭის არეში გაკეთებული ნასკვის ბოლო თხის ფეხის გამოსახულებით ბოლოედება. აქვეა მკერდზე დადებული მარჯვენა ხელის ფაფუკად გამოყვანილი მტევანი. მარცხენა მხარეს რელიეფურად არის გამოკვეთილი ძეძუ. მაღალი ყელი ოდნავ აქვს შემსხვილებული. სახეზე სვედიანი ღიმილი გადაჰკრავს. მკერდს უფარავს თხელი ქსოვილის ტანსაცმლის ნაოჭები. (სიმაღლეა 38 სმ, მაქსიმალური სიგანე — 25 სმ). ესაა დიონისეს მეუღლის არიანდეს გამოსახულება.

მომღერალი ქალის ნიღბის სახე ოვალურია, საშუალო სიფართის შუბლი, ფართოდ გახედილი, ნუშის მოყვანილობის თვალები, შესქელებული ქუთუთოები, რელიეფურად გამოყვანილი წარბები, მასიური, შუბლთან ოდნავ ჩაჭყლეთილი ცხვირი, ამბურცული დაწვები, შემსხვილებული ბაგე, ფართოდ გაღებული პირი და მასიური ნიკაბი აქვს. თმები შუაზეა გაყოფილი და

ნაქალაქარი სარკინე



გადავარცხნილი. საფუთქლის არეში ხვეულებია წარმოქმნილი. ყურების მაგივრად ვაზის ფოთლებია გამოყვანილი, რომლის ზევიდან ყურძნის მტებენებია დაიზრდილი. სახის ნაკეთები მოძრაობისაა გადმოცემული და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სველიანად მღერის. ნიღბი ადამიანის თავის თითქმის ნატურალური ზომისაა, სიმაღლეა 24 სმ, სიგანე — 17 სმ.

აღწერილობის ანალოგიურია კიდევ ორი ნიღბი. მამაკაცის გამოსახულება — ნიღბის სახე ფართო ოვალს წარმოადგენს. მას მალალი, შეჭმუხვნილი შუბლი, ფართოდ გახედილი, ნუში მოყვანილობის ღიბრონი თვალები, შესქელებული ქუთუთოები (განსაკუთრებით ზედა), რელიეფურად გამოყვანილი წვილი წარბები, შუბლთან ჩაჭყლებილი მასიური ცხვირი, დაბერილი ნესტოები, ფართოდ გაღებული პირი და ღამაზად გამოყვანილი მასიური ნიკაბი აქვს. თავზე ახურავს ქუდი, რომლის ფარფლები უკანაა გადაკეცილი. სახე მოძრაობაშია მოცემული. მრისხანე იერი დაჰკრავს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მღერის. ნიღბის სიმაღლეა 26 სმ, სიგანე — 18,5 სმ.

ყველა ნიღბი და ტერაკოტული ქანდაკება დამზადებულია ყალიბში, სუფთა განლექილი თიხისაგან, შიგნითა მხრიდან ძალიან კარგად ეტყობა ყალიბში ამოყვანის დროს თითების ანაბეჭდი და მუშაობის კვალი. ნიღბების კეცი გამომწვარია არათანაბრად, მოყვითალო-მოწითალო ფერისაა. ჩანს, ყველა წითელი საღებავით იყო შეღებილი.

დიონისე და არიანდე თავიანთი ღვთაებრივი ღიბებულებით, მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით ბერძულ-რომაულ სამყაროს უკავშირდებიან. ისინი წარმოდგენილი არიან როგორც ცოლ-ქმარი. დიონისე — მემცენარეობის, მევენახეობისა და მელენეობის, ადამიანისათვის ძა-

ლისა და სისხარულის მომიჯნებელი ნაყოფიერების ღმერთი, არიანდე — ქალღმერთი, დიონისეს მეუღლე. აქვე აღმოჩენილი ნიღბები კი უფრო ადგილობრივი ტიპისაა გამოცემის ცდას უნდა წარმოადგენდეს. ეს უპირველესად ითქმის მამაკაცის ნიღაზე, რომლის კეხიან და შუბლთან ჩაჭყლებილ ცხვირს, შეჭმუხვნილ მაღალ შუბლს, ფართო სახეს და სხვა, არაფერი უნასაერთო ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებულ ნიღბებთან. აქ კარგად ჩანს სურათი ელინისტური კულტურის შერწყმისა ადგილობრივ კულტურასთან.

მხატვარი-მოქანდაკე, რომლის მიერაც სარკინეში აღმოჩენილი ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბებია გამოძრეწილი, შესაძლებელია ბერძენი ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ანტიკურ ხანაში მრავლად იყო მოხედილი ბერძენი ხელოსნები, რომლებიც შეკვეთით ადგილზე ასრულებდნენ სხვადასხვა სახის სამუშაოს. გამოჩენილი არ არის, სარკინეში აღმოჩენილი ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბები, ასეთი მოხედილ მხატვარი-მოქანდაკეების მიერ ადგილზე იყოს გაკეთებული. ამის დამამტკიცებელ უტყუარ საბუთად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბები, როგორც მათმა თიხის სპექტრულმა და სტრუქტურულმა შესწავლამ გვიჩვენა, ადგილობრივი თიხისაგან არის დამზადებული.

ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბებული და მიღებული შეხედულების თანახმად, დიონისე და არიანდე, როგორც უზენაესი ღვთაებები, წარმოდგენილი არიან თავიანთი ღვთაებრივი ღიბებულებით და შეიქმნა ყველა იმ ნიშნებით, რაც დიონისესათვის არის დამახასიათებელი. ამდენად, მხატვარი-მოქანდაკე ისინი იმ სახით გამოძრეწა, რა სახითაც მათ, დაკანონებულ წესის მიხედვით, საბერძნეთში აკეთებდნენ.



არიანდე,
ფ. წ. 11-1 საუკუნეების მიჯნა


რაც შეეხება ნიღბებს, როგორც აღენიშნეთ, ისინი ადგილობრივი ტიპის გადმაცემის ცდას უნდა წარმოადგენდნენ. ამ შემთხვევაში მხატვარ მიოქნდაკეს ადგილობრივ შერჩეული ტიპაჲისათვის ბევრი ისეთი ნიშანი და თვისება მიუტყა, რაც დიონისეს წრის პერსონაჲებისათჲა არის დამასახიოთებელი.

დიონისესა და არიადნეს გამოსახულებათა: გარდა, ყველა სხვა გამოსახულების სახეც ამ შემთხვევაში ნიღაბი, მოძარბაჲთა მოცემული. სახის გამომეტყველების მიხედვით ისინი თითქოს ყველა მღერის. შესაძლო იყო გეგუჲქრა. რომ ელინისტური ხანის ნიღბების მსგავსად, სარკინეში აღმოჩენილი ნიღბები, რომლებიც ძლიერ ემოციებს და შიშისკაცს გადმოსცემენ, მხახიობის ნიღბებს წარმოადგენენ, ამის შესაძლებლობას გამორიცხავს ის გარემოება, რომ სარკინეში აღმოჩენილი არცერთ ნიღაბს, თჲალებიც ადგილზე ნახვრეტები არა აქვს.

ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბები ნაგებობების ჩატეული კრამიტის სახურავის ქვეშ იატაკზე იქნა აღმოჩენილი. ჩანს, ეს ნიღბები ინტერიერის დეკორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და კედელზე ერთ რიგად განლაგებული: ყველა მათგანს უკანა მხარეს, კეფის არეში ორ ნახვრეტი აქვს გაკეთებული. ამ ნახვრეტებში გაყრილი ზონარით ნიღბები კედელზე მაგრდებოდა.

ნაგებობა, რომლის ნანგრევებში ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბები აღმოჩნდა, ჩასაყოფილა და ხელოვნურად გამოკვეთილ ტერასაზე იდგა. გამორიცხული არ არის, რომ სარკინეში აღმოჩენილი ტერაკოტული გამოსახულებები საკულტო დანიშნულებისა იყო. ასეთ გამოსახულებებს ჩვეულებრივ, ღვთაებისადმი განკუთვნილ სამლოცველოში ან, უბრალოდ, წმინდა ადგილზე ჰკიდებდნენ, სადაც შესაწირავი მიჰქონდათ და თაყვანსაცემად მიდიოდნენ.

გვიანელინისტური ხანაში სარკინეის ქედის წვერზე დიდი ტაძარი უნდა მდგარიყო, ხოლო მის მასლობლად წმინდა ადგილებიც იქნებოდა, სადაც ტერაკოტული გამოსახულებები ეკიდა. ერთ-ერთ ასეთ წმინდა ადგილს, სამლოცველოს, ალბათ, ის სახლიც წარმოადგენდა, რომლის ნანგრევებშიც ზემოთ აღწერილი ტერაკოტული ქანდაკებები და ნიღბები აღმოჩნდა.



ქალის ნიღაბი. ძვ. წ. 11-1 სს. მიენა დიონისეს. ძვ. წ. 11-1 სს. მიენა მომღერალი ქალის ნიღაბი. ძვ. წ. 11-1 სს. მიენა

კლოუნის თვალით დანახული სამყარო

ირინა შელია

მოსწავლის სახელობის მოსკოვის აკადემიური თეატრი თბილისში არაერთხელ წამოსულა საგასტროლოდ. მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ თეატრის ერთ-ერთ წამყვან მსახიობს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს, გენადი ბორტნიკოვს ქართველი მაყურებელი პირველად ხედება.

მეგობრობის თეატრის მოწვევით თბილისში გაიმართა გ. ბორტნიკოვის შემოქმედებითი საღამო და წარმოადგინეს სპექტაკლი ჰაინრიხ ბიოლის რომანის — „კლოუნის თვალით“ — მიხედვით. დადგმა და სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც ეკუთვნის მთავარი როლის შემსრულებელს გ. ბორტნიკოვს.

დღეს ბერეს ვაკეათობთ „რეჟისორისა“ და „აქტიორის“ თეატრის პრობლემებზე, თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ეს მოდური კამათი მოქნარებას მგერის, როგორც ნებისმიერი „მეცნიერული“ მუსაიფი უკვე თავიდანვე აშკარად აბსურდულ, თითიდან გამოწოვილ თემაზე. ხომ ცნობილია, რომ თვით ევგენი ვახტანგოვიც კი, რომელიც პრინციპულად მოითხოვდა — უფლება უფლებათანი დიასაც რომ რეჟისორის ხელში უნდა იყოსო, ამბობდა, თეატრში მთავარი მსახიობია და რეჟისორის ტალანტი სწორედ მასთან მუშაობით იჩენს თავსო. ასეთი წინათქმა სიტყვათა ამო თამაშისთვის როდი



დაამყარებია. გენადი ბორტნიკოვი გახლავთ მსახიობი, ვისი სცენური ფაქტურაც, ამ სიტყვის სრული კომპლექსური აზრით, თითქოს სწორედ „აქტიორული“ თეატრისთვისაა შექმნილი.

ძნელაა კარგად გაიცნო მსახიობი, როცა იგი მისი მრავალი როლიდან ერთადერთით წარმოგვიდგება, თანაც ის ერთადერთი როლიც ათი წლის წინათაა შექმნილი. სპექტაკლი, რომელიც ჩვენ „მეგობრობის თეატრის“ საშუალებით ვნახეთ, აშკარად მოძველებულია. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბიოლის ცნობილი რომანის ინსცენირება უკეთესი შეიძლება ყოფილიყო, რათა მაყურებლებს დიდი ინტერესით მიედევნებინათ თვალი ხასიათის განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, შესანიშნავ მსახიობს გენადი ბორტნიკოვს ამ სპექტაკლით თბილისში არ ჰქონდა საშუალება ეჩვენებინა მთელი თავისი შესაძლებლობები. მაგრამ ამთავითვე უნდა შევინიშნო, რომ გ. ბორტნიკოვის აქტიორული ინდივიდუალობა სწორედ კლოუნსა და შინიის როლშია თვალსაჩინოდ გამოვლენილი. ამ სპექტაკლში შექმნილი სახე, რეჟისორმა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, იგი მსახიობი შეცარად ვკიდება როლებს შერჩევას. არ მახსოვს გ. ბორტნიკოვს სცენაზე ეთამაშოს როლი, რომელიც მის სულსა და გულს არ სძრავდეს. პანს შინიის სახეში მსახიობმა გადმოსცა არა მარტო საერთო შინაგანი ფსიქოლოგიური სტრუქტურა თავისი სცენური გმირისა, არამედ პლასტიკური სურათიც გამოკვეთა. „კლოუნში“ ამ თვალსაზრისით აქტიორის განსაკუთრებულ მიღწევაზე სავანგეზოდ უნდა გამახვილებს ყურადღება. გ. ბორტნიკოვი მხოლოდ თავისი გმირის დრამატულ პარტიას კი არ თამაშობს, არამედ თავად მას, ან გმირის, კლოუნის პიროფსიკულ მუშაობასაც, რომელიც, მოგვსენებათ, აქტიორული შემოქმედების ურთულეს ფანტაზიანია.

გ. ბორტნიკოვისთვის ნიშანდობლივი თავისებურებაა ლიტერატურული პირველწყაროს ორგანულად აღქმა, შინაგანად წვდომა. მსახიობი არ ცდილობს ააგოს თემის ასოციაციური (თავისი და, მით უმეტეს, რეჟისორის) ვარიაცია, იგი თამაშობს მწერლის ან დრამატურგის მიერ შექმნილ როლს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ როცა ჰაინრიხს ბიოლმა, რომან „კლოუნის თვალით“ ავტორმა, სპექტაკლის პრემიერა ნახა, განაცხადა, ჩემი გმირი ასეთად წარმომიდგენია, როგორსაც ბორტნიკოვი თამაშობს.


ინსცენირება ან ეკრანიზება ლიტერატურული ნაწარმოებისა, მით უფრო ისეთი ინტიმური დრამატურგი რომანისა, როგორცაა ჰაინრიხს ბიოლის „კლოუნია“, სადაც, თითქოს, გამოირცხლებილად მიტხვევლან ავტორის გულითად, წრფელ საუბარში გარედან ჩარევა, — გაბედული ნაბიჯია, რაც მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში წარმატება შეძლება მიღწეული იქნას ერთადერთი წინაპირობით — ცხადად, მკაფიოდ გამოვლენილი მხატვრულ ამოცანითა და დამდგმელის ზუსტად ფორმულირებული პოზიციით. ბიოლის რომანში კლოუნის პანს შინიის ამბობს: „ძალიან მიყვარს იმ ჯიშის არსებები, მეც რომ ვეკუთვნი, მე ძალიან მიყვარს ადამიანები“. ვფიქრობ, რომ ბორტნიკოვისთვის ეს საიტყვები იქცა მისი პრინციპული პოზიციისა და გმირის ხასიათის გახსნის ამოსავალ წერტილად. გაგებდავ და ვიტყვი, რომ ურყევი, თითქმის სატიკური ლტოლვა აღნიშნული პოზიციის ერთოდ გააზრებისკენ ბორტნიკოვისთვის იქცა კრედოდ არა მარტო ამ სპექტაკლში, არამედ საერთოდ მთელ მის აქტიორულ შემოქმედებაში. ამაზე მეტყველებს ბორტნიკოვის მიერ სცენაზე შექმნილი წყება და წყება გმირებისა, მკვეთრად ინდივიდუალურ სულიერ სამყაროთა რკალი.

მაყურებელმა ან კრიტიკოსმა შეიძლება მოიწონოს ან არ მოიწონოს, შეიყვაროს ან არ შეიყვაროს ბორტნიკოვის აქტიორული მანერა, მისი სპეციფიკური სცენური ხელწერა, მაგრამ მის გმირებზე ვერ იტყვი „კი, ისინი ასეთებიც შეიძლება იყოს“, რაც ასე წამაღწეწე გაისმის, როცა საუბარია ამა თუ იმ ლიტერატურული ხასის მეტისმეტად „დრამაზროვნად“, თვითმხუნურად მრავალნიშვნელოვან გატების შემთხვევებზე. ბორტნიკოვის საუკეთესო როლებს მნახველს ებადება შფერძნება: ისინი მხოლოდ ასეთი შეიძლებაოდა ყოფილიყო. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურული წყაროს მძაფრად, დახვეწილად აღქმა და არა რაიმე იდეალიზებული პიროფსიკული უცოდველობა მსახიობისა. ამის დასამტკიცებლად თრიოდ სიტყვას მოგასენებთ როლზე, რომელიც, ჩემის აზრით, დღემდე საუკეთესოდ რჩება ბორტნიკოვის მიერ შექმნილ როლებში — დოსტოევსკის რასკოლინიკოვს გველისხმობ.

გამოჩენილი რეჟისორის იური ზავადსკის სპექტაკლი „აქტიორული წმინაობა“ (დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“) თავის დრო-

ზე მოსკოვის თეატრალური ცხოვრების თვალსა-
ჩინო მოვლენა გახლდათ. ამ სპექტაკლში სულ
ცოტა — აქტიორთა ბრწყინვალე „ტრიო“ იყო:
რასკოლნიკოვი (გ. ბორტნიკოვი), პორფირი პეტ-
როვიჩი (ლ. მარკოვი) და სონია მარმელადოვა
(ი. სავინა). დღევანდელი მაყურებელი ძნელად
თუ წარმოიდგენს იმ სანახაობის ხიბლს — შე-
მაღგენლობათა ხშირად ცვალებადობამ ეს სპექ-
ტაკლი თანდათან როგორღაც გააუფერულა,
უღიმღაშო გახადა. მაგრამ ახლა მოლიანად
სპექტაკლზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ მას-
ში მთავარი როლის ძირითად შემსრულებელზე.

რუსულ კლასიკაში არის მხატვრული სახეები,
რომლებიც ფსიქოლოგიურადაც და ფაქტურუ-
ლადაც იმდენად ცოცხლადაა დასატული, თით-
ქოს ავტორი „მაყურებელთა დარბაზში შესაშ-
ვებდა“ ქმნიდა მათო. სიტყვით ხატვა რუსული
ეროვნული მხატვრული აზროვნების ნიშანდობ-
ლივი თვისებაა. როცა გოვოლის, დოსტოევსკის,
ტოლსტოის ასეთ გმირებს თამაშობენ (მე, რა-
საკვირველია, მათი რომანები მაქვს ნაუდგელო-
ბაში და არა წმინდა დრამატურგიული ნაწარ-
მოებები), ყოველი, ერთი შეხედვით, უმნიშვნე-
ლო დეტალის გადასხვაფერებამაც კი შეიძლება
ისე დამახინჯოს მოლიანი სახე, რომ მსახიო-
ბის მიერ როლის ვერაფერითი სიღრმისეული
გააზრება საქმეს ვერ უშველიან. თვალწინ მიდ-
გას ნახევრადბნელ სცენაზე ზურგით მდგარი მა-
ღალი, წელში წასრილი, ჩერებში გახვეული მამა-
კაცი. იგი მკვეთრად იბრუნებს პირს დარბაზის-
კენ და იწყებს თავის მწარე, მტანჯველ და უსა-
შველოდ გრძელ მონოლოგს. ელაპარაკება ყვე-
ლას და არავის, ელაპარაკება თავისთავს და
სხვებს, თავისი მარტოობის პირისპირ დარ-
ჩენილი. მსახიობი გენადი ბორტნიკოვი არა-
ფერს არ იგონებს და ამ როლში არ ცდილობს
რაიმე „უზპიროვნულის“ წარმოჩენას, ის ისეთ
როდიონ რასკოლნიკოვს თამაშობს, როგორიც
ასახა დოსტოევსკიმ. მე ამ ორ სიტყვას იმიტომ
გაგუსვი ბაზი, რომ თამაში — ამ სიტყვის მა-
ღალი გაგებით — მხოლოდ იმისა შეიძლება, რაც
ასახულია, დანარჩენი — სხვა განზომილებების
სფეროა, სადაც სხვაგვარი ცნებებია მოსამარჯვე-
ბელი.



სცენა სპექტაკლიდან „კლოუნის
თვალთ“. კლოუნ — გ. ბორტნიკოვი



სცენა სპექტაკლიდან „პეტერბურგული
შმაგებელი“. რასკოლნიკოვი — გ. ბორტ-
ნიკოვი



დიდად გულსატკეპნია, რომ ჩვენს დროში კრიტიკოსის, ხელოვნებათმცოდნის როლი, ხშირად, დაყვანილია ყოფადმწერლობით ჟურნალისტობამდე, რომელიც „დრამაზროვნის“ შემოქმედებით უაპელაციო რეცეპტებს გვთავაზობს ხოლმე. გავიწყდება ხოლმე საეციფიკა კრიტიკისა, როგორც ხელოვნების თავისებური ჟანრისა, რომელიც, ჩემის აზრით, გულისამბობს შემოქმედებითი პროცესს არა მარტო მკაცრად გონებისეულ შეფასებას, არამედ ამ პროცესში ემოციურ თანამონაწილეობასაც. მართალი გითხრათ, ვერ ვერწმუნები იმ ხელოგენთმცოდნეობას, რომელიც განზე მდგარი მოწმის ან შემოქმედებითი ფაქტის გულწრფელად ამწონ-დამწონის მოსამართლის როლში გვევლინება. ხელოვნების ნაწარმოების კონკრეტული აღქმის სიტყვიერი ინტერპრეტაცია, ისევე, როგორც ლიტერატურის აქტიორისეული ცოცხალი რეპროდუქცირება ადამიანთა მხატვრობის თვითგამოხატვის მთლიანი პროცესის, ყოფაზე ამაღლებულ სფეროში ან ადამიანების ურთიერთობის რეოლეგია. ამ ესკიზურ მონახაზში მიხნად არ ვისახავ მსახიობ გენადი ბორტნიკოვის რთული და თვითმყოფადი შემოქმედების გაანალიზებას. შინა მხოლოდ ხაზი გავუსვა ზოგიერთ ნიშანდობლივ თავისებურებას, რომლებიც სცენაზე ამ მსახიობის ცხოვრების ყველაზე ფასეულ და საინტერესო მომენტად მესახება.

მასფრის ესთეტიკური მომზოხვენლობა, არსებობის შეუძლებლობა, თუკი ესთეტიკურ სრულყოფილებას მაღალ კეთილზნობრიობასთან პარმონიულად არ შეხამებ, — აი, ჩემის აზრით, მთავარი ნიშანი ე. ბორტნიკოვის სცენურის სახეებისა. სილამაზისა და პარმონიის წყურვილი, როგორც ერთადერთი ფორმა არსებობისა, აღამაღლებს მის გმირებს, უსამსობისა და უსახურობისთვის შეუღწევად ხდის ნატიფი მომხიბვლელობის მეტაბოლით, ხოლო თანადმოიბერი სიყვარული „იმ ჯიშის არსებებისადმი“, რომელსაც თავადვე ეკუთვნის, თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არსებები მანკიერნი არიან, ხდება წყარო იძულებითი მტანჯველი, მაგრამ გარდაუვალი მარტოობისა. მისი გმირები ძალზე ემოციურნი და ალტკინებულინი არიან, ისინი მარტოობის ფორმად ადამიანთაგან განდგომას სულაც არ ირჩევენ. ამიტომაც, ისინი ქმნიან ილუზიას, თითქოს ფიზიკურად და სულიერად მუდამბნე ადამიანები არიან.

გენადი ბორტნიკოვის აქტიორულ არსენალში არის იმდენად რთული და მრავალგვარი როლები, როგორცაა უკვე აღნიშნული რასკოლნიკოვი და პანს შნირი, შილერის დონ კარლოსი, პოდპორუჩიკი გოგორუნ-ოტროკი შტიენის პიესიდან „მომღერალი ქვიშა“ (ლავერენცის „ომოცდამეერთეს“ მიხედვით). აგრეთვე მოსოვეტის თეატრის ახალ სპექტაკლში — ტენესი უილიამსის „მიწიერი სასუფეველი“. ამ უკანასკნელ როლში ყველაზე მეტი სისაყვით გამოვლინდა მსახიობის სწრაფვა თანამედროვე ახალგაზრდა კაცის, გარესამყაროსთან და საკუთარ თავთან ურთიერთობაში რთული პიროვნების ფსიქოლოგიური ხასიათის გახსნისკენ.

მსახიობის შემოქმედებითი საღამოს რეპერტუარშია მონალოგები სპექტაკლებიდან, რუსი და საბჭოთა პოეტების ლექსები, ამერიკული და ფრანგული პოეზიის თარგმანები, აგრეთვე მსახიობის მიერ გულთ შეთვისებული სამიღერო-რეგიტატიული ზონგები.

ამას წინათ ბორტნიკოვის ერთ-ერთ შემოქმედებით საღამოზე, რომელიც ახალი წლის პირველ დღეებში ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა, საღამოს წამყვანმა, პოეტმა ბელა ახმადულიანამ ძალზე ზუსტად დაახასიათა ბორტნიკოვის აქტიორული ინდივიდუალობის ფსიქოლოგიური, უფრო ზუსტად, ნერვული სტრუქტურა. ეს იყო სიტყვები, რომლებიც ბელა ახმადულიანამ თავის თავზე თქვა ერთ-ერთი ლექსში: „Я в мире этом чужд стною“.

ზუსტად დაჭერილი თავისებურებაა — გენადი ბორტნიკოვი მთელი თავისი არსებით მართლაც რომ, თვალშეუვლებლად წინსწარფავს განასახიერებს. იგი, მართლაც რომ, მითოლოგ, მეღერ, ძალზე მაგრად დაჭიმულ სიმას ჰგავს.

შესანიშნავ მსახიობთან შეხვედრამ, მართლაც რომ, სიხარული მოუტანა თეატრის თბილისელ თავყვანისმცემლებს.

სომ არ ეხება ჩვენი პროვინული პრესტიჟი?*

ბერნარ გავოტი

მამშენ წინაშე გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, სანამ საქმეს შევუდგებოდე, განვმარტო, თუ რამ გამაბედუნია მიმელო თქვენგან შემოთავაზებული ეს მომხიბვლელი, და, ამავე დროს, სახიფათო წინადადება. მას შემდეგ, რაც პარიზის კონსერვატორიაში ორმაგი განათლება მივიღე — მუსიკალური თხზულების კლასთან ერთად დავამთავრე ორგანოსა და იმპროვიზაციის კლასიც, მარსელ დიუპრეს ხელმძღვანელობით, — ავერ უკვე ოცდაშვიდი წელიწადია მუსიკალური კრიტიკოსის მოვალეობას ვასრულებ „ჟიუგაროში“. ეს თანამდებობა თქვენი აწ გარდაცვლილი კოლეგის, რენანდო ანისაგან მივიღე მეგვიდრეობად, რომელიც, თავის მხრივ, გაბრიელ ფორეს შემცვლელი გახლდათ და რომელმაც გასუთის ამ განყოფილებას სამუდამოდ დააჩინა თავისი განუმეორებელი პიროვნების კვალი.

ასე და ამგვარად, უკვე ოცდაშვიდი წელიწადია ყოველ საღამოს ვესწრები კონცერტს, რათა არაფერი გამომჩინე ჩვენი მუსიკალური ცხოვრებიდან. ამასთანავე, დროს თანაბრად ვუთმობ როგორც ტრადიციული მუსიკის კონცერტებს, ასევე

თანამედროვე მუსიკის სენსებსაც, რომელთა შორისაც პირველს ვაღიარებ კედელია აღმართული: კლასიკურ მუსიკის მოყვარულთა უმრავლესობას მოსმენაც არ უნდა მოსწონს, რასაც მუსიკად არ თვლის, ხოლო „განგარდის“ მუსიკის მხურვალე თავყვანისმცემელთა უმრავლესობა უარყოფს ტრადიციულ ხელოვნებას, რომელსაც, მათი აზრით, თვითნებობა უდევს საფუძვლად და რომლის გამოშხამებლობითი საშუალებანი — ნოქველებულია. ამან ჩვენი მუსიკალური ცივილიზაცია გაბზარა, გათიშა და ერთი ქედის იმ ორ კალთას დაამსგავსა, არაფერი რომ არ გაეგებთ ერთმანეთისა. ერთნი წარსულის კულტს აღდიებენ, მეორენი — დაუღალავად, მეკითხოდ ამზადებენ მიმავალს. გარდასული დროის მორეჟი მსგავსიც არაფერი მომხდარა იმისა, რაც დღეს ხდება. ამ საკითხს კიდევ დავებურუნდებით, ახლა კი გავგებდავ და თქვენს თავყრილობას ვაგუზიარებ ზოგიერთ მოსაზრებას, რომლებიც სწორედ ჩემი საქმიანობით განპირობებული ყოველდღიური დაკვირვებების საფუძველზე გამიჩნდა.

ძელებული ვარ დაბეჯითებით ვთხოვით, იყოთ ლომობიერი ჩემს მიმართ, რადგან ასეთი სახელგანთქმული საზოგადოების წინაშე სწორედ მე მარგუნა ბედმა მოტირალის როლში გამოსვლა. გულწრფელად რომ ვითხრათ, ბუნებრივი მიდრეკილებისა თუ იმ პატივისცემის გამო, რითაც ტრადიციის მიმართა ვარ განსმკვალული, თავს მოწოდებულადაც კი ვთვლი განვასახიერო ეს როლი laudator temporis acti¹ და წარმოვაჩინო საყოველთაოდ ცნობილი სკეპტიციზმი იმ ცვლილებებისადმი, ჩვენში საღიდებელ მიმნებს რომ უმეცრიან, თუმცა ამ ცვლილებებს ჯერჯერობით არავითარი ხელშესახები წარმატება არ მოჰყოლია. პირადად მე ასე მეჩვენება. მე ვგონია, რომ არა მარტო მუსიკის, არამედ ბევრ სხვა დარგშიც, სიხარულით დაასამარეს წარსული, რათა მის ნანგრევებზე ჰპოთეტური მომავალი აეშენებინათ, რომლის პირველი ნაყოფიც მაინცდამაინც მაცდუნებელი ვერ აღმოჩნდა. იმპროვიზაციაცა და იმპროვიზაციაც, იმპროვიზაციაც, მარსელ დიუპრე რომ გაასწავლიდა ორგანზე, პრაქტიკაში დიდი მოწონებით სარგებლობდა, თუმცა ძნელი დასაფუძვლებელი კი იყო. ის იმპროვიზაციაც, რომელსაც მე ვგულისხმობ, სხვა ბუნებისაა: ის დიდი, მაგრამ ხანმოკლე არსებობისთვის განკუთვნილი სახლების აჩქარებულ მშენებლობას ჰგავს, აქა-იქ რომ ამოხიდილან უზარმაზარი სიყოების მსგავსად. ტექნიკური პროგრესით შევლანებული ჩვენი ეპოქა კუთვნილ ცდილობს სულიერ შემოქმედებასაც მეცნიერული მეთოდებით მიუღდეს. ეს კი აშკარა გაუგებრობაა, რაც, ჩემი აზრით, მრავალ დაბნეულობას იწვევს.

ქიტორ პიეო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მიგეითათა ის მეცად წარმოადგენს, შესძლებულად რომ თვლის ნეცნიერული პროგრესის თეორიის დაკავშირებას ხელოვნებასთან. „ხელოვნებას, — წერს პიეო, — ოდნავადაც არ აზასიათებს ამგვარი პროგრესი. ფიდასიდან რემბრანდტამდე არსებობს მოძრაობა და არა პროგრესი. ხელოვნება, როგორც ასეთი, თავისთავად, არც წინ მიდის და არც უკან ბრუნდება. გარდაქმნები პოეზიაში — მშენებების მარადიული დინებაა და სხვა არაფერი, რაც საერთოდ კაცობრიობის წინსვლას უწყობს ხელს. ხელოვნება დამოკიდებული არ არის არც მო-

* ვებუდავთ ცნობილი ფრანგი მუსიკისმცოდნის ბერნარ გავოტის მოხსენებას ნატელი ხელოვნების აკადემიის სხდომაზე. მოხსენება იბეჭდება იმ სახით, როგორითაც გამოქვეყნებულია ყურნალ „სოვეტსკია მუსიკაში“, № 12, 1977 წ.

¹ გარდასულ დღეთა მეხოტბისა.



მაელის სრულყოფაზე, არც ენობრივ გარდაქმნებზე და არც რომელიმე დიალექტის განცხნა თუ გაქრობაზე...¹

ეს შესანიშნავი, ბრძანული სიტყვები გვემხრობებიან უფრო საღად ვიმსჯელოთ ვერუთ წოდებული მუსიკალური ენის მოძველების თაობაზე, იმ ენის თაობაზე, რომელსაც ავტრ უკვე ოცდაათი წელია ცდილობენ ახალი ლექსიკის შექმნით უშველონ. ამგვარი გაუგებრობის, დიას, სწორედ რომ გაუგებრობის, წინააღმდეგ ბრძოლას შევლია სიცოცხლის უკანასკნელი წლები თვენმა ერთ-ერთმა კოლეგამ არტურ ონეგრამ. მისი სიფრთხილე მისხავე ავადმყოფობას დაბრალდა და არაგინ მიაჭიდა დამსახურებული ყურადღება. მე კარგად ვიცნობდი და ძალიან მიყვარდა ონეგერი, ამიტომ არ შემიძლია არ მოვიშველიო მისი სიტყვები:

„არა, ენა კი არ გაცადებ, არამედ აზრი, რომელიც ძალიან ხშირად ძაბუნდება. ლექსიკის მოძველება მხოლოდ საბაბია, იმათი მოგონილი, ვისაც არაფერი აქვს ჩვეულებრივი სიტყვებით გამოსატყულო. ამიტომაც ცდილობენ ახალი სიტყვების შექოწოფებას, რათა ამათი საკუთარი წარმოსახვის უსუსურობა მიჩქალონ. სიტყვას თავისთავად არავითარი ღირებულება არ გააჩნია: მთავარია ფრასა.“

მე არ თვითნებური პროგრესისა მწამს და არც დამბრუნებისა. ყველაზე მეტად კი „ხერხების“ მემშინია. დაწვწუნებული ვარ, რომ შიონბერგისეული „ხერხები“ დასალუჰადა განწურული. შიონბერგს ტანალობა თრეუნავდა, ვაგენერმა დათარსა, მოვადებულნი წრიდან თავი რომ დაეღწია, ატონალობა აქცია დღემაღ; ეჭვიც არ შეჰპარვია, უკან დასახვე ხიდებს რომ წვაგდა და გადაუჭრელ ამოცანას უტოვებდა თავის მიმდევრებს. თავი ლტოლვილად მიჰჩანდა, სინამდვილეში კი ტყვედ ჩავარდა და ტუსადა იქცა. შიონბერგი მხატვრული აუცილებლობის გამო კი არ იყენებდა ატონალიზმს, არამედ ტონალობაზე აკვიტებული ფიქრი, ანუ უძღურობა აიძულა მისთვის ასე მოქცეულიყო. ეს იყო მისი უბედურება. ხლო მისი მეთაობის ბრძალ გამოყენება სერიულ სისტემაზე მივიყვანა, რასაც საშინელი, ერთმანეთის მსგავსი, ხელოვნურად გართლებული, მოსაწყენი და ცარიელი პატარ-პატარა პიესების ნიადაგია მოჰყავს. ეს აღარ არის ხელოვნება, ეს რეჟეპტია. თანაც სახეფათო, რადგან ბევრს შეიძლება მოეჩვენოს, თითქმის უნარი შესწევს ამ რეჟეპტის გამოყენებისა.

მსჯელობა იმის შესახებ, თითქმის ხელოვნების ნაწარმოებს მოძველება ემუქრებოდას და, მიდიდან გამოსვლის შიშით, თითქმის ვალდებული იყოს გაუსწროს დროს, თავად გამოიკონოს მოდა, ოცი წლის შემდეგაც რომ იარსებებს, მტკნარ სისულელედ მიმჩნია. ამგვარი მსჯელობანი თავად ხელოვნებას უქმნიან საფრთხეს...²

ასე ჭკვიანურად ლაპარაკობდა არტურ ონეგერი. შეიძლება მცითობთ, რა საერთო აქვთ ზემოთ ნახსენებ პრობლემებს იმ ძირითად საკითხთან, რომელიც დღეს გავსწრებებს და რომლის სავანის მსფილოშიმ ჩვენი მუსიკალური პრესტიჟის სიმტკიცე-შერყეობის დადგენაა. საქმე ისაა, რომ ამ პრესტიჟს განაპირობებს ჩვენი მხატვრული პროდუქციის ღირებულება და ხასიათი, შედარებული სხვა ხალხთან მხატვრული პროდუქციასთან. ამიტომ, ბუნებრივად შეზადება კონხვა: შეინარჩუნა თუ არა ფრანგულმა ხელოვნებამ, იმ ხელოვნებამ, დამოუკიდებლად რომ ვითარდებოდა საკუენების მანძილზე, პრივილეგირებული მდგომარეობა? გარკვეული თვალსაზრისით მან ეს მდგომარეობა დაკარგა, რამდენადაც ფრანგულმა ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებები საიკრად დაემ-

სგავსნენ მათი უხვბოლი მეტოქეების ნაწარმოებებთან. ხდება ასე? საქმე ისაა, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მოხდა მუსიკის წერის კანონთა მეტად სათავისი უნიფიცირება. დღეს ენისა და იმავე მუსიკას, ერთი და იმავე ხერხებით, ქმნიან როგორც საფრანგეთში, ასევე იტალიაში, პოლონეთში, სამხრეთ ამერიკაში...

ძნელი დასადგენია, რა განსაკუვება ახალი დროების დადგომამდე ფრანგულ მუსიკას სხვა ხალხთა მუსიკისაგან. რადგან განსხვავების კრიტერიუმები უფრო მეტად ანტიკურ-აქმუნზე იყო დამოკიდებული, ვიდრე მაკარ ნატილზე. რატომ იყო სენ-სანსის, ბერილიოზის, გუნდს, ბოიუს, ფორტის, შპირიუს, ფლორან შშიტის, რაგელის, დეზიუსის, პულენკის მუსიკა ასე საოცრად, ასე განხიზნად ფრანგული? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პარმინიულად, მელოდიურად და რიტმულად ის გამოხატავდა გარკვეულ ატმოსფეროს, რომლითაც გარემოცულია ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ადამ-წესები, ჩვენი გუნბები, განწყობილობა. დეზიუსის პოლედისი, ფორტის რომანსი, რაგელის პიუსის, შპირიუს ინტერმედისი, ბიუსის არიის, სენ-სანსის კონცერტის, ფლორან შშიტის რამოდენიმე სტრუქონის, მარსელ დიურეს პრელუდიისა და ფუგის დასახსიათებლად ძალიან ხშირად იყენებდნენ ისეთ ცნებებს, როგორცაა წინაწარმოება, მშვენიერება, სინატციფე, გრძნობათა ფანტაზია. თავმეკავებულობა კოლორიტით სარგებლობისას და ა. შ ფრანგული ხელოვნება ერთნულოებით გამოირჩევა, როგორც ჩვენი დროში — სამშვენიერებით, ჩვენი ჰავა — განსაზღვრული ტემპერატურით, ანდა ჩვენი ვითარებხვდა — გარკვეული ერთიანობით, რაც სრულებითაც არ ნინნავს ერთნარიობას და ადვილად გამოასცნობა, მსგავსად ჩვენი მხატვრებისა, კლასიკოსები არის ისინი თუ იმპრესიონისტები, რომლებიც, კლოდ მონეს თქმით, იდუმალი წინაწარმობის კანონებს იცავენ, რიცა ჩვენი პოეტები, როგორც პოლ ვალერიმ შენიშნა, ოჯახური მსგავსების წყალობით ცნობენ ერთმანეთს, რაც ნებისა აძლეული ოსტატურად შეახაზონ გემოვნება და სითამაშე. ადვილი შესაძლებელია, ჩვენი შედარებით მორიდებული მონაწილეობა რომანტიზმის სწრაფ განვითარებამი, სწორედ თანდაყოლილი ზომიერების გრძნობის ბრალი იყოს, შეზღუდული სახლის სისუსტის ნინმად რომ მიიჩნეეს. თუკი რომანტიზმი სათავეს მართლა ფრანგული რევილუციიდან და იმპერიის პერიოდის ომებიდან იღებს, მაშინ არანაკლები სიმართლეა ისიც, რომ ჰქტორ ბერილოზი თითქმის ერთადერთი იყო, ვინც ბეთოჰენის, შუბანის, შუბერტის, შოპენის, ლისტის, ბრამსისა და ვაგენერის გვერდით საფრანგეთს წარმოადგენდა. სხვას რომ თავი გაავანებოთ, ზომიერების ეს ცნობილი გრძნობა თანდაყოლილი გემოვნების უბრალო სინინობა და არაფერი აქვს საერთო ინდივიდუალობის ქონა-არქონისათან. მარტო მუსიკის სფეროში რომ ავიღოთ, კლოდ დეზიუსის, შირის რაგელის, ალბერ რუსსელის, დარიუს მიოის, ფრანსის გულენების, არტურ ონეგრისა და სხვა მრავალის სახელიც კმარა ამგვარი გულუბრყვილო გამკილავებისაგან თავის დასაცავად.

რა თქმა უნდა, ისეც კომპიდარა, რომ ზოგიერთი თვისება უხვბოლი გენიოსა ჩვენს ყველაზე დიდ კომპოზიტორებსაც უთავიდანვე არ უღირებოთა. არც ფორტე, არც დიუკას, არც რენინალო ანს არ შეუფასებიათ ღირსეულად ჰუმინის მძაფრი ბუნება. ფორტე „ფიგაროს“ ფურცლებზე „ბოჰემისა“ კომედევ ერთი საშინელი იტალიური ოპერაა უწოდებ. ამის უბრალო მიზეზი კი არ გახლდათ, რომ ჰუმინის ღირიული გულუხვობა „პენელოპეს“ კლინური ხელმომჭირნობის სრული ან-



ტირლია. ალბო, გასწენებაჲ არ გჭირდებათ იმისა, თუ როგორ გააოცა და გააწილა რიპარდ შტრაუსი „პულსებას და მელისანდემ“, რომელსაც Opera Comique-ში მოუსმინა რომენ ვილანთან ერთად. მესამე სურათის შემდეგ შტრაუსსა თავე ერთად შეიკავა და წამობაძას: ეს ხომ მუსიკა არ არის. ან პარტიტურაში შტრაუსმა, გამეფებულ შერჩეული ეფექტებისა და დახვეწილი პარპირების მონაცვლობის გარდა, საერთოდ ვერაფერი დამასა, რაც, თუნდაც, მსავსა იქნებოდა მუსიკას. ეს კი იმას ადასტურებს, რომ საუკუნის დასაწყისში ერებს შორის არა მარტო გეოგრაფიული, არამედ მხატვრული საზღვრებიც არსებობდა.

უნდა გვიხაროდეს ამ ბუნებრივი საზღვრების რღვევა და ყველაფერში „ხელოვნების საერთო მაზრის“ შექმნა? აღტაცებულნი უნდა ვიყოთ დოდეკაფონიის ამტკაცებელი უნივერსალური ენაზე? უნდა გვისამოვნებდეს, ასეთი ძნელი გასარჩევი რომ გახდა იტალიელ მაიმობელთა ნამუშევრები მათი ამერიკელი თუ ფრანგი თანამომძიებების ნამუშევარებთან? მე გიგონი — არა, რადგან ნათელია, რას კარგავს ამით მუსიკა, და ძნელი წარმოსადგენია, რას მოიგებს იგი.

ამგვარი ევოლუცია, როგორც საფრანგეთში, ისევე მთელ მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა, იმ მუსიკალური ენის არსებობას ემუქრება, რომლითაც საუკუნეების მანძილზე ესარგებებოდით. არ დაივიწყოთ, ბატონებო, რომ მონტცვერდის „ორ-ფესოსიდან“ „პულცასამდე“, რომელთა შორისაც სამი საუკუნე დევს, მხოლოდ გამომსახველობითმა საშუალებებმა, წერის სერხებმა და ინსტრუმენტთა წყობამ განიცადა ევოლუცია. საფუძვლში კი ორივე ამ ოპერის ენა ერთი და იგივეა, ისევე როგორც პოლ გალერისა და პასკალის ენა.

მოდით, ახლა „პულცასისა და მელისანდეს“ პარტიტურა შევადართო შტოკაუსუნის ელექტრონული მუსიკის, ქსენაკისის სტოკასტიკური და ბუქურნელტიოვის ალტერატიული მუსიკის პარტიტურებს. პირველს არაფერი აქვს საერთო დანარჩენს სამთან. ასედაც უნდა იყოს, რადგან ამ ოდნადაი წლის მანძილზე ჩვენ მოწმენი ვართ არა ევოლუციისა, თუნდაც ძალიან სწრაფისა, არამედ უბრალო მუტაციისა. ახალგაზრდა კომპოზიტორთა უმრავლესობისათვის მუსიკა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და გვიყვარს, მკვდარი ენაა. ის საარტიფო დოკუმენტია, — რომელსაც რაიმე ცნობისათვის თუ მიმართავებ ხოლმე, ანდა ცნობისმოყვარეობის გამო თუ ახალღაზრებე პარპირისა და ფუნქს ტრადიციული თეორიის მეოღნენი — და არა ენა, რომლითაც ჩვენს დროშიც შეიძლება საკუთარი აზრების გამოხატვა. ხანგრძლივი და ბრწყინვალე ერა დასრულდა. იწყება ახალი. ახალი შუა საუკუნეები დაუდგა შემოთიბებულ სამყაროს.

მუსიკალური შემოქმედების სფეროში ჩემს მიერ ახლახან მოკლე განხილული უნიფიკაცია ჩვენი ეროვნული მუსიკალური თეატრების ცხოვრებაშიც შეიმჩნევა, რაც არა მარტო ამ თეატრების ინდივიდუალობას, თვითმყოფადობასა და მოღვაწეობას, არამედ საერთოდ მათ არსებობას უქმნის საფრთხეს.

რისთვის დაარსდა ოდესღაც ცეკვისა და მუსიკის ეროვნული აკადემია¹, მსგავსად Opera Comique-სა? მხოლოდ

და მხოლოდ იმისათვის, რათა განედლებინა და დაეცვა ქვენი ეროვნული გენის საუკეთესო ნიმუშები, რათა მიფრეხეს საკუთვლეთოდ აღიარებული უცხოური ოპერები და ბოლოს, რათა აღეზარდა ეროვნული შემსრულებლები, რომელთაც დირსკულად შეეძლებოდათ რეპერტუარის შედგენების წარმოდგენა.

მიუთითა რა შექმნილ მდგომარეობაზე, გაოცობს ის სამუსიკალური ტრენდენციები აღნიშნა, რომელთაც თავი იჩინებს ორივე ეროვნული, ანუ სახელმწიფო საბჭოერი თეატრების სტელმდახვალბაში. (ყველა დანარჩენი გრანდული თეატრი ან კერძო ანტრეპრისია, ანდა, იმვითა შემხსვევება, მენიციპალური დაწესებულება.) გაოცობს იმ სადღესას, მაგრამ სამამუსიო მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნებისათვის მეტად მისაფაოთ ამოცანებზე, რომლებიც Grand Opera-ს გადაკეთებას გულისხმობენ. აცილებელია თავიდანვე დაუსტადეს რა ნიშნულბითი ხმარობს გაოცობა, ინტენსიციონალზაციის მცნებას. ამ მცნებაში ის დენაციონალზაციის გულისხმობს, ანუ ისევე და ისევე, ეროვნული პრესტიჟის დაცემას, რაც, მისი აზრით, Grand Opera-ს რეპერტუარიდან თანამდგომი (ანრი ტომასი, დანიელ ლესური, ტობი ობენი და სხვა.) და შედარებით ადრინდელი (ესენ-სანსი, მანსე, რამო, ფლორანს შიტი) ფრანგი კომპოზიტორების თითქმის სრული განდენების შედეგია. ზემოთ დასახელებული ავტორების ნაცვლად მოიხმებრია აღნივებული.

გაოცობს აზრით, ფრანგული რეპერტუარის იგნორირებას საკალბო შედეგები მოჰყვება. თუ ქვეყნის წამყვანი მუსიკალური თეატრები არ წაახლისებენ ფრანგ კომპოზიტორებს. არ უზრუნველყოფენ შემოქმედებით დაკვეთებით, მათი აქტივობა საბჭოერი პარპირი აუცილებლად დაცემება და ბევრმა: მათგანმა, შვიძლმა, საერთოდ აიღოს ხელი ამ ეანრება, ოლივიე მესიანის, ანრი დუტიეის, ანდრე მალიგრეს, ანრი სოვეს ჟორჟ ორიკის, ეან რივიეს და სხვათა მსგავსად.

არანაკლებ შემამოფთობელია ამ თეატრებში მომუშავე მომხრელების მომავალიც. უცხოელი, „მოწვეული“ ვარსკვლავთ: იმეღვე ყოფნა, ეროვნული რეპერტუარის გაღარიბება იქმნდე მიიციყვანას, — ამბობს გაოცობა — რომ თეატრები თავი-თათავად დაკარგავენ ეროვნული მომხრელების საშუალოდ ფუნქციას. ის მსახიობნი კი, აქამდე პარპირის აფიშიებს რომ ამწვებდნენ, იძულებულნი გახდებიან ან უცხოეთში გაღაიხნენ, ანდა პროფიციულ სკეპს შეაფარონ თავი.

მოერო მხრივ, ლაპარაკია Opera Comique-ის გაახალგაზრდავებასა და, თვეენ წარმოიღვინეთ, მისი საქმიანობის ძირფესვიანად გარდაქმნაზეც. თეატრმა კარი ნაკეტა, ხოლო რაც ისევე გააღებს, მას უკვე ოპერა-სტუდია ერქმევა და არა Opera Comique. სახელწოდების გამოცვლაც ნიშანდობლივად შემაშფოთებელი: ყველადათვის ნათელია ის განსხვავება: ხარისხსა და მასშტაბებში, რაც სახასილის სიდიდე გადაკეთებას მოჰყვება; თუკი სახასილწ ზოგჯერ მათე უმოგვიანავება ხოლმე სასამიოერი მოულოდნელობას, სტუდია, რაც არ უნდა კომპოზიტორული იყოს იგი, ანოსირებულს გარდა, ვერაფერი შემოგვთავაზებს.

სქ გაოცობს მიუითებებს იმ ერთ-ერთ უპირველეს ნიშანზე, კერძოდ, ორკესტრისა და გუნდის რიცხობრივი შემცირებაზე რაც ნაოლად გამოიხატავს იმ დაქვეითებას, თეატრის სტუდიად გარდაქმნას რომ მოხდეს. გარდაქმნებები კი გვიარდებიან, სტუდიის რეპერტუარში კლასიკურ ნაწარმოებებსა შეგინარჩუნებთ და მთელი რიგი სახასილწე მომხმადებელი, მაგვინ ეს „სახასილწი“, რაც არ უნდა მოუთმელად ველოდეთ მათ ნახვასა და მოსმენას, მაინც გარკვეულ დაძაბულობასა და, ცოტა არ იყოს, შიშაც იწყებენ. და მართლაც, თუ იმ დაქვეითების მიხედვით ვიშკავებთ, რომელიც თეატრმა ამ უცხოურის წინ წარმოადინა, მეტად სამუსიკური შეხედულება შეგვექმნება იმაზე, რაც ტიპური უნდა გახდეს მომავალი სტუდიისათვის. გაოცობს გულსტიკივით წერს, რომ მრავალ

¹ პარიზის გრანდ ოპერის (Grand Opera) სრული სახელწოდება.



შესანიშნავი ქმნილების დამამდიდებელსა და განამდიდებელს სცნებაზე, ერთი საღამოს განმავლობაში სამი ნაწარმოები წარმოადგინეს და აქედან არცერთს არ ქონდა მუსიკასთან ორხავე კავშირიც კი. გაავრცელდა აღნიშნული ირონიით გვიხიარებს თავის შთაბეჭდილებებს.

პირველად შემოგვთავაზეს ჩანახატი ოპერისა, რომლის სახელწოდებამაც — „ანანი ფედრასათვის“ — ერთდროულად რადიკალურიც იყო და ბავშვურიც. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო განვმტკიცა რადიკალურ უსუსლო კატეგორიულ გამოწყობილ და თანაც, აი, ჩვენი შექმნები რომ ხმარობენ ველზე, სწორედ იმავე ორთქლებზე შემდგარი ფედრასა და თუხუხების გამოქნამს. იმავე დროს თეთრი ფიგურისაგან შეკოწმებულ სადღვეურ შიშველი იპოლიტიკ ეპოქანობა ჯიკველასათი და ვერვთ წოდებულ „კლასტერ პოზუს“ იღებდა. სამივენი რადიკალ ბუტბუტებიდნენ. ის იყო სისხან ბეჭეობისა და მხულო თანხმობების კონსერტი, ხანდღველად ღირსი გამოქვამულია ეპოქისა. გვერდითად, ეს „თებრა“ რასინის „ფედრასა“ სამასი საუკუთხით ადრეა დაწერილი და ნეანდერტალისის გასართობადა გამოხსულია. ჩვენი ყოველმხრივი პატივს ვცემთ მუსიკის წარმოშობას, ვაფასებთ Pithecanthropus erectus-ის კონცერტებსაც, რომლებიც, ალბათ, ამოღებული იხს ნაქრებისა და ერთმანებურ მოკაუნებ ნიგარების მეშვეობით იმართებოდა, ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ სათავეებისაკენ მიზრუბებასაც, მაგრამ თავს მაინც ნებას ვაძლევთ, ვიფიქროთ, რომ ჩვენი პირველმშობელთა მუსიკალური გენისის გამოვლენასა და „ნაშუადღეს ფაფის დასვენების“ პრეზულდის შორის (ამას, რა თქმა უნდა, ვიკტორ ჰიუგოს საწყყნად არ ვამბობთ) მაინც არსებობს ვარკვეული პროგრესი და რომ ჩვენ კრომანიონის ეპოქის ადამიანში ალბათ არ უნდა გვევადგეთ მეოცე საუკუნის ადამიანის სწორუპოვარ მოდელს.

ამ უცნაურ ოპერას, რომლის შთაგარი გმირები, ვიშეოტ, ორთქლებზე იდგნენ, რათა უკეთესად დანახათ ლტოლელი მუსიკა, მოყავა ბალეტი; ბალეტს ახლდა მუსიკა, რომლის შექმნაში ადამიანს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ეს იყო ფირზე ჩაწერილი ხმები ზღვის ფრინველებისა, რაც თავისთავად ალბათ არ იქნებოდა არასასიამოვნო მოსასმელი, ბოლომდე აწულე მისიგამალოცებლებს უკიდურესად რომ არ გაემძაფრებინათ თოლის ყურისწამლები ჩხავილი და ჩვამას ტარტარი. შესეკეროდით ორი მოცეკვლისა ნატეფ მოძობების და თან თავი დაწოიკებულ საფრინველები ვგვანათ. ხუთი წუთის შემდეგ შეწყალბა მინდლად მეთხოვა.

[გაოტო, ასევე ირონიულად აღწერს რა ამ „ტრიპტიხის“ ბოლო ნაწილსაც, საერთოდ საოპერო ჟანრის კიდევ ერთ დამამცირებელ პაროდის, გადაღვის სხვა კომენტარებზე].

აი, რა გამოიგონეს Opera Comique-ს დაკრძალვის აღსანიშნავად. ისე, რე მომეკიხოთი, ტრადიციული სამგლოვიარო ცერემონიალი, ალბათ, ნაკლებად სვედისმომგვრელი იქნებოდა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აუდიტორიამ, ძირითადად სტუდენტობამ, მსყავის სანახაობებით საქაობდ გამოწრთობილია, რათა გულთან ახლოს არ მიეტანს ნახანი თუ მოსიხილი, ერთადერთი სწორი გზა აიჩრას: ეს აღმამოფთებელი სისულელე ცაკვინთ დაჯილდოვდა. მაგრამ, ვის მოუვიდა აზრად ამგვარი სპექტაკლის ჩვენება? ამის გამოძიება შორს წაგვაყვანს; ვის არც „იქისათ“, და, მითუფრო, არც „იგარკი“... „სუტი“... ნუ ფიქრობთ იმათზე. უბრალოდ, ვის იყო შედგეი ადრეული შთანხმებისა, ჩაკეტული კარის მიღმა ოდესღაც საიდუმლოდ დადებულ ხელშეკრულების ნაყოფი. ყველა ხელს იმინდა, ხოლო მეგარის გადამხდელი საყრთოდ გაოგება ამგვარმა სიახლემ, მისი ფულებით შექმნილმა და ხალხის გასა-

ცინებლად გამოტანილმა ეროვნული მუსიკალური მართაქრის სცნებაზე, სადაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მელსინდა გემანათა გრინობდა პელეაის მღვლეფი საყვარულს, სადაც ფლორია ტოსკა მარო კავარადოს თავისი გვიჩიარის ენების თანახმარს ხდიდა, სადაც კავადურ დე გრისი მანონის ხელი ეხარა, სადაც პენულოვი ისე გამოხატავდა უდადეგს ლტოლვას არასტრულისეც, როგორც მხოლოდ ფორის შეშქობა, — და საერთოდ იმას, რაც გემმარტივი არსია ხელოვნებისა, რაც ღირსია ირულებიდას ხელოვნებად, ცილოზუბული საზოგადოების ხელგნებად, რომელი საუკუნეების მანძილიც ავლენდა თავს სინატიისა და გამოშენებლობის სრულყოფილ ძველებში, და რომელსაც დღეს ველარფერს შევადარებთ, გარდა ფურგონისა, სინინტურს რომ ეხილება. არა, პატრონო, მინდვილოვანი სახელმწიფო დოტაციის გამოშენება აზვარო მდებალი მიზნებისათვის — დაუშვებელია! დეა, ჩვენმა სინდისმ: გვაიძულის, უფრო თამამად გამოთვქვთ ჩვენი აღმულოთებ: და დროულად ამოვმანთით იმ ტურნეოლოციონერების განზრახვა, ვითომდა სათავეებისც შემოტრუხების საბაბით, ჭუჭყსა და წუმპეში რომ იქექებინას.

ეს გულისმარვე წარმოდგენები იმ საბედისწერო დღვარდაციას ახმულებ, რომლისკენაც მივყავართ ლიბერალზმად მონათლულ გულგრძობობას, სითამამის ნიდაბს ამოფარებულ თავაშვებულობასა და დაუდევარ ქესპერიმენტებს. ყველა თანამონაწილეთ, მაგრამ დამნაშავე არავინაა; სწორედ ესაა კეთილდამწყობილთა დიდი შიში, როგორც ქორე ბერნანოსი ამბობდა. თუ ნებას მომცემთ, ვაგებდავ და კრიტიკული ალღის კოლექტიური უარყოფის დამადსტრუბელ რამდენიმე მაკალიის მოიყვანთ. კრიტიკული ალღის უარყოფა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე არასასიამოვნო მოვლენად და ერთ-ერთ ყველაზე მყარ შენეციად მიჩვენება. ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ სასაცილო, დაკარგა რა თავისი მომავლინებელი ძალა, წახალისების საგნად იქცა საფრანგეთში?

ალდგომის დღეებში, ყოველგვარი მონანიებისათვის ესოდენ შესაფერის დროს, რუაინში იმართება მუსიკოს-ავანგარდისტთა ფესტივალი.

იმ წილოწადს — 1969-ში — ფესტივალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, აუდიტორია უფრო აქტიურად ჩაება: საკულტო ცერემონიაში, და აი, ერთ საღამოს რვასამდე კაცი (მსმენილებს გულისხმობ) ჩაკვსეს სადღესასწაულო დარბაზის სავარძლებში. სცენაზე, ფრაკიანი დროთორი სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელობდა. ჩვენც ყველაფრისათვის: შუად ვიყავით, რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რაც მერე მოხდა. თავაზიანმა მომსახურე ქალებმა კალათებით ჩამოუარეს რიგებს და... მისატყუარები ჩამოგვირიგეს. აი ვიცის, განხატეთ თუ არა, ეს პატარა ინსტრუმენტი, რომელიც ხელის ეჭმავით ანდა სულის ჩაბერვით კაკბისა თუ მწყერის ხმას გამოსცემს და ჩიტებს იტყუებს; ნაირნაირი ჩიტები მოფრინავენ ამ ხმასზე, ტოტემში დამალულ თუ ბალახში ჩაკავრულ „კოლუმბთან“ შესავედრად. პირადად მე ბეჭურის მისატყუარი შემხვდა. სცენიდან ყურისწამლები მუსიკა ისმოდა. დრო და დრო დღიგორი დარბაზისკენ ტრიალებოდა და ხელის მბრძანებელი მოძრაობით, ხან მგალობელი შაშვების სექტორს, ხან მწყერების რაზმს, ხან კურდღლების ჯოგს, ხან კაკბების არმინას და ხან დამყნავი ბეჭურების გუნდს აახმინებდა ხოლმე; როდის რა მოეპრინებოდა. ორკესტრი მშვიდად, აღუშფოთებლად განაგრძობდა დაკვასა, სრულებით არ უშლიდა ხელს ჩვენი გინასი. უნებურად მოყარტი გაბასყნდა, ოდეს-



დაც, „ჯადოსნურ ფლეიტაში“, ასეთი სიყვარულით რომ შექმნა სიმღერები ჩიტებზე მონადირე პაპაგენოსთვის. ისიც წარმოიდგინე, რა დამეარაობოდა მოცარტს, შემთხვევით რომ აღმოჩენილიყო ჩვენს გაყოფებულ საფრინველში. „გადასა-საღინით შევიფაროველი ფრანგები, — თქვადა ალბათ იგი. — ძმანო ჩემნო, ნუთუ ამგვარ სისულელეებზე იზარება თქვენი ფულიო?“. უნდა ვაივაროთ, რომ ასეა. მაგრამ ისიც საფიქრობია, რომ მისმენელთა უმრავლესობას სიაშოვნება მიანიჭა ამ უმცაფროსებამ: აქა-იქ კანტიკუნტად თუ გაიგონებდით სტვენას საერთო „ბრავოს“ დრიალში. ზოლო უტიფარმა და წარატებით აღზნებულმა ატორმა, შორე დღეს განაცხადა: „საპროსა სითამნეტე, ახალი მიწების ათვისება, სიწყობის დაზვერვა და იქნებ... თუმცა ჯერჯერობით არ გთავაზობთ, მუსიკის გაუქმებასო... ჯერჯერობით არ გთავაზობს, მაგრამ ალბათ მალე შემოგვთავაზებს!

ერთხელ, ამ რამდენიმე წლის წინათ, ლონდონში Wigmore Hall-ში მე და აწ განცხვენული ჩვენი სახელოვანი პიანისტი სამსონ ფრანსუა, ერთ უცნაურ სენსის დავესწართ, სენსის ურო პიანისტი მართადა; ისინი თითქმის ორმოცი წუთის განმავლობაში უძრავად ისხდნენ თი დაუმუნებელი კლავიატურასთან, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრმა მქუსარე ტაშით დააჯილდოვა „შემსრულებლები“. ჩემი ლონდონელი კოლეგები კი ამკარად შემტრთლანი იყვნენ იმ საღამოს წაროდენილი შედევრით, რომელსაც, სებათაშორის, „კონცერტი ყრუ ქვრივისთვის“ ერქვა.

ეს სტუდენტური ხუმრობა ნუ გგონებათ! ეს იმ ყაიდის ექსპერიმენტია, ბრძანდ რომ სცემენ ახლა თაყვას, რადგან თუ წინათ ძიების წმინდათაწმინდა უფლებას ხშირად უგულებელყოფდნენ, ახლა სიტყვა „ძიების“ გაგონებაც საკმარისია, მთელი ქვეყანა მუხლზე რომ დადევს. ხშირად სიციველაც უროქნენ, მაგრამ ვაი იმას, რისი მზებლიერ მიწის ამ შეგება.

ბატონებო, სიცელი ადამიანის თვისებაა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდლამდე ასე მეფნა. დღეს კი, თითქმის და ზრდილობის მანო, გაღიმებაც ვერ გაგიზიდავ ამ ჯამბაზური მუსიკალური გამოცდებტაკეების დროს. სამწუხაროდ, ასეა: ყველაფერი სერიოზულად აღიქმება, სასაცილოს კი ვერაფერს ხედავენ. ვაი იმ ბრძევს, ვისაც ტყირობა გასკდომასზე აქვს და ძლიერ იკავებს ხარხარს.

თუ ნებას მომცემთ, ორიოდ მაგალითს მოგიყვანთ, ნათქვამთან დაკავშირებით.

ერთ საღამოს Theatre National Populaire-ში ავანგარდისტთა სენსუზე საოცარი მუსიკალური პიესა მოგახდენინეს. პიესა ერთადერთ ნოტზე იყო აგებული, რომელსაც სხვადასხვა დონეზე იმპროვირებდნენ ორკესტრის ყველა ინსტრუმენტი. მეზობელ ლოჟაში ორ ბატონს სიცელი აუვარდა.

— რუამდი! ხომ უხედავ, ავტორი ეძებს... — დატუქსა ისინი მათი საქციელით აღმფოთებულმა ქალბატონმა.

— ქალბატონო, მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ ვერაფერს პოულობს!

საცოვრავ პიესა დამთავრდა, რადგან ყველაფერი მოაურდება, ვარდა ჯოჯობეთისა. დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ქალბატონი, რომელიც წესრიგისკენ მოუწოდებდა „ღვარძლიან ცინიკოსებს“, მეზობელ ქალს მიუბრუნდა, სინჯარის მთვალეყურე ლაგუაზისე გამოიმეტყველებით და დამრიგებლურად უთხრა: ეს მეტად მნიშვნელოვანია... ამ სასაბოჟნო გარეგნობის ქალმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფეხური

დაძლია და ახლა უფრო შორს შეედოთ წასულიყო სმსურდისა და სისულელის გზაზე.

შორე მაგალითი „ავანგარდის“ სულ სხვა სენსისაა და-კავშირებული ის სენსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი ამერიკელი ნოვატორის შემოქმედებისადმი იყო მიძინული. ყველანი უსაზღვროდ გაგავრცა სანახაობამ. სენსაზე ზორბა ქალი საპეტებით თანამებულ იფემს მისცდომოდა და მაღიანად შეექცეოდა; მისარშული საპეტეო სასუბით ბუნებრივად უსხლდელად ჩანგლდა. ქალის მარჯვენი ტრომბონისტი იდგა და საპეტეტის ყოველ ლუქმას „მუსიკით“ მიაცილებდა. „იუფუშო!“ — დახლოებით ასეთ ხმას გამოიყვამდა მისი ინსტრუმენტი. გვინათ, მედრანოს ცირკში ვიყავით? არა, ბატონებო, Theatre de la Ville-ში, ალტაცებულნი მაყურებელი გაქტდოდ დარბაზში, სადაც ერთ დამცინავ ღიმოსაც ვერ დაინსავედით.

მიოდნ, ჩავევითხოვ საკუთარ თავს: ხომ არ ასუსტებს კომპოზიციისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას ამგვარი თვიფრუნება, უსასუბისმგებლობა და იმ ცნებაში, ადრე კონცერტში რომ ერტვა, ზალგანასიათვის დამახასიათებელი სცენების და მიუხედავად ნომრების ჩართვა? ნება მომიცეთ, ბატონებო, ჩემი შემოყოების გამოსასატავად ისევ მაგალითები მოიშველიო.

ყველას გგსენია ე. წ. ალტატორიკის შესახებ. ადრე, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მუსიკალური პიესა იწვევებოდა ყოველგვარი ორზარბიების გარეშე; ზედმიწევნით იყო აღწესებული ორა მართ ნოტები, არამედ ნიუანსებიც, აქცენტებიც, ტემპიც; ერთი და იგივე მუსიკალური პიესის უმსრუტველს ორ თანაბრად დახელოვნებულ პიანისტისთვის რომ დაგვევლებინათ, თუ მუსიკოსთა ემიციონი ბუნებით გამოწვეული კერძო სასიათის განსხვავებები არ მივიღებთ მხედველობაში, მათი ინტერპრეტაცია ძირითადად დამთხვევად ერთმანეთს.

ფრანგი ტელემაკურბელისათვის წარმოდგენა რომ შემიქმნა ალტატორულ მუსიკაზე, სტუდიაში მოვიწვიე შესანიშნავი პიანისტი ქალი და ალტატორულ მუსიკაში ფრიად დახელოვნებული კომპოზიტორი. ალტატორად ვირტუოზმა ქალმა რიოაილის პიუპიტრულ მუყაოს დიდი ფურცელი დიდო, რთმელზეც აქა-იქ, ხმელი ფოთლებივით, სანოტო ნიშნები იყო მოქუჩებული. „ეს რა არის-მეთქი“ — ვკითხე პიანისტ ქალს, თან იმ რებუსს მივჩერებოქი.

— ყველაფერი დღესაკით ნათელია, — მიპასუხა მომზიხლავმა არსებამ. — მარცხნივ ნოტების, მარჯვენი რიტმების, შუაში ფორმების, ქვევით კი — ავტორი და საატეკიულაციო აქცენტთა რეზერვუარები გახლავით.

— და თქვენ ყველა რეზერვუარით უნდა ისარგებლოთ? — ვკითხე მე.

— ჩემს ფანტაზიაზე დამოკიდებული, — მიპასუხა მან. — ამ ნიშნების მეშვეობით, მე შემიძლია, ერთი ნაწარმოების რამდენიმე განსხვავებული ვერსია წარმოვიდგინოთ, ისე რომ, მუსიკის ცნობაში კი გაგიჭირდებათ.

— მეც სწორედ მაგის მეშინია, — ვუთხარი მე. — თუ ერთმანეთის მომდევნო ორ ვერსიას არაფერი აქვთ საერთო, მაშინ პიესის ავტორი ინტერპრეტატორი ყოფილა და არა კომპოზიტორი. ასე რომ, ამ პიესის ავტორი თქვენ გამოდინართ და ბუნებრივი იქნება, თუკი SACFEM-ში საატეკორი უფლებასაც მიითხოვთ-მეთქი.

1 მსახიობთა, კომპოზიტორთა და ნოტების გამოყვამელთა სარგებლობა.



რახეა დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების თვითმოყო-
ბადობა, ორიგინალობა? დღევანდლამდე არსებით კრიტიკურ-
მად ავტორისეული ტექსტის გარკვეული სიმყარე ითვლებო-
და. ჩვენ ესეც დავარაგეთ...

ნება მომეცით, კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი მაგა-
ლითი მოვიხველიო, რათა საშუალება მოგცეთ უფრო ღრმად
ჩასწვდეთ თვალთმაქცობის არსს, თვალთმაქცობისა, რადგან
ყოველთვის ამას სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ.

თქვენც კარვად მოგვსენებიათ, რადგან მნიშვნელოვანია
ავტორისეული ჩანაწერები; მათი მემკვიდრეობით უფრო ნათელი
ხდება ხოლმე ჩვენთვის ამა თუ იმ შემოქმედის ჩანაფიქრი,
განსრავსა. უბრალოდ, მაღადაუტანებლად ჩნდებოდნენ სა-
უკუნეების მანძილზე ამგვარი ჩანაწერები, რომელთაც დე-
ბიუსი ხუმრობით ამოუსხსნელ ჩანაწერებს ეძახდა. „ორი პატა-
რა არია დავუწერ სი-ბეზობილში და ვივინდ არა უნახოს“ —
სწერდა ცოლს მოცარტი, როცა ერთ დღამში „ფიგაროს ქორ-
წონების“ რამდენიმე შესანიშნავი ფრაგმენტი შექმნა. 1911
წელს გამაჩილ ფორტე, „პენლოპეზე“ მუშაობისას, ასე სწე-
და ცოლს: „მოილო ჩემი სული ჩავაქსოვე, მუსიკით რომ გა-
მომთქვას პენლოპეს აღსაფრთხო“. არანაკლებ თავშეკავებთ
იყო დებიუსიც, როცა თავის მელისანდრე წერილობით
უხდებოდა აზრის გამოთქმა...

ახლა კი ისევ რუაიანის ფესტივალზე დავბრუნდეთ. კე-
თილგანწყობილი მაცურებელი ფურცლებს პროგრამას, ეძებს
ცნობას იმ მუსიკალური პიესის შესახებ, რომელიც თავიდანვე
იქნება წარმოდგენილი და აი, რასა კითხულობს: „ასიმპტოტო-
სა პარალელში განუწყვეტლად ირდევს მაგნეტური ველის ზე-
მოქმედებით, რომელიც სვდ და ad კოორდინატთა შორის ჩარ-
თული ძალისმიერი ხაზებითაა შექმნილი, ესენი კი თავის
შხრივ, განისაზღვრებიან ძირითადი განტოლების ტანგენციო-
ნალური ფუნქციებით, რაც ნაწარმოების მთავარ ბაზას წარ-
მოადგენს“.

აი კიდევ ერთი ცნობა: „ეს ნაწარმოები ერთი შთამაგონე-
ბული პოემის ჩემული წაკითხვის ნაყოფია. მე ის ორაზროვ-
ნად წაკვირებდი. იმდენად დავაქუცმაცე, რომ მისგან მხოლოდ
ცალკეული ფონემები და დარჩა. დიდებული პოეტური თამა-
შის კლავიკულებს მე განვიხილავ როგორც პოემის ფიზიკურ
და ფიზიოლოგიურ სახეებს. მუსიკალურ ბლანში ურთიერთ-
ბები მრავალდება: ჩნდება არაფიქსირებული ხმის Spontime
მერყობა და ვერტიკალური აგრეგატებით (ბლოკებით)
მოდულირებული ხმა. ტექსტი ხანდახან შედარებით ადვილი გა-
სარჩევია, მაგრამ, ამავე დროს, ის რეგისტრებისა და სუფთა
ოკრალის ჩანასახითაა მიჩნეული. მკაფიო გამოთქმის წე-
სების მოხდენს ამ გამოთქმის აფაზია. სიტყვების გარჩევა ძე-
ვლდება, ისინი ქუცმაცდებიან და მათი ახსნა უკვე აღარ შეიძ-
ლება...“

ბატონობე, ვკითხულობთ ამგვარ ცნობებს და ჩვენს თვალ-
წინ, როგორც კომპოზიში, ჩნდებიან მოლიერისეული ექიმთა სი-
ღვეულები: კლისტირებით აღჭურვილი, თავზე წოწოლა ქუ-
დელჩაოფხაჯულები, ანასანიარ შელოცვებს რომ დაბოტბუტე-
ბენ ავადმყოფს, თითქოს ამით განიკურნებოდეს იგი: „არსი,
ტურამ, კატალამუს, სინგულირატურ“ და ა. შ. მათ არც ჩვენი
მატრაცკეცა კატო და მადლიანი ჩამორჩებიან ბევრით. „ოჰ, ეს
მეტი ქრომატიზმია...“

დამთავანებით, რომ ეს ცნობები სასაცილო, მაგრამ ამავე
დროს, ვერავალი ხრიკებიცაა, ობივატელის ვასაოცებლად
და იმ ბანოვანთა გასაბრუებლად გამიზნული, რაიმე მცენიე-

რული ტერმინის გაგონებისსათავე მოწაფური მოწიწებით რჩე-
მიხვევლებია. ხოლო რაც შეეხება ფარნის ანთებენს, რაიმე
რომლის შემდეგაც ყველაფერი წყვილადიმი იძირება, საცირ-
კო ნომურია და მეტი არაფერი. ამიტომ, კეთილი ინებონ და
ნურც ჩვენ დაგვაგალებენ სერიოზულად ვუსმინოთ იმ ნაწარ-
მოებსაც, რომლებსაც ავტორი ასეთ უსილუურ კომენტარებს
უკეთებს.

ამ დღეებში ერთმა ცნობილმა ახალგაზრდა მუსიკოსმა
სერიოზულად განაცხადა: დროთა განმავლობაში შეიძლება
არამსმენელისათვის დაწერილი არამუსიკამდეც მივიდეთო.
„ამაზე ადვილი არაფერია — გაფიქრებ მე — დატოვებთ
ცარიელი ფარდები, დაადეთ ბოქლონი, დაქვით თქვენი ვიო-
ლინობები და გათავდა, მიზანსაც მიწვეული იქნება-მეთქი“.

ბატონობე, ჩვენ მისტიფიკაციისა და სიერუსი უკიდუ-
რეს ზღვარს მივადვით (ყოველ შემთხვევაში, იმედო უნდა
ეციოთნობი, რომ ის უკიდურესია). რა გასაკვირია, რომ ამგვარ
ნიშანს მავალითების სიჭარბე ჩვენი უმაღლესი ეროვნული კონ-
სერვატორიის სტუდენტებსაც გაუჩინოს მიდრეკილება გარ-
კვეული ექსცესებისადმი.

სხვა თუ არაფერი, დაბნეულობას იწვევს თხზულების კლასი-
სისათვის განკუთვნილი, კლასიკურ ტრადიციებთან საფუძვ-
ლიანად შეთანხმებული პროგრამისა და იმ მუსიკის შესუ-
ბამობა, რომელსაც სწორედ თხზულების კლასის ყურადღე-
ბიანი, ნანატრი დაბლომებით უზრუნველყოფილი მოწაფეები
ქმნიან სკოლის კედლებშივე. და მართლაც, ვის რად უნდა პი-
რველი პრემია პარტიზანში, ფუგაში ანდა კონტრაპუნქტში.
როცა ირგვლივ ბუტბუტის კონცერტები და ხმით მიბაძვის
ფესტივლები იმართება. ეს შეუვალი საიდუმლოა და ხშირ
დადალ მე, ჯერჯერობით ვერ ამიხსნია იგი.

კიდევ უფრო ძველია სერიოზული ლაბარაკი კონსერვატო-
რიაში მუსიკალური კომპოზიციის სწავლების რაციონალური-
ბაზე. სწავლების ტრადიციული მეთოდი აღარ ანახებობს, რო-
მელსაც, სხვათა შორის, არასოდეს ქმნიან სისტემატიური ხა-
სიათი, რადგან ძირითადად ძველი და ახალი ნაწარმოებების
შედარებასა და იმ რჩევებზე იყო დაფუძნებული, პედაგოგი
რომ იძლიოდა სტრუქტურასთან, ფორმასთან თუ ინსტრუმენ-
ტირებასთან დაკავშირებით.

აღარ არსებობს არც პრემია თხზულებისათვის. ახლა, თუ-
კი თავად სურს, მოწაფეც კლასიფიკაციის გარეშე, უბრალოდ
მისი ნაშეუქმების ჩანაწერის მოსმენის საფუძველზე შეიძ-
ლება მიენიჭოს დიპლომი. თანაც მოწაფე თვითონ ირჩევს სან-
მუსიკოსს, საკუთარი ნაწარმოების შესაფასებლად. უნდა იქნა,
მაგრამ ფაქტია, ეს იგივეა, რომ მართლმწაფელებში ბრალ-
დებული თვითონვე ირჩევდეს მსაჯულებს, რომელთაც ბისრ-
ბედის გადაწყვეტა ევალებათ.

მეორე მხრივ, ელექტრონული, კონკრეტული თუ სხვებით
მუსიკის უკანასკნელი grades-ისადმი ინტერესი, ასე
რომ იყავნ და ამკვიდრებენ ჩვენი სტუდენტები, მხოლოდ
და მხოლოდ მეცნიერი, დაუნდობელი დაწინაურება მოჰყვება, რა-
დგან ათი წლის შემდეგ ეს გამოგონებანი გაქრებნა, ახლებს
დაუთმობენ ადგილს და ჩვენი დღევანდელი რეკონსტრუქციონ-
რები ვეღარაფერს გაიგებენ მათი უმცროსი კოლეგების ძიებე-
ბისას. მუსიკალური ენის თუნდაც მისი საფუძვლების ჩამო-
ყალიბება, აუცილებელი პირობა იყო ნაყოფიერი ევოლუციი-



სა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური წარმოსახვის განახლებას უნდა უმაღლოდეს და არა მასალის ტრანსფორმაციას. განა ამ ენამ საუკუნეების მანძილზე არ დამტკიცა თავისი ამოუწურავი შესაძლებლობანი? მაშ რა ღმერთი გაუწყრა და რამ დაშრიტა იგი მაინცდამაინც 1950 წელს? სისულელეა!

მატონებო, თქვენ სრული უფლება გაქვთ მიმოითითოთ, რომ საფრანგეთის მუსიკალურ ცხოვრებაში არაერთი დამამწვიდებელი მავალითის მოძებნაც შეიძლება. ამაში მეც ღრმად ვარ დარწმუნებული.

რა თქმა უნდა, ჩვენი უმაღლესი კონსერვატორია, მიუხედავად შემარყვევლი ქარტეხილებისა, მაინც რჩება ძალიან კარგი მუსიკოსების შესანიშნავ სამკედლოდ. მადრიდის ქუჩა-ზე¹ ძირითადად წესრიგი სუფევს.

რა თქმა უნდა, ეროვნული და მუნიციპალური კონსერვატორიებიც საქებარი მონდომებით ზრდიან ნიჭიერ მოწოდებებს.

რა თქმა უნდა, რეგიონალური მუსიკალური თეატრებიც იძლევიან ნაყოფიერი, დაუღალავი და გონივრული საქმიანობის მავალითს.

რა თქმა უნდა, დღეს მეტი ძალით ბრწყინავს ნაშთი ჩვენი კომპოზიტორული სკოლისა.

რა თქმა უნდა, სულ უფრო და უფრო მეტი ფესტივალი ანაყოფიერებს ჩვენს პროვინციას.

რა თქმა უნდა, ყველგან შეინიშნება ალორძინება მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლისა.

რა თქმა უნდა, დიდი აუდიტორია ჯერ კიდევ ერთგულია კლასიკური მუსიკისა. ასე რომ?

ასე რომ, ოპტიმისტი მეთვალყურისთვის ქარიშხალი მხოლოდ ოკეანის ზედაპირზე მჭინვარებს და, რაც არ უნდა საშიში იყოს ამგვარი ქარიშხალი, მისთვის სტიქიური უბედურება ღრობითია, რადგან ოკეანის სიღრმეებში სრული სიწყნარე სუფევს.

მაგრამ შორსმჭვრეტელი მოწმე ადვილად შეამჩნევს, რომ ამ მოვლენებს, სამწუხაროდ, არა ღრობითი, არა ადგილობრივი, არამედ საყოველთაო ხასიათი აქვთ, რომ მთელი მსოფლიოა შეპყრობილი ციებ-ცხელებით, რომლის აღწერასაც მე შევეცადე, და რომ თითქმის აღარ არსებობს უკან დაბრუნების იმედი, ყველანი განწირულნი ვართ და სულ ასე უნდა ვიპოოთ, სულ წინ, სანამ არ მივაღდებით იმ კედელს, რომელსაც არარაობა ჰქვია. ამიტომ, როცა მეუბნებიან: რას იხამ, უნდა შევეუო, ფურცელი სამუდამოდ გადაიშალაო, — მეც სხვებივით ვერ გაგზუმდები, რადგან სწორედ შეგუება არ შემიძლია. ამ გადაშლილ ფურცელს მხოლოდ სასოწარკვეთილება მოაქვს ჩემთვის; ენა, რომლითაც ამ ფურცლის მეორე გვერდი დაწერილი, საბედნიეროდ, არავის უსწავლდება ჩემთვის!

ლაზური

ხალხური

სიძლერის

ნიუპი

იოსებ მეგრელიძე

მრავალსაშუალონი ქართული ფოლკლორის შესწავლა ფართო მასშტაბით მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გაიშალა. დღეს უკვე სხვადასხვა კუთხის მრავალი ხალხური სიმღერა ჩაწერილიცაა და გამოქვეყნებულიც. გამოიკაცის ლაზური (ჭანური) ხალხური მუსიკა წარმოადგენს, — დღემდე მისი არცერთი ნიმუში არ გამოქვეყნებულა! გამოითქვა კი მცდარი მოსაზრება — ამ ტომის ზეპირსიტყვიერება თურქულმა შესცვალაო! მ. მარის მიერ 1910 წელს, შემდეგ ი. ყიფშიძის, ანნ. ჩიქობავას, ს. ქუციტის, ზ. თანდილავასა და სხვების მიერ ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა-გამოქვეყნების შედეგად შემოსხნებული მოსაზრება გაბათილდა, მაგრამ ლაზურ სიმღერას შესწავლა და გამოქვეყნება მაინც არ ეღირსა.

¹ ამ ქუჩაზე მდებარეობს პარიზის კონსერვატორია.

“საქართველო”-ს ქართული სასტენო მეტყველება

ეფემია ხარაძე

XIX საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწვავედ განიცდიდნენ რა ცარიზმის ინტელიგენციის პოლიტიკას და ეროვნულ ჩაგრვას, იმასაც გრძნობდნენ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული, პატრიოტულ-ალმშრდილობითი თვალსაზრისით სწორ ქართულ მეტყველებას; ისინი არა მარტო თვითონ იცავდნენ ქართული ენის სიდიადეს, ღირსებას და სიწმინდეს, არამედ მოითხოვდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა წარმომადგენლისაგან, განსაკუთრებით კი დრამატურგიისა და თეატრისაგან, მის თავგამოღებით დაცვას, რადგან თეატრი იყო კულტურის ერთ-ერთი მთავარი კერა, საიდანაც ქართული ენა ისმოდა.

იმ დროს ქართული სასცენო მეტყველების მიმართ მეტად სათუთ დამოკიდებულებას იჩენდნენ, რაზეც ცხადად მეტყველებს პრესა. რეცენზენტები ხშირად შეინიშნავდნენ ქართული ენის დარღვევას, ანდა ქება-დიდებათ მოიხსენიებდნენ ყველას, ვინც იცავდა ქართულ მეტყველებას. განსაკუთრებული ყუ-

რადლება იყო გამახვილებული იმ თარგმნილი პიესების მიმართ, რომლებიც სცენაზე იდგებოდა და რომელთა უმეტესობა მაშინ დაწუნებული იყო, — „ისინი პირდაპირ არიან თარგმნილები, ხოლო თარგმანში ქართულობა უნდა მოსჩანდეს!“ — და გაზეთი „ივერია“ მკაცრად მოითხოვდა ქართული დრამატული კომიტეტისაგან, რომ სცენაზე წარმოდგენილი პიესებისათვის, ორიგინალური იქნებოდა ის თუ თარგმნილი, სპეციალურად შეერჩიათ საქმისმცოდნე ადამიანი, რომელიც „ქართულს ენას გააშალაშინებდა“ (გაზ. „ივერია“, 1897 წ. № 13). სცენაზე წარმოთქმული ტექსტის სიზუსტის დაცვას მოითხოვდა არა მარტო პრესა, არამედ ქართული საზოგადოებაც, დრამატურგის სტილი დაცული უნდა ყოფილიყო, — ავტორის სტილს მაშინ არ იცავდნენ პეტერბურგის თეატრებიც. დალსკის გასტროლების დროს ქუთაისში, სამწუხაროდ, სწორედ ასეთი რამ მოხდა (გაზ. „ივერია“, 1900 წ. № 245).

დრამატული თეატრის მსახიობის

უპირველეს გამოსახველ საშუალებად მიჩნეული იყო სასცენო მეტყველება, აქტიორს ადარებდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომლის ხმა და ინტონაცია მოქნილი, ელასტიური და აზრიანი უნდა ყოფილიყო, რომ მსმენელზე და მაყურებელზე დიდი ესთეტიკური ზემოქმედება მოესდინა.

ღამო მესხიშვილის პერიოდის ქართული მოწინავე საზოგადოება ბრძოლას უცხადებდა სცენაზე დრო მიჭმული დაიკუნური საუბრის კილოსს, თუ ამღერებულ სტილს, რაც ადრე დამკვიდრებული იყო კლასიკურ პიესებში და შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა. სასცენო მეტყველებისაგან მოითხოვდნენ: აზრის გადმოცემას, სიტყვების გარკვევით, მკაფიოდ, გრძნობით წარმოთქმას, გამომოსახველ, მაგრამ ბუნებრივ ინტონაციებს, დარბაისლურ ქართულ საუბარში ენის კანონების დაცვას და ზომიერებას. მსახიობი უნდა ამოსულიყო დრამატურგიული მეტყველებიდან. ამავე დროს რეცენზენტები მსახიობისაგან მოითხოვდნენ დამუშავებულ, თავისუფალ, სცენურ

ხმას და მეტყველების ტექნიკას. ჭეშმარიტი ქართული მეტყველების პრობლემა ისე მაკარად იდგა, რომ არა მარტო დრამატულ თეატრებში, არამედ მომღერალთა გუნდისგანაც კი მოითხოვდნენ „ქართულ ხმებს“ და „ქართულ წარმოქმნებს“ („სწიბოს ფურცელი“, 1903 წ. № 2227) ასეთ რთულ ვითარებაში, თეატრალური კრიტიკის და საზოგადოების ასეთ მომთხოვნ პერიოდში მოუხდა ლაღო მესხიშვილს საცნაზე გამოსვლა და მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა არაჩვეულებრივი გარეგნობა და დიდი ნიჭი, მაინც არავინ აპატიო მეტყველების ნაკლებობა, ენის უცოდინარობა. მის პირველ გამოსვლებს თან ახლდა ქება და ფაქიზი შენიშვნებიც. ილია ჭავჭავაძე აღმზრდელიობით მხარყას აქცევდა ყურადღებას და მიუთითებდა ლაღო მესხიშვილს რისთვის მიეცემა ყურადღება: „ბ-მა მესხიშვიმა ჭკვიანურად აასრულა თავისი როლი... (შედეგობისშია თავსუნდუკიანის კომედიამი „ხათაბა-ა“ გიორგის როლი. ე. ხ.), უუუ-ჩაღდღეოდ გქვევა ქართულს ენას, ზოგერთგან გრამატიკული შეცდომაც კი მოხდის და კილო ლაპარაკისა ყოველთვის ქართული არა აქვს“ (ილ. ჭავჭავაძე თეატრის შესახებ ნ. გურაბანიძის რედაქციით, თბილისი, 1955 წ. გვ. 67). როგორც ცნობილია, ლაღო მესხიშვილს ოთხი წლიდან კანონიზის პასიონიში ასწავლიდნენ ფრანგულ ენას და მას ერთგულად სწავლიყვეთები არ ზრდიდნენ. მან აქ სამი წლი დააყო. შემდეგ ლეზენდოროფთან გადაიყვანეს, სადაც გერმანულ ენას სწავლობდა, 11 წლისამ კი კიევის კადეტთა კორპუსში დაიწყო სწავლა, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე და იქვე მონაწილეობასღებლობდა სტუდენტთა საექტაკლებში. ლაღო მესხიშვილი მეტყველებ ნაკლად თვლის მშობლიური ენის, ქართლის არცოდნას. აი რას წერს თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში: „სამ-

წუხაროდ ეს მიუტყვებელი ნაკლი ესლაც სჭირს ჩვენს მაღალ საზოგადოების წრეს და არა ერთსა და იორს ქართველს იპოვნით, რომელთაც სამწოდლო ენის არა უწევია რა. ეს გარემოება მით უფრო მაკვირვებს, რომ მესხიშვილთა გავრი ყოველთვის მშვენიერი ქართული ენის მცოდნენი იყვნენ და თავთა მამაჩემი მცვადასხვა თარგმანებს გარდა ქართულ ჟურნალ „ციცკარში“ თანამშრომლობდა. (დ. კასრაძე — „გლ. სამწოდლონ ძე ალექსი-მესხიშვილი“, თბილისი, 1913 წ. გვ. 25).

ლაღო მესხიშვილმა მიზნად დაისახა ქართულ სცენაზე მოღვაწეობა და ამიტომ უნდა გავთვალისწინებთ ეპოქის მოთხოვნილებები, ქართული ენის თავისებურებანი, სასცენო მეტყველებაში შემოსული სიახლენი და უნაკლად უნდა შეესწავლა ქართული ენა.

მეტყველებაზე მუშაობის პროცესი და ამ მუშაობის სიძნელენი არ არის მხოლოდ მექანიკური აქტი, — ეს არის აზროვნების, ემოციების და წარმოთქმის რთული პროცესი და ამგვარი ჩვევის გამოთქმავება მეტისა მცირეად იდევ ენერჯიასა და დროს მიითითეს, აი, ის გზა, რომელიც გაიარა ლაღო მესხიშვილმა; „...ბ-ნი მესხიშვიე გვევონა, რომ მამლეტის როლში არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ ჩვენი იმედი გაგამტყუნდა... მშვენიერი სათქმელი კამლეტის სულ მხელდებით გუფუშდა, გაუცუვდა ბ-ნს მესხიშვს, ძნელად გამოარჩედა კაცი სად რას ამბობდა, სად რას მოგვითხრობდა... კარგად თქმას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს...“ წერს ილ. ჭავჭავაძე (ნ. შალუტაშვილი, ილ. ჭავჭავაძის უტრობი წერილები, თბილისი, 1969 წ. გვ. 48). რეცენზენტები ხელაღებით არ არ უარყოფენ მსახიობის მეტყველებას, არამედ მიუთითებდნენ იმ ნაკლებზე, რაც მას ამ მხრივ დაიჩინა: „ლაღო მესხიშვილმა ისეთი წუთები გაგვატარებინა (იგლისხმება რაკმანიძის პიესა „გულის თქმა“ ე. ხ.) თავისი შეუდარებელი

თამაშით, რომელიც იშვიათია ხოლმე ჩვენი თეატრის სცენის ისტორიაში“—ო, მაგრამ საექტკალის ყველა მონაწილეს მისინობზე იქვე წერენ: „როცა ისინი ლაპარაკობენ, ასე გკონია უცხოელები თამაშობენ, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც ქართული შეისწავლის“ („ივერია“, 1896 წ. № 73). რეცენზენტები მოითხოვდნენ ენის ბუნების ცოდნას და ინტონაციურ მომენტსაც აქცევდნენ ყურადღებას (ეს არის კილოს საკითხი, ე. ხ.) აი, ის ინტონაციის შესახებ შემდეგი რეცენზენტი მონოტონურობაზე ამასვილებს ყურადღებას: „ბ-მა მესხიშვილმა (ფ. შილერის პიესაში „ყაჩაღები“ ფრანც მოორის როლი, ე. ხ.) თითქმის ერთი კილოთი გაატარა და ეს შეცდომად მიგვანია“ („ივერია“, 1896 წ. № 6).

სცენა ისეთი რთული რამ არის, იქ იდენი კომპონენტი იერის თავს, რომ მაყურებელი ხშირად ვერ გრძობს, რომ ნაკლოვანებებს, რაც ლაღის გაანდა, ეს კი დიდ სირთულეს ქნისდა მსახიობისათვის, რომელსაც ჰქონდა დიდი ავტორიტეტი, დიდი მოყვანება, მაყურებლის დიდი სიყვარული. ამიტომ ძნელი იყო აღიარება იმისა, რომ მას სწორად და ობიექტურად აკრიტიკებენ. მაგრამ ლაღო მესხიშვილი დიდად კულტურული პიროვნება გახლდათ და მამინეგ მიხვდა, რასაც სთხოვდნენ. და რაკი ხელდა, რაკი გადასაწყვიტა ქართველი მსახიობი ყოფილიყო, კრიტიკა სცნო და იმ ნაკლის გამოსწორებას შეუდგა, რომელზედაც პოეტიონტენდნენ. მას გენია ქართული თეატრის ტიტანები: მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარელისა, ვფ. მესხი, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. დ. გუნია და სხვები. მას სწორედ ისინი უქმნიდნენ იმ გარემოს, რომელიც ზეგავლენას ახდენდა მის მეტყველებაზე.

მაკო საფაროვა-აბაშიძე ქართველ მაყურებელზე დახვეწილი მოქნილი მეტყველებით, ინტონაციის გა-

მოსახვის სისხარტით ახდენდა დიდ ზემოქმედებას: „ლიქცია, სიცივის მკაფიოდ გამოთქმა — ბ-ნი საფაროვისა შეუდარებელია...“ „... მორცხვობა და სიხარული, პოს თქმის წყურთლივ და არაცა, ეს ტოკვა, ტოტმანობა, გაბეჭდა და გაუაზრობა, ისე მწვენიერად მოათავსა ორი-ოდე სიტყვის ხმაში და გამოთქმაში ბ-მა საფაროვისამ, რომ კაცს ენახა ეს ერთი სიტყვა, იტყობდა, თუ მართლა არტიკისა სადმე ეს ქალი ყოფილაო“ (ილ. ჭავჭავაძე თეატრის შესახებ გ. ნურბანიძის რედაქციით, თბილისი, 1955 წ. გვ. 74, 84).

ნატო გაბუნია-ცაგაროსის თავისი სწორი, დადებითი ქართული მეტყველებით მაყურებელი ბევრჯერ აღუფრთხილებია: „ბ-ნი გაბუნია პოამაშობდა გიორგის დედის როლსა (მხედველობაშია სპექტაკლი „ხათაბა“ ე. ხ.), როცა იგი პირველად შემოვიდა და სხანა-სხუპით დაიწყო ლაპარაკი — მარტო ეს ერთი წუთის სცენა ღირდა წარმოდგენა, მთელმა თეატრმა გრიალი მიიღო ტაშის ცემით“ (იქვე, გვ. 70).

ვასო აბაშიძის სასცენო მეტყველების შესახებ ასეთი აზრი არსებობს: „ვასოს მკაფიო დიქცია, მკვეთრი და საერთოდ ძლიერ მოქნილი ხმა, ქართული კილო, სცენაზე ქართული მრავალფეროვანი დიალექტებით ლაპარაკი — იმის მიხედვით თუ რა მდგომარეობის მოქმედ პირს ანსაჩივრება — ვასოს ინტონაცია მთლიანრე უმდიდრესი იყო...“ (ს. გერსამია, ვ. აბაშიძე, თბილისი, 1948, გვ. 39).

ქართულ სცენაზე მოსულ მსახიობთა შორის ბევრი არ მეტყველებდა სუფთა ქართულით. ზოგიერთმა მაგონება ფრაგული ან რუსული სკოლა გაიარა. 1895 წელს ეფ. მესხის სასცენო მეტყველება უცხოურ პიესებში გამართლებული და მისაღები იყო: „მისი მეტყველების შედეგად არა ერთი და ორი თვლი აცრუებულა...“ (გაზ. „ივერია“, 1895, № 258), სამაგიეროდ, მოგვიანებით 1902 წ. დავით ავალიანის (დონ-ვალაიანი) ადრიანა ლეკურერის (სერბის) პიესა „ადრიანა-

ლუკურერ“, თარგ. დ. მესხისა), ეფ. მესხს ასე ახასიათებს: „ეფ. მესხის თამაშმა მილოდინს გადააჭარბა, განსაკუთრებით მე-5 მოქმედებაში, რისთვისაც საზოგადოებამ ტაშისცემით დააჯილდოვა, მაგრამ ძლიერ კარგს იჩამს მსახიობი, რომ მოძველებული კილოთი არ ლაპარაკობდეს და სიტყვებს ძალას არ ატანდეს... კლასიკურ პიესებში წინით იცოდნენ ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ის დრო წავიდა, ახლა მეტი ბუნებრიობა და ძალდაუტანებლობა საპირობო“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. № 2025), იგივე რეცენზენტი დ. ავალიანი 1904 წ. ქართული სულისკვეთებით დაწერილ პიესაში სუბმათაშვილის „ღალატი“ სპექტაკლის შესამე მოქმედების წარუმატებლობას ზეინაბის წამღერებით ლაპარაკს მიაწერს: „ასე გვიგონებთ პიესის ლექსადაა დაწერილი და ეფ. მესხის ასული მღერის...“ („ცნ. ფ.“ 1904, № 2391) ასეთსავე ნაკლს არც კ. მესხს პატივობს, მის მიერ შესრულებულ ნერსიმ ბარტყის დრამაში „ახალი მოძღვრება“, რეცენზენტი აქებს როლის დეტალურად დამუშავებისა და მოფიქრებულობის, გააზრებული თამაშისათვის, მაგრამ იქვე დასძენს: „ბუნებრიობა აკლია მის თამაშს და თავისუფალი, ჩვეულებრივი გამოთქმა მის ლაპარაკს“ (გაზ. „ივერია“, 1904 წ. № 247).

კ. ყიფიანის ჭეშმარიტი ქართული სასცენო მეტყველების დადუფლებაში გარკვეულ როლს თამაშობდა ილ. ჭავჭავაძის სტატები: „ბევრს უშლის ბ-ნს კ. ყიფიანს, რომ ზოგჯერ ენა ემბის და სიტყვების ბლოკის ყლაპავს...“ მაგრამ მთორე სპექტაკლზე ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ „ბ-ნს ყიფიანს არც ერთი სხეულებული ნაკულთაგანა ვეღარ შევინებო...“ (ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ, გვ. 67) ხილო კ. ყიფიანის შემოქმედებითი სიმწველია ამ გვირის სადურობას და ნაციონალურ ნიშანდობლივ თვისებებს, მის არბენინსა და გიქოს, ლორსა და სვიმონ ლომინეს და სხვებს რა თქმა უნდა ლაპარაკის კილო და

პლასტიკური გამოხატვლობა სხვადასხვა ჰქონდათ“ (ეფ. დავითია, კ. ყიფიანი, თბილისი, 1957 წ. გვ. 57) — აი, მსახიობები, რომლებმაც ქართული სასცენო მეტყველების დაუფლებისათვის გაიარეს დაბრკოლებებით სავსე გზა, რაც ალბათ თავისებური გაკვეთილები იყო ლადო მესხიშვილისათვის.

მეტყველების ნაკლის გამოსწორება, ანდა ენის შესწავლას განაპირობებს სამეტყველო და მუსიკალური სმენა. ლადო მესხიშვილს ორივე ეს ღირსება ჰქონდა. აი, რას ამბობს დავით კლდიაშვილი: „ლადო მესხიშვილს საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა — ბარტონი და მისი სიმღერას ალტაცებაში მოჰყავდა მსმენენი“ (დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გაზაფხუ“, თბილისი, მოთხრობები, 1947 წ. გვ. 644). ალ. იმედაშვილის მიხედვით კი: „ამბობენ: ლადო ადრე ოპერეტებსაც მღეროდა და თავისი ხმით ყველას ჰხიბლავდა“ (გაზ. „ინტ. ქუთაისი“, 1940 წ. 24 ნომერში).

საქართველოში XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, ნიკ. ბარათაშვილის დროიდან, ეწყობოდა სპექტაკლური ლიტერატურული საღამოები, და ეს ტრადიცია მთელ საუკუნეს გამოჰყვა. შეგურება-საღამოები მისზნად ისახავდა ხალხის ფართო მასების დაახლოებას. და მომწინავე მხატვრული ნაწარმოების პროპაგანდას. იმდროინდელი პრესის გამომცემით, ილ. ჭავჭავაძე და კ. წერეთლი ამ საღამოების დამამწვენი ბელნი ყოფილან. ილ. ჭავჭავაძე ოსტატურად კითხულობდა ამა მარტო საკუთარს, ანამედ გრ. ორბელიანის ლექსებსაც. „მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლიტერატურულ შეკრება-საღამოებზე ქართული მწერლებისა და პოეტების გარდა მონაწილეობას ღებობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობებიც: მაკო საფაროვა-აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი და სხვ. (ბ. ნიკოლაშვილი, ლექსის მხატვრული შესრულება, თბილისი, განათლება, 1968 წ. გვ. 13). მაგრამ ლექსებს ისინი კითხულობდნენ, ვისაც შეეძ-

ლო სწორი, კარგი ქართული მეტყველება. ლადო მესხიშვილი კი ამ საღამოებზე ოსტატურად კითხულობდა რუსულ ენაზე ნ. გოგოლის „მემლილას წერილებს“, რომელიც მას მუდამ ჰქონდა რეპერტუარში. ლადო იზმუნდა ილიას, აკაკის, დავით და ნიკო ერისთავების და სხვა-და მეტყველებას, რაც, ალბათ, დიდი სკოლა იყო ამ რთული საქმის დაუფლებაში. იაკობ გოგებაშვილის აზრით „მართალია ილია ჭავჭავაძე დეკლამატორი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ უსტატულია ბუნებრივის მკითხველის დიხებშითა: ხმა აქვს მესაკლური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწვე-დაწვევა რიგ-რიგ მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისასისა შეესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰსატყავს ყოველ აზრს და გრძობასა, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა“ (გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 7) აკაკი წერეთლის მხატვრული კითხვის შესახებ კი ასეთი აზრია დამკვიდრებული: „აკაკის ხმამალა კითხვა არ უყვარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისე კითხულობდა, რომ არც ერთი სიტყვა არ იკარგებოდა. ის მოხერხებულად იყენებდა ინტონაციებს, აკაკი კითხულობდა გრძობით, მომნიშვნელად, მსმენელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი გულში ჩაწვდომი ხმა“ (ს. გერსანი, „აკ. წერეთლი და ქართული თეატრი“ 1949, გვ. 91).

მხატვრული კითხვის დიდოსტატი „გრიგოლ დადიანი ხელოვნად მკითხველი იყო ქართული ენისა, არც ლექსის მკითხველი, არც პროზისა, მისებრ მოხდენილი მე არ მინახავს ჩვენს სცენაზე“ (ი. მუნარავია, „ქართული მწერლები“, ტ. I, 1954 წ. თბილისი, გვ. 337). გრიგოლ დადიანის მოწაფეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მამია გურიელი და დავით და ნიკო ერისთავები. როგორც ი. მუნარავია გადმოგვცემს, „მამია გურიელი ქართული ლექსის ისეთი მკითხველი ყოფილა, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს ჩვენს სცენას, ტფილისსა და ქუ-

თაისს, პეტერბურგსა და მოსკოვს, არაერთხელ წაუკითხავს საჯაროდ მისი თუ სხვისი ლექსები და ეს მშვენიერი კითხვა შრის და აზრს აძლევდა თვით ყველაზე უფრო უმნიშვნელო ლექსებსაც კი“ (ი. მუნარავია იგივე წიგნი, გვ. 395). გრიგოლ დადიანის მეორე მოწაფე დავით ერისთავი მხატვრული კითხვის გამოჩენილი და სახელმთბეჭილი ოსტატი იყო: „დავითი, თუ შეიძლება ასე თქვას, იყო მკითხველი ტრიბუნი, რომელსაც ჰქონდა საამისო ძლიერი ხმა და ენერჯული მიხვრა-მიხვრა. დავითის კითხვის საიდუმლოება ხმის აწვე-დაწვევაში უფრო უნდა ეძიოს კაცმა, ის სუ მკაფიოდ მარცვლავდა სიტყვებს, როგორც ბევრი სხვა, მაგრამ სიტყვების აწვე-დაწვევის შინა მარტო მას ჰქონდა, მისი კითხვის საიდუმლოებასა შეადგენდა“ (იქვე, გვ. 402). ასეთ საღამო-შეკრებებზე იქმნებოდა კომისია, ეს კომისია ადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს და იმავს თუ როგორ უნდა ყოფილიყო იგი წაკითხული; ცნობილია, რომ ილ. ჭავჭავაძე და გრ. დადიანი „ვეფხისტყაოსნიდან“ ბრწყინვალედ კითხულობდნენ ფრაგმენტებს, საჯარულადა, რომ კომისია, რომელიც ადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, იყენებდა აგრეთვე მის მხატვრულ კითხვასაც. მუხომსაძებელია ლადო მესხიშვილი ესწრებოდა ამ კომისიის სხდომებს, რადგან მას ესწრებოდნენ მსახიობებიც და ესეც მისთვის დიდი სკოლა იყო.

ლადო მესხიშვილის დროს ხშირად ეწყობოდა დივერტისსები — მხატვრული და ცოცხალი სურათები, ეპიზოდები „ვეფხისტყაოსნიდან“ კი მეტყველების გარეშე სრულდებოდა. დივერტისმენტებზე მსახიობები კითხულობდნენ ქართულ პატრიოტულ ლექსებსაც და საკუთარი იუმორისტულ ნაწარმოებებსაც. მაგალითად, შ. დადიანი, ვ. ბაღანი, ი. ჩივაძე, ვ. ურუშაძე და სხვ. მაგრამ მარტო ქართული ენის მომღვლო სკოლი და სცენა როდია ლადო მესხიშვილის გარეშე. „მისი ხელმძღვანელობით თეატრი დადილია საზოგადოროდ მიყრუებულ ადგილებ-

ში... ლადო მესხიშვილს და ვასო სამაშის სოფლებშიაც კი უმართავდნენ იუბილეებსა და ხალხი წარმოდგენებზე შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა ხოლმე“. (ეურნალი „ქართული მწერლობა“, 1928 წ. ლ. ალექსი-მესხიშვილი, № 6-7) და რაკი ლადო მესხიშვილს ხალხთან ასე ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რაც იმ დროს თეატრებსა და მის მოღვაწეებს ნაკლებად ახასიათებდათ, უნდა ვიკვლით, რომ ის აუცილებლად ესწრებოდა სოფლებში და მიყრუებულ ადგილებში ხალხურ სანახაობებსაც, — ყოველნაირ საცუკლესო დღესასწაულებთან რომ იყო დაკავშირებული. პროფ. დიმ. ჯანელიძის მიხედვით „ქართული ხალხი ოდითგანვე სიყვარულითა და მოკრძალებით ევიდებოდა დახვეწილი, გამორჩეული სიტყვის მოქმედებს“, რომელიც სახალხო დღესასწაულების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდნენ. ლადო მესხიშვილი თუთლად იმხედდა მათ მისე ნათქვამ „განმტკიცებულ სიტყვებს“, რასაც „გარეგნულ სიმშვენიერესთან ერთად აუცილებლად უნდა ხლებოდა“ სიტყვა ბრძანად ნაკაზმიც: „ენა, პირი, სუფთა ბრძნული, თავლივითა დაშკრული“ (დიმ. ჯანელიძე „სახიობა“, II, 1972 წ. გვ. 5) ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლადო მესხიშვილის ქართული სასცენო მეტყველების ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის იმ ხალხურ სანახაობებს, ბერძენობას, ყენიობას და სხვა, სადაც მეტყველებას დიდი ფუნქცია შეიძლება.

ლადო მესხიშვილმა ბევრი იმოგზაურა და კარგად იცნობდა როგორც ევროპულ, ასევე რუსულ თეატრებს, ენების ცოდნა კი მას საშუალებას აძლევდა დაუფლებოდა სპეციალურ ლიტერატურას, რაც ალბათ გამოწერილი ჰქონდა: „ლადო მესხიშვილი იცნობდა ხოლმე: „წარმოვიდგინებთ როგორ ჩამოვრჩით უცხოელებს, შეიძლება რუსულ თეატრსაც კი“ (ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 10-11, ვ. ალექსი-მესხიშვილი). საფიქრებელია, რომ



მან გამოიყენა იმ დროისათვის სასა-
ცნო მტკაცველვაში არსებული უც-
ხოური და რუსული თეორიები და
დამყნვი ქართული სასცნო მტკაცვე-
ლების პრინციპებს.

როცა ლადო მესხიშვილმა სცენა-
ზე მოღვაწეობა დაიწყო, არ იყო
ჩამოყალიბებული ქართული სასცენო
მტკაცველების თეორია, მაგრამ
დაკვირვებები ენაზე და მტკაცველვა-
ზე მიმდინარეობდა, რასაც ადას-
ტურებს პრესაში გამოქვეყნებული
ილ. ჭაჭავაძის, აკ. წერეთლის, გ.
წყნეთის, ნ. ნიკოლაძის, ჰ. უმი-
კაშვილის, ივ. მაჩაბლის, კ. კიფია-
ნის, კ. მესხის და სხვათა სტატიე-
ბი, ხოლო 1886 წელს ჟურნალ
„თეატრი“ დაბეჭდა ვალ. გუ-
ნიას ვრცელი სტატია სახელწოდებ-
ებით „დიქცია“, რომელშიც განზო-
გადებული იყო იმ დროისთვის
ცნობილი სასცენო მტკაცველების თე-
ორიები. მხედველობაში გვაქვს რუ-
სული და უცხოური, კერძოდ, ფრან-
გული სკოლები. სტატიაში მოყვანი-
ლი იყო დიდი ფილოსოფოსების,
ხელოვნების თეორეტიკოსებისა და
ორატორების, პლატონისა და არის-
ტოტელეს მოსაზრებები მტკაცველ-
ვის შესახებ, მსოფლიოში სახელგან-
თქმული მსახიობების ედმუნდ კინის,
ფრანსუა ვოზეფ ტალმას, და-
ვით გარეის, მოლეს, კოლი სი-
ბერის რჩევა-დარიებები და სას-
ცნო მტკაცველების თეორეტიკო-
სების ე. ლაგუეკას და რენეს შე-
ხედულებები მტკაცველების ტექნიკა-
სა და მხატვრული კითხვის სტოეო-
ნების შესახებ. ვალ. გუნია მოით-
ხოვს მტკაცველების ტექნიკის გამო-
მუშავებას და მის შერწყმას მტკაცვე-
ლების აზრობრივ-ემოციურ წარჩე-
ვთან: „შეიძლება აქტიორის ლაპა-
რაკი, ვისთვის, მაგრამ ვიპოვირებ,
მარტო ვე არ გმარა, საჭიროა აგ-
რეთვე აქტიორმა თავის ლაპარაკს
ხული შთაბეროს, სითბო მისცეს,
გუნობა და აზრი შთაუგრავოს,
რომ ცხოველი გამოთქმით თამაშო-
ბის დროს მოგვეცეს სრული ილუ-
ზია, ესთეტიკური დამკაყოფილება“
(ჟურნალ „თეატრი“ 1886 წელს
ვალ. გუნიას მიერ გამოქვეყნებული

„დიქცია“), ლადოსთვის ეს უკვე
სახელმძღვანელო იყო, რომლის გა-
მათავრებაშიც, როგორც ჩანს, მხე-
დონზე აიყვანა მისი სასცენო მტკაც-
ველება. ამას ასაბუთებს ამავ
წელს ილ. ჭაჭავაძის აღფრთოვნი-
ლი რეცენზია ლადო მესხიშვი-
ლის შესახებ: „ქმრის როლს პოა-
მაშობდა ბ-ნი მესხიევი (მხედვე-
ლობაში აქვს „შეშლილი“, 3 მოქ-
მედებიანი დრამა თარგმნილი ვასო
აბაშიძის მიერ — ე. ხ.). პირველს
ორს მოქმედებაში უნაკლო იყო იმ-
ის თამაშობა, ყოველისფერი მიხ-
ვრა-მოხვრა, ლაპარაკი, ხმა, სიტ-
ყვების გამოთქმა და ქართული კი-
ლოც კი, რომელიც წინად ხშირად
უმტკუენდა ხოლმე ამ ნიჭიერ და
ჭკუით სავსე არტისტს — ეხლა
ყოველივე ეს ბედნიერად შეუერთ-
დნენ ერთმანეთსა, რომ სავსებით
და მთელი შემოქმედება ეჭირნა
მსმენელზე-და...“ (ილ. ჭაჭავა-
ძე თეატრის შესახებ, გვ. 74).
იმავ 1886 წ. ლადო მესხიშვილ-
მა სცენაზე ლექსი წაიკითხა, რასაც
ილ. ჭაჭავაძე შემდეგი სიტყვებით
გამოხმაურა: „ბ-მა ალექსი-მეს-
ხიევმა ქართული ლექსი წაიკითხა
და სასწავლო ეს არის, რომ ამ პირ-
ველ შემთხვევაზედ ჩვენ დავრწ-
მუნდით, რომ ბ-ნს ალექსი-მესხი-
ეისათვის ღებრის ყოველისფერი
მიუნიჭებია, რაც კი საჭიროა კარგად
წაიკითხისათვის... ოღონდ შრომა არ
დაიხაროს, დაუკვირდეს ხოლმე
უგებოვანა ლექსთა კითხვაში თავს
გამოიჩინს“ (ტექსტი ციტირებულია
ნ. შალუტაშვილის წიგნიდან „ილ.
ჭაჭავაძის უცნობი წერილები თე-
ატრის შესახებ“ (1969 წ. გვ. 91).

ლადო მესხიშვილს, როგორც სცენ-
ის ოსტატს, ქართული ენის დასა-
წინდელად დიდი დამტკიცების
გადამდება მოუხდა და ბოლოს იგი
უნაკლოდ მტკაცველბდა მშობლიურ
ენაზე. აკ. წერეთლის პიესაში „თა-
მარ ცბიერი“, რომელიც თბილისში
1887 წელს დაიდგა მკაც საფაროვა-
ბაშვიძის საბუნებისოდ, ლადო მეს-
ხიშვილი გიჟის როლს თამაშობდა.
აი, რას წერს მასზე სოფ. მაგლობ-
ის მიხედვით: „ლადის სტოეობა ხმა,
მისი მშვენიერი კილო, იმისი საო-

ცარი მიზნა-მოხვრა, გაპიროვნება
მეოსისა უნებლიეთ ხიბლავდა მხე-
ნელს, მიპყავდა იგი მაღლა-მაღლა
სადაც საოცნებო ქვეყანაში და
უნებლიეთ აბნედა თვალთაჯან-
ალტაცებისაგან გამომდინარს ცრემ-
ლებსა“ (გაზ. „ჩვენი დროება“
1913 წ. № 36). ხოლო ივერის რე-
ცენზენტის აზრით, ამ სპექტაკლში
პირველად უნახავო ქართულ სცენა-
ზე ლექსად დაწერილი პიესის
თამაში: „ლექსების კითხვას სცენ-
ნიდან დიდი ხელოვნება და გამოც-
დილება სჭირდება, ჩვენს მასხიობებს
კი არავითარი სკოლა არ ქონიათ
გავლილი. ამიტომ ავტორი შიშს
გამოსთვევდა ვაი თუ ვერ დასძლი-
ოს დასმული ამოცანა, მაგრამ ში-
ში, ტყუილი გამოცდა, და დღეს
დიდი საიმოვნებო უნდა აღენიშ-
ნოთ, რომ ჩვენმა არტისტებმა ის
შემთხვევაშიაც თავი იჩინეს და ის-
ახელეს“ (გაზ. „ივერია“, 1887 წ.
№ 23). ლადო მესხიშვილს რომ
სცენაზე გარდასახვა და ლექსის
ფორმის დაცვაც შეეძლო, ამას ხაზს
უსვამს ივერის მეორე რეცენზენტი:
„ურეოდ აოსტაში“ ლექსის გრძო-
ბიერი კითხვით განსაკუთრებთ
მე-4 მოქმედებაში ილ. მესხიშვილ-
მა საზოგადოება ალტაცებში მიო-
ყვანა“-ო (გაზ. „ივერია“, 1895,
№ 244), მაგრამ ერთ-ერთი სპექ-
ტაკლის მიმდინარეობის დროს,
1897 წ. გაზაფხულზე გაუთვალის-
წინებელი შემთხვევის გამო, ლადო
მესხიშვილი ცუდად შეიქმნა... თუმ-
ცა შეიძლება სამეტაკლის შეწყვე-
ტა, მაგრამ ლადოს არ უნდოდა მ-
ყურებლის ილუზია დაერღვია, მან
სპექტაკლი ბოლომდე მიიყვანა და
სპექტაკლი უნაკლოდ დასრულდა.
ამის შემდეგ რე-
ცენზენტები ხშირად აჭებენ ხოლ-
მე მის ხელოვნებას, მაგრამ სცენაზე
„ხმა სრულიად არ ისმობდა“-ო.
ამ სპექტაკლი ექიმები ჩაერივნენ, თეატ-
რის მოყვარულმა ეჭიბებმა გ. გო-
მიკელმა და ი. თოფურია ლადოს
სამკურნალოდ წასვლა ურჩიეს, ქარ-
თველმა საზოგადოებამ საყვარელი
მსახიობისადმი დიდი ყურადღება გა-
მოიჩინა, მატრიალურად დაეხმარა
და სამკურნალოდ გაგზავნა, რის
შემდეგაც ხმას გაუმოხიბესა და-

ეტყო: „ვლ. მესხიშვილი მარცხს როლში (პარრეტის პიესა „ახალი მოძღვრება“) საუცხოო სანახავე იყო, სამიწვენიბით აღვნიშნავთ, რომ მსახიობს ხმა დაპირუნებია, რომელსაც იგი თავისუფლად ხმარობს“ (გაზ. „ივერია“ 1904 წ., № 247). მაგრამ მედიცინამ ვერ შეძლო ოდენსაც ლამაზი ხმის ტემპრის აღდგენა, სიცოცხლის დასასრულამდე მის ხმას აკლდა ელფერი: „ლადო საკვირველი ხერხებით ხმარობდა სკენაზე თავის სუსტ ხმას, და ისეთ კილის და მეტყველებას აძლევდა მას, რომ ერთხელაც არავის უგრძობნია არტისტის ხმის ნაკლი“ (გაზ. „მერცხალი“, 1913, № 24), ასე რომ, ლადო მესხიშვილი ცდიდა სასცენო ტექნიკით შევეცადა ხმის ნაკლებობის მხარე. აი, რას წერს ამის შესახებ ვ. გარეიკი (გარნაძე): „დიდ ყურადღებას იქცევს მისი საუცხოო ინტონაცია და მკაფიო დიქცია მესხიშვილის ინტონაცია მთლად მის საკუთრებას შეადგენს, რადგან ბადალი არავინა ჰყავს! ხმა-კი! ხმა! დამხსერეულ საკრავ ინსტრუმენტს მოგაგონებთ, რომელიც ხელფანდამიწველს ისე გადაუკეთებია, რომ კვალად ყოველგვარ მელოდიას პარმონიულად აკენსებებს და ამეტყველებს“ (გურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 15). ამგვარად, ნათელია, თუ რამდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა ლადო მესხიშვილის იმისთვის, რომ სკენაზე მისი მეტყველება ესთეტიკური ყოფილიყო. ლადოს მიერ განვლილი რთული გზის შესახებ აკ. წერეთელმა 1913 წელს მისავე იუბილუმზე თქვა: „ვლ. ალექსი-მესხიშვილი რომ პირველად სკენაზე გამოვიდა, ქართული არ უფერხებოდა: „შემამძრუნეს“ მაგიერ „შემამწრუნეს“ ამბობდა, მაგრამ დღეს კი დარბაისლური ქართულით გვესაუბრება სკენიდან. მისი გამოთქმის კილო, მიმიკასთან შეთანხმებული, მოწონებს მის შრომა-მეტადინობას“ (გაზ. „თემი“, 1913 წ. № 110).

ივერიის თანამშრომელი ს. საყვერელიძე წერს: „ბენ-იონას როლს ბ-ნი ჩარკვიანი ასრულებდა, ერის ადილას, სადაც მივლი ძალა უნდა გამოეჩინა ტრაგიზმის დასასატავად, ხმა ჩაუწყდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ხმას დაუთვით არ ხმარობს, ბ-ნი მესხიშვილს უფრო სუსტი ხმა აქვს, უფრო ბევრი სალაპარაკო, მაგრამ მას ეს არასოდეს ემართება“ (გაზ. „ივერია“ 1900 წ. 237). ამ რეცენზიიდან ირკვევა, რომ 1900 წელს ლადოს უკვე სამეტყველო ხმა დამუშავებული ჰქონია რუსულ თეატრალურ სკოლაში; სუნაქვა და ხმის საფუძველი ყველა ენისათვის ერთია და მან ეს საფუძველი გამოიყენა ქართული სასცენო მეტყველებისათვის. ლადომ თვითონ შექმნა ქართული სამეტყველო სკოლა.

ცნობილია, რომ ლადოს ქუთაისში თეატრალური სასწავლებელი ჰქონდა გახსნილი და სასცენო მეტყველების მასწავლებლად მოწვეული ჰყავდა პროფესიონალი იაკობ პიასეცი, რომელმაც კარგად იცოდა მეტყველების ტექნიკა და შექმნილი ჰქონდა საგვარჯიშოები სუნაქვისა, სამეტყველო ხმის დამუშავებისა და მკაფიოდ წარმოთქმისათვის. ამის შესახებ მასალას გვაწვდის მისი შვილი, თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობი მაყრ იაკობის ძე პიასეცი: „მე მასოვს მამის დაინტერესება გრამატიკისა, მეტყველებისა და მისი ტექნიკის საკითხებით, იცოდა საგვარჯიშოები სუნაქვის დაყენებასთან დაკავშირებით; დღესაც მასოვს მისი ზოგიერთი საგვარჯიშო და მის მიერ შეთავონებული წაკითხული ლექსები“ (მაყრ პიასეცისთან საუბრის ჩანაწერი).

რეცენზენტები ლადო მესხიშვილის მოწაფეების ნაკლსაც აღნიშნავენ და ამ ნაკლის გამოსწორებასაც გვაუწყებენ. 1895 წ. „ივერიის“ თანამშრომელი მსახიობი დავით აწ-

ყურელს (გამყრელიძე) სპექტაკლ „სათაბალაში“ ისაიას როლის კარგად შესრულებისათვის აქებს, მაგრამ იქვე შენიშნავს: „არ შეგვიძლია ან არ მოვაკონოთ მსახიობს, რომ ქართულში კოჭლობს“ („ივერია“, 1895 წ. № 202), 1900 წელს კი ვ. საყვერელიძე იმავე აწყურელს ალ ვაზბეგის ისტორიულ დრამაში „კონსტანტინე ბატონიშვილი“ შაპის როლის თამაშისათვის აქებს და აღნიშნავს, რომ უკვე „ქართულად ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან ჩქარა, რაიჯა შაპის დიდებას არ შეგვირის“-ო („ივერია“, 1900 წ. № 245), 1904-05 წლების ვიწროხმის დასასრულს კი თვითივე ხსუკიკიკის მიხედვით (გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. № 141), მსახიობი აწყურელი დახასიათებულია როგორც კომიკური როლების საუკეთესო შემსრულებელი და „ქართული ენის მიღწეა და ტბილი მოსაუბრე“. იგივე შეიძლება ითქვას მსახიობ მიხ. ქორელის შესახებ, რომელსაც 1902 წ. აქებენ პაუტკანის პიესაში „აჯამყოფი ხალხი“ ელქმების როლის შესრულებისათვის: „მხოლოდ ქართული ენის კილო არა აქვს ნამდვილი“-ო („ცნობის ფურცელი 1902 წ. № 1989), მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ოსტროვსკის პიესაში „უდანაშაული დამნაშავენი“ ქორიდის მიერ ნიჭიერად შესრულებულ ნუნსაშვილის მეტყველების შესახებ წერენ: „ლაპარაკის კილო ამ მოკლე ხანშიც იმდენად გუარჯიშვებია, რომ ვერც კი შეტყობთ ნაკულლოვანებას“-ო. მსახიობების დ. აწყურელის და მ. ქორიდის მიღწევაში სასცენო მეტყველებაში ლადო მესხიშვილის სკოლის შედეგია.

ლადო მესხიშვილის მთელი მოღვაწეობა იმის საუკეთესო მაგალითია, თუ რა გზით და როგორ შეიძლება ნიჭიერი ადამიანი დაეუფლოს სასცენო მეტყველებას და გამოიყენოს იგი სამსახიობო ხელოვნებაში.

ქართული მხატვრობის პრობლემა

ვახტანგ სიღამონიძე

1. მხატვარი ისაია ჯანჯუღაშვილი

საქართველოში თითქმის სრულიად უცნობია ქართველი მხატვარი ისაია ჯანჯუღაშვილი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე ბურჟუაზიზმის მთელი მთელი მოგვეპოვება მხოლოდ ერთადერთი ცნობა, რომელიც პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს ეკუთვნის. თავის კაპიტალურ შრომაში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ იგი წერს: „ქართულ ხელოვნებას უმატებთან გამოჩენილი მხატვარი — ისაია ჯანჯუღაშვილი, რომელმაც გიორგი მეფის (გიორგი XIII — გ. ს.) და ალექსანდრე ბატონიშვილის სურათები დაგვიტოვა...“ და ა. შ.

ასებობს აგრეთვე დოკუმენტური მოწმობაც ერთ-ერთ მის ნამუშევარზე თვით მხატვრის ავტოგრაფის სახით ლექსად.

XIX საუკუნის 60-იან წლებში კავკასიის არქეოლოგიურმა კომისიამ ირანში (თავრიაში) რუსეთის გენერალური საკონსულოსაგან მიიღო ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის პორტრეტის პირი, რომლის დედანს, ამავე საკონსულოს მდივანმა თ. ა. ბაკულინმა თავიზიმი იმ დროს მცხოვრები ალექსანდრე ბაგრატიონის ერთ-ერთი თანამოსაგრის დაუბანს საგინაშვილის სახლში მიაკვლია. ეტყობა, ეს პორტრეტი თვით დაუბანს საგინაშვილის პირადი საკუთრება იყო. სურათზე მხატვარ ისაია ჯანჯუღაშვილს ლექსიც მიუწერია:

„ახე არს ალექსანდრესი,
დამცემი მტერთა ზარისა...
მეფე ირაკლის მეომრის ძისა,
თვით ლომთა შესადარისა.
ქართლ-კახთ მეფობის მოსტრინის,
ღლეღლამ დაუმტკარალსა.
დახატე მონამ სასოგრად
მოღვაწის შესავარისა“.

აქვე მიწერილია თარიღი „წელსა 1840, დეკემბრის კა“. არსებული ალექსანდრე ბაგრატიონის მეორე პორტრეტის ნიგარისტანის სასახლეში (თერანი) ირანის მეფე ფაქალი შაჰის აუღენც-დარბაზის კედელზე, შესრულებული თვით შაჰის ბრძანებით. ირანის შაჰისა და მის დედგაზირთა პორტრეტებთან ერთად დახატული ყოფილა მეჯლისი.

არ არის გამოიცხადებული, რომ მეჯლისი დახატა ქართველ მხატვარ ისაია ჯანჯუღაშვილს, რომელიც იმ დროს ალექსანდრე ბაგრატიონთან ერთად შაჰთან იყო აუღენციის დროსაც, ანდა, შესაძლოა, ირანის სამეფო მხატვრებთან ერთობლივად მოხატეს ეს გრანდიოზული ფრესკა.

ალექსანდრეს პორტრეტი გამოჩენილი ირანში რუსეთის საკონსულოს რწმუნებულის ა. ბერგერის განკარგულებით, გამოიგზავნა საქართველოში.

შრომში შ. ამირანაშვილი წერს: „საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი დაცულია პორტრეტები: გარსევან ჭავჭავაძისა (1711-1811 წ. წ.), მისი მეუღლისა — სოფიო ჭავჭავაძის (1718-1836 წ. წ.), უცვლელია ერთი და იგივე ავტორისაგან არის შესრულებული და დამასახიანებელია XVIII საუკუნის დასასრულის ქართული პორტრეტული ფერწერისათვის. ერეკლე მეორის მეუღლის დარეკან დედოფლის (1738-1807 წ. წ.) და ერეკლეს ასულის თეკლას (1775-1846 წ. წ.) პორტრეტები სტილითა და წერის მანერით ენათესავებიან გარსევან ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის პორტრეტებს. ეს პორტრეტები შესრულებულია, უპიკვლად, ერთი და იმავე პირის მიერ“.

თუ დავაივრედებით ამ პორტრეტის ფერწერის სტილს, შეგახსენებ, რომ იგი მთლიანად ისაია ჯანჯუღაშვილის მიერ შესრულებულ გიორგი XIII და მისი ძმის ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტების სტილია. ჩვენი ვარაუდით, ვინც დახატა გიორგი და ალექსანდრე ბატონიშვილების პორტრეტები, მასვე ეკუთვნის დარეკან დედოფლის, თეკლა ბატონიშვილის, გარსევან და სოფიო ჭავჭავაძეების, ნინო ქსნის ერისთავის პორტრეტები, აგრეთვე „ბებია და შვილიშვილი“. მხატვარს მხოლოდ თეკლა ბაგრატიონის პორტრეტზე ქართულად მიუწერია: „საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ასული თეკლა“.

ჩვენივე ვარაუდით, ისაია ჯანჯუღაშვილს უნდა ეკუთვნოდეს მეფე ერეკლე მეორის პორტრეტიც, რომელიც მოთავსებულია კავკასიის არქეოლოგიური კომისიის „აქტებში“.

საქართველოს სამეფო სასამართლო თუ დახატვადნენ დედოფალს, უნდა დახატათ მეფის პორტრეტიც. ისაია ჯანჯუღაშვილს, როგორც ჩანს, ასეთი დაკვეთაც შეუსრულებია. ბაგრატი, იულონ, ვახტანგ, ილია, დავით, თეიმურაზ, ფარნაოზ და ანა ბატონიშვილის (ფარნაოზის მეუღლე) პორტრეტები მასვე უნდა ეკუთვნოდეს. ეს პორტრეტები პლატონ იოსელიანის კოლექციაში იყო დაცული. „არქეოლოგიური აქტების“ რედაქტორი ა. ბერგერ წერდა: „ბაგრატი, თეიმურაზ, ფარნაოზ და ანა ბატონიშვილის სურათები გადაღებულია პ. ი. იოსელიანის სურათებიდან“.

ჩანს, ისაია ჯანჯუღაშვილის ნამუშევართა ერთი ნაწილი პლ. იოსელიანის არქივში მოხვედრილა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მხატვრის ნაწარმოება დიდი ნაწილი 1795 წლის კრწანისის ომის ქარცხცხას იმსხვერპლა. ამ დროს დაიღუპა ქართული ხელოვნების სხვა მრავალი შემსანიშნავი ნიმუში, ხოლო რაც კი გადაარჩა, მათ შორის ისაია ჯანაყლაშვილის ნამუშევრებიც, სხვადასხვა პირებთან მიხვდა.

ისაია ჯანაყლაშვილი თბილისში დაბადებულა და გაზრდილა, მამამისი ქართველი ვაჭრის ოჯახიდან ყოფილა. სად მიიღო მხატვრული განათლება და სად დაოსტატდა პორტრეტულ ფერწერაში, ჯერჯერობით არ ვიცით.

ისაია ჯანაყლაშვილი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობს. იგი საქართველოს სამეფო კარისა და, ამავე დროს, სამეფო თეატრის მხატვარია. ალექსანდრე ბაგრატიონის ახლო მეგობარის მის პოლიტიკურ ორიენტაციასაც იზიარებს. ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე ირანს გამგზავრებულია. მას თან გაჰყვლია ქართველთა ერთი ჯგუფი, მათ შორის ისაია ჯანაყლაშვილიც.

როდესაც მეფე ერეკლე მეორე გარდაიცვალა და გიორგი XIII ამ ქვეყნისა აღარ იყო, ხოლო საქართველოსა და რუსეთის შორის ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულების ძალით, რუსეთის ჯარი კავკასიის დასაცავად საქართველოში შემოვიდა, ალექსანდრე ბაგრატიონმა სამშობლო დატოვა და ირანში წაიქცა. მას თან გაჰყვა ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი, მათ შორის ისაია ჯანაყლაშვილიც.

ცნობილი სომეხი მწერალი რაფი და მწერალი მელიქ-ხანდე გვაწყებენ, რომ ალექსანდრე ბაგრატიონს ირანში თან გაჰყვლია 50-ზე მეტი ქართველი მოღვაწე. „სპარსეთში. სოფელ ხოსროვში, — წერს მელიქ-ხანდე, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილმა რეზიდენციად ამოიარჩია, მას გაჰყვა 50-ზე მეტი ქართველი, მათ შორის რამდენიმე თავადაზნაურიც იყო, რომელთაც თავი არ დანებებს უბედურების ქსამს, რამდენიმე მათგანი: ყარამან ბეგი (ყარამანი), ითან-ბეგი (ითანთანი), მყა-ბეგი (მყაყვილი), აღა-ბეგი, რუსთომ-ბეგი (რუსთომი) და სხვანი, რუსეთ-ირანის ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი დაბრუნდა თავის რეზიდენციაში, მაგრამ თავის თანამემამულე ქართველებში ეწეოდა იოვნა, ისინი რუსის ჯარს გაჰყვლიდნენ და დაბრუნებულიყვნენ საქართველოში“.

ისაია ჯანაყლაშვილი 1840 წელს ისევ სპარსეთში ჩანს. ეტყობა ბოლომდე გაიხიარა ალექსანდრე ბაგრატიონის ბედობ.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ბაგრატიონი 73 წლის ასაკში გარდაიცვალა 1844 წელს. მისი ამალიდან ირანში დარჩა დაუღ-ხან საგინაშვილიც, რომლის სახლშიც დაცული აღმოჩნდა ალექსანდრეს პორტრეტი. სამეუზაოდ, არა ჩანს — ისაია ჯანაყლაშვილი დაბრუნდა თუ არა სამშობლოში. სპარსეთში დაცული ქართულ სიძველეთა სათანადო შესწავლისას, შესაძლებელია აღმოჩნდეს მასალები ისაია ჯანაყლაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად.

2. სარაზიმი ატოლოლიკაშვილი

სერაფიმე პოლოლიკაშვილი ქუთაისის მკვიდრი ყოფილა. დიდი გაჭირვების მიუხედავად, ოდესაში მიუღია საშხატრო განათლება და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა. მუშაობდა ფერწერასა და ქანდაკებაში.

ჩვენამდე მცირე ცნობები მოწვეული მის შემოქმედებით: საქმიანობაზე. პირველ ნამუშევრებზე არაფერი ვიცით. 1897 წლისათვის, როგორც ირეკვა, შექმნიდა ქანდაკება — შოთა რუსთაველი. პიეტს წინ უდევს „ვეფხისტყაოსანი“ დაფინს გვირგვინით. თვით ბიუსტი სურს ფოთლებით ყოფილა შემკობილი.

მოქანდაკეს გამოუძერწავს დიდი ქართველი მსახიობისა და ხელოვნის ლაო მესხიშვილის ბიუსტიც.

გაზოვ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია 1897 წლის 22 ივლისს თავის მეთიხვლებს აუწყებდა: „ამამად ქუთაისში იმყოფება ერთი იქუური ახალგაზრდა ქართველი მხატვარი-მოქანდაკე ს. პოლოლიკაშვილი, რომელმაც სწავლა ოდესაში მიიღო. ეს ყმაწვილი საუცხოოდ ხატავს სხვადასხვა სურათს და აკეთებს გამოქანდაკებულ სახეებს. ამ დღებში დაამთავრა შოთა რუსთაველის ბიუსტი, რომელიც შესანიშნავი სინამდვილით არის გამოქანდაკებული გოლოგინის სურათიდან. შოთას წინ გამოყვანილია „ვეფხისტყაოსანი“. წინ უხდ ადევს დაფინს გვირგვინი, ბიუსტის დასადგამი გარშემო შემკულია სურს ფოთლებით. მალე კიდევ ჩამოსახსნამ და შემდეგში უკვალს შეძლება იქონიოს სახლის დასამშენებლად ჩვენი უკვდავი მგოსნის ბიუსტი.“

მხატვლები იმდენი მიიღეს, რომ ტევა აღარ არის ოთანში, ყველა აღტაცებულია ყმაწვილის ხელოვნებით.

ყმაწვილი სწავლის გასაგრძელებლად ტანთხელს აპირებს წავალს, მაგრამ მეტისმეტი სიღარიბე უშლის ხელს. იმედია, ჩვენი ქართველობა როგორც ხელოვნების მოტრფილად ხალხი, ბიუსტის ყიდვით, თუ კერძო დახმარებით შემუშობას აღმოუჩენს ამ ყმაწვილს და შეაძლებინებს სწავლის გაგრძელებას.

სწორედ ცოცხა იქნებოდა, რომ ასეთი მიღიარო ნიჭი აიღარების გამო არ განვითარდეს“.

ხანგრძლივი ცდისა და კვლევის შემდეგ ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა ერთი საინტერესო ცნობა და თვით მხატვრის ნამუშევარი სურათიც.

1907 წელს ქუთაისში ახალგაზრდა კომპოზიტორმა არტემ კვაჭანტირაძემ შექმნა ვალსი „ღარღი საქართველოზე“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ხსოვნას მიეძღვნა. წიწამურის ტრაკედიაში ახალგაზრდა სერაფიმე პოლოლიკაშვილზეც დიდად იმოქმედა. მან დახატა მშვენიერი სურათი არტემ კვაჭანტირაძის ნაწარმოების სატკბოების ფურცლის დასამშენებლად. ამ სურათში მოცემულია წიწამურ-საგურამოს ლამაზი ხედი, ძირს, მიონ ფერდობზე ტყისმცველის უბრალო ქიხია, მაღლა კი ზედახნის მონასტერი. ეს ვალსი, პოლოლიკაშვილის სურათითურთ გამოიცა მოსკოვში.

მხატვრის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან მცირე ცნობები შემოხსნულა. XX საუკუნის დამდეგს იგი საზ-

ღვარჯრეთ წასულა და აღარ ჩანს მისი შემდგომი ცხოვრების რაიმე კვალი.

მხოლოდ უკანასკნელ დროს მხატვარსა და მოქალაქეზე ზოგიერთი ცნობა მომავლად მისმა შვილმა მარგარიტა პოლოლიკაშვილმა.

სერაფიმე ალექსის ძე პოლოლიკაშვილი დაიბადა ქუთაისში 1870 წელს, წვირილი ვაჭრის ოჯახში. კათოლიკების ქურაზე მისი სახლი ჯერაც დგას. მამა ადრე გარდაეცვალა, დედა — სალომე ბალახაშვილი შვიდი პატარა ბავშვით დარჩა. უფროსი იყო სერაფიმე, ამიტომ ბავშვობიდანვე მასაც დაეკისრა ოჯახის მოვლა-პატრონობა.

ხატვა და ძირწევა სერაფიმემ ადრე დაიწყო. მისი ნახატები ნაძერწი ყველა მნახვემს აკვირვებდა. მიუხედავად გაჭირვებისა, თავისი ნიჭისა და შრონისმოყვარეობის წყალობით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ძალზე ნაკითხი და განათლებული იყო. რუსულ ენას კარგად ფლობდა. მისი ოცნება იყო სწავლა გაეგრძელებინა. ნათესავების დახმარებით სერაფიმე გაემგზავრა ოდესაში, სამხატვრო სასწავლებელში, სადაც პირველად შეხვდა და დაუმეგობრდა იაკობ ნიკოლაძეს, რომელიც დიდად აფასებდა მის ნიჭს. სწავლის დამთავრების შემდეგ სერაფიმე ქუთაისში დაბრუნდა. მას ჰყავდა მამიდა, რომელიც მასთან ახლო ცხოვრობდა. მამიდამ ძმისწულს თავისი სახლის ქვედა სართულზე სამი ოთახი დაუთმო სახელოსნოსთვის და ნამუშევართა გამოსაფენად. აქ მოდიოდა ქართველი საზოგადოება, აღტაცებულნი იყვნენ მისი ნამუშევრებით. სერაფიმე უმეტესად ხატავდა პორტრეტებს. ამ პერიოდს ეკუთვნის პორტრეტები: ალექსანდრე ყაზბეგი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ლადო მესხიშვილი და ბევრი სხვა...

სახელოსნო ქართველ მწერალთა პორტრეტებით იყო მოფენილი. აქა-იქ იდგა დანადგარები, მის მიერ გამოძერწილი ქანდაკებები, თარიღებზე განლაგებული იყო მინიატურული ნამუშევრები.

სერაფიმე ნატურიდან სწრაფად აკეთებდა ჩანახატებს და შემდეგ მათ საფუძველზე ქმნიდა მხატვრულ ნაწარმოებებს.

ამვე პერიოდს მიეკუთვნება შოთა რუსთაველის ბიუსტი. ნახატებში შოთა რუსთაველი გამოხატული ჰყავს პროფილში. მხატვრის ნამუშევრების ნაწილი (შოთა რუსთაველი, ალექსანდრე ყაზბეგი, ლადო მესხიშვილი) დღემდე ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ქუთაისსა და ბათუმში მხატვარმა გააფორმა საბავების სახლები კარაიხედებით, შესრულა კათოლიკეების ეკლესიის ორნამენტები. ქუთაისში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე № 8-ში მის მიერ მხატვრულად არის გაფორმებული ცნობილი საზოგადო მოღვაწის ექიმ გაბრიელ გოგიელის სახლი. გოგიელს ცოლად ჰყავდა სერაფიმეს მამიდაშვილი. ამ ოჯახში მხატვარი ზედმოდან აკაკი წერეთელს, ლადო მესხიშვილს, თავის ახლო მეგობარ იაკობ ნიკოლაძეს. სითხოვ და სიყვარული ამ ოჯახის მიმართ მხატვარმა მით გამოხატა, რომ სახლის სადარბაზოში კედლის კარნიშში ჩახატა ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები (დაფი, ნაღარა და თარი), ხოლო საძილე ოთახის კარნიშებში კი ქალთა თავები, საბავშუო ოთახის პლაფონი მოხატა ამურების გამოსახულებებით. ამჟამად ეს სახლი ეკუთვნის საბავშუო ბაღს.

ამ ნიჭიერი ქართველი მხატვრის და მოქანდაკის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა მომავლის საქმედ რჩება.

ჯემალ

თუშურაშვილის

ბავოფანაშა

ტიტე შეყილაძე

მინხად არ ვისახავ ცოტად თუ ბევრად ამოწურავი შეფასება მიცემ მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილის შემოქმედებას, რომლის ნიმუშები, ფერმწერ ჯემალ ხუციშვილის ტილოებთან ერთად, ამას წინათ გამოიფინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დარბაზში. მხატვრობის ორნი სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ნამუშევრების ამ ერთობლივმა ექსპოზიციამ ფართო საზოგადოებრიობას ერთხელ კიდევ დაანახა თუ საკუთარი ხმით გამოჩენილი რამდენი საინტერესო შემოქმედებას ჰყავს ჩვენს ხელოვნებას. ჯემალ ხუციშვილისა და ჯემალ თუშურაშვილის — ერთი თათბის წარმომადგენლების ერთობლივ-პერსონალური გამოფენა სწორედ იმით იყო საყურადღებო, რომ შესაძლებლობა მოგვეცა მთლიანობაში თვალი გადაგველო მათი შემოქმედებითი გზისათვის, მხატვრული ინტერესებისა და ხელწერებისათვის, დღენათვის რომ უკან გაკვეთილ ჩამოყალიბებულს სახე მიიღო.

მსუს მკითხველს გაუუზიარო ჩემი, როგორც მხატვრის, საერთო შთაბეჭდილება ჯემალ თუშურაშვილის შემოქმედებაზე, იმ ექსპონატებზე, რომლებიც ამ გამოფენაზე იყო გამოტანილი. უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ ჯემალი არ მიდის გატაკებულ გზებით, არამედ ენდობა თავის შინაგან გრძნობას, ორჯერ საკუთარ მხატვრულ პრინციპებს და ამის საფუძველზე ქმნის აზრობრივად და პლასტიკურად გამომსახველ ნაწარმოებებს. სწორედ ამიტომ, მწახველები გულგრილად არ დარჩნენ მისი შემოქმედებისადმი, რომელთა შორის, ჩემი აზრით, განსაკუთრებით შთამბეჭდვითა „სამასი არაგველი“, „შენ ხარ ვენახი“, „მებრე“, ლევან გოთუას საფლავის ძეგლი — „გმირთა ვარაზი“.

კომპოზიციის, პლასტიკური ფორმის გრძნობით, საზის დინამიკურობით გამოირჩევა ჯ. თუმურაშვილის ქანდაკებები. სამფიგურაიანი კომპოზიცია „სამასი არაგველ“ მკაფიოდ გამოხატავს კონკრეტულ აზრს. ამაყად შემართული სამი ვაჭარის ფიგურანი განსაზღვრულა სული ხალხისა, რომელიც მუდამ მზად იყო საკუთარი სიცოცხლის დასათმობად, თუცა სამშობლოს მიწა-წყალს საფრთხე ემუქრებოდა. საერთოდ, მოქანდაკეს იტაცებს განსაზღვრულ სახეებზე მუშაობა, ისტორიულ-ეროვნული სკულპტურული სახეების ძერწვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. თუმურაშვილის შემოქმედებისათვის უფრო მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკების პრინციპები და ნიშან-თვისებებია მასობრივი. თვით მისი დაზგური ნამუშევრები დეკორატიულად სტილიზებულია და მხატვრული გადაწყვეტით უახლოვდება მისივე მონუმენტურ ნაწარმოებებს. გავისხენით „დიდოსტატი სამთავნელი“ — ძველი ქართველი ზურთთმოდგენის ფიგურული გამოსახულება, გავისხენით „ფალავანი“, — მოწინააღმდეგესთან შესარკინებლად გამზადებული ვაჭაკი. ეს ნამუშევრები გარკვეული პლასტიკური პირობითობით, განსაზღვრების ხასიათით ახლოსაა ავტორისავე სხვა ქმნილებებთან — ძველთა პროექტებთან, დეკორატიული კომპოზიციებთან, როგორცაა „დაისი“ (კურორტ გაგრის ცენტრალურ პარკში დგას), „დედაენა“ და სხვ.

ეროვნული სახეები, ეროვნული მხატვრული მოტივები მუდამ იტაცებდა მოქანდაკეს. იგი ისწრაფვის ამ სახეებში სიმბოლიკისა და ალეგორიის გზით მიანიშნოს ზოგადადამიანურ პრობლემებზე, გამოხატოს გარკვეული აზრი და განწყობილება. ჯემალ თუმურაშვილის პერსონალურმა გამოფენამ კარგად დაგვანახა ახალგაზრდა მოქანდაკის პროფესიული თავისებურებანი, შემოქმედებითი მიზანსწრაფვანი, ნაყოფიერი შრომა. მოქანდაკემ უკვე მრავალ სერიოზულ მხატვრულ ამოცანას შეასხა ხორცი როგორც მონუმენტურ, ისე დაზგურ ქანდაკებაში. მის მიერ შეარულიებული დეკორატიული ქანდაკებები დადგმულია წყალტუბოში, თელავში, აბტალაში. ამჟამად მოქანდაკის წინაშე მრავალი ახალი ამოცანა დგას და ახალი ჩანაფიქრი ელის ხორციწმისას. მზარდი ოსტატობა, შთაბრუნებული შრომა ჯემალ თუმურაშვილს კვლავაც მოუტანს საზოგადოებრივ ადარებებს და შემოქმედებით სიხარულს.



დიდოსტატი სამთავნელი

„გებრთა ვარამი“. ლ. გოთუას საფლავის ძეგლი.



„მასობრივი კულტურის“ ახალი ქანრის შესახებ

მკა მიქაძე

თანამედროვეობისათვის ნიშანდობლივია სავნებისა და მოვლენების ზედაპირულ და ღრმა შეფასებებს შორის არსებულ სხვაობაში მერყეობა. ეს დაკვირვება პირობით ჭეშმარიტებადაც რომ ვაღიაროთ, მის საილუსტრაციოდ აშშ-ში ე. წ. „ახალი ჟურნალიზმის“ ირგვლივ ატეხილი აურზაური გამოგვადგებოდა. ეს ამბავი ამ ათოოდე წლის წინ დაიწყო და თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ახალი „იზმის“ სხვადასხვაგვარმა შეფასებებმა რიტმული ხასიათი მიიღო, რაც ცნობილი და დამახასიათებელია თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა „უახლესი“, „განმეორებადი“ და „საბოლოო ჩამოყალიბების პროცესში მოყოფი“ მიმართულებებისათვის, როცა ე. წ. „შემანჯღრველ“ სამოციანი წლების შუახანებში „ახალ ჟურნალიზმზე“ პირველად ალაპარაკდნენ, უცებ იმდენი სენსაციურ-ზედაპირული აზრი წარმოიშვა, რომ ბევრი „უკვდავი“ „იზმის“ წარმავლობის მომწვერ მრავალნადადი მეთვლეკლი იძულებული გახდა ამ ახალ აურზაურს გაულვრილად შეხვედროდა.

მართლაც, სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას იმსახურებს ამერიკული ლიტერატურის მრავალი ექსპერტის აზრი — ახალი ჟურნალიზმი მთელი ტრადიციული ბელეტრისტიკის სიკვდილს მოასწავებს, ამას იქვე წმინდა მხატვრული ლიტერატურა (fiction) ანაქრონიზმად თუ მოგვეჩვენება. ეს ასეც იქნება, სერიოზული მწერლები სერიოზულად წერას შეეშებიანო და ა. შ. თუმცა, ამგვარი ლაპარაკი მხოლოდ ლიტერატურის „სამკროში“ არ დაწყებულა. „დოკუმენტალიზმი“ გატაცებამ, უსაზღვრო ნდობამ ე. წ. შეუთხზავი ფაქტებისა და სახეობისადმი, აქედან გამომდინარე, სექტიურმა და მემორიანებულმა „მოხზველობისა“ და „გამომგონებლობისადმი“ ფეხი მოიკიდა არამარტო მწერლობაში, არამედ მასზე აღ-

რე ხელოვნების ბევრ სხვა სფეროშიც. ლიტერატურაზე აღრე ეს უფრო ეფექტურად გამოჩნდა კინოხელოვნებაში, რომელიც, რასაკვირველია, უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის დოკუმენტალიზმის პრინციპის დამკვიდრებისათვის. კინემატოგრაფი თავისი ბუნებით იქითკენ ისწრაფვის, რომ გამოგონი ფაქტად აქციოს, არარეალური რეალურად მოგვჩვენოს, ინსცენირებულ სახეს რეალური ობიექტის დამაგურებლობა მიანიჭოს, „სიცოცხლე“ წარმოშვას ეკრანზე. ასე იყო კინოში დღიდან მისი ჩასახვისა, თუმცა უკანასკნელ ხანს, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, ესე იგი, იმ დროიდან, როცა კინემატოგრაფიული ტექნიკა მკვეთრად და მრავალმხრივ განვითარდა, დოკუმენტალიზმისკენ სწრაფვამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა, იგი ერთგვარ დაუკოველ გატაცებად, ვნებად იქცა. მაყურებელთა შორის დოკუმენტური ფილმები სულ უფრო და უფრო სწირად სარგებლობდა მეტი პოპულარობით, ვიდრე ტრადიციულ-მხატვრული, „ნათამაშევი“ საუკეთესო ფილმები. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მხატვრულმა კინემატოგრაფმა დოკუმენტალურიზმის ნიღაბი მოირგო, დოკუმენტური კინოს ასრინალიდან ბევრი მარჯვე და აპრობირებული პოეტური ხერხი შეითვისა. მსოფლიო მხატვრული კინოს უდიდესი ოსტატები ქმნიან დოკუმენტურ ფილმებს (გავისენთო მ. რომის „ჩვეულებრივი ფაშისმი“, მ. კალატოზოვის „მე — კუბა“) ან მხატვრულ ფილმს დოკუმენტურის ყადაღე იღებენ (ს. კრეიმერის „ნიურნბერგის პროცესი“; კანეტო სინდროს „მიწველი კუნძული“, ს. იუტკევიჩის „ლენინი პოლონეთში“). განდა აზრი არამარტო დოკუმენტური სახეების ესკალაციის შესახებ კინოგკრანზე, არამედ ტრადიციულ-მხატვრული, ესე იგი, ინსცენირებული სახის კრიზისზეც. და განა ასეთივე შთაბეჭდილებას არ გვიქმნის, ვთქვათ,

დასავლეთევროპული სახვითი ხელოვნების განვი-
თარების პროცესი? მხედველობაში გვაქვს, კერ-
ძოდ, ე. წ. „პოპ-არტი“, თავბრუდამხვევად პო-
პულარული მოვლენა, რომელმაც მეოცე საუკუნის
მხატვრობის სფეროში ნებისმიერ სხვა მხატვრულ
ინოვაციაზე მეტი ზმარები გამოიწვია. ხომ უკუ-
ვალა, რომ „პოპ-არტი“ სახელდობო, დოკუმენ-
ტის, ფაქტის, „შეუთხზავის“ მიმართ განუზომე-
ლი ნდობის მანიფესტაციაა. „პოპ-არტული“ სა-
ხე, არსებითად, „გამიშვებელი“ (ვითომ გამიშ-
ვებელი) „არაორანტირებული“ (ვითომ არა-
ორანტირებული) მხატვრული სახეა, რომელიც
მის მიერ პირდაპირ რეალობიდანაა ნასესხები.
პოპ-არტი ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებს
საფუძვლს და სახეებს. ეს არის საყოფაცხოვრებო
ნივთების, რეკლამის ნაწილის, კონსერვის ქილის,
თუ წარწერის ხელოვნების რანგად ქცევა. (მაგ-
რად უმეტიერგის საბანი, კონსერვის ქილები, ჯასპერ
ჯონსის დროში, უორაოლის რეკლამა, ჰამილ-
ტონის ე. წ. „მოდეების კლიშე“, კოლაჟის, მინან-
ქრისა და კოსმეტიკის საშუალებით შესრულებუ-
ლი პოპულარული მანეკენი ქალების 12 გეიუ-
დილითორაფიული ქადაგებულება და ბეიკი სხვა).

შეგვიძლია გავისწავლოთ დასავლელი კრიტი-
კოსების მიერ დაწერილი დეკლარაციები, სადაც
ისინი თითქმისდა ემშობილებოდნენ ტრადიციულ
საბოროტო ფერწერას. ზუსტად ასეთი დღე და-
დგა ლიტერატურასაც. ზედმედ იხიზვებოდა ნე-
კროლოგები „კეთილად მოსაგინარ ძველ რომანე-
ზზე“, რომლებიც თაბებდნენ განსახიერებ-
ნენ მთელ ლიტერატურას. ამ ნეკროლოგების
აგებობები მიუთითებდნენ ტრუმენ კაპოტეს, ნო-
რმან მელიერის, ტომ ვულფისა და სხვათა რო-
მანებზე.

სწორედ სამოციან წლებში ერთმანეთისაგან
საკმაოდ განსხვავებული ეს აგებობები, ერთ და-
ჯგუფებაში მოხედნენ იმის გამო, რომ უარი
თქმეს... სიუჟეტზე და უშუალოდ სინამდვილის
სახეით შემოიფარდნენ, ისინი თავისებურ ინ-
ტერპრეტაციას უკეთებდნენ სინამდვილეს; შედეგი
შეუძლებელია სხვადასხვაგვარი არ ყოფილიყო,
რადგან სხვადასხვაგვარი იყო აგებობის სოციალ-
ურ-პოლიტიკური თვალსაზრისი, ანალიტიკური
აზროვნების სიღრმე, კონკრეტული ამბების ფარ-
თოდ განსოვადების უნარი. მაგალითად, კაპოტემ
შექმნა ჭეშმარიტად რეალისტური ნაწარმოები,
რომელმაც წარმოაჩინა „შემოლილი, შემოლილი,
შემოლილი სამყაროს“ წყლები. აქ მთავარი
პრობლემა ის არის, რომ ბურჟუაზიულ საზოგად-
ოებას არ ძალუქს უზრუნველყოფის ადამიანის
უმაჯობეს უსივრთი — უფასო სიცოცხლისა, ე. წ.
„დოკუმენტური რომანი“, „ჩვეულებრივი მკვლე-
ლობა“ ფაქტურად ერთი ნამდვილად მომხდარი

ამბის — კანზას სიტიში მომხდარი დანაშაულის
დეტალური აღწერა, დიდი სოციალურ-მამილე-
ბელი ძალის თავისებური ჟურნალისტური რეპორ-
ტაჟია. მელიერისავე „არაფერი მოუგინია“ და რო-
მანის ფორმით აღწერდა პოლიტიკურ თათბი-
რებს, კონსიუსურ გაფრენებს, ობის საწინააღმდეგო
დემონსტრაციებს და, თუმცა სტრიქონებს შორის
არაყოფითი პლანებიც სჭიმოდა, მაგრამ ეს წიგ-
ნები, უპირველეს ყოვლისა, აგებობის ძირითად
იდეას „ემსახურებოდა“. მელიერს სურდა მთელი
მისი გარემომცველი სამყარო წარმოედგინა ერთ-
გვარ თეატრალურ სპექტაკლად, თანაც მასალის
დოკუმენტურობას ამ იდეისთვის განსაკუთრებუ-
ლი შიამოხუტაობა უნდა მიენიჭებინა. პროფესი-
ული ჟურნალისტის — ვულფის წიგნები კი სრუ-
ლიად ასოციაციური გამოიჩინა კაპოტეს წიგნების
ფონზე. კაპოტეს და მელიერს ბელეტრისტიკა
ჟურნალისტებზე თუ დაჰყავდათ, ვულფი უკვე
იდეოლობად ნარკვევებისათვის „ნატოვანი სიტუა-
ცაზე“ მთელი ხელოვნების“ ტრადიციული საბატირ
სტატუსი მიენიჭებინა. მაგრამ რაოდენ ფორმალ-
ური ხასიათის ამოცანებიც არ უნდა ჰქონოდა
ვულფს, მისმა ნარკვევებმა, აგრეთვე უფრო
სისხლი — „ნეკანტერის“ ამასწინანდელი აღიარე-
ბით“, დიდი შიამოხუტობა მოახდინეს წიგნის
მოყვარულ ყველა ანტიკვლელზე. ეს იმიტომ, რომ
თხრობის „უკმარისობა სტუმარ შეაძლებინა 34
წლის ჟურნალისტს სწორად ჩაკვივებოდა და-
სავლეთის სამყაროში მიმდინარე პროცესებს... მი-
ნი წიგნების სტრიქონებში („კენდის ფირმის მი-
ერ გაფერადებული ნარინჯის კანში გახვეული და
კარგად შელამაზებული ლამაზმანი“, „შუატალან-
ტიკელი მამაკაცი“ — მ. შ.) იგრძობოდა, გამე-
ნავი, პირველადი, შემოილი, ეგოცენტრული,
თვითგამანადგურებელი „ახალი კულტურის“
„სიკვდილის ცეკვის“ (dancemacabre) საშინე-
ლება, რომელმაც „შემადარეველი“ 60-იანი
წლები დაადა.

მამინ, 60-იან წლებში, შექმნა ვულფმა დოკუ-
მენტური ოპუსები პოპფილოსოფ მ. მაკლიუნზე,
კასიუს კლეიზე, ლას-ვეგასის ფულის სათამაშო
სახლებზე, მილიონათვისის ნახევრადპროგრე-
სიული ოპიუმის — ჟურნალ „პლეიბოს“ გამო-
ცემულ პიუ ჰენერზე, მასტურბაციის მეფეზე,
რომელსაც თავისი თავი ჭეშმარიტ ჭურჭლად მია-
ჩნდა, „ვიდრე მის ირგვლივ ტრიალებდნენ, ტრი-
ალეზდნენ, ტრიალებდნენ საწოლები“, ეს ოპუსე-
ბი ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ და გვერდგვით
მწერალთა და ჟურნალისტთა შემოდასახებულ
წიგნებთან ერთად, ნათლყოფდნენ... ბელეტრის-
ტიკის აღსასრულს.

მაგრამ ძალზე ჩქარა ცხადი გახდა, რომ ამგვა-
რი დასკვნა არა მარტო ნაქარები, — ზედპირუ-

ლიც იყო. ამ აზრის ზედპირობობა, რაც სხვა გერემოებთან ერთად, მითაც აისხნებოდა, რომ მკვეთრი ზღაგანი არ იყო გაგებული იქვეა“ ტრადიციულ მწერლობასა და „ახალ ჟურნალისში“, მეტრიტიკასა და საერთოდ, ჟურნალისტიკას შორის. მაგალიად, კაპიტე თავის (და არა მარტო თავის) გადაფრავს „დოკუმენტური თხრობის“ ჟანრზე, უწინარეს ყოვლისა, ავტორისეული „მეს“ ფერმონის გააქტიურებით, წინა პლანზე წამოწვივით ხსნიდა. „თანამედროვე რომანისტიები, — ამბობდა კაპიტე — კიბანისი-რებულნი არიან თავიანთი ტალანტით, ისინი მეტრისმეტად სუბიექტურნი გასლავან... მათი მსოფლზედა საკუთარი ტიპისკენა მიმართული, ხოლო მათი თვალსაწიერი მითვე ფეხის ცვრათითის ფრჩხილს არ სცილდება... მე, როგორც მხატვარმა, ვიგრძენი ჩემს მიერვე წარმოსახული სამყაროდან გაქცევის დაუოკებელი წაილი. მე მომიხდა ამ წარმოსახული სამყაროდან რეალურ, ობიექტურ სამყაროში გადაბარგება, სამყაროში, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობო“.

მაგრამ, ყოველივე ის, რაც წევრთ კაპიტემ თქვა, „ახალი ჟურნალისში“ ყველაზე უკველი ნიშნებად იყო მიჩნეული; სულ რამდენიმე წლის შემდეგ შეიცხადეს, რომ იგივე „ახალი ჟურნალისში“ ლიტერატურის სფეროში ფაქტიურად სეპარდულურ „თეოტეკობის“ დაქვემდებარების ეპიდემიას ამკვიდრებდა. „ახალი ჟურნალისში“ ირველიც ატეხილმა აურზაურმა, რომელიც რამდენიმე ამერიკელი ექსპერტის თქმით, გაპირობებული იყო ე. წ. „ლიტერატურულ-ინდუსტრიული კომპლექსის“ გაჩენით, ფიცარანგზე მთელი რიგი მწერლების და კიდევ უფრო მეტად „მწერლების როლის მოთამაშე აქტიორების“ გამოჩენამ „პირის ნაცვალსახელების ხშირი ხმარება“ დაამკვიდრა. და, თითქოს „ახალი ჟურნალისში“ ესთეტიკის ყველა მიწინააღმდეგის სახელით ლაპარაკობდაო, ამერიკელმა მწერალმა გ. გოლდმა ამ ჟანრზე დისკუსიის პირველი ტური ასეთი სიტყვებით დაამთავრა:

„ტაკტიტი, ტოლსტოი, კოლრიჯი — ანაზღად დედასახელებთ სამ მიხრობელს — ფართოდ იყენებდნენ პირის ნაცვალსახელებს, მაგრამ ისინი კიდევ უფრო ფართოდ წარმოსახავდნენ რეალურ სამყაროს — ისტორიის, ზნეობის ხელოვნების სამყაროს... როცა „მე“ სხვა ყველაფერს ჩრდილავს, დადებულია საქმე...“.

ამდენად, უკვე სამოცდაათიანი წლების დასაწყისისთვის გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი: პირველი ამტკიცებდა მეტრიტიკის სიკვდილისა და „faction“-ის, ახალგამომცხვარი ჟანრის დამკვიდრების გარდუვალობას, მეორე თვალსაზრისით „ახალი ჟურნალისში“ ექსპანსიას „უბედურებად“ და „ღვთის რისხვად“ მიიჩნევდა.

მაშინვე, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ხედებოდნენ, რომ ორივე ეს თვალსაზრისი ზედა-

პირულია და ამან „ახალი ჟურნალისში“ ესთეტიკის გულდაღნოვით, აკადემიურად შეფასების საშუალება შექმნა.

წლების მანძილზე, მიმდინარე წლის ჩათვლით, აშშ-ში ჩნდება ე. წ. „სერიოზული“ სტატეტიკის კრებულები და იმართება წარმომადგენლობითი სიმპოზიუმები, რომელთა ავტორები და მონაწილენი მოწოდებულნი არიან „სიღრმეში ჩაღწვიონ“. ამასთანავე, ამ აქციამ, რომელშიც არა მარტო „ლიტერატურათმცოდნენი“, „ტრადიციული“ მწერლები და „ახალი ჟურნალისტიკები“, არამედ ფილოსოფოსებიც, სოციოლოგებიცა და გამოცემლებიც მონაწილეობენ, მიგვიყვანა მსოფლიო „faction“-ის ფერმონის ანალიზის კონტექტურ სფეროს გაფართოებამდე, მაგრამ არა მის გაღრმავებამდე. ამ აქციით „ახალი ჟურნალისში“ გ. ნიხილება დღევანდელი სამყაროს დინამიზმულ ორანი კულტურული პროცესების ფონზე, ამ ჟანრის გაფართოებულმა, ფორმალურმა „გამოკვლევა“ გამოიწვია მთელი რიგი დასკვნები, რომლებიც ცოტა ვინმესთვის თუა სადავო. აღნიშნული იყო, მაგალითად, რომ „ახალი ჟურნალისში“ უნდა შეფასებულ იქნეს როგორც კონკრეტული რეალი ყოვლისგანმასაზღვრელი „მასობრივი კულტურისა“ და ამ ჟანრის წარმომავალ უნდა გაიზიაროთ საზოგადოების სულიერი კულტურის ტრადიციულ ფორმებში ტექნიკურ საშუალებათა „ინტეგრაციით“; ჟანრის განვითარება ადამიანის სულიერი კულტურის ერთმანეთისაგან გამოკავიკვევებულ სფეროთა ურთიერთშეღწევისა და ინტეგრირების დღევანდელი ტენდენციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

ითქვა, აგრეთვე, რომ „ახალი ჟურნალისში“ გამოვლინება, მთავრ რიც სხვა ეპოქებთან ერთად, გაპირობებული იყო რეალობასა და ხელოვნების ფორმებს შორის „ტრადიციული“ პარიერების გადალახვით, რაც ახასიათებდა, ვთქვათ, სინკრეტული მთლიანობის ეპოქის და რომლის ცალკეული რეციდივებიც შედარებით ახლო წარსულში თავისებურ ეტალონდაც შეიძლებოდა გამოკვდომოდა. ამიტომაც იყო, რომ ამ ახალი ჟანრის ზოგიერთი მკვლევარის გამოცხადებულ იწვევად, ვთქვათ, ასეთი კითხვები: „მართლაც ახალია „ახალი ჟურნალისში“?“, „რა არის ეს — „ახალი ჟურნალისში“ თუ ახალი სოციოლოგია? და ა. შ. ისევე, როგორც აურზაურის დასაწყისში, ახლაც, „ახალი ჟურნალისში“ ანალიზისადმი ასეთი ფართო თვალსაზრისით და კორექტულმა მიდგომამ ვერ მოუპოო საფუძველი პობოლემასზე ზედაპირულ და ღრმა შეხედულებებს შორის არსებული სხვაობის განმასაზღვრელ წინამძღვრებს. აი, რატომ გახდა თვალსაჩინო, რომ ამ ფერმონის სიღრმისეული წვდომა შეუძლებელი იქნება, ვიდრე წინასწარაჩემებული ობიექტივტიკური პოზიციიდან ამოვივთ; თანამედროვე ეპოქის თავისებურებებზე, დღევანდელი საზოგადოების კულ-

ტურულ ტენდენციებზე საუბარი დამაჯერებელი და ღრმად ანალიტიკური მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ცნება „საზოგადოებას“ სათანადოდ, მარ-თებულად გავიზრებთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს თუ ის დროითი გაპარობებული ტენდენცია კონკრეტულ ფაქტიურ გამოვლინებას კონკრეტულ სოციალურ კონდიციებთან დამოკიდებულებაში პოკვებს. სხვაგვარი სიტყვებით მონათლული ეს იდეა სადღეისოდ მოულოდნელი ვარიანტით მოგვევლინა. „ახალი ჟურნალიზმის“ ირგვლივ აურსაურის ერთგვარად დაცხრობის შემდეგ, რაც 70-იანი წლების დასაწყისში გახდა შესამჩნევი, ახლა 70-იანი წლების მიწურულს, კვლავ თვალ-საჩინო გახდა „faction“-ის ჯანრისადმი, მი-სი ფერმონისადმი ინტერესის გაღვივება. მეტიც: თუკი გასული ათწლეულის შუალედში „ახალ ჟურნალიზმზე“ ბელეტრისტიკის, მხატვრული აზროვნების ხვედრზე დაჟივრების კონტექსტში იყო საუბარი, ახლა დისკუსიები იშლება დღე-ვანდელი ჟურნალიზმის თავისებურებების გათ-ვალისწინებით, თანაც, დღევანდელი ჟურნალიზ-მი აღიარებულია კომუნიკაციის საშუალებათა ყველაზე მძლავრ და ქმედით რგოლად: გასაგე-ნია, რომ ეს ახალი კონტექსტი განაპირობებს „ახალი ჟურნალიზმის“ გაცილებით მეტ პოპუ-ლარობას, რადგან სწორედ უკანასკნელ ხანს ჟურნალისტების მიერ ატეხილი ე. წ. „საერთა-შორისო ამერიკული სკანდალები“ (უოტერჰეი-ტი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სხვ.) მეოხებით ჟურნალისტური შემოქმედების მთავალწახანგავიანი პრობლემატიკა თითქმის მთელი საზოგადოებრიობის გულსაყურს იპყ-რობს. ამავე დროს, ეს ფაქტი თითქოს იმასაც მოგვაცინებდა, რომ „ახალი ჟურნალიზმის“ აურსაურის დასაწყისიდან უკვე გავიდა დრო, რომელიც მიახლოებით შედეგების შეჯამების საშუალებას იძლევა.

სახელდობრ, ამიტომ იყო, რომ ამერიკულ პე-რიოდიკაში ქვეყნდება სტატიების წყება „ახალი ჟურნალიზმის“ „ვეტერანებზე“. წლე-ბის მანძილზე „ახალი ჟურნალიზმის“ ბა-ნაკს ემატებოდნენ სხვადასხვა ხასიათის მწერ-ლები და „ნოუსმენები“ და სწორედ ამ ჯანრის „კლასიკოსთა“ შემოქმედების ანალოზი გვირ-ენებს საუკეთესოდ ამ ჯანრის სადღეისო მეტა-მორფოზებს.

ყოველივე ამან იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მსგავსად სხვა დროით გაპარობებული მოე-ლენებისა, „ახალი ჟურნალიზმისაც“ შეეყარა ტი-პიური ბურჟუაზიული სენი, რომელიც, როგორც წესი, წარმოშობს თვითუარყოფის, „თვითმ-კვლეობის“ ტენდენციებს. როცა მარქსი წერდა კაპიტალიზმის მტრულ დამოკიდებულებაზე შე-მოქმედების მიმართ, ის გულისხმობდა, რომ კა-პიტალიზმი შემოქმედების ისეთ თვისებებს ახ-ვევდა თავზე, რომლებიც გამორიცხავდა თვით

არსს ხელოვნებისას. ეს მტრობა ყოველთვის ერთგვარად და აშკარად არ ვლინდება. დროითი განმავლობაში კი სოციალური ნორმებისა და ამა თუ იმ კულტურული ტენდენციების ურთი-ერთკავშირი უფრო „მრავალსაფეხრობრივი“ და დახვეწილიც კი ხდება. „ახალი ჟურნალიზ-მი“ ლიტერატურული ფერმონი ესწრაფვის ინ-დივიდუალურისა და ობიექტურის, პოეზიისა და ფაქტის ორგანულ განუყოფლობას, ამიტომ, კა-პიტალიზმის მტრობა მის მიმართ ერთდროუ-ლად ორი მომენტით ირენს თავს და თითოეული მათგანი, უწინარეს ყოვლისა, faction-ის ჯან-რის არსებითი კარნახის ცხადყოფს.

ამ ჯანრის მომაკვინებელი პირველი მომენ-ტია „თვითკამაყოფილების“, „თვითკტობის“ განწყობილების დაუკლებელი ექსპანსია, რაც განპირობებულია ბურჟუაზიული ინდივიდუა-ლიზმის „რელიგიით“. სწორედ ამის ცხადყოფაა ნ. მეილერისა და ტ. ვულფის ბოლო წიგნები.

თუკი თავიდან, როცა ბევრი რამ ნაკარნახევი იყო ამ ახალი ჯანრის დაკვიდრების ენთუზიაზ-მით, როცა მეილერი დაპარაკობდა თუნ-დაც „არაპერსონალიზირებულ“ მივლენებზე (ეოქვათ, დემონსტრაცია), თავს არიდებდა სა-კუთარი „მეს“; იპერტროფირების, დღეს, მა-შინაც კი, როცა რომელიმე სხვა კონკრეტულ პიროვნებაზე წერს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავითაა დაინტერესებული. მხედველობაში ვვაქვს მისი წიგნი „კენოსისები და გულისთქმანი: მოგზაურობა ჰენრი მილერის მთავარი ნაწარ-მოებების სამყაროში“.

„ნორმან მეილერი, ეს მემარცხენე კონსერვა-ტორი ჟურნალისტი — რომანისტი, ყოველი გა-მომცემლის აზრს ანგარიშს რომ უწევს, ნორმან მეილერი, რომელსაც ყურის ძირში განუწყვეტ-ლივ ესმის მიმომხილველებისა და რეცენზენტე-ბის, აქციონერების, კინოსმსენების, ნოზე-ლის კომიტეტის სუნთქვა“, დღეს წერს წიგნს თავის კოლეგაზე — ცნობილ მწერალ პ. მი-ლერზე, მაგრამ სახელდობრ, თავის თავზე კი დაპარაკობს, რაც შეეხება პ. მილერს, ფ. კრიუ-სის აზრით, „ახალი ჟურნალიზმის“ პიონერი მისით იმიტომ დაინტერესდა, რომ „მილერი ისეთი ტერფამედ ინდივიდუალისტი და ანარ-ქისტია, რომანტიკოსი — ვიზნალიზა, რომელიც ყველგან და ყოველთვის მხოლოდ საკუთარ გუ-ლისწაიღობს მისდევს და არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს“.

იგივე ითქმის „ახალი ჟურნალიზმის“ მეორე კლასიკოსზე ტომ ვულფზეც, რომლის უკანასკ-ნელი წიგნი („ლილისფერ-ვარდისფერი ხელთა-თმანები და გიჟი“, „ქაოსი და ვენახი“) გაანალი-ზა „ენკაუტერში“ კ. ბუკერში“. რეალური სინამ-დვილისა და ობიექტური პროცესების ანალოზი, რასაც, კრიტიკოსის აზრით, ადრე ესწრაფვოდა ტ. ვულფი, ამ წიგნში იცვლება თვითკტობით,

სიტყვიერი ფონგლოზობით, „ქუნალისტური დიფერენციალებით, სანახაობით, წარმოდგენით ... ცოტათუნე პირდაპირი რეორტატი, ბევრი გამონაგონი, რეალურად არარსებული, პირადული... საბოლოოდ რა გამოდის?“

თუკი სულ ცოტა ხნის წინათ, როგორც აღიარებს კ. ბუკერი, იგი სულმოუთქვამლად კითხულობდა ტ. ვულფის სტატეებს, რადგან ტ. ვულფი ცდილობდა „საკუთარი ჭიანჭისა და ფეხის თითებს“ იქეთაგ გაეშედა და რეალური ცხოვრების სურათი მოეცა, თუმცა მის პოეტურიერებულ ნაწარმოებებში მთავარი მაინც რეორტატი, დოკუმენტი, ფაქტი იყო, ახლა „ლიტერატურულ-ინდუსტრიული კომპლექსის კბილებით“, „ნიველირებული თვითტკობით“ ბოლომოდებული ტ. ვულფი უკვე აღარ იპყრობს გულსყურს.

„მე დავიღაღე და ტ. ვულფის კითხვა უკვე აღარავითარ სინარულს არ მანიჭებს.“

ეს ორი უკანასკნელი სიტყვა, რომელიც კ. ბუკერმა თავისი სტატეის სათაურად იხმარა და დამატა სიტყვა „bubble“, რაც ქართულად არა მარტო ლამაზ, მდიდარ, ტბილსიტყვაობას ნიშნავს, არამედ, აგრეთვე, „საანის ბუმბუს“ მნიშვნელობაც აქვს.

მივლი ეს „ახალი ქუნალიზმი“ მრავალთაგან ერთ-ერთი „საანის ბუმი“ ხომ არ გამოდგა? ნებისმიერი მდიდარი ფანტაზიით შთაგონებული ინიციატივა სიტყვის ხელოვნების სფეროში აპრიორულად ხომ არ არის განწირული დასაღუბავად? უმ კითხვის პასუხად, როგორც ჩანს, გამოგვაადგება ამერიკელი ქუნალისტის ეტერანის ბ. ბაგდაიანის სტატია რესპექტაბელურ ქუნალ „ატლანტიკში“. ეს სწორედ ის სტატიაა, რომელშიც „ახალი ქუნალიზმის“ ხედრი განხილულია აშშ-ში ქუნალისტური პრაქტიკისა და ქუნალისტური განათლების პრესპექტივების ფართო ანალიზის კონტექსტში და გამოკვეთილია, „faction“-ის განრისთვის კრიზისული მეორე მომენტიც: ესაა ბურჟუაზიული საზოგადოების ე. წ. „კორპორატიული ეთიკა“, უარყოფა ბურჟუაზიული-ინდივიდუალისტური ეთიკის პიროვნული საწყისისა. თუ „ახალი ქუნალიზმის“ პოეტია მოითხოვს რეალური ცხოვრების პიროვნული ხედვის განვითარებას, ახლანდელი ბურჟუაზიული სინამდვილის ლოგია ძირს უთხრის ამ პოეტკას ინდივიდუალურის უზურპაციის, ან მეტიც, მთლად მოსპობის მეოხებით.

ბაზრისა და კონკურენციის კანონებმა შესძლეს რამდენიმე სხვადასხვა მიზეზით გადარჩენილი და „ზვეთმოქცეული“ ნეოქუნალისტისათვის „თავს მოეხვიათ“ „faction“-ის ფსოტეკისათვის დამახასიათებელი მომაკვდინებელი სწრაფვა საკუთარი „მე“-ს გაბატონებისაკენ. ხოლო ამ დროს „ახალი ქუნალიზმის“ მიმდევრთა უმეტესობას ძალა არ შესწევდა მომასხურებოდა

საკუთარ „მე“-ს, რადგან მთავარი ყურადღების პიროვნულ საწყისზე გადატანა არ დაიშვებოდა მათი ესთეტიკით. „ახალი ქუნალიზმის“ იდეებმა, — წერდა ბ. ბაგდაიანი, — ვულტანის* ფენომენის წარმატებებმა აშშ-ის ახალგაზრდობაში წარმოშვა დიდი ინტერესი ქუნალიზმისადმი, — ეს არისო ფენომენი, რომელსაც შეუძლია თავის თავში განავითაროს ერთდროულად სოციალური სინდისიცა და ინდუსტრიული აზროვნებაც, და შეუძლია აგრეთვე ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებში ქუნალისტური ხელოვნების სწავლების საქმის სეროიზულად გარდაქმნაც კი.

„თუ ამ უკანასკნელ დრომდე ცდილობდნენ სტუდენტებისათვის მხოლოდ ქუნალისტური ტექნიკა ესწავლებინათ და მათგან ამზადებდნენ ქუნალისტებს ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით... ყველაზე თვალსაჩინო ტენდენცია არის აღზრდა ახალი ტიპის კომუნიკატორებისა, რომლებსაც შეეძლება ფაქტები ფილოსოფიურად და პიროვნულად აკვიზიროს“.

მაგრამ, როგორც ვეცხორი ასკვნის, ამ წამოწყებას არ შეიძლება წარმატებით შედეგები მოჰყვას თვით ბურჟუაზიული სინამდვილის გარდაღვალი, უცილობელი ტენდენციის გამო:

„ახალი ამბების კომპანია, რომელიც სწრაფად იზრდება და გიგანტური კორპორაცია ხდება, დამოუკიდებლობას მოკლებული ადამიანების ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცევა. ეს ადამიანები ქმნიან უღმობელ, უწყალო მექანიზმს, რომელიც ინდივიდუალობას აკარგვინებს „ახალი ქუნალისტების“ მომავალ თაობებს და რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები კორპორატიული ეთიკის ნორმების მიხედვით სულაც არ ზრდიან“.

„ახალი ქუნალიზმის“ ბედ-იღბლის ღრმად გააზრებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ამაღკვარი სხვა ფაქტების სათანადო ანალიზია საჭირო.

*ეოლსტემბიან ამერიკელი ქუნალისტები ვულვორდი და ბერსტანი, რომლებმაც ფართოდ გაითქმეს სახელი მამოიღებელი სტატეებით — „ოტერპეიტის საქმის შესახებ“.



ურნის ფრაგმენტი. ტახინის კულტურა
(1000 წ. ძვ. წ. ა. — 1521 წ. წ. წ. ა.)

ურნა და ნიღბები ლეთებათა გამოსახულებით. ტეოტიუჰუაკანის კულტურა

მექსიკის სახე

თამაზ სანიკიძე

მწლი მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციათა შორის მექსიკურს განსაკუთრებით მძიმე და ტრაგიკული ზვედრი ერგო. 1519 წელს მექსიკის ნაპირებს მოადგა ესპანელი კონკისტადორის — ფერნანდო კორტესის გემები. მექსიკელ ინდიელებს ღვთის რისხვად მოველინა ოთხას ორმოცდაათ ოქროს დახარბებული ავანტიურისტი. ერთბაშად ჩაკვდა ყოველი, რისი მოკვდინებაც შეიძლებოდა. განადგურდა ბრწყინვალე ქალაქები, დაინგრა ციხე-სიმაგრეები, აკედულები, კვლავ ოქროს ზოდებად იქცა საიუველირო ხელოვნების უნატიფესი ნიმუშები. თანდათან დავიწყებას მიეცა მწერლობა, დამწერლობა, ძველ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი კალენდარი, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალი საინტერესო მონაპოვარი. აცტეკების და მაიას ტომთა სამყოფელს ახალი ესპანეთი დაერქვა და ქვეყანას უპანეთის მე-

ფინსაცვალი დაეპატრონა. ასე გრძელდებოდა დიდხანს, მაგრამ მაინც გადარჩა იმდენი, რომ დღეს მექსიკას, სრულიად სამართლიანად, „ღია მუზეუმს“ უწოდებენ.

ამ „მუზეუმის“ რჩეულ ექსპონატთა კოლექცია ჩვენმა მაყურებელმაც იხილა. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში მთელი სამი თვის მანძილზე გამოფენილი იყო მექსიკის ხელოვნება, სულიერი საუნჯე მექსიკელი ხალხისა, მისი ისტორია და სახე; ისტორია — ხანგრძლივი და უმდიდრესი, სახე — მეტად თავისებური, ერთბაშად ძნელად ამოსაცნობი, უცხო, მაგრამ უაღრესად მრავალმხრივი და მრავლისმეტყველი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მექსიკური ხელოვნება უძველესი დროიდან დღემდე, მისი განვითარების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი, ყველა დარგი ხელოვნ-





ბისა — ქანდაკება, ფერწერა, ოქრომუკედლობა. არქიტექტურა, მრავალფეროვანი გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები. ერთი სიტყვით, საშუალება გვქონდა თვალი გაგვედევნებინა მთელი მექსიკური ხელოვნებისათვის, რომლის განვითარების ქაპანულეზამდელი ხანა სულად განსაკუთრებული მთვლენაა მსოფლიო კულტურის ისტორიაში, ხოლო მისი დღევანდელი სახე განუყოფრებული თვითმყოფადობით ხასიათდება.

მექსიკური კულტურის უძველესი ძეგლები ცნობილია ძველი წელთაღრიცხვის ათასწლეულის შუა ხანებიდან. აქ ამ დროს წინაკლასობრივი საზოგადოება არსებობდა და ისევე, როგორც ყველგან, ამ პერიოდის ინდივლთა ხელოვნების ნიმუშებისათვის მარტივი ფორმებია დამასახაიათებელი. ცხოველების, ფრინველების, თევზების მრავალრიცხოვანი სკულპტურული გამოსახულებები ცხადყოფენ, რომ ინდივლი ტომები ჯერ კიდევ ნადირბობითა და მეთევზეობით ირჩენდნენ თავს. სამდნადმე მოვლენებით კი, მოსახლეობის მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩნდება სხვადასხვა სახის ფანტასტიკურ არსებათა პატარა ქანდაკებები, რომლებიც სოფლის მეურნეობის, წლისა თუ ცეცხლის სიმბოლოებს წარმოადგენენ და, ამათთანავე, მაგიური დანიშნულებაც აქვთ. უჩვეულო ფორმებითა და მორთულობის მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამ დროს კერამიკული ჭურჭელი. ყველაზე ნიშანდობლივი კი ის არის, რომ მათზე ორნამენტები (ძირითადად გეომეტრიული) დამოსა და ტრაფარეტის საშუალებით არის გამოყვანილი.

მას შემდეგ, მთელი სამი ათასი წლის მანძილზე, მექსიკის ტერიტორიაზე მრავალი ტომთა გაერთიანება აღუყვდა და დაეკა, რომელითა კულტურას განვითარების პირველი პერიოდიდან გამოყოფილ საერთო ნიშნებთან ერთად, ერთმანეთისაგან განსხვავებული თავისებურებებიც ჰქონდა.

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში მექსიკის ყურის ნაპირებზე ჩამოყალიბდა ოლმეკთა კულტურა, რომელმაც მალე მაღალ განვითარებას მიაღწია და საფუძვლად დაედო მთელს მექსიკურ ცივილიზაციას. ოლმეკები ცხოვრობდნენ დიდ ქალაქებში, ჰქონდათ დამწერლობა, ქმნიდნენ გვიანტურ ქანდაკებებს, აკვირდებოდნენ პლა-

ნობლები და ქანდაკებები ლუვაბათა გამოსახულებებით. ტახინის კულტურა

ნეტების მოძრაობას. მათი წარმოდგენები სამყაროზე ვლინდებოდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ რელიგიურ სისტემაში, რომლის არსს წარმოადგენდა ბუნების ყველა გამოვლინების სიკვდილის და სიცოცხლის განყოფილება. ამ იდეის გამოხატულია მთელი ოლმეკური ხელოვნება თავისი რთული სიმბოლიკით, ფორმათა ლაკონიურობითა და მონუმენტურობით.

გამოყვანაზე ოლმეკების ხელოვნებასთან ერთად ფართოდ იყო წარმოდგენილი ტოტემიკანების, საპოტეკების, მიშტეკების, ტახინების, ტოტეკების და სხვა ტომთა კულტურა. მათ შორის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული დიდი გვირა მათების და აცტეკების მხატვრულ შემოქმედებას.

ლევენტარული მაიას ტომი ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში აღუყვდა და ამერიკაში ესპანელების მოსვლის შემდეგაც კარგა ხანს აიარება. მათ მიერ არის ამხენული იუტაკანის დიდებული ქალაქები პირამიდებით, სასახლეებით და უამრავი ქანდაკებით.

1946 წელს ტროპიკულ ტყეებში, ვეატემალას საზღვართან, აღმოჩენილ იქნა მაიას ტომის ერთ-ერთი ქალაქი — ბონაპაკი, რომელიც VIII საუკუნეს განეკუთვნება და რომლის მთავარი პირამიდა შესანიშნავი მოხატულობის ტაძრით არის დავეირგვირებული. ამ ტაძრის და მისი ფრესკების ზუსტი ასლი ამხენიდა ჩვენს გამოყვანს. ფრესკების ისტორიულ სიუჟეტებაზე შექმნილი, რაც მეტად დამასახაიათებელია მათების ხელოვნებისათვის. მასში, სხვა ტომთა მხატვრული მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, საერო მოტივები, და, ამდნად, რეალისტური მსოფლმეარჩნება, აშკარად წინა პლანზე დგას რელიგიურთან შედარებით. მოხატულობა ხალიჩისებურად არის გაშლილი კედლის სიბრტყეზე. გამოსახულებები ხაზობრივი და სქემატურია. ცნაუტი და ფრესკების შესრულების სტილი ცხადად ამჟღავნებს მჭიდრო კავშირს ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებასთან, რაც საერთო ნიშანთვისებაა მექსიკელ ინდივლთა კულტურას, რაც ამ ტომთა აღმოსავლურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

მექსიკელები თავიანთ უშუალო წინაპრებდა აცტეკებს თვლიან. აცტეკური ტროპიკულ ტყეებში მომთაბარებოდნენ და მზეს სცემდნენ თავყურს. XIV საუკუნეში ისინი მეხიკოს ველზე დამყარდნენ, დაიმორჩილეს მეზობელი ტომები და შექმნეს ძლიერი სახელმწიფო. მათ დღეაქალაქ — ტენოჩტიტლანს სიდიდით და მოსახლეობის რაოდენობით შუა საუკუნეების ვერცერთი ვეროპული ქალაქი ვერ შეედრებოდა. აცტეკებმა უთ-



ურან. საპატეკების კულტურა

ვალსაჩინოს წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მათი ხელოვნების თავისებურებებს განაპირობებდა რელიგია — ყველაზე უმკაცრესი ამერიკელი ტომთა რელიგიების შორის.

აცტეკების არქიტექტურა მასიურია და გრანდიოზული, რაც მუზეუმში გამოფენილი პირამიდებისა და ტაძრების ანსამბლების მაკეტებით ადვილად წარმოსადგენი იყო. მათი პათეტური, ტრაგიკული გამსჭვალული ქანდაკებები, კონტრეტულობას მოკლებული გარინდებული ფიგურები, იდუმალებით აღსავსე სიმბოლოებს წარმოადგენენ.

აცტეკებისათვის და ყველა დანარჩენი ინდიელი ტომებისათვის შეუცნობადი იდუმალებით იყო მოცული მთელი სამყარო. ბუნების სტიქიას და ადამიანთა ყოფიერებას მათი წარმოდგენით მხოლოდ ღმერთები განაგებდნენ. ღმერთების ნება-სურვილით ასხენეს ინდიელებმა ევროპელების გამოჩენა მათ ქვეყანაში. უცხო სახის, ფეხმარდ ცხენებზე ამხედრებული კონკისტადორები, შეიარაღებული მოკლავარე ფოლადის ხმლებითა და თოფებით, ზეციით მოვლენილ მსხენელბად ჩათვალეს (ინდიელებმა არც ცხენი იცოდნენ რა იყო და არც რკინის, მით უფრო ცეცხლ-მსროლელი იარაღი) და, ბუნებრივია, რომ მომხდურთათვის სერიოზული წინააღმდეგობა არავის გაუწევია.



7. „საბჰოთა ხელოვნება“ № 5, 1978

დიდებული ტენოტიტლანის ნანგრევებზე ამენდა ქალაქი მეხიკო. ახალ ესპანეთში რენესანსული, ბაროკული, ნეოკლასიციკლური ნაგებობები აღიმართა, რომლებიც შესაბამისი სტილის ფრესკებით, ფერწერული ტილოებით და ქანდაკებებით დამშვენდა. მეხიკოს წმ. იოსების ტაძრის ოქროთი მოვარაყებული ხუთმეტრიანი საკურთხეველი (რეტაბლო), რომელიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, ცხადი მაგნიფიკენია იმისა, რომ კარგა ხნით გაწყდა კავშირი ძველსა და ახალს შორის. ძველი მიიჩქმალა, მაგრამ მაინც დარჩა ხალხის ყოფასა და მესხიერებაში. ამის ნათელი დადასტურებაა მექსიკის დღევანდელი ხალხური ხელოვნება, რომელსაც გამოფენაზე საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. მრავალგვარი ფორმის კერამიკა, ლითონის, ხის, ძვლის, მინის, ქალაღის, ლერწმისა და ტყავისაგან შესრულებული ნივთები, მორთული ხან უფაქიზესი ორნამენტით, ხან კი მჭახვ. ჯღერადი ფერებით, თავისებურად გზიანება, ზოლი ზოგჯერ აშკარად იმეორებს ინდიელთა ხელოვნების ანალოგიური ნიმუშების ფორმებს თუ შემკვლობას.



თბილისი ნილიაბი. აბტექების კულტურა

ძველი ტრადიციების ნამდვილი აღორძინება დაიწყო ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში, მექსიკაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, როდესაც ფეოდალური ჩამორჩენილობისა და მკაცრი დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლმა მექსიკელმა ხალხმა საკუთარ თავში ბრწყინვალე ისტორიის მემკვიდრე დაინახა. ჩვენი დროის გამოჩენილი მექსიკელი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე, იმ პერიოდში კი რევოლუციის ჯარისკაცი — დავით აღფაროსიკვიროსი წერდა: „სამხედრო ლაშქრობათა დროს აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საოცარ, ზღაპრულ ქვეყანაში... გავიგეთ, რომ შემორჩენილია ესპანელებამდელი მხატვრული კულტურის დიდებული ტრადიციები, ისეთივე მდიდარი, როგორც ანტიკური საბერძნეთის, ვიკატასა და ძველი ჩინეთის უდიდესი მემკვიდრეობა.“

ძველისა და ახლის ორგანულმა სინთეზმა, ახლისა, რომელიც მთლიანად ფეროპული მხატვრული აზროვნების საფუძველზე იყო აღმოცენებული, XX საუკუნის მექსიკური ხელოვნებმა მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მოვლენად აქცია. მექსიკელმა მხატვრებმა თავიანთი შემოქმედების საფუძვლად იმთავითვე დემოკრატიული იდეები გაიხადეს და დღესაც ამ იდეების ერთგული რჩებიან. ამასთანავე მათ ორგანულად შეთვისეს იმპრესიონისტებისა თუ აბსტრაქციონისტების მიერ დამკვიდრებული ახალი მხატვრული პრინციპები, რამაც მეტ

ბრავალფეროვნება მიანიჭა მექსიკელი მხატვრების შემოქმედებას.

მექსიკურ ხელოვნებაში ერთბაშად გამოიკვეთა ორი ფენომენი, ორი დარგი — გრაფიკა და მონუმენტური ფერწერა, ადვილად მისაწვდომი თვალისათვის, ხალხის ღრმა, ამაღლებული მრწამსი და რწმენა, მისი დასურათებული ისტორია, აწმყოს სატივირათა და მომავლის სასუკავარი იდეალის გამოსატლლება.

გამოფენაზე დიდი ადგილი ეჭირა ახალი მექსიკური ხელოვნების მამამთავრის — ხოსე გვადალუპე პოსადას შემოქმედებას, რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე ცხოვრობდა. ჩემი, მოკრძალებული გრაფიკორი, რომლის მახვილი თვალი საოცარი გამჭრიახობით ჭვრეტდა თავისი ხალხის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს, მრავალი წლის მანძილზე სულიერ საზრდოს აწვდიდა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს — წერაკითხვის უცოდინართა ამ უხარმაზარ მასას. მისი გრაფიკურები უწყვეტ სერიებდ იბეჭდებოდა მექსიკის პერიოდულ გამოცემებში და მათ მიუღწევს უნერგავად სიძულვილს საქუველესადმი, თავდადებას სიმარტოლისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

პოსადას გრაფიკურების მთავარი გმირი ხშირად არის კალვარესი — ჩონჩხი, გამოწყობილი ხან პეონის (გლეხის) ტანსაცმელში, ხან კი ჯარისკაცის მუნდიში. იგი მექსიკური ფოლკლორიდან გადმოვიდა მხატვრის შემოქმედებაში, ხოლო თავისი წარმომავლობით დაკავშირებულია ძველი ინდიელების კულტურასთან, რომელთა წარმოდგენით სიკვდილი და სიცოცხლე განუყოფელი იყო ერთმანეთისაგან.

მექსიკაში გრაფიკა დღესაც დიდად პოპულარულია. ყველა, ცნობილ თუ ახალგაზრდა მხატვარი თავისებურ ხარკს უხდის ამ ჟანრს. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენი გამოფენის ის ექსპონატები, რომლებიც გაერთიანებმა „სახალხო გრაფიკის სახელოსნოს“ წარმომადგენლებს ეკუთვნით. ეს კოლექტიური „სამაქრო“ ქმნის მილიონობით ტირაჟირებულ. გრაფიკულ ჩანახატებს, ილუსტრაციებს, სხვადასხვა სახის ალბომებსა და პლაკატებს, რომლებიც ასახავენ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ თუ საერთაშორისო მოვლენებს.

თანამედროვე მექსიკური მონუმენტური ფერწერა, სრულიად გასაკვირი მიზნების გამო, გამოფენაზე არ იყო წარმოდგენილი. იგი სსახლეების, კლუბების, სკოლების, დიდი საკრებულო დარბაზების კედლებს ამშვენებს და დამიანებს ყოველგვარი სიმორტოსის წინააღმდეგ ბრძო

ლისაკენ მოუწოდება, ქადაგებს თავისუფლების, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის იდეებს. მაგრამ საშუალება გვექონდა გაცნობოდით ახალი დროის ამ ჭეშმარიტ საოცრებათა ავტორების — ხოსე კლემენტე ოროსკოს, დიეგო რივერას და დავით ალფარო სიკეიროსის გრაფიკას და დაზგური ფერწერის რამდენიმე ნიმუშს.

მათ დიდ სამეულს უწოდებენ. ისინი თითქმის ერთდროულად, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მოვიდნენ ხელოვნებაში. გაიარეს რევოლუციური წრთობა და თავიანთ მანიფესტში ერთხმად განაცხადეს:

„ჩვენ მივესალმებით ხელოვნების მონუმენტურ გამომსახველობას, რადგანაც ასეთი ხელოვნება ხალხს ცკუთნის“.

მთელს მათ შემოქმედებას ეს აზრი და პათო-

სი უდევს საფუძვლად. თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი სულ სხვადასხვანაირად ამბობენ სათქმელს. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხელწერა აქვთ.

გამოფენას ამშვენებდა დავით სიკეიროსის „პარტიზანი“ — ყალკზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული მექსიკელის გამოსახულება, რომელიც მხატვრის ერთ-ერთ თვალსაზირობაში ნაწარმოებად ითვლება. სიკეიროსი აქაც — დაზგურ ფერწერაშიც მონუმენტალისტია. იგი ფიგურის განზოგადებული, მძლავრი, პლასტიკურად მეტყველი ფორმებით, ნახატის ლაკონიურობითა და ესკიზური დაუმთავრებლობით, კომპოზიციის ჭარბი ექსპრესიულობით ქმნის მონოლითურად მთლიან მხატვრულ სახეს. „პარტიზანი“ მშფოთვარე მექსიკის სიმბოლოა და გამოფენის მათორულ კულმინაციას წარმოადგენდა.

გამოფენაზე საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა შედარებით ახალგაზრდა თაობის მექსიკელი მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებასაც. ისინი თავიანთი მხატვრული და ესთეტიკური მრწამსით ხშირად მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში წარმოდგენილი გამოფენა „მექსიკის სახე“ მეტად მასშტაბური და ყოვლისმომცველი იყო. ასე ფართოდ და სრულყოფილად ჩვენს მაცურებელს არც ერთი ქვეყნის ხელოვნება არ უნახავს. გამოფენამ ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შესახებ, რომელსაც დღეამდ შინა-ჩინებული აქვს ეროვნული თავისთავადობა, მკაფიოდ გამოსატლული ინდივიდუალური სახე.

სიკეიროსი

მხედარი





ბ ლ ე უ ზ ვ ა ს კ ლ ი *

ბაჩანა ბრეგვაძე

ცეცხლი

„ღმერთი აბრამისა, ღმერთი ისაკისა, ღმერთი იაკობისა“¹, არა ფილოსოფოსთა და სწავალთთა ღმერთი... რწმენა, რწმენა. გრძნობა, სიხარული. მშვიდობა... იესო ქრისტეს ღმერთი... Deum meum et Deum vestrum¹⁷²... „შენი ღმერთი იქნება ჩემი ღმერთი“... დავიწყებენ, დავიწყება უველოფრის, გარდა ღმერთისა... მას უზიარებენ მხოლოდ სახარებაში ნაჩვენებ გზით... სიდაღე ადამიანის სულისა... „მამაო წრფელო, ქვეყანამ ვერ გიციოს, მე კი გიციანი შენ“... სიხარული, სიხარული, სიხარული, ცრემლი სიხარულისა... მას განვეშორე: Derelinquerunt me fontem aquae vivae¹⁷³... „ღმერთო ჩემო, ნუთუ დამიტყვენ მე?“... დაე, აღარასოდეს განვეშორე, აწ და მარადის... „ესა ცხოვრება საუფუნო, დაე, შეგიციონ ქვეშაირტი ღმერთი. დაე, შეიციონ ისიც ვინც შენ წარმოგზავნე, იესო ქრისტე“... იესო ქრისტე, იესო ქრისტე... მას განვეშორე; გავიქციე, უარევაე, ჭვარს ვაციკო... დაე, აღარასოდეს განვეშორე, უკუნისამდე... მხოლოდ სახარებაში ნაჩვენებ გზით შეიძლება შეინარჩუნო იგი... ქვეყნისაგან განდგომა, სრული და ტკბილი... სრული მორჩილება იესო ქრისტესა და ჩემი სულიერი მოძვარის მიმართ... საუფუნო სიხარული ამ ქვეყნად ერთი დღის ღვაწლის სანაცვლოდ... Non obliviscar sermones tuos. Amen¹⁷⁴.

28 ნოემბრის სწორედ ეს საბედისწერო დამე ითვლება პასკალის მეორე, 0. წ., „საბოლოო მოქცევის“ (conversion définitive) თარიღად. ამ შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშული და გაპარტახებული კაცის სულიერი მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ მოსყვა მის საბოლოო მოქცევას, შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ როგორც კომშარი, ქაოსი, სასოწარკვეთა. ამიერიდან ის სულ სხვაგვარი თვალთახედვით აღქვამს სამყაროს, თავისი სურვილით ღღოლივს უყვება საგანს, ნივთიერს, ხარწადას და მსწრფელწარმავალ სინამდვილეს, სადაც უველოფერი ასერიგად უზნაო, უფასური და უბადრუკო. „აგერ უყვე ერთი წელია, მან (ბლუზა — ბ. ბ.) მოიძულა და ქვეყანა, შეიწილა ყოველივე ამქვეყნიურთ... ახლა მისი მდგომარეობა ვაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ილაშქვ“... — სწორად იმ ხანად თკლანი თავის უფროს დას კლერიკო-ფერანში¹⁷⁵... პასკალს ეჩვენებოდა, რომ საქმე, რომელსაც აქამდე ასე გატაცებით, მთელის არსებით ემსახურებოდა, საერთოდ არ არის ადამიანის სულის ღირ-

სი, ის მწარედ განიცდის შეუსაბამობას თავის მდგომარეობას და დანიშნულებას შორის.

როგორც პირველ, ისე მეორე მოქცევასაც თან ახლავს განვლოლ გზის კრიტიკული შეფასება, ფახეულობათა ხელახალი გადაფასება, მცენიერება, პასკალის თვალში, ახლა იმდენად სამყაროს საიდუნლოებათა შეცნობის მძლავრი იარაღი როდია, რამდენადაც საუკუნოვანი ილუზიების განქარებისა და, ამ გზით, ადამიანის დაინერგებით დაიბრუნების საშუალება. რა საჭირო იყო მცენიერების პროგრესი, ანდა თვითონ მცენიერება, თუკი ის შევების ნაცვლად მხოლოდ ტანჯვას, ურვასა და უსახოობას მოუტანდა კაცობრიობას როგორც ახალ ადამი, ის გულამოსცნით მიხტირის სახელდამო დაკარგული „სულიერი სამოთხის“ პირველქმნილ სიმშვიდეს და სიმშინდეს, სულის დასაბამიერ ნეტარებას:

„ამ ქვეყნად უველოფერი ან სიბილწეა, ან სიბილწეა თვალის, ან სიბილწეა არსებობის: libido sentiendi, libido sciendi, libido dominandi“¹⁷⁶, უბედურია წუელი მიწა, რომელსაც ცეცხლეს სამი მდინარე კი არა რწყავს, არამედ წალცევივითა და გადაბუსვით ეტუქტება! ბედნიერია, ვინც არ ჩაიძირა არ შშვგ წაყლდე მთავი არ მისცა მძინეწარე ტალღებს, არამედ მტციეოდ გამაგრეს მუდრო ადგილას, გულმშვიდად მოიკალათა დაბაბასა და მკვილსაკარცხულზე, და ზის ასე გარჩნდებული, სანამ არ იღუოტებენ წმ და ნოილო, სანამ არ გაღმორქვევან წეციო მარადიული განთიოდის უხარწნელი შუი; და მამწი, განწმენდილი და განახლებულ ხელგებს ალაპარობდ მის მიმართ, ვინც უნდა აღადგინოს, აღსაბოლოო და სანარაბისოდ დაამკვიდროს წმიდა იერუსალიმის კარიბჭესა; სადაც სიამაყე ვეღარ შესძლებს რისხვად დატკუდეს თავს, შემშროს და დაამბოს იგი; მანამ კი ის ზის, ზის და ტირის, არა იმიტომ რომ ხედავს, როგორ მიაქანებენ შშვგე ტალღები ხარწნად საგნებს წამიერ არსებებს, მწუხრისდერ ღანდებს, ზრინდე იმტომ, რომ სამიერ წამიებს გაქმნილ, მაგრამ, არსებითად, წამიერ ტყვიება გამუდმებით იღონებს თავის ძვირფასსა და დაუეწიყარ საშობილ წეციურ იერუსალიმს¹⁷⁷.

